ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნისადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

2023
31 ივლისი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ISBN 978-9941-36-157-9 (pdf)

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლელა ადუაშვილი, ბოსტნეულის ბაზარი: თანამედროვე გამოწვევები და ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობები 5

ბექა ბაიაშვილი, წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ორგანიზაციაში დანერგვის ზოგადი გზა 15

თამარ ბარბაქაძე, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ასპექტები პანდემიის შემდგომ პერიოდში 23

გიორგი ბიბიაშვილი, მდგრადი განვითარება და ESG ინვესტირება 28

ნესტან გაფრინდაშვილი, გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირი საქართველოში 37

ქეთევან გოგნაძე, საერთაშორისო აკრედიტაციის როლი საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში და მასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა 50

ლევან დგებუაძე, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების სისტემის რეფორმირება საქართველოს მაგალითზე და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე 59

ბექა ზაუტაშვილი, მეწარმეების გამოწვევები და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობა (ფოკუსი: აფხაზეთიდან დევნილი მცირე მეწარმეები) 71

სალომე თვალოძე, კლიმატის ცვლილება და ფინანსური სტაბილურობა 82

მიშიკო კილასონია, ონლაინ შოპინგისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება 92

ნინო კულატამიშვილი, საქართველოში ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის არსებული ურთიერთკავშირის ეკონომეტრიკული ანალიზი 102

მიხეილ ლომინაშვილი, კოვიდ 19 პანდემიის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საქართველოში, ეკონომიკური შედეგები და სამომავლო პესპექტივები 110

გიორგი მოდებაძე, ენერგეტიკის გლობალურ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესები 118

ნათია ჟღენტი, სიღარიბის დაძლევის ეკონომიკური პოლიტიკა:
პრობლემები და გაუმჯობესების გზები საქართველოში 126

ბესარიონ სიორდია, ეკონომიკური ბუშტები - ფორმირება და ზეგავლენა 135

თეა ჩაჩუა, თანამედროვე საბანკო მარკეტინგის ძირითადი სტრატეგიები 143

ლუკა ცერცვაძე, ავტომატიზაციის ტექნოლოგიების ინტეგრაცია
შენობების მართვის სისტემაში 155

მარიამ ჭურჭელაური, საავტომობილო-საგზაო კლასტერის ფორმირების
გამოწვევები საქართველოში 166

ბოსტნეულის ბაზარი: თანამედროვე გამოწვევები და ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობები

ლელა ადუაშვილი
თსუ მაგისტრანტი

ნაშრომში, ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე, დასაბუთებულია ბოსტნეულის ბაზრის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეფასებულია საქართველოს პოზიციონირება ბოსტნეულის საერთაშორისო ბაზარზე.

ბოსტნეულის მომხმარებლებსა და მწარმოებლებზე ორიენტირებული რაოდენობრივი კვლევით გამოვლენილია ადგილობრივი ბაზრის საჭიროებები და გამოწვევები, ასევე, სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის საშუალებით განსაზღვრულია ბოსტნეულის წარმოების მოცულობის დამოკიდებულება ნათეს ფართობებთან, მოსავლიანობასა და მოსახლეობის რაოდენობასთან.

გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები და ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების განვითარების მიზნით შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ბოსტნეულის ბაზარი, ადგილობრივი წარმოება, გამოწვევები, კონკურენტული უპირატესობა.*

პრობლემის აქტუალურობა

მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის საქართველოში, ბოსტნეულზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია არსებობს. იგი გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, რომელთაგან აღსანიშნავია მომხმარებელთა სეგმენტის ტრანსფორმაცია, მოსახლეობის ზრდა, ხანდაზმულთა ხვედრითი წილის მატება და სხვ. ამ ფონზე, ბუნებრივია, იზრდება ისეთ ჯანსაღ, ორგანულ და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნა, როგორიცაა ბოსტნეული. შესაბამისად, ბოსტნეულის ბაზარი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიან და ეკონომიკური თვალსაზრისით, მაღალშემოსავლიან სექტორად.

მებოსტნეობის დარგის განვითარება საქართველოსთვის საკმაოდ კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს, მითუმეტეს, რომ ქვეყანას, ამ მხრივ, საკმაოდ კარგი ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.

საყურადღებოა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის ადგილობრივი წარმოების განვითარება განსაკუთერებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ცხადყო “Covid-19”-ის პანდემიის გავრცელებამ და ბოლო პერიოდში გართულებულმა გეო-პოლიტიკურმა კრიზისმაც. მსგავსმა მასშტაბურმა გამოწვევებმა შექმნა ახალი მოცემულობა და დღის წესრიგში დააყენა ადგილობრივი წარმოების, მათ შორის, ბოსტნეულის წარმოების განვითარების აუცილებლობა.

საქართველოში ბოსტნეულის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტების კონკურენტული უპირატესობის გამოვლენა შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული საჭიროებს სისტემურ კვლევასა და ანალიზს. სწორედ ამ მიმართულებით იკვეთება მოცემული ნაშრომის როლიც.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ბოსტნეულის ადგილობრივი ბაზრის ანალიზის ფონზე დარგში არსებული გამოწვევების გამოვლენა და ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ✓ ადგილობრივი ბოსტნეულის ბაზრის შესახებ ბიბლიოგრაფიული კვლევა;
- ✓ საქართველოს პოზიციონირების ჩვენება ბოსტნეულის საერთაშორისო ბაზარზე;
- ✓ ადგილობრივი ბოსტნეულის ბაზრის რაოდენობრივი კვლევითი შედეგების ილუსტრირება;
- ✓ ბოსტნეულის ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა;
- ✓ ქართული ბოსტნეულის პროდუქტების კონკურენტული უპირატესობის შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- ✓ მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის აგება და მოდელში ჩართული ფაქტორული ცვლადების მნიშვნელოვნების დასაბუთება;
- ✓ საქართველოს ბოსტნეულის ბაზრის განვითარების შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი პრობლემის ირგვლივ მოძიებული ინფორმაციული ბაზის დამუშავების პროცესში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: თეორიული, დოკუმენტური, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის, ანალიზისა და სხვ.

Google Form-ზე განთავსებული კითხვარების საშუალებით ჩატარებულია მომხმარებელთა და მწარმოებელთა რაოდენობრივი კვლევა. მიღებული შედეგები დამუშავებულია სხვადასხვა პროგრამული პაკეტით (MS Excel და სხვ.). მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის აგებისას გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის პაკეტი - Data Analysis.

საქართველოს პოზიციონირება ბოსტნეულის საერთაშორისო ბაზარზე

საერთაშორისო ვაჭრობა მუდმივად განიცდის ზრდასა და განვითარებას. ბოსტნეულის ბაზარიც ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ამ სახეობის პროდუქტზე მაღალი მოთხოვნით. მომხმარებელთა საერთო რაოდენობის ზრდას, ამავდროულად, ხელს უწყობს იმ ადამიანთა ხვედრითი წილის მატებაც, რომელ-

ნიც ცხოვრობენ ფლექსიტარიანული, ვეგეტარიანული ან ვეგანური ცხოვრების წესით. 2022 წელს YouGov ჯგუფის მიერ დიდ ბრიტანეთში განხორციელებული გამოკითხვის შედეგებით ფლექსიტარიანელები, ვეგეტარიანელები და ვეგანები მომხმარებელთა 21%-ს შეადგენს. აღნიშნული კონტიგენტისათვის კი დამახასიათებელია ბოსტნეულზე მოთხოვნის ზრდადი ტენდენცია (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის ჭრილში, Marthieu E. & Ritchie H., 2022).

ბოსტნეულის პროდუქტებზე როგორც საერთაშორისო, ასევე, ადგილობრივი მოთხოვნის ყოველწლიურად ზრდადი სტატისტიკური მაჩვენებლების ფონზე საქართველოში დაბალია ადგილობრივი წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ფლობს წარმოების განვითარებისათვის საჭირო რესურსებს.

ბოსტნეულის ნათესი ფართობების განაწილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2015-2021 წლებში 2021 წელს ფიქსირდება ნათესი ფართობის მინიმალური რაოდენობა (11,4 ათასი ჰა). ამავდროულად, გასულ წელთან შედარებით შემცირებულია ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებელიც (10,3 ტ/ჰა). შესაბამისად, 2021 წლისათვის წარმოებულმა ბოსტნეულის მოცულობამ შეადგინა 117 ათასი ტონა, საიდანაც 12 ათასი ტონა გავიდა საექსპორტო ბაზრებზე (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ქართული ბოსტნეულის ექსპორტისა და
იმპორტის მოცულობა 2015-2021 წლებში (ათასი ტონა)
წყარო: https://rb.gy/srumh

საქართველოს მთავარ პარტნიორს, ბოსტნეულის ექსპორტის მიხედვით, წარმოადგენს რუსეთი, რომელზეც 2021 წელს მთლიანი ექსპორტის 62.3% მოდის. შედარებით მცირეა სომხეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვისა და სხვათა წილი. რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის პირობებში ადგილობრივი ბოსტნეულის ექსპორტი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა. მიზანშეწონილია, მოინახოს ალტერნატიული საექსპორტო ბაზარი და შეძლებისდაგვარად შემცირდეს რუსეთზე დამოკიდებულება. მოცემული პროცესი საჭიროებს რაციონალური და ქმედითუნარიანი ღონისძიებების შემუშავებასა და რეალიზაციას, რათა ქვეყანამ შეძლოს ევროკავშირის ბაზრის სტანდარტების დაკმაყოფილება და გადაინაცვლოს ამ ბაზარზე.

დიაგრამა 1 აჩვენებს, რომ საანალიზო წლების დიაპაზონში ყველაზე მაღალი იმპორტის მოცულობა ფიქსირდება 2020 წელს, 94,8 ათასი ტონის მოცულობით. მაშინ, როდესაც

ამავე წელს საქართველოდან ექსპორტირებულია მხოლოდ 7,7 ათასი ტონა. მაშასადამე, ბოსტნეულის იმპორტის მოცულობა დაახლოებით 12,3-ჯერ აჭარბებს ექსპორტის შესაბამის მაჩვენებელს. გაცილებით ნაკლები იყო მათი თანაფარდობა 2017 წელს - ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 5,2-ჯერ ჩამორჩებოდა იმპორტს. როგორც ჩანს, 5 წლის მანძილზე აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგდა. ყოველივე ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში არსებული რესურსები რაციონალურად არ არის გამოყენებული და შესაბამისად, ვერ ხერხდება არსებული პოტენციალის ათვისება. EastFruit-ის ანალიტიკოსებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გასული წლის არასეზონურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს საზღვარგარეთიდან მეტი კიტრისა და პომიდვრის შეძენა მოუწია. 2014-2022 წლებში იმპორტის მოცულობა ოქტომბერ-აპრილში ყველაზე მაღალია კიტრისათვის, მეორე ადგილზეა - პომიდორი. თურქეთი კი, კვლავ რჩება როგორც კიტრის, ასევე, პომიდვრის მთავარ მიმწოდებლად. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საექსპორტო წყაროების დივერსიფიკაცია (Kharaishvili, E., Gechbaia B., 2018), ვინაიდან ისეთმა გაუთვალისწინებელმა ფაქტორებმა, როგორიც იყო მაგალითად, თურქეთში მომხდარი მიწისძვრა, იმპორტირებულ ბოსტნეულის პროდუქტებზე განაპირობა ფასების ნახტომისებური ზრდა. ჩვეულებრივ, თურქულ პომიდორსა და ბულგარულ წიწაკაზე დამოკიდებულება ივლისამდე ძლიერია, შემდეგ იწყება ქართული „რთველი“ და იმპორტი იკლებს (East Fruit, 2023).

ადგილობრივი ბოსტნეულის ბაზრის რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ადგილობრივი ბოსტნეულის ბაზრის შესწავლის მიზნით განხორციელდა ორი კვლევა: მომხმარებლებსა (რესპონდენტთა რაოდენობა-317) და მწარმოებლებზე (რესპონდენტთა რაოდენობა-36) ორიენტირებული კითხვარის საშუალებით.

მომხმარებელთა სეგმენტის გამოკითხვით დადგინდა, რომ ბოსტნეულის პროდუქტები აქტიურად მოიხმარება თითოეული ადამიანის კვების ყოველდღიურ რაციონში (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ბოსტნეულის წილი მომხმარებელთა რაციონში (%)

ბოსტნეულის შეძენისას მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ახალ პროდუქტს (98,1%) და უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებენ ხარისხს (80.1%), ვიზუალურ მხარესა

(13.6%) და ფასს (5.4%). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბოსტნეულის შეძენისას მოსახლეობისათვის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ხარისხია.

კვლევაში ჩართული მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (94.6%) აცხადებს, რომ უპირატესობას ანიჭებს ბოსტნეულის ადგილობრივ პროდუქტებს იმპორტირებულთან შედარებით. აღნიშნული უპირატესობის განმაპირობებელი ფაქტორებია: ხარისხი, გემოვნური თვისებები, სანდოობა, სიახლე, ხელმისაწვდომობა, ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადა, ორგანულობა, ადგილობრივ მწარმოებელთა ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ქცევას განაპირობებს სოციალური ფაქტორი, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, დაახლოებით მათი $^1/_3$-ისათვის უცნობია ადგილობრივი ბოსტნეულის მწარმოებელი კომპანიები. დარჩენილ ნაწილში კი ცნობადობა გადანაწილდა ძირითადად სამ კომპანიაზე: შპს „აგროჰაბი“ (57,1%), შპს „მარნეული აგრო“ (55,4%) და შპს „ჰერბია“ (31,1%).

იმის ილუსტრირების მიზნით თუ რამდენად ახერხებენ ადგილობრივი ბოსტნეულის მწარმოებლები მომხმარებელთა საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებას, ჩატარდა მათზე ორიენტირებული რაოდენობრივი კლვევა. თავდაპირველად, განისაზღვრა იყო თუ არა ბოსტნეულის ბიზნესი მწარმოებელთა შემოსავლის ძირითადი წყარო. 46 გამოკითხული ფერმერიდან 41.3%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი, ხოლო დარჩენილმა 58.7%-მა დაადასტურა, რომ მებოსტნეობის დარგში ფუნქციონირება მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა.

საქართველო მცირემიწიანობით ხასიათდება, შესაბამისად, ბოსტნეულის ნათესი ფართობებიც ძირითადად 1.5 ჰა-მდე გადანაწილდა, კერძოდ, გამოკითხულთა 78.3% აწარმოებს დიაგრამაზე წარმოდგენილი ფართობების ფარგლებში (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ბოსტნეულით ნათესი ფართობი (ჰა)

კვლევაში ჩართულ მწარმოებელთაგან 10 რესპონდენტი (21.7%) ბოსტნეულს შედარებით დიდი მასშტაბის მქონე მიწის ნაკვეთზე აწარმოებს. შესაბამისად, მაღალია წარმოების მოცულობაც. ამ უკანასკნელის მიხედვით შედეგები შემდეგი სახით გადანაწილდა: 0.5-1.5 ტონა ბოსტნეული იწარმოება 30,4%-ის მიერ; 1.5-2.5 ტ. - 28.3%-ის მიერ; 2.5-3.5 ტ. -10.9%-ის მიერ; >3.5 ტ. - 30.4%-ის მიერ. ანუ, 46 რესპონდენტიდან 14 ადამიანი აწარმოებს დიდი მოცულობით ბოსტნეულის კულტურებს ბაზარზე რეალიზაციის მიზნით. კვლევის ფარგლებში განისაზღვრა მათი ბაზარზე ხელმისაწვდომობა. შეფასების შკალა განისაზღვრა 1-

დან 5-მდე. უმრავლესობამ, 16-მა ბენეფიციარმა (34.8%-მა), დააფიქსირა ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი, მასთან შედარებით უკეთესი - 15-მა (32.6%-მა), ხოლო საუკეთესო - 6-მა (13%-მა). რაც შეეხება ბაზარზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, საკითხი უკიდურესად აწუხებდა გამოკითხულთა 6.5%-ს, შედარებით ნაკლებად - 13%-ს. ნათელია, ადგილობრივ ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნის გამო მწარმოებელთა ძირითადი ნაწილი არ დგას აღნიშნული პრობლემის წინაშე. შესაბამისად, აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოებული ბოსტნეულის პროდუქტები სარეალიზაციოდ გააქვთ ადგილობრივ ბაზარზე. სამწუხაროდ, ნაკლებია ექსპორტიორთა რაოდენობა (რესპონდენტთა 8.7%).

მიმდინარე ეტაპზე, ბოსტნეულის მწარმოებლების ექსპორტისადმი დაინტერესება მაღალი მაჩვენებლით არ ხასიათდება, კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 54.3%-მა გამოხატა საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი პროდუქტის გატანის სურვილი და ინტერესი. ბუნებრივია, საექსპორტო ბაზრებზე ბოსტნეულის რეალიზაცია რთულია, ვინაიდან პროცესს თან ახლავს არაერთი გამოწვევა, მათ შორის, რესპოდენტებმა დაასახელეს: უცხოური ბაზრის მოძიება; ტრანსპორტირება; პროდუქტის ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილება; არაკონკურენტული გარემო, მონოპოლიები; ფინანსების შეზღუდულობა; სამაცივრე მეურნეობის არ ქონა; მცირე და სეზონური წარმოება; მარაგების დეფიციტი; მწირი ინფორმაცია; ხელშემწყობი პროგრამების სრულყოფის აუცილებლობა და სხვა.

ბოსტნეულის მწარმოებლებზე ორიენტირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივ ფერმერთა შორის დაბალია სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ხელშემწყობი პროგრამების ცნობადობის მაჩვენებელი. შეთავაზებული პროგრამებიდან (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო თანადაფინანსების პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, დანერგე მომავალი, ტექნიკური დახმარების პროგრამა, აგროდაზღვევა) ლიდერობს შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა (ცნობადობის მაჩვენებელი - 50%), ხოლო 32.6%-ისათვის აღნიშნული პროგრამები უცნობია.

ზემოთ ხსნებულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული დახმარების შესახებ პასუხთა შემდეგი კონფიგურაცია: დახმარებით არ უსარგებლია - 76.1%-ს, უსარგებლია - 23.9%-ს. ამავდროულად, დაბალია კოოპერატივებში გაწევრიანებულ ფერმერთა ხვედრითი წილიც. 46 მწარმოებლიდან მხოლოდ 10.9% აღმოჩნდა კოოპერატივის წევრი.

ბოსტნეულის მწაროებელთა კვლევაში ჩართულმა ბენეფიციარებმა გამოკვეთეს, პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით, მათ წინაშე მდგარი შემდეგი ძირითადი გამოწვევები: სარწყავი სისტემის დეფიციტი; გაყიდვების სიმცირე; შეზღუდული მიწის ფართობი; ამინდის ცვალებადობა; არასამართლიანი კონკურენტული გარემო; კონკურენტთა მხრიდან პროდუქტის მოპარვა და დაპატენტება; სარეალიზაციო ბაზარზე ხელმისაწვდომობა; სეზონურობა და სხვ.

კითხვარის დასკვნით ნაწილში განისაზღვრა ბოსტნეულის მწარმოებელთა სამომავლო პერსპექტივები. ისინი ძირითადად გეგმავენ ნათესი ფართობების ზრდასა და ორგანულ მეურნეობაზე კონცენტრირებას. ამავდროულად, მათი ინტერესის სფერო მოიცავს წარმოებული პროდუქტის დივერსიფიკაციასა და ციფრულ ტრანსფორმაციაში ინვესტიციების განხორციელებას. ამავდროულად, დაფიქსირდა საკმაოდ საინტერესო ინდივიდუ-

ალური პასუხები: „ინოვაციური მეურნეობისა და არატრადიციული კულტურების განვითარება რეგიონში“; „ტრადიციული და არატრადიციული ტოპ ბოსტნეულების სელექცია“; „პირველი CSA (Community Supported Agriculture) ფერმა ვართ და იმედია მსგავს ფერმებს განვავითარებთ და მეტ შესაძლებლობებს შევქმნით“.

ბოსტნეულის წარმოების მოცულობის ცვლილების ანალიზი ნათესი ფართობების, მოსავლიანობისა და მოსახლეობის რაოდენობის გავლენით (ეკონომეტრიკული ანალიზი)

მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელის აგების საშუალებით შეგვიძლია ავხსნათ წარმოებული ბოსტნეულის მოცულობაზე შემდეგი ფაქტორული ცვლადების ზეგავლენა: მოსახლეობის (მომხმარებელთა) რაოდენობა, ბოსტნეულით ნათესი მიწის ფართობი და მისი საშუალო მოსავლიანობა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. წარმოებული ბოსტნეულის მოცულობა (ათასი ტონა), ნათესი ფართობები (ათასი ჰა), საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა) და მოსახლეობის რაოდენობა 2002-2021 წლებში

წელი	Y	X_1	X_2	X_3
2002	405,6	38,9	11,4	3991,3
2003	430,1	40,4	11,7	3965,8
2004	400,5	40,9	11,3	3937,7
2005	436,7	44,3	10,9	3917,0
2006	179,7	29,7	7,4	3888,0
2007	190,3	32,0	10,8	3872,7
2008	165,0	27,3	8,0	3847,6
2009	170,3	23,7	11,5	3829,0
2010	175,7	24,4	11,5	3799,8
2011	185,8	21,7	11,2	3773,6
2012	198,5	23,4	13,6	3739,3
2013	204,8	20,9	9,9	3718,4
2014	190,9	19,1	11,3	3716,9
2015	152,3	18,1	11,6	3721,9
2016	141,7	15,4	8,2	3728,6
2017	125,9	14,0	7,3	3726,4
2018	142,2	12,3	8,8	3729,6
2019	161,1	12,6	10,0	3723,5
2020	176,1	12,7	11,1	3716,9
2021	149,0	11,4	10,3	3728,6

წყარო: https://shorturl.at/fHPVX

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელი მიიღებს შემდეგ სახეს: $\hat{y}$=-2978.16606+0.17365x_1+16.53746x_2+0.79347x_3, სადაც

- b_1 კოეფიციენტი წარმოადგენს წარმოებული ბოსტნეულის მოცულობის (შედეგობრივი ცვლადის) საშუალო მნიშვნელობის ნაზრდს, ამავე კულტურის ნათესი ფართობების (x_1) ერთი ერთეულით ცვლილების შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში. ანუ, როდესაც იზრდება ნათესი ფართობების რაოდენობა ერთი ჰა-ით წარმოებული ბოსტნეულის მოცულობა იმატებს 0.17365 ათასი ტონით;
- b_2 კოეფიციენტი არის წარმოებული ბოსტნეულის მოცულობის (შედეგობრივი ცვლადის) საშუალო მნიშვნელობის ნაზრდი, ამავე კულტურის საშუალო მოსავლიანობის (x_2) ერთი ერთეულით ცვლილების შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში. ანუ, როდესაც იზრდება საშუალო მოსავლიანობა 1 ტ/ჰა-ით წარმოებული ბოსტნეულის მოცულობა იმატებს 16.53746 ათასი ტონით;
- b_3 კოეფიციენტი გვიჩვენებს წარმოებული ბოსტნეულის მოცულობის (შედეგობრივი ცვლადის) საშუალო მნიშვნელობის ნაზრდს, მოსახლეობის რაოდენობის (x_1) ათასი კაცით ცვლილების შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში. ანუ, როდესაც იზრდება მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა ათასი კაცით წარმოებული ბოსტნეულის მოცულობა იმატებს 0.79347 ათასი ტონით.

სტიუდენტის განაწილების საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ კოეფიციენტების მნიშვნელოვნება. ამისათვის t სტატისტიკის მნიშვნელობები უნდა შევადაროთ $t_{\text{კრიტ.}}$, რომელსაც ვპოულობთ მნიშვნელოვნების დონითა და ფაქტორთა რაოდენობის მიხედვით. $t_{\text{კრიტ.}}$ (5%, 20) = 2.08596.

- tb_1=1.05864 – $|tb1|$=1.05864 < 2.08596, რადგან b_1 კოეფიციენტის სტატისტიკა ნაკლებია კრიტიულ მნიშვნელობაზე b_1 არ არის მნიშვნელოვანი;
- tb_2=2.11034 - $|tb2|$=2.11034 > 2.08596, რადგან b_2 კოეფიციენტის სტატისტიკა მეტია კრიტიულ მნიშვნელობაზე b_2 მნიშვნელოვანია;
- tb_3=5.27813 - $|tb3|$=5.27813 > 2.08596, რადგან b_3 კოეფიციენტის სტატისტიკა მეტია კრიტიულ მნიშვნელობაზე b_3 მნიშვნელოვანია.

ზოგადი მოდელის მნიშვნელოვნების შესამოწმებლად კი ვიყენებთ ფიშერის F ტესტს. დავუშვათ, შემდეგი ნულოვანი ჰიპოთეზა: $H_0 : R^2 = 0$. F სტატისტიკას გამოითვლება ფორმულით: $F=(n-m-1)R^2/m(1-R^2)=(n-m-1)Q^R/mQ^E$=16.87728, ხოლო $F_{\text{კრიტ.}}$ (m; n-m-1)= $F_{\text{კრიტ.}}$ (3; 20)=3.23887. შესაბამისად, $F>F_{\text{კრიტ.}}$, ამიტომ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას და დავადასტურებთ მოდელის სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას.

დასკვნა

ამჟამად, ბოსტნეულის ეკონომიკური და კვებითი ღირებულება საკმარისად არ არის გაცნობიერებული. აუცილებელია გაუმჯობესდეს მისი პროდუქტიულობა, მენეჯმენტი, პროდუქტის უვნებლობისა და ბაზარზე წვდომის მაჩვენებელი. ბოსტნეულის წარმოება უნდა განვითარდეს მოხმარებისა და მიწოდების მხარის ინტერვენციებისა და ქცევითი ცვლილებების კომუნიკაციის კომბინაციით. იმისათვის, რომ ბოსტნეულის ეკონომიკური და კვებითი სიმძლავრე სწორად გამოიყენებოდეს სახელმწიფომ და საერთაშორისო დო-

ნორმა ორგანიზაციებმა მის წარმოებას უნდა მიანიჭონ გაცილებით მეტი პრიორიტეტი, ვიდრე ამჟამად არის. აუცილებელია, აღნიშნულ დარგში ინვესტიციების განხორციელება და მცირე ფერმერთათვის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა.

წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული და რაოდენობრივი კვლევის ანალიზზე დაყრდნობით, ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების განვითარების მიზნით რეკომენდირებულია:

- ✓ ადგილობრივ ფერმერთა საგანმანათლებლო დონის ზრდის უზრუნველყოფა (მიზანშეწონილი ღონისძიება: ტრენინგებისა და სხვა სახის საინფორმაციო აქტივობების სისტემური დაგეგმვა და განხორციელება);
- ✓ ადგილობრივ ფერმერთა ინფორმირებულობის ზრდა საექსპორტო ბაზრებისა და მოთხოვნების შესახებ (მიზანშეწონილი ღონისძიება: აქტიური კომუნიკაცია);
- ✓ სამეწარმეო რისკების მინიმიზაცია (მიზანშეწონილი ღონისძიება: საირიგაციო პრობლემის სრულად მოგვარება და სადაზღვევო ბაზრის განვითარება);
- ✓ სეზონურობის პრობლემის მოგვარება (მიზანშეწონილი ღონისძიება: სასათბურე მეურნეობების განვითარება);
- ✓ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა (მიზანშეწონილი ღონისძიება: ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ინვესტიციების განხორციელება);
- ✓ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა (მიზანშეწონოლი ღონისძიება: შეღავათიან აგროკრედიტებზე წვდომის უზრუნველყოფა და ბენეფიციართა ე.წ. საოპერაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება);
- ✓ ადგილობრივი ბოსტნეულის მარკეტინგული ღონისძიებების განვითარება (მიზანშეწონილი ღონისძიება: ქართული ბოსტნეულის პოპულარიზაციისთვის ბრენდინგის კამპანიების აქტიური განხორციელება);
- ✓ ბიომეურნეობების განვითარება (მიზანშეწონილი ღონისძიება: მცირე ფერმერთათვის ბიო წარმოების უპირატესობების ჩვენება);
- ✓ სურსათის ხარისხის სტანდარტებისა და ClobalGap-ის სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- ✓ კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა (მიზანშეწონილი ღონისძიება: სახელმწიფოს შესაბამისი პროგრამების დანერგვა და განხორციელება);
- ✓ ადგილობრივ ფერმერთა მხარდამჭერი პროგრამების დანერგვა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზვიადაძე, ე., კულატამიშვილი, ნ., თარაშვილი, თ., კობახიძე, მ., ნონიკაშვილი, ლ. (2022). პუბლიკაცია *„საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში 2021“*. მოძიებულია: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53685
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2009-2023). *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული (2009-2023).* მოძიებულია: https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli?page=1&fbclid=IwAR16ZQvrP1NE3g0Ag1xlQJWpeVuLaeoM4LRFM-naM00lNqw_PhAdXfTcvMI

3. East Fruit (2023). '*Key Turkish produce got more expensive on the Georgian market'*. Retrieved from - https://east-fruit.com/en/news/key-turkish-produce-got-more-expensive-on-the-georgian-market/
4. Kharaishvili, E. & Gechbaia, B. (2018). '*Vegetable market: Competitive advantages of Georgian product and competition challenges'*. Retrieved from - https://www.researchgate.net/publication/328803389_Vegetable_market_Competitive_advantages_of_Georgian_product_and_competition_challenges
5. Marthieu, E. & Ritchie H. (2022). '*What share of people say they are vegetarian, vegan, or flexitarian?* Retrieved from - https://ourworldindata.org/vegetarian-vegan

Vegetable Market: Modern Challenges and Opportunities for Developing Local Production

Lela Aduashvili
TSU Master Student

SUMMARY

In the work, on the basis of bibliographic research, the importance of the vegetable market for the economic development of the country is substantiated. Based on the official data of the National Statistical Service of Georgia, the positioning of Georgia in the international market of vegetables has been evaluated.

Quantitative research focused on vegetable consumers and producers identifies local market needs and challenges, as well as prospects for future development.

By means of a multiple linear regression model, the dependence of the volume of vegetable production on the cultivated areas, yield, and population is determined.

Based on the identified challenges, conclusions are drawn and recommendations are offered for the development of local vegetable production.

Keywords: vegetable market, local production, challenges, competitive advantage.

წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ორგანიზაციაში დანერგვის ზოგადი გზა

ბექა ბაიაშვილი
თსუ მაგისტრანტი

მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ორგანიზაციების მეცნიერ-მკვლევრები ფიქრობენ, დედამიწაზე რესურსების მოხმარება 2050 წლისათვის საგრძნობლად გაიზრდება. მნიშვნელოვნად იზრდება გლობალურ ეკონომიკაში ნედლი მასალის გამოყენების რაოდენობა. პროცესი რესურსების დეფიციტს წარმოქმნის, ეს კი რისკია საკუთრების უფლებებისა და ბაზრების რეგულირებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული უარყოფითი ეკონომიკურ-ფინანსური გავლენები დაუზარალებს კერძო სექტორსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. გამოწვევების გადალახვისთვის, მსოფლიოში აქტუალური გახდა წრიული ეკონომიკის კონცეფცია. კერძო სექტორში წრიული ეკონომიკის დანერგვისთვის, მნიშვნელოვანია ისეთი თეორიული გზის იდენტიფიცირება, რომლითაც ნებისმიერ ორგანიზაციას შეეძლება საკუთარ საქმიანობაში წრიული ეკონომიკის დანერგვა. მოცემული კვლევის მიზანია წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ორგანიზაციაში დანერგვის გზის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება.

საკვანძო სიტყვები: *წრიული ეკონომიკა, წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელი, ცირკულარული ეკონომიკა*

მსოფლიოში რესურსების მოხმარებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადალახვისთვის, მსოფლიოში აქტუალური გახდა წრიული ეკონომიკის კონცეფცია (Jackson, 2009; Sachs, 2015; ბაიაშვილი ბ., 2022). მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ორგანიზაციების მეცნიერ-მკვლევრები ფიქრობენ, დედამიწაზე რესურსების მოხმარების დონე 2050 წლისათვის საგრძნობლად გაიზრდება. ნავარაუდებია, რომ ზრდის პროცესმა შეიძლება დედამიწის ამჟამინდელი რესურსების გასამმაგებული რაოდენობა მოითხოვოს (UN, 2020). კერძო სექტორში წრიული ეკონომიკის დანერგვისთვის, მნიშვნელოვანია ისეთი თეორიული გზის იდენტიფიცირება, რომლითაც ნებისმიერ ორგანიზაციას შეეძლება საკუთარ საქმიანობაში წრიული ეკონომიკის დანერგვა. მოცემული **კვლევის მიზანია** წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ორგანიზაციაში დანერგვის გზის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბება.

კვლევის თეორიული, მეთოდოლოგიური და ემპირიული საფუძვლებია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების (ევროპარლამენტი, ევროკომისია, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მაკკინზის გლობალური ინსტიტუტი და სხვა) ანგარიშები და უცხოელი და ქართველი მეცნიერ-მკვლევრების ნაშრომები, კერძოდ: ნ. ბოკენის, ე. გულდმანის, ჯ. ელკინგტონის, პ, ლეისის, ნ. მეის, გ. რამლერის, ი. რუთქვისტის, პ. სავაგეტის, კ. შაბაზის, ე. ჰულსინკის, რ. აბესაძის, დ. ადეიშვილის, ი. გაგნიძის და სხვათა ნაშრომები.

კვლევაში გამოყენებულია ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, კორელაციისა და ანალოგიის, ასევე შედარებითი ანალიზის მეთოდი.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ზოგადი გზა, რომლის მეშვეობითაც წრიული ეკონომიკის დანერგვით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, პროცესის გამარტივება შეუძლია. ეს გზა არის ავტორის მოსაზრება და მოითხოვს დამატებით დაკვირვებასა და პრაქტიკულ შემოწმებას.

წრიული ეკონომიკის მოდელის ბიზნესის საქმიანობაში დანერგვის ზოგადი გზა

წრიული ეკონომიკის დანერგვის ზოგადი გზის ჩამოსაყალიბებლად, პირველი ნაბიჯია ორგანიზაციის, როგორც სისტემის ანალიზი. გერი რამლერის მიხედვით, ორგანიზაციის ანალიზისთვის მას სამ მასშტაბში უნდა დავაკვირდეთ: ორგანიზაციულ, პროცესის და შემსრულებლის დონეზე.

ორგანიზაციული დონე გულისხმობს იმ სრული სუპერსისტემის განხილვას, რომელშიც ესა თუ ის ფირმა ფუნქციონირებს. სუპერსისტემის ზოგადი მოდელი ნაჩვენებია დიაგრამაზე 1. შესაბამისად, ამ მასშტაბში განხილვისას, უნდა გავითვალისწინოთ გარე ეფექტები, რესურსები, ორგანიზაციის წარმოებული პროდუქტის ბაზარი, კონკურენტული გარემო და პარტნიორები (აქციონერები და სხვა სარგებლის მიმღები პირები, რომელთაც საქმიანობის შედეგი აინტერესებთ).



დიაგრამა 1. ნებისმიერი ორგანიზაციის სუპერსისტემის ზოგადი მოდელი რამლერის მიხედვით (Rummler, 2004)

პროცესის დონეზე ორგანიზაციის განხილვა გულისხმობს უშუალოდ ფირმის შიგნით, ძირითადი და დამხმარე პროცესების ანალიზს. დიაგრამაზე ეს მასშტაბი აღნიშნულია რიცხვით „3“. ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესების კავშირი კი აღნიშნულია რიცხვით „4“. ძირითადი პროცესი გულისხმობს უშუალოდ პროდუქტის შექმნაში ჩართულ საფეხურებს, ხოლო დამხმარე კი - იმ დამატებით პროცესებს რომელიც ძირითადი პროცე-

სის გამართულ ფუნქციონირებას უნდა უზრუნველყოფდეს (მაგ. მარკეტინგი, ბუღალტერია და ა.შ.).

შემსრულებლის დონეზე ანალიზი კი გულისხმობს პროცესის ნაბიჯების შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულების ან ადამიანების მასშტაბში დაკვირვებას. დიაგრამაზე 1 პირობითი ნიშნებით ეს ნაჩვენებია რიცხვით „4“ აღნიშნულ მართკუთხედებში ჩასმული ადამიანის სილუეტებით. ამ დონის ანალიზით დგინდება, თუ როგორ სრულდება პროცესის ნაბიჯები.

ორგანიზაციის ასე წარმოდგენა დაგვეხმარება ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი ნაბიჯები, რომელიც საჭიროა წრიული ეკონომიკის დანერგვისთვის. ამისთვის სტრუქტურულად წარმოვადგინოთ კონკრეტული ქმედებები, რომელიც წრიული ეკონომიკის დანერგვის მნიშვნელოვან გასაღებს წარმოადგენს (მას, სიმარტივისთვის ვუწოდოთ „წრიულ ეკონომიკაზე გადასვლის გზა“):

- **ორგანიზაციული დონე**
    - მარეგულირებელი გარემო
        - *შემაფერხებელი პირობების იდენტიფიცირება:* იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი გარემო აფერხებს მწვანე ეკონომიკის მოდელის დანერგვას, ორგანიზაცია შესაბამისი ცვლილებების ინიციატორი უნდა გახდეს.
        - *პოლიტიკის ადვოკატირება:* ორგანიზაცია უნდა ეწეოდეს წრიული ეკონომიკის პოლიტიკისა და რეგულაციების ადვოკატირებას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. ბიზნესი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს გადაწყვეტილების მიმღებებთან და წრიული ეკონომიკის ლობისტ ჯგუფებთან ამ მიმართულების მხარდაჭერის ზრდისა და განვითარებისთვის.
    - რესურსები
        - *არსებული რესურსების ეფექტიანი მენეჯმენტი:* ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს რესურსების მართვის ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც მუდმივად განახლებულ რეჟიმში მიაწვდის გადაწყვეტილების მიმღებს, თუ რა რესურსი აქვს ორგანიზაციას, რა ადგილას და რა რაოდენობით. ეს ამარტივებს წარმოების პროცესში მისაღებ გადაწყვეტილებებს, ამცირებს დროს და ასევე აზღვევს ორგანიზაციას რესურსების გადაჭარბებული შეძენა-შენახვისგან. ამისათვის, ორგანიზაციას შეუძლია, გამოიყენოს რესურსების მართვის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, რომელიც მრავლადაა ბაზარზე.
        - *რესურსების მოწოდების ჯაჭვი:* აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ რესურსების მოწოდების ჯაჭვი იცავდეს წრიული ეკონომიკის პრინციპებს. რესურსების მომწოდებლები უნდა შეირჩეს გეოგრაფიულად მაქსიმალურად ახლოს (ტრანსპორტირების ემისიების შესამცირებლად). გარდა ამისა, მომწოდებელი უნდა იყოს ორგანიზაცია, რომელიც ასევე მომართულია წრიული ეკონომიკისა და ზოგადად მდგრადი განვითარების მიზნების პრინციპების დაცვისკენ.

        - *ენერგორესურსები:* ორგანიზაცია უნდა ორიენტირდეს მდგრადი ენერგიის მოხმარებაზე. გარდა ამისა, მაქსიმალურად შეამციროს ენერგიის არაეფექტიანი დანახარჯები.
        - *ნარჩენების მართვა:* ორგანიზაციაში უნდა ჩამოყალიბდეს ნარჩენების მართვის პოლიტიკა ნარჩენების მართვის იერარქიის გათვალისწინებით
- **პროცესის დონე**
    - ძირითადი პროცესები
        - *პროცესის ყველა დონეზე ნარჩენების მართვა:* წარმოების ძირითადი პროცესის ყველა ძირითად ნაბიჯზე აუცილებელია სწორი ნარჩენების მართვა. ეს გამოიწვევს ნარჩენების მართვის სისწრაფის ზრდას, რაც, თავის მხრივ გაზრდის ეფექტიანობას.
        - *პროდუქტის დიზაინი და განვითარება:* საჭიროა ჩატარდეს პროდუქტის წრიულობის ანალიზი, რომელიც დაადგენს, რამდენადაა პროდუქტის მისაღებად საჭირო პროცესი წრიული და გამოკვეთს გაუმჯობესების გზებს.
    - დამხმარე პროცესები
        - *კვლევა და განვითარება (R&D):* ორგანიზაცია, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მუდმივად უნდა იყოს ჩართული კვლევისა და განვითარების პროცესში. ის უნდა ეძებდეს ახალ ტექნოლოგიებსა და მასალებს, რომელიც წრიული ეკონომიკის ბიზნეს მოდელის დანერგვას გაამარტივებს. გარდა ამისა, აქტიური კომუნიკაციაა საჭირო აკადემიური სექტორის იმ ნაწილთან, რომელიც ამ მიმართულებით ატარებს კვლევებს.
        - *გაყიდვები:* გაყიდული პროდუქციას თან უნდა ერთოდეს მიკვლევადობის ინსტრუმენტი. ეს გააძლიერებს მომხმარებლის ნდობას და გააიოლებს მოდელის დანერგვას.
        - *მარკეტინგი/PR:* იმისათვის, რომ ორგანიზაციის საქმიანობა და მდგრადი მიზნები სწორად მიეწოდოს საზოგადოებას, აუცილებელია სწორი მარკეტინგული და PR კამპანია. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის დადებით სინერგიულ ეფექტს წრიული ეკონომიკის დანერგვის საკითხში. შემუშავდეს წრიული ეკონომიკის ბრენდინგის სტრატეგია, რომელიც ხაზს გაუსვამს ორგანიზაციის მიდგომას მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით.
        - *იურიდიული საკითხები:* ორგანიზაცია მუდმივად უნდა აკვირდებოდეს იმ რეგულაციებს, რომელიც მდგრადი განვითარების მიღწევისთვის ქვეყანაში ინერგება და მაქსიმალურად სწრაფად შეუსაბამოს საქმიანობა აღნიშნულ რეგულაციებს.
        - *საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT):* იმის გათვალისწინებით, რომ წრიული ეკონომიკის მოდელების მუშაობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ტექნოლოგიებს,

IT-ის როლი დანერგვის პროცესში დიდია. უნდა შემუშავდეს წრიული IT სტრატეგია, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს მდგრად და წრიულ ტექნოლოგიებს.

- *ფინანსები და ბუღალტერია:* ფინანსების მიმართულებით მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი, თუ საიდან დაფინანსდება ორგანიზაციაში წრიულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. გარდა ამისა, დაფინანსების დროს ორგანიზაციამ უნდა ეძებოს მაქსიმალურად მწვანე დაფინანსების გზები.

- **შემსრულებლის დონე**
  - მმართველი რგოლი
    - *სტრატეგია:* ნებისმიერი ვადის სტრატეგიის შემუშავებისას ყოველ ნაბიჯზე გათვალისწინებული უნდა იყოს წრიული ეკონომიკისა პრინციპები.
    - *ხედვა და მისია:* ორგანიზაციაში უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო ხედვა და მისია, რომელიც წრიული ეკონომიკის პრინციპებს გაითვალისწინებს.
    - *ანგარიშგება:* ფინანსურის გარდა, საანგარიშგებო წლის დასრულებისას უნდა მომზადდეს ანგარიში კომპანიის მდგრადობის შესახებ, რომელშიც აღინიშნება პროგრესი წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ.
  - შემსრულებელი რგოლი
    - *საერთო მხედველობის ჩამოყალიბება:* ორგანიზაციაში თითოეულ თანამშრომელს უნდა ესმოდეს წრიული ეკონომიკის, ნარჩენების მართვისა და ზოგადად, მდგრადი განვითარების პრინციპები.

აღნიშნული ქმედებების ჩამოყალიბების პროცესში გამოვიყენეთ სხვადასხვა ქართული თუ უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც წრიული ეკონომიკის დანერგვის პროცესში არსებულ ძირითად პროცესებს განიხილავს. გარდა ამისა, წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის უკეთესი ანალიზისთვის გამოვკითხეთ მდგრადი განვითარების სფეროსთან დაკავშირებული 31 ექსპერტი (შემდგომში „ექსპერტების კვლევა“). მათ შორის საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტის წევრები, სფეროთი დაინტერესებული პროფესორები და სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული რამდენიმე პირი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს.[1] კვლევა ჩატარდა Google Form-ის მეშვეობით და წარმოადგენს ჩვიდმეტი კითხვისგან შემდგარ ჩაღრმავებულ ინტერვიუს. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2023 წლის მარტი-აპრილის პერიოდში. გამოკითხულთაგან 20 ქალი, ხოლო 11 კაცია. ექსპერტების კვლევა დაგვეხმარა იმ პრობლემების გამოვლენაში, რომელიც ბიზნესების წრიულობას აფერხებს. შესაბამისად, ამ პრობლემების იდენტიფიცირება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც ბიზნესის მიერ გადასადგმელი ნაბიჯები ჩამოვაყალიბეთ.

[1] კვლევის შედეგები იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://docs.google.com/forms/d/1_qSpnuryIUElmEJ0Hn5uRO1658cP4aRQSEXQyS6mj-k/viewanalytics?edit_requested=true

წრიულ ეკონომიკაზე გადასვლის გზის მიხედვით, ორგანიზაციულ მასშტაბში განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად შერბილდეს შემაფერხებელი პირობები. ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი რესურსების ეფექტიანი და მდგრადი მართვისთვის. პროცესის დონეზე კი, დანერგვის გზაზე გასათვალისწინებელია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები. გარდა ამისა, განსაკუთრებულ როლს თამაშობს პროცესის შემსრულებელი როგორც მმართველ, ისე შედარებით ქვედა რგოლში. დეტალური გადასადგმელი ნაბიჯები ამავე სტრუქტურულ გზაშია ფორმულირებული.

წრიული ეკონომიკის დანერგვის პროცესში გასათვალისწინებელია პროცესზე მოქმედი შიდა ფაქტორები. ისინი ბიზნესზე ენდოგენურად ზემოქმედებს და მოდელის დანერგვის სირთულეებსა და სიმარტივეებს განაპირობებს.

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი შიგა ფაქტორები, რომელიც დიდი ძალებით ზემოქმედებს წრიული ეკონომიკის ბიზნესში დანერგვაზე:

- **ცოდნა და ადამიანური რესურსი**
  ფირმები, რომლებსაც მეტად საფუძვლიანად განათლებული ადამიანური რესურსი აქვს, უფრო მეტად შეძლებენ წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვას საქმიანობაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფართო სპექტრის, საფუძვლიანი განათლების ადამიანს სიახლეების მიღება შედარებით მარტივად შეუძლია (del Río, What drives eco-innovators? A critical review of the empirical literature based on econometric methods., 2016). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვლევასა და განვითარებაზე დახარჯულ რესურსებს. „სწორად გამოყენებული მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიები დადებითად მოქმედებს ზოგადად მდგრად განვითარებაზე და წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვაზეც“ (ბაიაშვილი ბ. , 2021).
- **ფინანსური რესურსები**
  ბიზნესისთვის აუცილებელია ფინანსური მდგრადობა, რათა წრიულ ეკონომიკაზე გადავიდეს. ფინანსური რესურსები შეიძლება აუცილებელი გახდეს ახალი მანქანა--დანადგარების, აღჭურვილობის შესაძენად, ასევე საკონსულტაციო სერვისის შესყიდვისას.
- **ფიზიკური რესურსები**
  ხშირად, წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვისას მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცვლილება. შესაბამისად, ნებისმიერი ორგანიზაცია მზად უნდა იყოს ასეთი ცვლილებების მისაღებად.
- **რეპუტაცია**
  დადებითი რეპუტაცია ამარტივებს ბიზნეს საქმიანობაში წრიული ეკონომიკის დანერგვის პროცესს. ხშირად, კომპანიები იყენებენ ყალბი მდგრადობის („გრინვოშინგის“) მიდგომას. ეს კი კომპანიის რეპუტაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებაში.
- **ზედა დონის მენეჯმენტის მოტივაცია და მიდგომა**
  გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებულ მენეჯერებს მეტი პოტენციალი აქვთ, რომ წრიული ეკონომიკის მოდელები საკუთარი ბიზნესის საქმიანობაში დანერგონ.

- **კოორდინაცია**
  დაინტერესებული მხარეების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობა წრიული ეკონომიკის დანერგვის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

კონკრეტული ბიზნესისთვის, წრიული ეკონომიკის მოდელების დანერგვისას, შიგა და გარე ფაქტორების გამოვლენა და მათი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება ძალიან მნიშვნელოვანია. ნებისმიერი ბიზნესი იმ ბარიერების გადალახვისთვის, რომელიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნება, მზად უნდა იყოს. ასეთ დროს, საკმაოდ ეფექტიანია, საკონსულტაციო კომპანიების არსებობა, რომლებიც ბაზარს შესთავაზებენ წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვას. შესაბამისად, უშუალოდ ბიზნესს ნაკლები ზრუნვა მოუწევს სირთულეებზე და დაეყრდნობა საკონსულტაციო ორგანიზაციის დროსა და გამოცდილებას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი ნაშრომის მომზადებით, წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ორგანიზაციაში დანერგვის გზის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენეთ გერი რამლერის ორგანიზაციული სუპერსისტემის მოდელი და მდგრადი განვითარების ექსპერტების კვლევა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციაში წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვისთვის აუცილებელია, მას სამ მასშტაბში შევხედოთ:

- ორგანიზაციული დონე;
- შემსრულებლის დონე;
- პროცესის დონე.

ასევე, გამოიკვეთა რომ ნებისმიერ ამ დონეზე შესაძლებელია უფრო დეტალური ნაბიჯების ჩამოყალიბება.

შესაბამისად, ნაშრომში ახსნილია წრიული ეკონომიკის დანერგვის გზის შესახებ ავტორისეული მოსაზრება, რომელიც დამატებით კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებას მოითხოვს საბოლოო დადასტურებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაიაშვილი, ბ. (2021). მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და წრიული ეკონომიკა. მოპოვებული 2021 წლის 21 ოქტომბერი, მდგრადი განვითარების პლატფორმა: https://sustainability.ge/4ir-ce/
2. ბაიაშვილი, ბ. (2022). მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და როლი მდგრად განვითარებაში. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (გვ. 23-38). თბილისი: თსუ: https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20100%20%E1%83%AC%20%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%

3. ბაიაშვილი, ბ. (2023). წრიული ეკონომიკის ბიზნესმოდელების ფორმირების თავისებურებები საქართველოში. სამაგისტრო ნაშრომი (გვ. 34-38). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. del Río, P. (2016). What drives eco-innovators? A critical review of the empirical literature based on econometric methods.
5. Jackson, T. (2009). Prosperity without growth. Economics for a finite planet. London, New York.: Earthscan.
6. Rummler, G. A. (2004). Serious Performance Consulting: According to Rummler. ISPI.
7. Sachs, J. (2015). The Age of Sustainable Development. Columbia University Press.
8. UN. (2020). Goal 12: Ensure sustainable consumption and production patterns. 2020 04, www.un.org: https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-consumption-production/

A General Framework for Implementing Circular Economy Business Models in Organizations

Beka Baiashvili
TSU Master Student

SUMMARY

This paper discusses the anticipated increase in global resource consumption by 2050, as indicated by scientists from prominent research organizations. The escalating utilization of raw materials in the global economy contributes to resource scarcity, posing risks to property rights and market regulation. These negative economic and financial implications may adversely affect a country's private sector and economy. In response to these challenges, the circular economy concept has gained relevance worldwide. To successfully implement the circular economy within the private sector, it is crucial to establish a theoretical framework that allows organizations to adopt circular economy, business models. The primary objective of this study is to provide insights into the approach for integrating circular economy business models within organizations.

Keywords: Circular Economy, Circular Economy Business Model

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ასპექტები პანდემიის შემდგომ პერიოდში

თამარ ბარბაქაძე
თსუ დოქტორანტი

მსოფლიოში განვითარებულმა COVID-19-ის პანდემიის მოვლენებმა ღრმა და ფართო გლობალური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. პოსტ-პანდემურმა პერიოდმა კი მნიშნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებაში, დაამკვიდრა ახალი დღის წესრიგი და გამოწვევები. როდესაც გლობალური ეკონომიკა გამოვიდა კოვიდ პანდემიის პერიოდიდან მნიშვნელოვანი გახდა ფისკალური სტიმულირების პროგრამების და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შემუშავება.

სტატიაში განხილულია საქართველოში COVID-19-ის პანდემიის მაკროეკონომიკური ზემოქმედების შესწავლა და ეკონომიკური პერსპექტივები. ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვანი განვიხილოთ ეკონომიკური ცვლადებს, როგორიცაა მთლიანი შიგა პროდუქტი წარსულ და მიმდინარე პერიოდში, დასაქმების დონისა და კაპიტალის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, სახელმწიფო ვალი, ეკონომიკური ზრდა, Covid-19 პანდემია.*

Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, მნიშნელოვანი რეცესია განიცადა მსოფლიო ეკონომიკამ, 2020 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა ეკონომიკური აქტივობის ყველაზე დიდი ვარდნა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამ კრიზისში წარმოიშვა არის განვითარებადი ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდა. თუმცა ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივები სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული მიმართულებები აქვთ. ბევრ ქვეყანში ზრდის ტემპმა გადააჭარბა საპროგნოზო მონაცემებს, და პირიქით.

Covid-19 პანდემია ახალი გამოცდილებაა გლობალური ქვეყნებისთვის. აქედან გამომდინარე, ეკონომისტები, აკადემიკოსები და პოლიტიკოსები ზუსტად ვერ აფასებენ არ პანდემიის შედეგების გავლენის ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ანალოგიურად, ვერც ერთი ცნობილი თეორიული საფუძველი ვერ ზომავს, თუ როგორ მოქმედებს პანდემია ეკონომიკაზე. თუმცა, შეგვიძლია განვიხილოდ მთლიანი შიგა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ძირითადი ფაქტორი. რომელსაც თავის მხრივ დაკავშრებულია შრომითი რესურსების პროდუქტიულობასა და დასაქმების დონესთან.

COVID-19-ის პანდემიიდან ეკონომიკაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოქმედი ფაქტორი შრომის პროდუქტიულობის დაცემაა. Solow-ის ეკონომიკური ზრდის უმარტივესი მოდელიც კი განსაზღვრავს როგორც ურთიერთქმედებას კაპიტალის და შრომას შორის. აქედან გამომდინარე, პროდუქტიულობის და შრომის ვარდნა დაკავშირებულია პანდემი-

ის პირდაპირი ზემოქმედებით ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორების (შრომა, კაპიტალი) მთლიანი პროდუქტიულობა ზრდა თეორიულად შეიძლება ანაზღაურდეს, პრაქტიკულად ადამიანებსა და ორგანიზაციებს დრო სჭირდებათ პოსტ-პანდემიური პერიოდის ახალ ნორმასთან ადაპტაციისთვის. ეს მდგომარეობა ასევე ამცირებს ეკონომიკურ საქმიანობას, შემოსავალს და ზოგადად ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად, შრომითი რესურსის პროდუქტიულობის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე უფრო დიდია, განსაკუთრებით ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ტურიზმზე, საქონლის ექსპორტსა და საგარეო ვაჭრობაზე. ეს პროცესი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის, 2020 წელს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა -6 % მდე დაეცა, ხოლო 2021 წელს -4 % შეადგინა. ეკონომიკური რეცესია ძირითადად ტურიზმის სექტორს უკავშირდება, რადგან ტურიზმს მთიანი შიდა პროდუქტისს ფორმირებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. ამ დარგის გაჩერებამ კი დიდი ზიანი მიაყენა ასევე ტურიზმში დასაქმებულ შრომით რესურსებს.

დიაგრამა N1 - საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 2020-2022 წლებში



წყარო: www.geostat.ge

მსოფლიოს მასშტაბით რეცესიული რისკების ზრდის მიუხედავად, გარე ფაქტორების წყალობით, გასული წელი საქართველოსთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რასაც თითქმის ყველა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია აღიარებს. მიუხედავად რთული გლობალური ვითარებისა, ექსპერტები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ვარაუდობენ, რომ 2023 წელი საქართველოსთვის საკმაოდ კარგი შედეგის მომტანი იქნება და შესაძლებელია ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა დამატებით 6%-ით გაიზარდოს.

მთავრობის ოფიციალური პროგნოზით, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიმდინარე წელს 5%-იანი ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი. ეროვნული ბანკი კი მიიჩნევს, რომ ყველაზე რეალისტური მთლიანი შიგა პროდუქტის 4%-იანი ზრდაა.

World Bank-ის განმარტებით, გლობალური ეკონომიკური ზრდა მკვეთრად შენელდა გაზრდილი ინფლაციის, მაღალი საპროცენტო განაკვეთების, შემცირებული ინვესტიციების და უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული პრობლემების ფონზე. მსოფლიო ბანკმა გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის დრამატულად შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. WB-ის შეფასებით, 2023 წელს ნაცვლად 3%-ისა გლობალური მშპ-ის 1.7%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

დიაგრამა N2. მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო და ფაქტობრივი მონაცემების შედარება



წყარო: www.mof.ge www.geostat.ge

დიაგრამაზე წარმოდგენილია გასული წლის ის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან. საქართველოს 2023 წლის რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის პროგნოზების ზრდა წლის განმავლობაში მოსალოდნელზე მაღალმა დადებითმა ეკონომიკურმა დინამიკამ განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის მკვეთრი გაჯანსაღების ძირითად მიზეზებს ტურიზმის სექტორის აღდგენა და უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა წარმოადგენდა. 2022 წლის ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ 10.1% შეადგინა, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი 13.4%-ით გაიზარდა.

2022 წლის განმავლობაში GDP-ს რეალური ზრდის ყველაზე მაღალი 15%-იანი ნიშნული პირველ კვარტალში დაფიქსირდა, რისი ძირითადი მიზეზიც მომსახურების სექტორის გააქტიურება წარმოდგენდა. რაც მიუთითებს, რომ ქვეყანაში პოსტ-პანდემიურ პერიოდში შრომის პროდუქტიულობა თანდათან იზრდება.

2022 წლის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა და გაუტოლდა ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს, ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს (4.5%) 7.4 პ.პ.-ით გადააჭარბა.

ინფლაცია 2022 წელს, უკანასკნელი წლების პიკური მაჩვენებლიდან დაიწყო და იანვარში 13.9% შეადგინა.

პანდემიის პერიოდში როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს ეკონომიკამაც რეცესია განიცადა. ეს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას გაზრდილი ინფლაციის ფონზე. ამასთან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც ამ კრიზისში წარმოიშვა არის სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა.

სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობდნენ მოიზიდონ გარე სახსრები თავიანთი ეკონომიკის განვითარებისთვის და, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ უმკლავდებოდნენ აღებულ ვალდებულებებს. თუმცა, ბოლო 20-30 წლის სავალო კრიზისები ხარისხობრივად განსხვავდება. გლობალური ფინანსური სისტემის განვითარება და მზარდი სახელმწიფოთა ეკონომიკურმა ურთიერთკავშირმა და ურთიერთდამოკიდებულებამ გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებში სუვერენული კრიზისების ციკლი, რომელიც შემდგომში გავრცელდა სხვა სახელმწიფოებში. უფრო მეტიც, ვალის პრობლემების გადასაჭრელად მთავრობებმა უნდა ჩართონ არა მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, არამედ კერძო ფინანსური ბაზრის მონაწილეებიც, რომელთა საქმიანობა ასევე ექვემდებარება მკაცრ ზედამხედველობას.

Covid-19 პანდემიამდე სახელმწიფო ვალი ძირითადად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი სოციალური და საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, პანდემიის პირობებში კი პრიორიტეტად საზოგადოებრივი ჯანდაცვა იქცა. შესაბამისად, ქვეყანას მოუხდა გაუთვალისწინებელი ხარჯების ვალით დაფინანსება.

2020-2022 წლებში სახელმწიფო ვალმა მიაღწია რეკორდულ დონეს პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად იმ დროს, როდესაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მკვეთრად დაეცა. აღსანიშნავია, რომ ვალის მომსახურების მაკროეკონომიკური გავლენა არის ის, რომ მას ნეგატიური გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს საგარეო სესხებზე დამოკიდებულება და ვალის მუდმივი ზრდა, რასაც საბოლოოდ მაღა ინფლაციამდე მივყავართ.

ბოლო წლებში სახელმწიფო ვალის ხარჯების დიდი ნაწილი მიმართულია სოციალური უზრუნველყოფისთვის, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები შემცირებულია, რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამასთან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის ინვესტირება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოებას, რათა მიღებული სარგებელი აჭარბებდეს ვალის ტვირთის მოცულობას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი აღნიშნული ინვესტიციების ზრდა, შეამცირებს საგარეო სახელმწიფო ვალს, უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას.

პანდემიას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა მსოფლიო, საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები, რამაც ქვეყნები მიიყვანა გლობალური კრიზისის ზღვარზე. ამასთანავე შესაძლებლობა მიეცა განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკის სწრაფი აღდგენის და მდგრადობის შენარჩუნების. პანდემიის „დასრულების“ შემდგომ ეროვნული ეკონომიკის ძირითადი გამოწვევა ინფლაციის შემცირება გახდა. ეს რა თქმა უნდა გლობალური პრობლემაა, თუმცა პირველ რიგში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნის ეკონომიკური განვითა-

რებისთვის. რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორ ფისკალურ პოლიტიკასა და პრიორიტეტული მიმართულებების ინვესტირებას ენიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ პ. (2022): დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები. გვ. 14-15.
2. პაპავა ვ., ჭარაია ვ. ექსპერტის აზრი გამოცემა N152. (2021): „საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა Covid-19 – ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში“
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“
4. Bolton, P and M Kacperczyk (2021): “Do investors care about carbon risk?” Journal of Financial Economics, vol 142, no 2, pp 517–49.
5. Gabriela N. Daniel R (2022): Global growth: drivers and post-pandemic prospects. pp 2-3.
6. Farayibi, A.O., Haouas, I., Trinh, H.H (2023): Economic growth, social, and welfare development during COVID-19 pandemic. pp 4-5.
7. World Bank report 2022: The economic impacts of the COVID-19 crisis.

Aspects of Georgia's economic growth in the post-pandemic period

Tamar Barbaqadze
TSU Ph.D. Student

SUMMARY

After the pandemic, like the world economy, the economy of Georgia also suffered a recession. This has become a heavy burden for the population especially in the conditions of increased inflation.

Despite the increase in recessionary risks around the world, through external factors, last year turned out to be quite successful for Georgia, which is recognized by almost all international financial organizations.

Despite the difficult global situation, experts and international financial institutions assume that 2023 will bring quite good results for Georgia, and it is possible to increase the volume of the country's gross domestic product by an additional 6%.

The world, international organizations and governments were completely unprepared for the pandemic, which brought countries to the brink of a global crisis. At the same time, developing countries were given the opportunity to quickly restore the economy and maintain stability. In which the correct fiscal policy and investment in priority directions are of crucial importance.

მდგრადი განვითარება და ESG ინვესტირება

გიორგი ბიბიაშვილი
თსუ მაგისტრანტი

რაც უფრო ჭარბად და არარაციონალურად ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს, მით უფრო დიდ საფრთხეს ვუქმნით ჩვენს პლანეტას და მის ბინადრებს. იმისათვის, რომ დედამიწამ სტაბილურად განაგრძოს არსებობა, აუცილებელია, რომ ჩვენ სათანადოდ ვიზრუნოთ მასზე. ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ზრდა ისე უნდა განხორციელდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობის კეთილდღეობას. შესაბამისად, მსოფლიომ დაიწყო ფიქრი და ზრუნვა მდგრადი მომავლის განვითარებისათვის. მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კი მდგრადი დაფინანსებაა, რომელიც აქცენტს აკეთებს - მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაზე; და ინვესტირების დროს ESG ფაქტორების გათვალისწინებაზე. მოცემულ სტატიაში კი ყურადღება გამახვილებულია ESG ინვესტირებაზე და მონაცემებზე დაყრდნობით აღწერილია მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაცია.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, მდგრადი დაფინანსება, ESG ფაქტორები, ESG ინვესტირება*

მსოფლიო დიდიხანია უკვე რაც შეთანხმდა, რომ კლიმატის ცვლილება მიმდინარე საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც ასევე გრძელვადიანი რისკებით ხასიათდება და შესაბამისად, საჭიროებს ძალიან მკაცრ პოლიტიკურ ჩარევას. კლიმატის ცვლილება დაკავშირებულია გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან. ამ რისკების დანახვისა და გათვალისწინების შედეგად, 8 წლის წინ, 2015 წელს გაეროს სამიტზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშავა ე.წ. მდგრადი განვითარების დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას[1]. 2015 წელსვე, 12 დეკემბერს პარიზში მიიღეს შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელსაც 195 ქვეყანამ მოაწერა ხელი, რითიც შეიქმნა პრეცენდენტი, რომელმაც ერთი საერთო მიზნის ქვეშ მრავალი ქვეყანა გააერთიანა. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2016 წლის 4 ნოემბერს. პარიზის შეთანხმებაზე ხელის მოწერით კონკრეტულმა ქვეყნებმა აირჩიეს განვითარების ისეთი გზა, რომელიც დღევანდელი თაობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ მოახდენდა შემდგომი თაობების ინტერესების ხარჯზე. პარიზის შეთანხმება მოიაზრებს სხვადახვა მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მიმართული იქნება გლობალური დათბობის 2aC-მდე შემცირებასა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის ზრდისკენ[2]. აღსანიშნავია, რომ საქართველო ზემოთხსენებული ორივე ინიციატივის მონაწილეა.

---

[1] https://sdgs.un.org/

[2] https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement?gclid=Cj0KCQjwn_OlBhDhARIsAG2y6zMfcq6mAmidO774e4EW57u_p7S720Lh3nzuiXnJHNfj93q_NkKjrOAaAvsqEALw_wcB

არსებული მდგრადი განვითარების გამოწვევები ადეკვატურ რეაგირებას და შესაბამისი რეფორმების გატარებას საჭიროებს, რათა უზრუნველვყოთ სტაბილური, მწვანე და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. ფინანსურ სისტემას კი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, რადგან მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მდგრადი დაფინანსებაა, როგორც საჯარო, ასევე კერძო. ევროკავშირის კომისიის მიხედვით მდგრადი დაფინანსება აერთიანებს ორ მნიშვნელოვან ნაწილს : ფინანსების ისეთი პროექტებისკენ წარმართვა,რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად და ინკლუზიურ ზრდას; და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესება საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებით[1].

რა არის ESG ფაქტორები ?

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორები შეიძლება ჩაიშალო შემდეგნაირად: „გარემოსდაცვითი ფაქტორები მოიცავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და ადაპტაციას, გარემოს დაბინძურების ასპექტებს, ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას, ეკოსისტემის დაცვას, და სხვა გარემოსდაცვით საკითხებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს. სოციალურ ფაქტორები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა უთანასწორობა, ინკლუზიურობა, შრომითი ურთიერთობები, ადამიანის უფლებების დაცვა, საზოგადოების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ქალთა და გოგონათა უფლებათა გაძლიერება, სიღარიბის შემცირება და ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების დაბანდება. სათანადო მმართველობა, რომელიც მოიცავს მართვის სტრუქტურებს, თანამშრომელთა ურთიერთობებსა და ანაზღაურების პოლიტიკას, აუცილებელი წინაპირობაა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად“.[2]

[1] https://commission.europa.eu/publications/180131-sustainable-finance-report_en

[2] საქართველოს ეროვნული ბანკი; „მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის“ (2019)

დიაგრამა 1

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამოიყენება ორგანიზაციის ბიზნეს პრაქტიკისა და საქმიანობის შესაფასებლად სხვადასხვა მდგრადობისა და ეთიკური საკითხების მიმართ. ის ასევე უზრუნველყოფს ამ სფეროებში ბიზნეს რისკებისა და შესაძლებლობების გაზომვის საშუალებას. კაპიტალის ბაზრებზე, ზოგიერთი ინვესტორი იყენებს ESG კრიტერიუმებს კომპანიების შესაფასებლად და მათი საინვესტიციო გეგმების დადგენაში - პრაქტიკა, რომელიც ცნობილია როგორც ESG ინვესტიცია.

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადობა, ეთიკა და კორპორატიული მმართველობა ზოგადად არაფინანსურ ინდიკატორებად განიხილება, ESG პროგრამის როლი არის უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება, სისტემებისა და პროცესების დანერგვა კომპანიის გავლენის მართვისთვის, როგორიცაა მისი „ნახშირბადის კვალი„ და როგორ ექცევა ის თანამშრომლებს, მომწოდებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ESG ინიციატივები ასევე ხელს უწყობს ბიზნესის მდგრადობის უფრო ფართო მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავს კომპანიების პოზიციონირებას გრძელვადიანი წარმატებისთვის, პასუხისმგებელი კორპორატიული მენეჯმენტისა და ბიზნეს სტრატეგიების საფუძველზე.

რას ნიშნავს ESG ინვესტირება?

ფინანსური ინდუსტრიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთაც ESG ინვესტიცია საკმაოდ პოპულარული თემა გახდა. რაც უფრო იზრდება საზოგადოების მოწოდება კაცობრიობის მდგრადი მომავლის ზრუნვის შესახებ, მით უფრო იზრდება ინვესტიციების მოცულობა იმ სფეროებში, რომელიც შეესაბამება ESG ფაქტორებს. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინვესტიცია (ESG) არის მდგრადი და პასუხისმგებლიანი ინვესტიცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც მიმართულია მრავალ-

ფეროვან მიზნებზე, რომლებიც მდგრადი მომავლისკენაა მიმართული. ის ადგენს ჩარჩოს კორპორაციის წინაშე არსებული "E", "S" და "G" გამოწვევების განსახილველად. ასევე, მათი ცალ-ცალკე ან ერთობლივად შეფასების მიზნით, რათა დადგინდეს, სად იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან შედარებით და აიძულებს ინვესტორებს განიხილონ აქციები, რომლებიც უკეთ ასახავს მათ ღირებულებებს.

ტრადიციულ ინვესტიციებთან შედარებით, ESG Investing უზრუნველყოფს უფრო ფოკუსირებულ იდეოლოგიას და სპეციფიკურ ჩარჩოს. ის ასევე მიზნად ისახავს უზრუნველყოს მოსალოდნელი ანაზღაურება საინვესტიციო საქმიანობაზე. თუმცა, განსხვავებით ჩვეულებრივი ფინანსური ინვესტიციისგან, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ ფინანსურ შემოსავლებზე, ESG ინვესტირება ცდილობს ფინანსური ბაზარზე მიაღწიოს გრძელვადიან წარმატებას, სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გამოყენებით.

ზოგადად, ინვესტორებისთვის ESG Investing-ში მონაწილეობის სამი ძირითადი გზა არსებობს. პირველ რიგში, ინვესტორები ირჩევენ კომპანიის აქციების დამოუკიდებელი სკრინინგის ჩატარებას. ისინი იყენებენ ნეგატიურ ან კლასში საუკეთესო სკრინინგს და ქმნიან თავიანთ ექსკლუზიურ საინვესტიციო პორტფელს პირადი კვლევის შედეგების საფუძველზე. მეორე, ინვესტორები ირჩევენ შეიძინონ ESG-ის თემატიკის გაცვლითი სავაჭრო ფონდები (ETF), რომელიც არის სტრატეგიული ობიექტივი. ის ათავსებს კორპორაციებს დამაკმაყოფილებელი ESG რეიტინგებით, როგორც საინვესტიციო პოტენციალი, რათა გაზარდოს ანაზღაურება პორტფელზე, რომელიც ასახავს დადებით ძალისხმევას „E„, „S„ და „G„ საკითხებში. და ბოლოს, ინვესტორებს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია მათ პირად ფინანსურ მრჩეველთან შესაბამისი პორტფოლიოს შესაქმნელად მათი საინვესტიციო მიზნების, ფინანსური მაჩვენებლების მოთხოვნების და მრჩევლებისთვის ღირებულების შეთავაზების მითითებით[1].

ESG ინტეგრაცია განსაკუთრებით მოქმედებს იმ კომპანიებზე, რომელთა აზრით, გრძელვადიან პერიოდში ESG-ს გამოყენებას შეუძლია გააუმჯობესოს მათი საქმიანობა. მსგავსი შედეგი შესაძლოა მოიტანოს თანხის ინვესტირებამ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც ითვალისწინებენ და საქმიანობაში ნერგავენ გარემოსდაცვითი თუ სოციალური პოლიტიკის კარგ პრაქტიკას. კომპანიებისთვის არსებობს სპეციალური „ESG ლიდერთა“ და „ESG ჩამორჩენილთა“ შესატყვისები. პირველი მათგანს ვუწოდებთ ისეთ კომპანიას, რომელიც ორგანიზაციის შიგნით უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას, მაშინ როდესაც „ჩამორჩენილები“ უკმაყოფილო მუშახელით და გაფიცვებით არიან ცნობილნი.

ESG კრიტერიუმები მნიშვნელოვანია იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს პიროვნულ ღირებულებებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ამარტივებს ინდექსი სახელად MSCI World ESG Screened Index, რომელიც ზოგადი MSCI ინდექსიდან გამორიცხავს თამბაქოს, კონტრაბანდის, სათბობი წიაღისეულის მოპოვებით საქმიანობაში ჩართულ საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიებს. ინდექსი შესაბამისობაშია გაეროს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან და

[1] https://www.researchgate.net/publication/370364371_The_Impacts_and_Challenges_of_ESG_Investing

ფასილიტაციას უწევს მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გატარებას კერძო სექტორის საქმიანობაში.[1]

ANNUAL PERFORMANCE (%)

Year	MSCI World ESG Screened	MSCI World
2022	-19.61	-18.14
2021	22.16	21.82
2020	17.56	15.90
2019	28.15	27.67
2018	-8.60	-8.71
2017	22.49	22.40
2016	7.02	7.51
2015	-0.08	-0.87
2014	5.39	4.94
2013	27.58	26.68

გრაფიკი 1



დიაგრამა 2



გრაფიკი 2

[1] https://www.pmo-bc.com/ge/news/pmo-latest-insight-esg-investment

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ESG ინვესტირების წილი მსოფლიო ეკონომიკაში თანდათან იზრდება. 2019 წლის მონაცემებით, აშშ-ში მცხოვრებ ინვესტორთა 84%-ს სურს მათი ფინანსური საქმიანობა და პიროვნული ღირებულებები თანხვედრაში იყოს, ხოლო 86%-ის აზრით, ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობაში აქტიურად იყენებენ ESG სტანდარტს, მეტად ეფექტურები და მოგებაზე ორიენტირებულნი არიან.

ESG ინვესტირების სტატისტიკა:

- NAVEX Global- ის 2020 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ საჯარო კომპანიების 88 %-ს აქვს ESG ინიციატივები პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიაში.
- NAVEX-ის კვლევის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიების დაახლოებით ორი მესამედი აქვს ESG ინიციატივებს.
- აქტივების მართვის ფირმა Capital Group-ის 2022 წლის კვლევის მიხედვით, ინვესტორების 89 % განიხილავს ESG საკითხებს გარკვეული ფორმით, როგორც მათი საინვესტიციო მიდგომის ნაწილად.
- Capital Group-მა დაადგინა, რომ ევროპელი ინვესტორების 31 % ამბობს, რომ ESG ცენტრალურია მათი საინვესტიციო მიდგომისთვის, ჩრდილოეთ ამერიკაში კი ინვესტორების 18 % ფიქრობს მსგავსად.
- Capital Group-ის თქმით, გლობალური ინვესტორების მხოლოდ 13 % ხედავს ESG-ს, როგორც „ დროებით მოდას, რომელიც საბოლოოდ გადავა მოდიდან“.
- Bank of America-მ, NVIDIA-მ და Microsoft-მა დაიკავეს ტოპ 3 ადგილი არაკომერციული კვლევითი ორგანიზაციის JUST Capital-ის 2023 წლის რეიტინგში ESG მეტრიკის საფუძველზე.

Morningstar-ის თანახმად, ინტერესი ESG ინვესტიციების მიმართ გაიზარდა ბოლო წლებში, რადგან უფრო მეტი ინვესტორი პრიორიტეტულად ანიჭებს გავლენას, თუ როგორ ხდება მათი ფულის ინვესტირება. გლობალური ESG ფონდის აქტივებმა მიაღწია დაახლოებით 2,5 ტრილიონ აშშ დოლარს 2022 წლის ბოლოს (მესამე კვარტლის ბოლოს 2,24 ტრილიონ აშშ დოლარიდან). თუმცა, ზრდა დიდწილად განპირობებული იყო ევროპით, 2022 წლის ბოლოს რეგიონში ESG ფონდის აქტივების 83 პროცენტი იყო და მეოთხე კვარტალში 40 მილიარდი დოლარის დადებითი შემოდინება იყო. შეერთებულ შტატებში, რომელიც ESG ფონდის აქტივების 11 პროცენტს შეადგენს, 2022 წლის ბოლო კვარტალში 6,2 მილიარდი დოლარის გადინება დაფიქსირდა. 2022 წლის გადინება აშშ-ში მოჰყვა ESG ფონდების პოზიტიური ზრდის ხანგრძლივ მონაკვეთს.[1]

[1] https://www.bankrate.com/investing/esg-investing-statistics/#stats



გრაფიკი 3

გლობალური ინვესტორები სულ უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი ESG-ის საკითხებზე თავიანთ საინვესტიციო სტრატეგიებში. კაპიტალ ჯგუფის კვლევის თანახმად, ინვესტორების დაახლოებით 89%-მა განიხილა ESG საკითხები გარკვეული ფორმით, როგორც მათი საინვესტიციო მიდგომის ნაწილად 2022 წელს, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 84 % იყო. კვლევამ აჩვენა, რომ ზრდა დიდწილად განპირობებულია კლიენტებითა და რეპუტაციით, ვიდრე ინვესტორების ღრმა შეხედულებებით. ESG ფონდის აქტივების აბსოლუტური უმრავლესობა ინახება ევროპაში, სადაც მდგრადი სახსრები შეადგენს ფონდის მთლიანი აქტივების 20 %-ს, Morningstar-ის მიხედვით. მოსალოდნელია, რომ ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.



გრაფიკი 4

დასკვნა

ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ადამიანებმა ნელნელა დავიწყეთ იმ პლანეტის განადგურება, რომელიც ყველა ჩვენთაგანისთვის ერთი დიდი სახლია. წლების განმავლობაში ამას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა, საბედნიეროდ, ადამიანებმა საბოლოოდ გამოვახილეთ თვალები და შევძელით ხმამაღლა დაგვეწყო საუბარი ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე. ახალმა რეალობამ ადმიანებს უბიძგა დაეწყოთ მდგრადი განვითარებისათვის ზრუნვა. საჭირო გახდა ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც მიმართავდა ფინანსებს ინკლკუზიური ეკონომიკის ზრდისკენ. შესაბამისად, სწრაფი ტემპებით დაიწყო რეფორმების განხორციელება და ფინანსური ბაზრების გარდამტეხი ცვლილებები. უკეთესობისკენ შეიცვალა რეალობა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ESG სტანდარტებს აკმაყოფილებენ და აგრძელებენ საკუთარი დადებითი ზეგავლენის მოხდენას სამყაროზე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ისეთი კომპანიები, რომლებიც ESG სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ და ისევ აქტუალურად მიიჩნევენ მოძველებულ მიდგომებს. მსგავსი ფირმებისათვის სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ნელნელა ამუშავებენ გარკვეული სახის ბერკეტებს. მათ შორის, ორგანიზაციებს დაევალათ/დაევალებათ მდგრადი ანგარიშების გამჟღავნების ვალდებულება, რომელიც ნათელს მოფენს ბევრ საკითხს და იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი ინვესტორებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფინანსური შუამავლების მიერ 2021 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითვას, რომ ადამიანებმა მდგრად მომავალზე არა მარტო ფიქრი, არამედ გარკვეული ქმედებებიც დაიწყეს. გაიზარდა ადამიანების ინფორმირებულობა მსგავსი თემის ირგვლივ და პროცესებიც არ აყოვნებს შედეგებს. მეტად იზრდება მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობა და ინტერესი ESG ინვესტიციების მიმართ. თუ ესე გაგრძელდება პროცესები, შეგვიძლია პოზიტიურად ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე და ვიქონიოთ იმედები, რომ ჩვენ ყველა ერთად მოვახერხებთ მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნის შესრულებას და ვიცხოვრებთ მშვიდ, თანასწორ და ბედნიერ სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაკობაშვილი, ი. (2020). რას ნიშნავს ESG ინვესტირება? თბილისი: PMO Business Consulting.
2. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის. (2019). Retrieved from საქართველოს ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%
3. ESG investing statistics 2023. (2023). Retrieved from Bankrate: https://www.bankrate.com/investing/esginvesting-statistics/

4. Sustainable Development Goals. (2023). Retrieved from UN Department of Economic and Social Affairs: https://sdgs.un.org/goals
5. Sustainable Finance. (2018). Retrieved from European Commission: https://commission.europa.eu/publications/180131-sustainable-finance-report_en
6. The Paris Agreement. (2022). Retrieved from UN Climate Change: https://unfccc.int/process-andmeetings/the-parisagreement?gclid=Cj0KCQjwn_OlBhDhARIsAG2y6zMfcq6mAmidO774e4EW57u_p7S720Lh3nzu iXnJHNfj93q_NkKjrOAaAvsqEALw_wcB
7. Yuchen, L. (2023). The Impacts and Challenges of ESG Investing. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/370364371_The_Impacts_and_Challenges_of_ESG_Investing

Sustainable Development and ESG Investing

Giorgi Bibiashvili
TSU Master Student

SUMMARY

The more excessively and irrationally we use natural resources, the greater the danger we pose to our planet and its inhabitants. In order for the earth to continue to exist steadily, it is necessary that we properly care for it. Economic or non-economic growth should be carried out in a way that does not jeopardize the well-being of the next generation. Consequently, the world began to think and care for the development of a sustainable future. One of the main factors of sustainable development is sustainable funding, which focuses on sustainable and inclusive development; and takes into account ESG factors during investment. This article focuses on ESG investment and describes the current situation in the world financial markets based on the data.

Keywords: Green economy, sustainable development, sustainable financing, ESG factors, ESG investing

გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირი საქართველოში

ნესტან გაფრინდაშვილი
თსუ დოქტორანტი

გარემოსდაცვითი საკითხების პრიორიტეტულობა იზრდება მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური გამოწვევებისა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პარალელურად. წინამდებარე კვლევის მიზანია, წარმოჩინდეს გარემოსდაცვითი გავლენების კავშირი საზოგადოების კეთილდღეობასთან მიმართებაში და გაანალიზდეს არსებული პრაქტიკული შედეგები. ამისათვის სტატიაში განხილულია არაერთი საერთაშორისო შეფასება, სამეცნიერო სტატია და ლიტერატურა. ნაშრომში საქართველოსთვის ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე ეკონომიკურ ჭრილში გაანალიზებულია რიგი გარემოსდაცვითი ინდიკატორები კეთილდღეობის შეფასების ისეთ საერთაშორისო მაჩვენებლებთან, როგორებიც არის ბედნიერების ინდექსი და ადამიანის განვითარების ინდექსი. შედეგები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პარალელურად, ეკოლოგიური სიტუაცია წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. ეს კი, საბოლოოდ აისახება ადამიანების ბედნიერების და კეთილდღეობის ხარისხზე. საბოლოოდ სტატიაში წარმოდგენილია მთავარი რეკომენდაცია, რომ მოხდეს საქართველოსთვის ეროვნული „კეთილდღეობის ინდექსის“ შემუშავება, რომელშიც თანაბრად იქნება გათვალისწინებული განვითარების როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: *გარემოსდაცვითი გავლენები, „ეკოლოგიური კვალი“, „ბიოლოგიური შესაძლებლობა“, ადამიანის განვითარების ინდექსი, კეთილდღეობა, ბედნიერების ინდექსი.*

რთულია, ბედნიერებისა თუ კეთილდღეობის (welfare, wellbeing) ყველასთვის მისაღებ საერთო განმარტებაზე შეთანხმება, თუმცა, მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევები ცხადჰყოფს, რომ ის არც ცალკეული ადამიანის და არც მთლიანად ქვეყნის დონეზე მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით არ განისაზღვრება. დღეს ქვეყნები თანხმდებიან, რომ სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მხარეების ბალანსი მდგრადი განვითარების მთავარი პრინციპია. ცნება „კეთილდღეობა“ გულისხმობს ადამიანის ბედნიერებას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს ერთიანობაში და არა მაინცდამაინც ეკონომიკაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ საქონლისა და მომსახურების მოხმარება, დასაქმება და ეკონომიკური შემოსავლები არის ადამიანის ბედნიერების წარმოქმნის ერთ-ერთი (მაგრამ მხოლოდ ერთი სახის) საშუალება, მხოლოდ ის თავისთავად არ წარმოადგენს ადამიანის ბედნიერებას. ერთ-ერთი განმარტებით, კეთილდღეობა არის ის, თუ როგორ გრძნობენ თავს ადამიანები, როგორც ინდივიდები, როგორც საზოგადოებისა და ერის ნაწილი და რამდენად მდგრადია ეს მდგომარეობა მომავლისთვის (UK HM Treasury, 2021).

გარემოსდაცვითი გავლენების პრიორიტეტიზაცია მსოფლიოში გამოიხატება იმაშიც, რომ რიგი საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული მოდელები და ინდექსები, რომლებიც ზომავს ადამიანის განვითარებისა და კეთილდღეობის დონეს ქვეყნებში, უკვე ახდენს გარემოსდაცვითი კომპონენტების ინტეგრირებასაც ამ შეფასებებში. მაგალითად, ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) კლასიკურად ზომავს ქვეყნების მიღწევებს სამი მიმართულებით (UNDP, 2020): (1) ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე, (2) ცოდნა/წიგნიერება და (3) ცხოვრების ღირსეული დონე და ეკონომიკური შემოსავლები. თუმცა, ამ შეფასებას ბოლო პერიოდში დაემატა ასევე ეკოლოგიური კომპონენტიც (UNDP, 2020). კერძოდ, ინდექსის მორგება (adjustment) ხდება პლანეტაზე მიყენებული ზიანის მაჩვენებლების (სათბური გაზების ემისიები, „ეკოლოგიური კვალი“) მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორია განვითარების შესაფასებლად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელიც ზომავს ქვეყნების წარმატებას (ა) ხელშემწყობი გარემოს, (ბ) ადამიანური კაპიტალის, (გ) ბაზრებისა და (დ) ინოვაციების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს პირველად (Schwab, 2019) ინდექსში გამოჩნდა ქვეყნების მდგრადობის შეფასების ისეთი კომპონენტები, როგორებიც არის „ენერგოეფექტიანობის რეგულაციები“, „განახლებადი ენერგიების რეგულაციები“ და „გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პრაქტიკაში ამოქმედება“. სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასების (PIMA) ჩარჩო ასევე განახლდა კლიმატის პერსპექტივის გათვალისწინებით (Climate-PIMA) (IMF, 2023). უფრო ადრე, 2011 წელს შეიქმნა „უკეთესი ცხოვრების ინდექსი“ (Better Life Index), სადაც თერთმეტი სხვადასხვა დასახელების სფეროს შორის ერთ-ერთი გარემოს დაცვას ეკავა (OECD, 2011). გარდა საერთაშორისო შეფასებებში ზემოთ აღწერილი ცვლილებებისა, ქვეყნების ეროვნულ დონეზე განვითარებისა და კეთილდღეობის შეფასებებშიც იცვლება მიდგომები და გარემოსდაცვითი გავლენები მეტ მნიშვნელობას იძენს მათში. მაგალითად, ავსტრალიის ეროვნული კეთილდღეობის ინდიკატორების განმსაზღვრელ კომპონენტებს შორის არის გარემოსდაცვითი ფაქტორებიც (ჰაერის ხარისხი და სათბური გაზის ემისიები) (AIHW, 2021). გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური აქვეყნებს ეროვნული კეთილდღეობის საინფორმაციო დაფას (National Well-being Dashboard) (ONS UK, 2019), რის მიხედვითაც კეთილდღეობა ფასდება ათი მიმართულებით, მათ შორის, გარემოს დაცვა.

საქართველოში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პარალელურად გარემოსდაცვითი სფეროს მნიშვნელობა ცალსახად იზრდება. თუმცა, საზოგადოების მხრიდან საკუთარ კეთილდღეობასთან მიმართებაში ეს სფერო ჯერჯერობით არ არის აღქმული ისეთი მნიშვნელობის მქონედ, როგორც ეკონომიკური და სოციალური საკითხები და ამას ადასტურებს საზოგადოებრივი გამოკითხვებიც (ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი, 2022), (გაეროს განვითარების პროგრამა, 2020). არც კეთილდღეობის შეფასებები არის ქვეყანაში დიდად განვითარებული და არც კეთილდღეობის შეფასების ეროვნული მოდელი არსებობს ამ ეტაპზე. შედეგად, არსებული სტატისტიკა და საერთაშორისო შეფასებებიც აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების პარალელურად გარემოს დაცვა საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოების ბედნიერებისა და კეთილდღეობის ხარისხზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ და გავიგოთ კავშირი გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის, კომპლექსურ სისტემაში, მოლეკულის მასშტაბიდან ბიოსფეროს (გლობალური ეკოსისტემის) მასშტაბებამდე, ფაქტორების ურთიერთქმედება რეალისტურად უნდა შეფასდეს (Burke, et al., 2017). ეკოსისტემა ისეთი სასიცოცხლო მომსახურებებით უზრუნველყოფს ადამიანებს, როგორებიც არის საკვები და წყალი, კლიმატური პირობების რეგულირება, კულტურული და რელიგიური დანიშნულება და სხვა დამხმარე მომსახურებები (MA, 2003). აქედან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ ქვეყნების ფოკუსი უნდა იყოს არა მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლების ზრდა (გამოხატული მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ) ან მთლიანი ეროვნული პროდუქტით (მეპ) და სხვა მსგავსი მაჩვენებლით), როგორც განვითარების საბოლოო მიზანი და დანიშნულება, არამედ კეთილდღეობის ეკონომიკა, რომელიც ეკოსისტემასა და ადამიანებს განვითარების პროცესის ნაწილად აქცევს (Fioramonti, 2016). კავშირი გარემოს დაცვასა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მიზეზის გამო (Krekel & MacKerron, 2020): 1. ევოლუციის შედეგად ადამიანებსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს შორის არის ძლიერი კავშირი; ფსიქოლოგიაშიც დადასტურებულია, რომ ბუნებრივ გარემოს დადებითი გავლენა აქვს ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე; 2. გამწვანებული საზოგადოებრივი ადგილები და ბუნებაში ყოფნა ადამიანის მეტ ფიზიკურ აქტივობასა და სოციალურ ურთიერთობებს უწყობს ხელს, რაც, თავისთავად დადებითად აისახება მის ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე; 3. ბუნებრივ გარემოში ყოფნა, ლამაზი ხედებითა და რეკრეაციული ადგილებით სიამოვნების მიღება ადამიანებს არიდებს ისეთ უარყოფით სტრესორებს, როგორებიც არის ხმაური და ჰაერის დაბინძურება - ეს კი ნიშნავს რიგი დაავადებებისა და უარყოფითი გავლენების თავიდან აცილებას (SHEER Wellbeing Project Team, 2021). მსოფლიოს ბედნიერების უახლეს ანგარიშში (Helliwell, et al., 2023) განხილულია მაგალითი, თუ როგორ შეფასდა ლონდონის საზოგადოებაში ბედნიერების განცდა აპლიკაცია „მეპინესის“ (Mappiness) საშუალებით. ამ აპლიკაციის საშუალებით მოხდა რიგი გარემოსდაცვითი ფაქტორების (ამინდი და დღის სინათლე; ჰაერის ხარისხი; ხმაური; „მწვანე ადგილები“, როგორებიცაა პარკები და ღია სივრცეები; „ლურჯი სივრცეები“, როგორებიცაა აუზები, ტბები, არხები და მდინარეები) დაკავშირება კეთილდღეობის მონაცემებთან ინდივიდის მდებარეობის და პასუხის გაცემის დროის დაფიქსირებით. შედეგებმა აჩვენა, რომ უბრალოდ გარეთ (ბუნებაში) ყოფნაც კი დადებითი ფაქტორია ბედნიერებისთვის: მიღებული პასუხები აჩვენებს, რომ ეს „ბედნიერება“ 1.5 პროცენტული პუნქტით აღემატება შენობის შიგნით დაფიქსირებულ პასუხებს.

ის, თუ რამდენად პრიორიტეტულია საზოგადოებაში გარემოსდაცვითი საკითხები, ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული. კვლევამ, რომელიც დაეფუძნა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ჩატარებულ გამოკითხვებს, აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეკონომიკური ზრდა და გარემოს დაცვა თავსებადია ერთმანეთთან და ამავე დროს, თუ არჩევანის გაკეთება ხდება საჭირო, მდიდარი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობისთვის გარემოს დაცვა უფრო მეტად პრიორიტეტულიც კი არის (Drews, Antal, & Van den Bergh, 2018). ამის საპირისპიროდ, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის

(MENA) ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მდგრადი განვითარების ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების ერთდროულად მიღწევა ხშირად არათავსებადია ერთმანეთთან (Kassouri & Altıntaş, 2020). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქვეყნების სიმდიდრე არ განსაზღვრავს შესაბამის საზოგადოებებში გარემოსდაცვითი საკითხების მეტ პრიორიტეტულობას. უფრო მეტიც, 6 წლის განმავლობაში 152 ქვეყნის შედეგებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ „გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდი" (EKC) (რომლის მიხედვითაც გარემოზე ზიანი იზრდება ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზე, თუმცა, ეკონომიკურად უკვე მდიდარ ქვეყნებში ეს ზიანი მცირდება) პრაქტიკაში არ დასტურდება (Almeida, Cruz, Barata, & García-Sánchez, 2017). კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნებში საზოგადოების განათლების დონე დაკავშირებულია გარემოსდაცვითი საკითხების სწორ აღქმასთან (Kassouri & Altıntaş, 2020) და ასევე დადგენილია ისიც, რომ ერების მიერ მდგრადი განვითარების არჩევანზე ინსტიტუციურ, კულტურულ და გარემოსდაცვით ფაქტორებს, სავარაუდოდ, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ ქვეყნების სიმდიდრეს (Dietz, Rosa, & York, 2012).

მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი საკითხებისა და კეთილდღეობის ეკონომიკის პრიორიტეტულობა ჩანდეს სახელმწიფო დონეზეც. უშუალოდ გარემოსდაცვითი პოლიტიკის გადაწყვეტილებებშიც ბედნიერებისკენ სწრაფვა და კეთილდღეობა არ უნდა გახდეს მეორეხარისხოვანი მიზანი (Bonasia, De Simone, D'Uva, & Napolitano, 2022). აუცილებელია გარემოსდაცვითი კავშირები გაანალიზდეს სამ ურთიერთშემავსებელ დონეზე: (ა) ზოგადი პოლიტიკის დონეზე; (ბ) გარემოსდაცვითი პოლიტიკის დონეზე; (გ) ცალკეული პროექტის/პროგრამის დონეზე (Bojö, 1991). კეთილდღეობისა და გარემოს დაცვის ერთიანად გათვალისწინება უნდა ხდებოდეს მდგრადი განვითარების დროს, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს კეთილდღეობასთან მიმართებაში (Helliwell, et al., 2023).

მეთოდოლოგია

არაერთი სამეცნიერო კვლევა ეძღვნება გარემოს რესურსებსა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის კავშირის შესწავლასა და ეკონომიკურ ანალიზს. ამ ორი ცვლადის გასაზომად მკვლევრები ირჩევენ ინდიკატორებს, რომლებიც მეტნაკლებად ზუსტად შეაფასებენ არსებულ კავშირს. აღსანიშნავია, რომ მშპ უფრო და უფრო მეტად მიიჩნევა კეთილდღეობის არასათანადო საზომად (Ward, et al., 2016) და მკვლევრები სხვა უფრო კომპლექსურ ინდიკატორებზე აკეთებენ არჩევანს. მაგალითად, ერთ კვლევაში კეთილდღეობა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით შეფასდა და გარემოს დაცვა - „ეკოლოგიური კვალის" (EF) ინდექსით (Dietz, Rosa, & York, 2012). აღსანიშნავია, რომ ადამიანის განვითარების ინდექსს (HDI) და „ეკოლოგიური კვალის" (EF) მაჩვენებელს ხშირად იყენებენ სამეცნიერო შეფასებებში საზოგადოების კეთილდღეობასა და გარემოს მდგომარეობას შორის კავშირის დასადგენად (Kassouri & Altıntaş, 2020). უახლეს კვლევაში ეკოლოგიაზე სახელმწიფო დანახარჯების გავლენა შეფასდა გრძელვადიან პერიოდში ადამიანების ბედნიერებაზე, რომელიც Veenhoven-ის ბედნიერების კვლევის (Veenhoven's World Database of

Happiness) შედეგებს დაეფუძნა (Bonasia, De Simone, D'Uva, & Napolitano, 2022). დამატებით კიდევ ერთ კვლევაში ჰაერის დაბინძურების დონის და ტყის არსებული რესურსების, როგორც გარემოს დაცვის ინდიკატორების კავშირი შეფასდა ადამიანების ბედნიერებაზე, რომელიც „გელაპის მსოფლიო გამოკითხვის“ (Gallup World Poll) შედეგებს დაეფუძნა (Krekel & MacKerron, 2020).

არსებულ ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით და საერთაშორისო პრაქტიკისა და ზემოთ აღწერილი ლიტერატურის მიმოხილვის გათვალისწინებით, გარემოსდაცვით გავლენებსა და კეთილდღეობას შორის კავშირის დასადგენად საქართველოს მაგალითზე შეფასდა შემდეგი ინდიკატორები (ცხრილი 1):

ცხრილი 1. კვლევაში გამოყენებული კეთილდღეობისა
და გარემოსდაცვითი ინდიკატორები

კეთილდღეობის ინდიკატორები	**ბედნიერების ინდექსი** წყარო: ბედნიერების ანგარიშები (World Happiness Reports)
	ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) წყარო: ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI)
გარემოსდაცვითი ინდიკატორები	**სათბური გაზების ემისიები** მოსახლეობის ერთ სულზე წყარო: მსოფლიო ბანკი (WB)
	„ეკოლოგიური კვალი“ მოსახლეობის ერთ სულზე წყარო: გლობალური კვალის ქსელი (GFN)
	„ბიოლოგიური შესაძლებლობები“ მოსახლეობის ერთ სულზე წყარო: გლობალური კვალის ქსელი (GFN)

მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშები (World Happiness Reports) (SDSN, 2012-2023) „გელაპის მსოფლიოს გამოკითხვის“ (Gallup World Poll) შედეგებზე დაყრდნობით აფასებს ადამიანების ბედნიერებას ექვსი მიმართულებით: 1. შემოსავალი (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე); 2. ჯანსაღი სიცოცხლის ხანგრძლივობა (ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა); 3. სოციალური მხარდაჭერა; 4. ადამიანის უფლებები; 5. ქველმოქმედება; 6. კორუფციის დონე. მსოფლიოს ბედნიერების უახლესი ანგარიში (Helliwell, et al., 2023) მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვითი გავლენების კავშირზე ადამიანის ბედნიერებასთან. თუმცა, უშუალოდ ამ ინდექსის განმსაზღვრელ ექვს ძირითად მდგენელს შორის გარემოსდაცვითი ასპექტები ჯერჯერობით ცალკე გამოყოფილი არ არის. „ბედნიერების ანგარიშებშინ მოცემულია შედეგები 2005 წლიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის და ეს მონაცემები გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში. უახლესი 2023 წლის ბედნიერების ანგარიში წარმოადგენს ქვეყნების რეიტინგს ბედნიერების მიხედვით 2020-2022 წლების საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით. ამ რეიტინგში საქართველო 90-ე ადგილს იკავებს 137 ქვეყანას შორის 5.109 ქულით.

ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) (UNDP, 1990-2021) ზომავს ქვეყნების მიღწევებს სამი მიმართულებით: 1. ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა); 2. ცოდნა/წიგნიერება (სწავლებისა და სკოლაში ყოფნის წლები); 3. ცხოვ-

რების ღირსეული დონე და ეკონომიკური შემოსავლები (მეპ მოსახლეობის ერთ სულზე). ამ შეფასებას ბოლო პერიოდში დაემატა ასევე ეკოლოგიური კომპონენტიც (UNDP, 2020). კერძოდ, ინდექსის მორგება (adjustment) ხდება პლანეტაზე მიყენებული ზიანის მაჩვენებლების (სათბური გაზების ემისიები, „ეკოლოგიური კვალი") მიხედვით. შესაბამისად, 2021 წლის HDI მონაცემები ქვეყნებისთვის წარმოდგენილია ჩვეულებრივ ფორმატში და ასევე „პლანეტარულად მორგებულ" ფორმატში (Planetary pressures-adjusted HDI/PHDI). უახლესი 2021 წლის მონაცემებით საქართველო 63-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში და HDI-ის მიხედვით „ძალიან მაღალი განვითარების" ჯგუფში არის ჯამში 0.802 ქულით. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში „პლანეტარულად მორგებული" HDI ქულა საწყის HDI ქულაზე 6.6%-ით ნაკლებია (0.749 და 0.802, შესაბამისად). წინამდებარე სტატიაში საქართველოსთვის გაანალიზებულია ჩვეულებრივი HDI ქულები შესაბამის დროით ჭრილში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, PHDI ახალი მიმართულებაა და მხოლოდ ერთ წელზე არის გამოთვლილი ჯერჯერობით.

არსებობს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პლატფორმა, ცნობილი **„ეკოლოგიური კვალის"** (Ecological Footprint) სახელწოდებით, რომელიც მუშავდება „გლობალური კვალის ქსელის" (GFN) მიერ (GFN, 1992-2022). „ეკოლოგიური კვალის" (EF) საზომი ადარებს ადამიანის მოთხოვნას ბუნების რესურსებზე მისი (ბუნების) რეგენერაციის შესაძლებლობებთან და ზომავს შემდეგ სამ მაჩვენებელს: 1. „ეკოლოგიური კვალი" (Ecological Footprint) მთლიანად (გლობალური ჰა) და მოსახლეობის ერთ სულზე; 2. ბიოლოგიური შესაძლებლობები (Biocapacity) მთლიანად (გლობალური ჰა) და მოსახლეობის ერთ სულზე; 3. ეკოლოგიური/ბიოლოგიური დეფიციტი ან რეზერვი (Biocapacity Deficit/Reserve). უახლესი 2022 წლის შეფასება საქართველოს შემთხვევაში ბიოლოგიურ დეფიციტს აჩვენებს -1.06-ის დონეზე და მსოფლიოში 105-ე ადგილზე აყენებს ქვეყანას ეკოლოგიური მდგრადობის ამ განზომილებებით. „ეკოლოგიური კვალის" ზემოთ ჩამოთვლილი სამი მაჩვენებლიდან წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია პირველი და მეორე კომპონენტის შედეგები საქართველოსთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ინდიკატორი საერთაშორისო დონეზე, ცნობილი, როგორც გარემოსდაცვითი წარმატებულობის ინდექსი (EPI). 2022 წელს ამ ინდექსის საშუალებით (ეფექტიანობის 40 ინდიკატორის გამოყენებით 11 კატეგორიაში) შეფასდა 180 ქვეყანა კლიმატის ცვლილების შედეგების, გარემოს ჯანმრთელობისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით (Wolf, Emerson, Esty, Sherbinin, & Wendling, 2022). საქართველო საერთო ჯამში 39.1 ქულით მსოფლიოში 103-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. ამ ინდექსის მონაცემები დროით ჭრილში საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, ამიტომ ნაშრომში ვერ მოხდა მათი გამოყენება. ეს კვლევისთვის ერთგვარი შეზღუდვაც არის, ვინაიდან მსგავსი მონაცემების გაანალიზება მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას შესძენდა კვლევას. ეკოლოგიური მონაცემების სიმწირე ზოგადად და, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, ჯერჯერობით მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

დამატებით, ჰაერის დაბინძურების დონის აღსაწერად ანგარიშში გამოყენებულია მსოფლიო ბანკის მონაცემები საქართველოსთვის **სათბური გაზების ემისიების** (ტონა CO2-ის ეკვივალენტი) შესახებ მოსახლეობის ერთ სულზე (WB, 1990-2020). რაც შეეხება ანგარიშში განხილულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს (მშპ და მეპ), ეს მონაცემები ეყრდნობა

„მსოფლიო ბანკის“ სტატისტიკას, კერძოდ, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, PPP (მუდმივ 2017 წლის ფასებში, საერთაშორისო $) (WB, 1990-2022) და მეპ მოსახლეობის ერთ სულზე, PPP (მუდმივ 2017 წლის ფასებში, საერთაშორისო $) (WB, 2010-2022).

შედეგების განხილვა

გარემოს დაცვასა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის შორის კავშირის დასადგენად გაანალიზდა ზემოაღნიშნული ინდიკატორები და არსებული შედეგები საქართველოსთვის დროით ჭრილში. შედეგები აჩვენებს (დიაგრამა 1, **დიაგრამა 2**), რომ როგორც ბედნიერების ინდექსი, ასევე ადამიანის განვითარების ინდექსი (HD) კორელაციაშია ეკონომიკურ განვითარებასთან (მშპ და მეპ) და ეს არც არის გასაკვირი. ზემოთ აღინიშა, რომ კეთილდღეობის წარმოდგენილი ინდიკატორები, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს ეკონომიკურ მდგენელებს: ბედნიერების ინდექსი მოიცავს მშპ-ს, ხოლო ადამიანის განვითარების ინდექსი - მეპ-ს. მაინც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბედნიერების ინდექსის შემთხვევაში საქართველოსთვის ისეთი მკვეთრი ზრდა არ ფიქსირდება დროთა განმავლობაში, როგორც ეს HDI-ის შემთხვევაში ჩანს. გარდა ამისა, უახლესი შედეგებით, ბედნიერების ინდექსში საქართველო 137 ქვეყანას შორის 90-ე ადგილს იკავებს, ხოლო HDI-ის შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანა „ძალიან მაღალი განვითარების“ ჯგუფშია.

დიაგრამა 1. მშპ და ბედნიერების ინდექსი, საქართველო, 2005-2022



დიაგრამა 2. მეპ და HDI ინდექსი, საქართველო, 2005-2022



ამ ინდექსებით გაზომილი განვითარების პარალელურად ჩვენ ვხედავთ, რომ მნიშვნელოვნად დიდი დატვირთვა მოდის გარემოზე საქართველოში (დიაგრამა 3). ამას აჩვენებს სათბური გაზების ემისიების ზრდადი რაოდენობა, ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილი „ეკოლოგიური კვალი“ ქვეყანაშიდ და ისიც, რომ ქვეყნის „ბიოლოგიური შესაძლებლობა“ ძირითადად ერთ ნიშნულზე ფიქსირდება 28-წლიან პერიოდში (2005-2022).

დიაგრამა 3. გარემოსდაცვითი ინდიკატორები, საქართველო, 1995-2022



კვლევის ფარგლებში, დამატებით, პროგრამა E-views-ის გამოყენებით ჩატარდა ეკონომეტრიკული ანალიზი კეთილდღეობისა და გარემოსდაცვით ინდიკატორებს შორის კავშირის შესაფასებლად. ცვლადების სტაციონალურობის შეფასება მოხდა გაფართოვებუ-

ლი დიკი-ფულერის ტესტით (ADF) და შემდეგ ჰოდრიკ-პრესკოტის (HP) ფილტრით დროითი მწკრივებიდან გამოიყო ტრენდული და ციკლური კომპონენტები. მიღებული შედეგები (გრაფიკი 1) აჩვენებს, რომ (ა) შერჩეულ ცვლადებს შორის კორელაცია უმეტესად არის ძლიერი; (ბ) „ეკოლოგიური კვალი“ დადებით კავშირშია როგორც ბედნიერების ინდექსის, ასევე HDI-ის მაჩვენებელთან; (გ) სათბური გაზების ემისიების ზრდა უარყოფით კავშირს აჩვენებს როგორც ბედნიერების ინდექსის, ასევე HDI-ის მაჩვენებელთან; (დ) სავარაუდოდ, იქიდან გამომდინარე, რომ „ბიოლოგიური შესაძლებლობების“ მაჩვენებელი ათეული წლების განმავლობაში არ შეცვლილა, შედეგებში ეს აისახება კეთილდღეობის შერჩეულ ინდიკატორებთან „ბიოლოგიური შესაძლებლობების“ უარყოფით დამოკიდებულებაში.

გრაფიკი 1. გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ცვლადებს შორის დამოკიდებულება, E-views-ის შედეგები

Covariance Analysis: Ordinary
Date: 07/25/23 Time: 22:19
Sample: 2005 2020
Included observations: 16
Balanced sample (listwise missing value deletion)

Correlation t-Statistic Probability	BIOCAP	ECOLFP	GHG	HAPPY_IN...	HDI_INDEX
BIOCAP	1.000000 ----- -----				
ECOLFP	-0.013327 -0.049868 0.9609	1.000000 ----- -----			
GHG	-0.096499 -0.362761 0.7222	0.995505 39.32938 0.0000	1.000000 ----- -----		

	BIOCAP	ECOLFP	GHG	HAPPY_IN...	HDI_INDEX
BIOCAP	1.000000	-0.117291	0.714159	-0.252412	-0.603695
ECOLFP	-0.117291	1.000000	-0.778672	0.970563	-0.621509
GHG	0.714159	-0.778672	1.000000	-0.839618	0.049496
HAPP...	-0.252412	0.970563	-0.839618	1.000000	-0.584068
HDI_I...	-0.603695	-0.621509	0.049496	-0.584068	1.000000

Dependent Variable: HAPPY_INDEX
Method: Least Squares
Date: 07/25/23 Time: 13:40
Sample (adjusted): 2005 2020
Included observations: 16 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	9.060736	1.380051	6.565510	0.0000
GHG	-0.491730	0.085910	-5.723761	0.0001
ECOLFP	1.945271	0.154599	12.58272	0.0000
BIOCAP	-4.940066	0.985419	-5.013161	0.0003

R-squared	0.999477	Mean dependent var	4.169552
Adjusted R-squared	0.999346	S.D. dependent var	0.373217
S.E. of regression	0.009547	Akaike info criterion	-6.252950
Sum squared resid	0.001094	Schwarz criterion	-6.059802
Log likelihood	54.02360	Hannan-Quinn criter.	-6.243059
F-statistic	7637.839	Durbin-Watson stat	0.687526
Prob(F-statistic)	0.000000		

Dependent Variable: HDI_INDEX
Method: Least Squares
Date: 07/25/23 Time: 13:41
Sample (adjusted): 2000 2020
Included observations: 21 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	1.781151	0.428358	4.158089	0.0007
GHG	-0.090658	0.026731	-3.391459	0.0035
ECOLFP	0.233579	0.046041	5.073264	0.0001
BIOCAP	-0.808720	0.303328	-2.666157	0.0163

R-squared	0.978575	Mean dependent var	0.759942
Adjusted R-squared	0.974794	S.D. dependent var	0.032800
S.E. of regression	0.005207	Akaike info criterion	-7.507804
Sum squared resid	0.000461	Schwarz criterion	-7.308847
Log likelihood	82.83194	Hannan-Quinn criter.	-7.464625
F-statistic	258.8224	Durbin-Watson stat	0.280454
Prob(F-statistic)	0.000000		

წარმოდგენილი ეკონომეტრიკული ანალიზის მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი საკმარისად დიდ დროით ჭრილში და ანალიზისთვის საჭირო ინდიკატორებისთვის. მიუხედავად ამ შეზღუდვისა, შედეგები საინტერესოა ამ დარგში მომავალი კვლევების წახალისებისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

სტატიაში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გავლენების საზოგადოების კეთილდღეობასთან კავშირის მნიშვნელობა ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოსთვის. კვლევამ წარმოაჩინა გარემოს დაცვასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობა კეთილდღეობის ეკონომიკის კონტექსტში. კონკრეტულად საქართველოსთვის შეფასდა გარემოსდაცვითი ასპექტების კავშირი კეთილდღეობის შერჩეულ ინდიკატორებზე. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის პარალელურად მზარდია უარყოფითი გავლენები გარემოზე, რაც საბოლოოდ საზოგადოების კეთილდღეობაზე აისახება. ეკონომიკური ანალიზიდან ჩანს, რომ კვლევისთვის შერჩეულ გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ცვლადებს შორის კორელაცია უმეტესად არის ძლიერი და ამავე დროს, გარემოსდაცვითი ცვლადები ბედნიერების ინდექსთან უფრო ძლიერ კავშირს აჩვენებს, ვიდრე ადამიანის განვითარების ინდექსთან. ვინაიდან არსებული გარემოსდაცვითი და კეთილდღეობის მონაცემები საქართველოსთვის საკმარისად დიდ დროით ჭრილში არ არის ხელმისაწვდომი, ეს საკითხის ეკონომიკური ანალიზისთვის შეზღუდვას წარმოადგენს. თუმცა, სტატიაში დასახული პრობლემა და მიღებული შედეგები ამ მიმართულებით მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საქართველოსთვის შემუშავდეს ეროვნული „კეთილდღეობის ინდექსი“, რომელშიც თანაბრად იქნება გათვალისწინებული როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი ეროვნული მოდელები არსებობს, გარემოს დაცვის მნიშვნელობა და შესაბამისი ღირებულებითი შეფასებებიც მეტად განვითარებულია. გარდა ამისა, მსგავსი მოდელის არსებობა ქვეყანაში სასარგებლო იქნება, ვინაიდან ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსახლეობა, ბიზნესები, სახელმწიფო) ცნობიერების ამაღლებას მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის ეკონომიკის სფეროში. დამატებით, ამ ინდექსის შესაფასებლად საჭირო მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებაზე პერიოდული მუშაობა გააუმჯობესებს გარემოსდაცვითი მონაცემების ხარისხსა და რაოდენობას ქვეყანაში. ეს კი, თავის მხრივ, სფეროს ეკონომიკური ანალიზისა და დარგში მომავალი კვლევებისთვის განსაკუთრებით ფასეული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს განვითარების პროგრამა. (2020). *რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა კლიმატის ცვლილების შესახებ?* გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). Retrieved აპრილი 2023, from https://www.undp.org/georgia/publications/what-georgians-know-about-climate-change-2020
2. ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი. (2022). *კლიმატის ცვლილების და გარემოს საკითხებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი აზრის რაოდენობრივი კვლევა საქართველოში.* ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (WFD). Retrieved აპრილი 2023, from https://www.wfd.org/sites/default/files/2023-03/GE_WFD_Digital.pdf
3. AIHW. (2021). *Australia's welfare indicators*. Retrieved 2023, from Australian Institute of Health and Welfare (AIHW): https://www.aihw.gov.au/reports-data/indicators/australias-welfare-indicators
4. Almeida, T. A., Cruz, L., Barata, E., & García-Sánchez, I.-M. (2017). Economic growth and environmental impacts: An analysis based on a composite index of environmental damage. *Ecological Indicators, 76*, 119-130. doi:https://doi.org/10.1016/j.ecolind.2016.12.028
5. Bojö, J. (1991). Economic Analysis of Environmental Impacts. In C. Folke, & T. Kåberger (Eds.), *Linking the Natural Environment and the Economy: Essays from the Eco-Eco Group* (Vols. Ecology, Economy & Environment (ECEE), Volume 1, pp. 43-59). Springer Science+Business Media, B.V. doi:https://doi.org/10.1007/978-94-017-6406-3_3
6. Bonasia, M., De Simone, E., D'Uva, M., & Napolitano, O. (2022). Environmental protection and happiness: A long-run relationship in Europe. *Environmental Impact Assessment Review, 93*. doi:https://doi.org/10.1016/j.eiar.2021.106704
7. Burke, T. A., Cascio, W., Costa, D., Deener, K., Fontaine, T., Fulk, F., . . . Zartarian, V. (2017). Rethinking Environmental Protection: Meeting the Challenges of a Changing World. *Environmental Health Perspectives, 125*(3). doi:https://doi.org/10.1289/EHP1465
8. Dietz, T., Rosa, E., & York, R. (2012). Environmentally efficient well-being: Is there a Kuznets curve? *Applied Geography, 32*(1), 21-28. doi:https://doi.org/10.1016/j.apgeog.2010.10.011
9. Drews, S., Antal, M., & Van den Bergh, J. (2018). Challenges in Assessing Public Opinion on Economic Growth Versus Environment: Considering European and US Data. *Ecological Economics, 146*, 265-272. doi:https://doi.org/10.1016/j.ecolecon.2017.11.006
10. Fioramonti, L. (2016). *Well-being Economy - A Scenario for a Post-growth Horizontal Governance System.* "Next System Project". Retrieved May 2023, from https://thenextsystem.org/sites/default/files/2017-08/LorenzoFioramonti.pdf
11. GFN. (1992-2022). *Data for Ecological Footprint*. Retrieved July 2023, from Global Footprint Network (GFN): https://data.footprintnetwork.org/?_ga=2.106299012.649676091.1690206587-521434882.1689770726#/
12. Helliwell, J., Layard, R., Sachs, J., De Neve, J.-E., Aknin, L., & Wang, S. (2023). *The World Happiness Report.* Sustainable Development Solutions Network powered by the Gallup World Poll data. United Nations. Retrieved May 2023, from https://happiness-report.s3.amazonaws.com/2023/WHR+23.pdf
13. IMF. (2023). *Climate-PIMA (Public Investment Management Assessment)*. Retrieved 2023, from Infrastructure Governance / International Monetary Fund (IMF): https://infrastructuregovern.imf.org/content/PIMA/Home/PimaTool/C-PIMA.html
14. Kassouri, Y., & Altıntaş, H. (2020). Human well-being versus ecological footprint in MENA countries: A trade-off? *Journal of Environmental Management, 263*. doi:https://doi.org/10.1016/j.jenvman.2020.110405

15. Krekel, C., & MacKerron, G. (2020). *How Environmental Quality Affects Our Happiness / The World Happiness Report.* Sustainable Development Solutions Network powered by the Gallup World Poll data. United Nations. Retrieved May 2023, from https://happiness-report.s3.amazonaws.com/2020/WHR20_Ch5.pdf
16. MA. (2003). Ecosystems and Human Well-being. In M. E. (MA), *Ecosystems and Human Well-Being: A Framework for Assessment.* Island Press. Retrieved May 2023, from https://www.millenniumassessment.org/en/Framework.html
17. OECD. (2011). *OECD Better Life Index - Georgia*. (Organisation for Economic Cooperation and Development (OECD)) Retrieved April 2023, from https://www.oecdbetterlifeindex.org/responses/#GEO
18. ONS UK. (2019). *UK Measures of National Well-being Dashboard.* Retrieved 2022, from Office for National Statistics of United Kingdom (ONS UK): https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/wellbeing/articles/measuresofnationalwellbeingdashboard/2018-04-25
19. Schwab, K. (2019). *The Global Competitiveness Report.* World Economic Forum. Retrieved 2023, from https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf
20. SDSN. (2012-2023). *World Happiness Report.* Retrieved July 2023, from Sustainable Development Solutions Network (SDSN): https://worldhappiness.report/about/
21. SHEER Wellbeing Project Team. (2021). *Our Environment, Our Health, Our Wellbeing: Access to Blue/Green Spaces in Ireland.* National University of Ireland, Galway. Environmental Protection Agency. Retrieved May 2023, from https://www.epa.ie/publications/research/environment--health/Research_Report_SHEER.pdf
22. UK HM Treasury. (2021). *Wellbeing Guidance for Appraisal: Supplementary Green Book Guidance.* Crown copyright. Retrieved December 27, 2022, from https://www.gov.uk/government/publications/green-book-supplementary-guidance-wellbeing
23. UNDP. (1990-2021). *Human Development Index (HDI).* Retrieved July 2023, from United Nations Development Programme (UNDP): https://hdr.undp.org/data-center/documentation-and-downloads
24. UNDP. (2020). *Human Development Index (HDI)*. Retrieved 2022, from United Nations Development Programme (UNDP): https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI
25. UNDP. (2020). *Human Development Index / Table 7: Planetary Pressures-adjusted HDI.* Retrieved 2022, from United Nations Development Programme (UNDP): https://hdr.undp.org/data-center/documentation-and-downloads
26. Ward, J. D., Sutton, P., Werner, A., Costanza, R., Mohr, S., & Simmons, C. (2016). Is Decoupling GDP Growth from Environmental Impact Possible? (D. E. Naya, Ed.) *PLoS One*. doi:https://doi.org/10.1371%2Fjournal.pone.0164733
27. WB. (1990-2020). *Total greenhouse gas emissions (kt of CO2 equivalent) - Georgia.* Retrieved July 2023, from World Bank (WB): https://data.worldbank.org/indicator/EN.ATM.GHGT.KT.CE?locations=GE
28. WB. (1990-2022). *GDP per capita, PPP (constant 2017 international $) - Georgia.* Retrieved July 2023, from World Bank (WB): https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.KD?locations=GE
29. WB. (2010-2022). *GNI per capita, PPP (constant 2017 international $) - Georgia.* Retrieved July 2023, from World Bank (WB): https://data.worldbank.org/indicator/NY.GNP.PCAP.PP.KD?locations=GE
30. Wolf, M., Emerson, J., Esty, D., Sherbinin, A., & Wendling, Z. (2022). *www.epi.yale.edu*. Retrieved 2022, from https://epi.yale.edu/

The Relationship between Environmental and Well-Being Indicators in Georgia

Nestani Gaprindashvili
TSU Ph.D. Student

SUMMARY

The priority of environmental issues is increasing along with the current ecological challenges and sustainable development agenda in the world. The purpose of the present study is to show the relationship between environmental impacts and the well-being of society as well as to analyze the existing statistical practical results. For this, the article discusses a number of international assessments, scientific articles and literature. Based on the available data for Georgia, the paper analyzes a number of environmental indicators from an economic perspective in relation to such international indices of well-being as the happiness index and the human development index. The results show that, in parallel with the economic and social development, the ecological situation in Georgia has faced significant challenges over the years. This ultimately affects the quality of people's happiness and well-being. Finally, the article presents the main recommendation to elaborate a national "well-being index" for Georgia, in which both economic, social and environmental aspects of growth and progress will be equally taken into consideration and developed respectively.

საერთაშორისო აკრედიტაციის როლი საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში და მასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა

ქეთევან გოგნაძე
თსუ დოქტორანტი

საქართველოს ეკონომიკური სიმტკიცის ერთ-ერთი გარანტი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებაა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოედგენს სამედიცინო ხარისხის კვლევა და სტანდარტების შემუშავება-დანერგვა ჰოსპიტალურ სექტორში, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლისადმი ერთიანი და სისტემური მიდგომა. საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგა ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას, ამას კი მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება მოჰყვება. ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნა კლინიკების მიმართ, რეკომენდირებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომელიმე მათგანის მიერ კლინიკებისათვის სერთიფიკატის მინიჭების შესახებ, ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო აკრედიტაცია, სამედიცინო ხარისხის მართვა, სამედიცინო პერსონალი, სერთიფიცირება, ჯანდაცვის მენეჯმენტი*

კვლევის მიზანი

თემის მიზანია, დეტალურად იქნას შესწავლილი საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი და გამოვლინდეს იმ ხარვეზების მიზეზები, რაც არსებული სტანდარტებისა და მუდმივი რეფორმების მიუხედავად მაინც არსებობს და დანერგილ იქნას თანამედროვე მიდგომები, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სექტორში არსებულ პრობლემებს. მნიშვნელოვანია შეიქმნას ხარისხის მართვის გზამკვლევები, რომლებიც მორგებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით.

პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს კითხვარის შედგენა, რომელიც შეთანხმდება უნივერსიტეტის ეთიკურ საბჭოსთან, საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, გამოკითხვისთვის შესაბამისი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

საავადმყოფო სექტორში აკრედიტაციის გზით სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განხორციელდება ორი ტიპის კითხვარის საშუალებით, რომელთაგან ერთი, განკუთვნილი იქნება კლინიკის მენეჯმენტისთვის, ხოლო მეორე - ექიმებისა და ექთნებისთვის. კითხვების შედგენის მიზანი იქნება გამოვარკვიოთ, რამდენად თვლიან საჭიროდ სამედიცინო დაწესებულებები საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგვას, ასევე შევადგენთ კითხვებს იმის დასადგენად, თუ რამდენად ცნობილია მათთვის აკრედიტაციის მოთხოვნები. კითხვარი შედგენილი

იქნება როგორც ადმინისტრაციული, ისე კლინიკის პერსონალისთვის, კითხვარით მიღებული ინფორმაციის მიზანი არის, რომ გამოირკვეს, რამდენად ხარისხიან მომსახურებას აწვდიან კლინიკები მოსახლეობას და რამდენად ცნობილია მათთვის საავადმყოფოს ხარისხის მართვის სტრუქტურული ერთეულების როლი სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაში.

მეორე ეტაპზე ჩატარდება საავადმყოფოების ადმინისტრაციისა და კლინიკური პერსონალის პირისპირ ინტერვიუირება, ხოლო მესამე ეტაპზე მოხდება გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და მათი წარმოჩენა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით განხორციელებული ხარისხის უზრუნველყოფის პროექტების ღრმა და საფუძვლიანი გაცნობა განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის მენეჯერებს პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის სისტემური მეთოდების დანერგვაში დაეხმარება.

პრობლემის აქტუალობა

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გარანტს ჯანდაცვის სისტემის გამართულობა წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებზე, უმაღლესი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვასაც უწყობს ხელს, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების ხარისხი გულისხმობს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მიღწევებისა და საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის გამოყენებას (გორგაძე, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით, 2018).

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე დაყრდნობით ხელს შეუწყობს, როგორც სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას, ისე პაციენტისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებას, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების ხარისხი გულისხმობს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მიღწევებისა და საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის გამოყენებას. ხარისხზე ორიენტირებული ჯანდაცვა არის უსაფრთხო და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურება, რომელიც უნდა პასუხობდეს პაციენტის მოთხოვნებს, რასაც მთელ რიგ ქვეყნებში საავადმყოფოების აკრედიტაციის პროცესის დანერგვის გზით მიაღწიეს.

აკრედიტაცია არის ოფიციალური პროცედურა, რომლის მეშვეობით უფლებამოსილი ორგანო აფასებს და აღიარებს, რომ ორგანიზაცია, პროგრამა ან ჯგუფი აკმაყოფილებს სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს (გორგაძე, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით, 2018). სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაცია ეს არის მათი მუშაობის პროცესის შეფასება წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების მიხედვით. აკრედიტაცია გაიცემა დროის გარკვეული პერიოდით და მისი განახლებისთვის დაწესებულებამ განმეორებით უნდა გაიაროს შეფასება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში აკრედიტაციას ახორციელებს

დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანო. აკრედიტაცია მიმართულია პაციენტებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო, ხარჯთეფექტური და თანადგომითი ზრუნვის მიწოდებაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დაგეგმილ და განხორციელებულ მიდგომებს.

სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაცია არის პროცესი, რომელიც გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებების შესაფასებლად. დღეს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ამ საკითხს ერთი-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია, იმდენად რამდენადაც ყველა კლინიკას, რომელიც მომავალში გააგრძლებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, სახელმწიფოსგან შესაბამისი დაფინანსების მიღებას, ეკისრება ვალდებულება აიღოს მსოფლიოში აკრედიტებული რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის სერთიფიკატი. ამ სერთიფიკატის აღების მიზანია, მაქსიმალურად დაცული იყოს პაციენტის უსაფრთხოება, მისი უფლებები, პაციენტმა მიიღოს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონდე მედ-პერსონალის მიერ სამედიცინო მომსახურება და ზოგადად, გაიზარდოს ქვეყანაში მოსახლეობისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი. აკრედიტაციის პროცესში მთავარია სამედიცინო ხარისხის საზომი სამი მნიშვნელოვანი ერთეული: სამედიცინო დაწესებულიების სტრუქტურა, მასში მიმდინარე პროცესი და მიღებული შედეგი.

ხარისხის უზრუნველყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის ურთიერთშეთანხმებულ მუშაობას, გუნდურობის პრინციპს. სამედიცინო დაწესებულებები ხშირად ატარებენ მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევებს, სადაც მონაწილეობას იღებენ, როგორც პაციენტები, ასევე მათი ოჯახის წევრები. აღნიშნული კვლევები გამოიყენება პერსონალის ეფექტური მუშაობის შეფასებისათვის. ასევე პერიოდულად ტარდება თანამშრომელთა გამოკითხვა მათი კმაყოფილების შესაფასებლად.

სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მათი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შეფასება, რაც მოიცავს როგორც თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობას, ისე IT ინფრაქტრუქტურას, რომლის მიზანია უზრუნველყოს პაციენტის ჯანმრთელობის ინფორმაციაზე წვდომა საჭირო დროს და შესაბამის ადგილას და ამით უზრუნველყოს სამედიცინო სერვისების უწყვეტობა და ხარისხი ჯანმრთელობის შედეგების გასაუმჯობესებლად (ანა კატუკია, 2022). თუმცა საქართველოს ბევრ კლინიკაში მაინც რჩება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: პაციენტებზე გაწეული ხარჯების და შემოსავლების სწორად აღრიცხვა; პაციენტების რეგისტრაციის პროცესის შეფერხება; კლინიკური შეცდომები (დოზირება, მანიპულაციები, მკურნალობის დანიშვნა); ექიმები დიდ დროს ხარჯავენ სამედიცინო ისტორიის წარმოებაზე, რაც შესაძლოა პაციენტების მართვის პროცესისთვის დაეთმოთ (კომპიუტერული პროგრამების კიდევ უფრო დახვეწვის შემთხვევაში დროის ეფექტურად გამოყენება მიღწევადი იქნებოდა); ბეჭდური დოკუმენტების წარმოება მოითხოვს უამრავ ხარჯს; სამედიცინო დოკუმენტაციის ქაღალდმატარებლის პრობლემები (დოკუმენტების დაზიანდება, ხელნაწერი ხშირად გაურკვეველია, ფურცლებზე გროვდება ბაქტერიები, შენახვისთვის დიდი ფართების საჭიროება, არქივების მოწყობა შესაბამისი პირობებით, რაც არახარჯთეფექტურია ვალდებულებების დაცვის გათვალისწინებით).

ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სანდარტების და აკრედიტაციის პროცესის სწორად დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გაზ-

რდის როგორც კლინიკების ეფექტურ მუშაობას, ისე გამოჯანმრთელებული და კმაყოფილი პაციენტების რაოდენობას.

დღეისათვის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდაციის სახით მოწოდებულია 6 საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანიზაცია, ესენია:

1. Accreditation Canada[1];
2. American Accreditation Commission international[2] (AACI);
3. Joint Commission International[3] (JCI);
4. Cooperation for transparency and quality in healthcare[4] (KTQ);
5. TEMOS International Healthcare Accreditation[5];
6. The Australian Council on Healthcare Standards International[6] (ACHS International);

კლინიკებს აქვთ თავისუფალი არჩევანი ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან აირჩიონ მათთვის მისაღები პირობების მქონე ორგანიზაცია და შესაბამისი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ აიღოს შესაბამისი სერთიფიკატი. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი კლინიკა არ არის მზად არც ინფრასტრუქტურულად არც ფინანსურად, არის ეჭვი, რომ ვერ შეასრულებენ სახელმწიფოს მოთხოვნას, რომლის შესრულების ვალდებულება 2025 წლის 1 იანვრამდეა[7]. ამას შესაძლოა მოჰყვეს ბევრი კლინიკის დახურვა, თუმცა ამ პროცესს აქვს დადებითი მხარეც, რაც რეალურად ჯანდაცვის სამინისტროს მიზანია - საქართველოში იყოს უსაფრთხო და მაღალი სამედიცინო სტანდარტის მიმწოდებელი კლინიკები.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ორგანიზაციების საბაზისო მოთხოვნები ერთნაირია, ესენია: პაციენტის უსაფრთხოება, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა, ინფექციის კონტროლი, ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება, სამედიცინო დოკუმენტაციის სწორად და სრულყოფილად წარმოება, მაღალი ტექნოლოგიების არსებობა, ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება უწყვეტად წამყვან უცხოურ კლინიკებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა და ა.შ.

ხარისხის მთავარი განზომილებები:

პაციენტთა მოსაზრებით, ხარისხის განზომილებებია: სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმი, სამედიცინო მომსახურების ფასი, გარემო, სადაც პაციენტმა სამედიცინო მომსახურება უნდა მიიღოს და სამედიცინო პერსონალის კეთილგანწყობა პაციენტის მიმართ. ამდენად, ხარისხის განზომილებად აღიარებულია:

ტექნიკური კომპეტენცია;

სერვისზე ხელმისაწვდომობა;

ეფექტურობა;

---

[1]Accreditation Canada: https://accreditation.ca/

[2] American Accreditation Commission international: https://aacihealthcare.com/

[3] Joint Commission International: https://www.jointcommissioninternational.org/

[4] Cooperation for transparency and quality in healthcare: https://ktq.de/

[5] TEMOS International Healthcare Accreditation: https://www.temos-worldwide.com/

[6] The Australian Council on Healthcare Standards International: https://www.achs.org.au/

[7] მაცნე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5696494?publication=0

ინტერპერსონალური ურთიერთობები;
ეფექტიანობა;
უწყვეტობა;
უსაფრთხოება;
კომფორტულობა (ყაზახაშვილი, 2019).

ანალიზზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ჯარიმებსა და დასჯაზე დაფუძნებული სისტემა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ის პროექტები, სადაც ჩატარებულია სამედიცინო მომსახურების არსებული სიტუაციის კვლევა. მსგავსი ინფორმაცია განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის პროფესიონალებს და სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერებს ეხმარება ხარისხის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების მეთოდოლოგიის შემუშავებაში. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, ხარისხის უზრუნველყოფის აპრობირებული სისტემების განხილვით და დარგის ექსპერტებთან კონსულტაციებით შესაძლებელია ჯანდაცვის ოპტიმალური ხარისხის მიღწევა.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის, მართვის და გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობისას პრიორიტეტი ინფორმაციის მოპოვების ეკონომიურ მეთოდებს და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების არსებობას ენიჭება, ასევე მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის სტანდარტების განსაზღვრა და საქმიანობის შეფასების ინდიკატორების დადგენა. სამედიცინო მომსახურების ხარისხის პერიოდულ შესწავლასა და ანალიზს დიდი დახმარება შეუძლია ჯანდაცვის სისტემის მართვის, სერვისების მიწოდების და უტილიზაციის პრობლემების გამოვლენის საქმეში, ხოლო პრობლემათა სიმრავლის შემთხვევაში აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა.

სამედიცინო მომსახურების პროცესში ხარვეზების, ნაკლოვანებების და ჩავარდნების გამოვლენას ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვის საქმეში რადიკალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დროულად აღმოჩენილ პრობლემათა მოგვარების მრავალი იაფი და მარტივი მეთოდი არსებობს. მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით დასავლეთის ქვეყნებში შემუშავებულია რეკომენდაციები, ტექნოლოგიები, მეთოდები, გეგმები და ღონისძიებები, რაც განვითარებადი ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო სერვისების მიწოდებით (ყაზახაშვილი, 2019).

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობები განვითარებად ქვეყნებში

თითქმის არც ერთ განვითარებად ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება საკმარისი არ არის. შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, ერთი შეხედვით, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება მიუწვდომელ ფუფუნებადაა მიჩნეული. თუმცა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხშირად, სამედიცინო მომსახურების ხარის-

ხის გაუმჯობესება ხარჯი კი არაა, არამედ პირიქით, მოგების მომტანია. იმ ქვეყნებში, სადაც ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების შეფასებით კარგი შედეგები ფიქსირდება, სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ზრუნვა როგორც პირველადი ჯანდაცვის პროგრამების, ისე ჰოსპიტალური სექტორის ცენტრალური საკითხია, შეზღუდული ბიუჯეტის მქონე სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერებს ამ ფაქტის უგულებელყოფის უფლება არ აქვთ (ყაზახაშვილი, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება, 2019). სწორედ დიდ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული ჯანდაცვის სამინისტოს მიერ მოწოდებული ის მოთხოვნები, რომელებიც საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭებას გულისხმობს. ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც წარმატებით გაივლიან აკრედიტაციის პროცესს, მიენიჭებათ უმაღლესი სამედიცინო მომსახურების მომწოდებელი დაწესებულების სტატუსი. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავშირებულია, როგორც ფინანსურ, ისე ადამიანური რესურსების მობილიზებასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩატარდეს სამედიცინო დაწესებულების წინასწარი ანალიზი, განისაზღვროს პრიორიტეტები და სწორედ ამის შემდეგ მოხდეს შესაბამისი სამუშაოების წარმოება ამა თუ იმ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაც სტანდარტით არის გათვალისწინებული.

ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება იმ კომპონენტებში, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ახდენს იმ ძლიერი მხარეების ინდიტიფიცირებას, რომელნიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს და იმ სისუსტეების დიაგნოსტირებას, რომელნიც უნდა აღმოიფხვრას, რათა მოხდეს სიტუაციის გაუმჯობესება. ჯანდაცვის მომსახურებას, რომელიც არის უსაფრთხო, მაღალი ხარისხისა და გულისხმიერი პაციენტთა საჭიროებების მიმართ, მივყავართ უკეთეს კლინიკურ შედეგებამდე და ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე. ეს კომპონენტები შემდეგნაირად გამოიყურება: ჯანდაცვის სისტემაზე კონტროლის გაუმჯობესება; ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება; ჯანდაცვის სისტემის რესურსების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა; ჯანდაცვითი მომსახურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება; ჯანდაცვის სისტემის ფინანსური, გეოგრაფიული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, დაავადებათა პროფილაქტიკის, მონიტორინგისა და გამოვლენის გაუმჯობესება; სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და კლინიკური შედეგების გაუმჯობესება; ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში თანასწორობის და ფინანსური დაცვის გაუმჯობესება; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ განზომილებათა დიდი ნაწილი ასახავს ერთ ან რამდენიმე შუალედურ მიზანს ან ჯანდაცვის ეროვნულ პრიორიტეტს, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც საჭირო დროსა და შესაბამის პირობებში სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა (გორგაძე, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით, 2018).

დასკვნები და რეკომენდაციები

საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაში დიდი როლი ენიჭება, როგორც მმართველობით რგოლს, მენეჯერებს, ხარისხის მართვის სამსახურს, ისე მედ-პერსონალს, ექიმებს, ექთნებს, მათ დამხმარეებს.

(გორგაძე, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით, 2018)-ში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1) კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 92% საჭიროდ თვლის აკრედიტაციის სისტემის შექმნას და დანერგვას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მენეჯერული რგოლის დადებითი განწყობა აკრედიტაციის დანერგასთან დაკავშირებით, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ გამოკითხულთა ნახევარმა გასცდა დადებითი პასუხი აკრედიტაციის ცნობადობასთან დაკავშირებულ საკითხს.
2) კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 80,4% მიიჩნევს, რომ საავადმყოფოების აკრედიტაციის პროცესი უნდა იყოს სავალდებულო,
3) გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს, რომ საავადმყოფოები მზად არიან საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგვის შემთვევაში უზრუნველყონ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისობა ადგილობრივთან, კერძოდ გამოკითხულ მენეჯერთა 85%, ექიმთა 78%, ხოლო ექთანთა 71% დადებითად აფასებს ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისობას საერთაშორისო მოთხოვნებთან.
4) უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მზაობისა და აკრედიტაციის სურვილისა აკრედიტაციის მცდელობა დააფიქსირა კვლევაში მონაწილე რესპოდენტ მენეჯერთა მხოლოდ 10,9%-მა, ხოლო უარყოფითი პასუხი გასცა 89,1%-მა. აქედან გამომდინარე, უმრავლესობა სურვილის მიუხედავად უარყოფით პასუხს აფიქსირებს.
5) კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონების საავადმყოფოებში საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, 34,5%.
6) კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ რეგიონის საავადმყოფოებში მენეჯერები (გამოკითხულ მენეჯერთა 20,8%) უფრო მეტად დაინტერესებულები არიან აკრედიტაციის პროცესზე აზრის გამოთქმით, ვიდრე თბილისის საავადმყოფოებში (გამოკითხულ მენეჯერთა 10,8%). ამ კუთხით ექთნები (გამოკითხულთა 42,4%) უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან თბილისის საავადმყოფოებში, ვიდრე რეგიონების.
7) სამედიცინო პერსონალის გამოკითხვისას, საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების ცნობადობასთან დაკავშირებით ნაკლებად ინფორმირებულობის მაჩვენებელი დაფიქსირდა, კერძოდ, უარყოფითი პასუხი აღნიშნა თბილისში გამოკითხულ ექიმთა 60,9%-მა, ხოლო რეგიონებში 82,6%-მა.
8) საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების ცნობადობის პროცენტული მაჩვენებელი დაბალია საექთნო კადრისთვის, როგორც თბილისის, ასევე რეგიონების საავადმყოფოებში (თბილისი - 85,2%, რეგიონები - 95,6%).

9) მიუხედავად აკრედიტაციის მცდელობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლებისა (10,9% მენეჯერი) კვლევაში მონაწილე მენეჯერთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა გამოთვა მოსაზრება, თუ რა განაპირობებს აკრედიტაციის წარუმატებელ შედეგს. მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (66,7%) უკავია მმართველობითი რგოლების არასაკმარის ჩართულობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აკრედიტაციის სისტემის არსებობისადმი მოთხოვნას.

10) კვლევაში მონაწილე მენეჯერთა 33,3% აკრედიტაციის პროცესის ერთერთ წარუმატებელ მიზეზად ხარისხის სამსახურის მუშაობის არასაკმარის დონეზე მიუთითებს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებების უმეტესობაში არ ხდება პაციენტების კმაყოფილების შეფასება, მომსახურების ხარისხის შეფასება და არ ხდება საჩივრების ადექვატური განხილვა.

რეკომენდაციის სახით, ზემოთ მოყვანილი დასკვნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჰოსპიტალურ სექტორში საერთაშრისო აკრედიტაციის დანერგვა და შესაბამისი სერთიფიკატის მინიჭება მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში არსებული კლინიკების სამედიცინო მომსახურების დონეს და მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლებას. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციის შესრულება კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანა კატუკია, ე. ს. (2022). ე-ჯანმრთელობის / eHealth-ის უცხოური მიღწევების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. *ეკონომიკა*, 1-4.
2. გორგაძე, თ. (2018). *სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნირებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.
3. გორგაძე, თ. (2018). *სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით.* თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნირებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.
4. გორგაძე, თ. (2018). *სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით.* თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნირებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.
5. გორგაძე, თ. (2018). *სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით.* თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნირებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.
6. გორგაძე, თ. (2018). *სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით.* თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნირებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.
7. ყაზახაშვილი, ნ. (2019). In ნ. ყაზახაშვილი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. ყაზახაშვილი, ნ. (2019). In ნ. ყაზახაშვილი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. ყაზახაშვილი, ნ. (2019). In ნ. ყაზახაშვილი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

10. ყაზახაშვილი, ნ. (2019). *სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება.* თბილისი : ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

The Role of International Accreditation in the Georgian Hospital Sector and Management of Related Difficulties

Ketevan Gognadze
TSU Ph.D. Student

SUMMARY

One of the guarantors of Georgia's economic strength is the health of the country's population and adaptation of the healthcare system to international standards. An important problem is the research of medical quality and the development and implementation of standards in the hospital sector, where there is still no unified and systematic approach to ensuring and controlling the quality of medical services. The introduction of international accreditation will help raise the level of medical services, and this will lead to an increase in the level of satisfaction of the population.

The request of the Ministry of Health to the clinics to be awarded a certificate by one of the recommended international organizations will contribute to the resolution of the above-mentioned issue.

ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების სისტემის რეფორმირება საქართველოს მაგალითზე და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ლევან დგებუაძე
თსუ დოქტორანტი

დამატებული ღირებულების გადასახადი (შემდგომში - დღგ) ბევრ განვითარებად ქვეყანაში შიდა საგადასახადო რეფორმების განუყოფელი ნაწილი გახდა. დღგ-ის ბუნება მოიცავს უამრავ ანაზღაურებას კერძო სექტორის სხვადასხვა აქტივობებზე ინვესტიციების ხელშეწყობისთვის, უფრო მაღალი ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის სექტორების სტიმულირებისთვის. ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებას, უფრო კონკრეტულად, საექსპორტო ანაზღაურებას აქვს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე (შემდგომში - GDP). ნაშრომში გაანალიზებული და განხილულია ბიუჯეტში ზედმდეტად გადახდილი თანხების გადამხდელთათვის დაბრუნების ზეგავლენა მომხმარებაზე და GDP-ზე.

საკვანძო სიტყვები: *დღგ, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება (შემდგომში - REF), მოხმარება, ექსპორტი, ფისკალური პოლიტიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგადასახადო შემოსავლები.*

დღგ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს მსოფლიოში მისი ორი ძირითადი თვისების გამო: მას იყენებენ ბევრ ქვეყანაში და გააჩნია შემოსავლების გენერირების მაღალი პოტენციალი. ის მოქმედებს 160 ქვეყანაში და მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაერთ გადასახადებში 30%-ზე მეტს შეადგენს [1].

მიუხედავად ამისა, მისი მახასიათებელი - ზედმეტად გადახდილი დღგ-ის დაბრუნების სისტემა/მექანიზმი - სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრაციებისათვის. ამ მექანიზმის არსებობა დღგ-ის სისტემის ფუქნციონირებისთვის აუცილებელი კომპონენტია. უმეტესობა დღგ-ის რეგულაციებისა ითვალისწინებს გადამხდელთა ამ უფლებას მოითხოვონ ლეგიტიმურად წარმოქმნილი დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება (გავრცელებული პრაქტიკით - თვეში ერთხელ). თუმცა, რეალობა ხშირად სხვადასხვაგვარია. ქვეყნების გამოცდილება, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, გვიჩვენებს, რომ დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება - ხშირად შეზღუდულია (ლიმიტირებულია). ზედმეტად გადახდილი თანხების დაბუნების მოთხოვნა წარმოადგენს რთულ ბიუროკრატიულ მექანიზმს და გადამხდელებს აღარ აქვთ სურვილი მისი მოთხოვნის. თუ კი მაინც მოითხოვენ ზემდეტობის დაბრუნებას ეს პროცესი ან ძალიან გაწელილია დროში ან საერთოდ არ უბრუნდებათ [1].

დღგ-ის დაბრუნების მექანიზმი მიდრეკილია თაღლითობისაკენ/გაყალბებისაკენ. ეს უკანასკნელი კი იწვევს ხაზინის შემოსავლების დანაკარგებს, უარყოფითად აისახება სახელმწიფო შემოსავლებზე. ამიტომ, საგადასახადო ადმინისტრაციები არ აბრუნებენ ზედ-

მეტობებს იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია კანონშეუსაბამობა გადამხდელებში და თაღლითური სქემების აღმოჩენის მექანიზმი სუსტია.

თაღლითობის შემცირების მიზნით, ზოგმა ქვეყანამ შეზღუდა გადამხდელები დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების უფლებაში ან შემოიღეს ისეთი ვერიფიცირების პროცედურები, რომლებიც დროში აყოვნებენ დღგ-ის დაბრუნებებს.

დღგ-ის გარდა, სხვა გადასახადებშიც შესაძლებელია წარმოიქმნას ზედმეტობის დაბრუნების უფლება (აქციზი, საშემოსავლო გადასახადი, საბაჟო ვალდებულებები), თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია დღგ-ის ზედმეტობები. ხანდახან მისი დაბრუნების მაჩვენებელი აღემატება დღგ-ის მთლიანი შემოსავლების 50%-ს და შეადგენს რამოდენიმე ერთეულ პროცენტს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

დღგ დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით, რომელსაც იხდის საბოლოო მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან მომსახურების შეძენისას (იმპორტისას).

დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მექანიზმის გარეშე ის ემსგავსება ბრუნვის გადასახადს, რაც დამატებით ტვირთად აწვება გადამხდელს.

რატომ არის დღგ-ის ზედმეტობა ასანაზღაურებელი?

„საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით ჩათვლის მეთოდი“ უზრუნველყოფს იმას, რომ ამ არაპირდაპირ გადასახადს იხდის საბოლოო მომხმარებელი. ამ მეთოდის მიხედვით გადამხდელს შეუძლია მისი ჩათვლა იმავე ან სხვა გადასახადების მიმდინარე ან მომავალ ვალდებულებებში. ზოგ შემთხვევებში (მაგალითად, ექსპორტიორები) გადამხდელებს უგროვდებათ დღგ-ის ზედმეტობები, ვინაიდან მათი რეალიზაციები დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, ეს თანხები მათ უნდა აუნაზღაურდეთ დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს რომ ექსპორტი დაბეგვრადია.

დღგ-ის დაუბრუნებლობა ზრდის ფასებს, ქმნის ბიზნესისთვის ნაღდი ფულის წვდომის სირთულეს, ზრდის ხარჯებს და ამცირებს ინვესტიციებს.

დღგ-ის დაბრუნება წარმოადგენს ფუნქციას წმინდა ექსპორტისა GDP-ში

დღგ-ის ზედმეტობის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შემდეგი:

1. ექსპორტი და სხვა ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები;
2. ინვესტირება და მარაგების დაგროვება ახალ ბიზნესში;
3. დღგ-ის შემცირებული განაკვეთების არსებობა;
4. დღგ-ის უკუდაბეგვრის მექანიზმი.

დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების შემთხვევები მოიცავს მათ ანაზღაურებას დიპლომატიური მისიებისათვის, უცხოური ტურისტებისათვის, ადგილობრივი მთავრობებისათვის (დღგ-ის კომპენსაციები) და უცხოური (არარეზიდენტი) ბიზნესისათვის. კონკრეტულად, მსგავსი დაბრუნება ექვივალენტურია ნულოვან განაკვეთთან, როდესაც მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს საქონელი დღგ-ის გარეშე (შემცირებული ფასით), მაგრამ ვიდრე მიიღოს ეს ბენეფიტი გაყიდვის მომენტში, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს შემდგომში მისი ანაზღაურება/დაბრუნება.

ქვეყნებს გააჩნიათ განსხვავებული მექანიზმები დღგ-ის დაბურნებისა [1]. არსებობს 3 მიდგომა:

1. დაუყოვნებლივი ანაზღაურების სისტემა - ყოველთვიურად (გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე);
2. შეზღუდულად შემდგომ ვალდებულებებში გაქვითვის უფლებით, როდესაც ზედმეტობის დაბრუნება გარკვეულ პერიოდის შემდგომში არის შესაძლებელი;
3. განუსაზღვრელი გადატანის/გაქვითვის მიდგომა - როდესაც არ აქვთ დაბრუნების უფლება და მხოლოდ უნდა გამოიქვითონ.

დღგ-ის დაბრუნება დაბალი ან ზომიერია იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან ინვესტიციების ბუმს ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან (მაგალითად, მოზამბიკი და ტანზანია) ან ინფრასტრუქტურასა და მშენებლობასთან (მაგალითად, ჩინეთი და თურქეთი), ან რომლებსაც აქვთ მაღალი ექსპორტის წილი (მაგალითად, ტაილანდი). სხვა ქვეყნებში (კანადა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ზამბია) დღგ-ის დაბრუნების დონე შედარებით მაღალია [1].

სახელმწიფო თუ არ აბრუნებს ზედმეტობებს, ეს ნიშნავს რომ ამით აფერხებს ბიზნესს და უზღუდავს წვდომას მათივე თანხებზე, შესაბამისად ზღუდავს ინვესტიციებს.

ყოველივე აღნიშნული სირთულის დაძლევის საშუალებაა ქვეყანას გააჩნდეს დღგ-ის დაბრუნების ეფექტიანი მენეჯმენტ სისტემა.

დღგ-ის ადმინისტრირების
რეფორმა საქართველოში

დღგ-ს სტანდარტული „ერთი განაკვეთის“ სისტემის მიხედვით, დღგ-ის დაბრუნება უნდა იყოს კორელირებული ეკონომიკის სტრუქტურასთან: რაც უფრო მაღალია ექსპორტის წილი და კაპიტალის ფორმირება (ინვესტიცია) მთლიან გამომუშავებაში, მით უფრო მაღალია მთლიანი დღგ-ის წილები დასაბრუნებელი. რაც უფრო მაღალია საბოლოო მოხმარების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მით უფრო დაბალია დღგ-ის ანაზღაურება. მაგრამ ეს ურთიერთობები ხშირად არ არის დადასტურებული პრაქტიკაში, რაც მიუთითებს დაბრუნების პოლიტიკაში ან განხორციელებაში გარკვეულ ხარვეზებზე.

საქართველოს ძველი დღგ-ის სისტემა ავტომატურად ამტკიცებდა ფულადი სახსრების დაბრუნების ყველა მოთხოვნის მხოლოდ 9 პროცენტს. კანონის თანახმად, გადასახადის გადამხდელებს უნდა წარმოედგინათ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა (GRS) ყურადღებას ამახვილებდა ფულადი სახსრების მოთხოვნებს და ამოწმებდა ყველა მათგანს. საკრედიტო დეკლარაციები წარდგენილი საგადასახადო კრედიტის მოთხოვნით არ მოწმდებოდა სპეციალიზებული ავტომატური სისტემის მეშვეობით. შედეგად, გადასახადის გადამხდელები არ მოითხოვდნენ ზედმეტად გადახდილი ფულადი თანხის დაბრუნებას და ზედმეტობა დროთა განმავლობაში გაიზარდა 1,6 მილიარდ ლარამდე (დაახლოებით 0,5 მილიარდი აშშ დოლარი)[1].

[1] წყარო: შემოსავლების სამსახური

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემოსავლების მობილიზაციის თემატური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (რომელიც მრავალპარტნიორთა ინიციატივაა), ხელისუფლება შეთანხმდა დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების დამუშავების სისტემა დაენერგა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ეს მოიცავს TADAT (საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური კვლევის ინსტრუმენტი) სტანდარტს, რომელიც მოითხოვს ყველა საკრედიტო დეკლარაციის 90 პროცენტის დამტკიცებას თანხის დასაბრუნებლად 30 დღის განმავლობაში, რისკების ანალიზს, პოსტ აუდიტს და რამდენიმე წინასწარ შემოწმებას. ასევე შემუშავდა არსებული საკრედიტო მარაგის მნიშვნელოვნად შემცირების სტრატეგია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით საქართველომ უზრუნველყო დღგ-ს ავტომატური სისტემის (AVS) განვითარების შესაძლებლობების ფართო განვითარება, რომელიც აფასებს დღგ-ს ყველა დეკლარაციის რისკებს. AVS აღჭურვილია დაბრუნების რისკის ინდიკატორების ფართო ნაკრებით, რომლებიც ხასიათდება გონივრული „ზემოდან ქვევით“ პროცესების გამოყენების, რისკების რანჟირებისა და პრიორიტეტიზაციის მეთოდოლოგიის ერთობლიობით. AVS-ის მიერ უარყოფილი დეკლარაციები ექვემდებარება ვალიდაციას და შესაბამისობის სხვა ღონისძიებებს, მათ შორის აუდიტს.

AVS, რომელიც დაინერგა 2019 წლის თებერვალში, კარგად მუშაობს და შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა დამტკიცებული საკრედიტო ანაზღაურების რაოდენობაც და თანხაც. ავტომატურად დამტკიცებული საკრედიტო დეკლარაციების რაოდენობამ 90 პროცენტს გადააჭარბა. მოთხოვნილი ფულადი თანხის დაბრუნების მოცულობა კვლავ რჩებოდა დაბალი, მთლიანი კრედიტების მხოლოდ 28 პროცენტი დაბრუნდა[1], რადგან გადასახადის გადამხდელებს უწინდებურად უნდა გაეგრძელებინათ ზემდეტად გადახდილილ თანხის დაბრუნებაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის/განაცხადების წარდგენა. თუმცა, 2019 წლის ივლისში, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც საშუალებას აძლევდა შემოსავლების სამსახურს საგადასახადო კრედიტით წარდგენილი დეკლარაციების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება განხორციელებულ იყო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის გარეშე. 2020 წლის 16 ნოემბრიდან დაწყებული[2], საქართველოს შემოსავლების სამსახური იყენებს ამ სიახლეს დღგ-ს დაბრუნებაზე. რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება (იხ. დიაგრამა 1).

[1] წყარო: შემოსავლების სამსახური

[2] 2019 წლის 14 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის #42 ბრძანება (მუხლი 7, პუნქტი 1[1])

დიაგრამა 1



საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა გადამხდელთა კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა (CIP) 2019–2020 წლებისთვის. ეს გეგმა ყურადღებას ამახვილებს შემოსავლების შესაბამისობის რისკების ოთხ მთავარ სფეროზე, მათ შორის დღგ-ს შესაბამისობაზე, დღგ-ის დიდი წვლილის აღიარებით მთავრობის შემოსავლებში. კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის მიხედვით შესაძლებელია არასწორად წარდგენილი დღგ-ს დეკლარაციების დამუშავება განხორციელდეს რისკებზე დაფუძნებული მიდგომით. ტიპიური შეუსაბამობები მოიცავს ბრუნვის შემცირებას; არასწორი კორექტირება და განაწილება; არასწორი წინასწარი გადახდები; რესტრუქტურიზაცია დღგ-ს თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით; და თანხის დაბრუნების არასწორი და თაღლითური შემთხვევები.

ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების გავლენა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე

აღსანიშნავია, რომ 2010-2022 წლებში საქართველოში სულ ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებებში, დღგ-ის დაბრუნების საშუალო თანაფარდობის მაჩვენებელი შეადგენს 98,1%-ს. ხოლო, იგივე პერიოდში დღგ-ის შემოსავლების საერთო საგადასახადო შემოსავლებში საშუალო წლიური თანაფარდობის წილი შეადგენს 43,7%-ს[1].

თუ, დავაკვირდებით 2010-2022 წლების მონაცემებს, ჯამურად დიდი წილი დღგ-ის დაბრუნებებისა მოდის მომსახურების სექტორზე - 61%, მრეწველობაზე - 32% და სოფლის მეურნეობაზე - 3% (იხ. დიაგრამა 2).

[1] წყარო: შემოსავლების სამსახური

დიაგრამა 2.



თუ დავაკვირდებით ცხრილი 1-ის მონაცემების ზოგიერთ ტრენდს, ვნახავთ, რომ თუ 2017 წელს დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებამ შეადგინა 217,8 მლნ ლარი, 2022 წელს ეს მაჩვენებელი გაზრდილია 10-ჯერ. შესაბამისად, დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების თანაფარდობა GDP-სთან თუ 2017 წელს 0,6% შეადგენს, 2022 წლისათვის მისი მაჩვენებელი გაზრდილია 5 ჯერ და შეადგენს 3,2%-ს.

დღგ-ის შემოსავლებიც მზარდია, თუ 2017 წელს მისი თანაფარდობა GDP-სთან 2,78%-ს შეადგენს, 2022 წელს გაორმაგებულია და 5,33%-ი შეადგინა.

ცხრილი 1.

დღგ-ის მონაცემი ძირითად მაკროეკონომიკურ
მაჩვენებლებზე საქართველოში, 2017-2022წ.

	2017	2018	2019	2020	2021	2022
GDP (მიმდინარე ფასი. მლნ ლარი)	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,266.7	60,003.3	71,754.2
საბოლოო მოხმარება, შინამეურნეობები (მლნ.	27,213.8	29,728.4	33,864.2	38,663.1	48,847.8	53,613.4
დღგ-ის შემოსავლები (მლნ. ლარი)	4122.6	4426.9	5239.0	4837.2	6029.5	7452.9
დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნებები (მლნ. ლარი)	217.8	509.4	608.5	1026.4	1908.1	2208.4
დღგ-ის განაკვეთი	18	18	18	18	18	18
დღგ-ის დაბრუნების თანაფარდობა GDP-სთან	0.6	1.2	1.2	2.1	3.2	3.2
დღგ-ის შემოსავლის თანაფარდობა GDP-სთან	2.78	2.67	3.58	4.58	5.33	5.33
დღგ-ის თანაფარდობა საბოლოო მოხმარებასთან	3.22	2.95	3.97	4.91	5.85	5.85
დღგ-ის შემოსავლის თანაფარდობა საგადასახადო შემოსავლებთან	42.2	42.1	45.9	44.1	45.1	42.9

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზედმეტად გადახდილი გადასახადების სწრაფმა და შეუფერხებელმა დაბრუნებამ პირველ რიგში უნდა გაზარდოს კომპანიების საბრუნავი საშულებები და სხვა თანაბარ პირობებში მას გავლენა უნდა ქონდეს როგორც მოხმარებაზე, ისე ექსპორტის წახალისებაზე და ინვესტიციების ზრდაზე. საქართველოს მაგალითზე გავაანალიზოთ ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მომხმარებაზე გავლენა, რომელიც თავის მხრივ ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის მოქალაქეების მთლიან შემოსავალზე, ანუ GDP-ზე. ამ კავ-

შირის დადგენაში და შეფასებაში გამოყენებულია წლიური მონაცემები 2010-2022 წლებისათვის (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

წელი	CO	GDP	REF
2010	20,316.20	26,640.66	122.37
2011	22,135.87	28,601.59	64.58
2012	23,060.20	30,436.89	132.65
2013	23,646.58	31,537.36	81.09
2014	24,998.97	32,938.10	89.05
2015	25,946.34	33,935.02	106.92
2016	24,478.79	34,921.11	141.84
2017	26,287.04	36,612.46	181.12
2018	27,814.61	38,385.51	408.97
2019	29,821.06	40,298.01	459.99
2020	32,436.87	37,573.69	739.96
2021	37,126.13	41,505.98	1,253.22
2022	36,440.24	45,701.70	1,314.85

შენიშვნა: მონაცემები მუდმივ ფასებში, მლნ ლარში; CO -მოხმარება, REF - ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება როგორც კორელაციური ანალიზი გვიჩვენებს ამ ცვლადებს შორის კავშირი საკმაოდ მაღალია და დაბრუნებებსა და მოხმარებებს შორის კორელაცია 95%-საც კი აღწევს (ცხრილი 3).

ცხრილი 3.

Covariance Analysis: Ordinary Sample: 2010 2022 Included observations: 13			
Correlation	REF	CO	Y
REF	1.00		
CO	0.95	1.00	
Y	0.83	0.92	1.00

თუმცა, რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება აღნიშნულ მწკრივებზე არ არის გამართლებული არსებული მოდიფიკაციით, რადგან სამივე მათგანი ე.წ. განშლადი (არასტაციონალური) მწკრივებია და რეგრესიული ანალიზისათვის შედეგების დამახინჯებას გამოიწვევს.

სტანდარტული ერთეულოვანი ფესვის (Unit root) ტესტის საფუძველზე დავტესტეთ აღნიშნული მწკრივები და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი სტაციონალურები ხდებიან პირველ განსხვავებაზე, ანუ არიან I(1) პროცესები.

ცხრილი 4.

Null Hypothesis: D(Y) has a unit root
Exogenous: Constant
Lag Length: 1 (Automatic - based on SIC, maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-4.648659	0.0061
Test critical values:	1% level	-4.297073	
	5% level	-3.212696	
	10% level	-2.747676	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.
Warning: Probabilities and critical values calculated for 20 observations and may not be accurate for a sample size of 10

Null Hypothesis: D(CO) has a unit root
Exogenous: Constant
Lag Length: 0 (Automatic - based on SIC, maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-2.937242	0.0725
Test critical values:	1% level	-4.200056	
	5% level	-3.175352	
	10% level	-2.728985	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.
Warning: Probabilities and critical values calculated for 20 observations and may not be accurate for a sample size of 11

Unit root test results

Unit Root with Break Test on D(REF)

Null Hypothesis: D(REF) has a unit root
Trend Specification: Trend and intercept
Break Specification: Intercept only
Break Type: Innovational outlier

Break Date: 2020
Break Selection: Minimize Dickey-Fuller t-statistic
Lag Length: 1 (Automatic - based on Schwarz information criterion maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-6.500254	< 0.01
Test critical values:	1% level	-5.347598	
	5% level	-4.859812	
	10% level	-4.607324	

*Vogelsang (1993) asymptotic one-sided p-values.

აღსანიშნავია 2 ფაქტორი: მოხმარების (CO) შემთხვევაში იგი სტაციონალურია პირველ სხვაობაზე მხოლოდ 10%-იან დონეზე, თუმცა მონაცემების რაოდენობის სიმწირის გათვალისწინებით შესაძლებელია მისი რეგრესიაში გამოყენება. დაბრუნებების შემთხვევაში, რადგან მწკრივს 2020 წლიდან მოყოლებული (ზემოთაღწერილი რეფორმის გამო) აქვს მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილება (break), გამოყენებული იყო ერთეულოვანი ფესვი ბრეიქით (breakpoint unit root test), სადაც 2020 წელი მითითებული იყო როგორც ერთჯერადი დონის ცვლილება. აღნიშნული ტესტის მიხედვით დაბრუნებების მწკრივი რეფორმის გათვლისწინებით სტაციონალურია პირველ განსხვავებაზე.

მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ, რომ საანალიზო მონაცემები სტაციონალური იყო პირველ განსხვავებაზე, შესაძლებელია რაოდენობრივ ანალიზში გამოყენებული იყოს ე.წ. ცდომილების შესწორების მეთოდი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ცვლადებს შორის აღმოჩნდა გრძელვადიანია თანაკავშირი ე.წ. კოინტეგრაცია (cointegration).

როგორც იოჰანსონის ტესტი გვიჩვენებს, ამ სამ ცვლადს შორის არსებობს კოინტეგრაციის 1 ვექტორი, რაც საშუალებას გვაძლევს რეგრესიული ანალიზისას განოვიყენოთ ცდომილების შესწორების მეთოდი.

ცხრილი 5.

იოჰანსონის კოინტეგრაციის ტესტი.

Johansen Cointegration Test

Date: 07/21/23 Time: 11:53
Sample: 2010 2022
Included observations: 13
Lags interval (in first differences): 1 to 1
Endogenous variables: CO REF Y
Deterministic assumptions: Case 3 (Johansen-Hendry-Juselius): Cointegrating relationship includes a constant. Short-run dynamics include a constant.

Rank Tests

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.** Critical Value
None *	0.927517	39.63499	29.79707	0.0027
At most 1	0.621200	10.76651	15.49471	0.2263
At most 2	0.007994	0.088285	3.841465	0.7664

Trace test indicates 1 cointegrating equation(s) at the 0.05 level
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ რომ ცვლადები პირველ განსხვავებაზე არიან სტაციონალურები და მათ შორის არსებობს კოინტეგრაცია, შესაძლოა ჩვენ გამოვიყენოთ ენგელ გრეინჯერის 2 საფეხუროვანი მიდგომა: შევაფასოთ რეგრესია არასტაციონალურ მწკრივებზე:

$$y_t = \beta_0 + \beta_1 x_t + \varepsilon_t \tag{1}$$

სადაც, y არის დამოკიდებული ცვლადი, ხოლო x დამოუკიდებული. რეგრესია (1)-დან ამოვიღოთ ნარჩენობითი წევრი (რეზიდუალი) და იგი გამოვიყენოთ შემდეგ საფეხურზე ე.წ. შეზღუდული ცდომილების კორექციის მოდელის ასაგებად.

ამისათვის, შეფასებული რეზიდუალი უნდა ჩავსვათ ახალ რეგრესიაში 1 პერიოდის ლაგით, სადაც გამოყენებული იქნება დამოკიდებული და დამოუკიდებელი წევრების პირველი განსხვავებები.

$$A(L)\,\Delta y_t = \gamma + B(L)\,\Delta x_t + \alpha\hat{\varepsilon}_{t-1} + \nu_t. \tag{2}$$

რეგრესია (2) წარმოადგენს ცდომილების კორექციის მოდელის ტიპურ შემთხვევას, რომელიც გამოყენებულია ჩვენს შემთხვევაში დაბრუნებების მოხმარებაზე გავლენის შესაფასებლად.

ჩვენს რეგრესიას აქვს შემდეგი ფორმა:

ცხრილი 6.

Dependent Variable: LOG(CO)-LOG(CO(-1))
Method: Least Squares
Date: 07/21/23 Time: 11:55
Sample (adjusted): 2011 2022
Included observations: 12 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(Y)-LOG(Y(-1))	0.661776	0.247533	2.673487	0.0255
LOG(REF)-LOG(REF(-1))	0.051604	0.032473	1.589146	0.1465
RESID01(-1)	-0.762836	0.310948	-2.453261	0.0366

R-squared	0.205799	Mean dependent var	0.048688
Adjusted R-squared	0.029309	S.D. dependent var	0.050320
S.E. of regression	0.049577	Akaike info criterion	-2.958243
Sum squared resid	0.022121	Schwarz criterion	-2.837017
Log likelihood	20.74946	Hannan-Quinn criter.	-3.003126
Durbin-Watson stat	1.607019		

სადაც, RESID01 წარმოადგენს მოხმარებას, GDP-ს და დაბრუნებებს შორის დონეებზე გაკეთებული მოდელი თავის გრძელვადიან წონასწორობას და იმისათვის, რომ ცდომილების შესწორების მოდელი იყოს სტაბილური, აღნიშნული კოეფიციენტი უნდა იყოს უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენი მოდელი აკმაყოფილბს.

როგორც რეგრესიიდან ჩანს, დაბრუნებების კოეფიციენტი მხოლოდ 15%-იანი ალბათობით არის მნიშვნელოვანი, თუმცა მასში არსებული ცვლილებებისა (breaks) და შესაფასებელი რეგრესიის თავისუფლების ხარისხის სიმცირის გამო, მაინც შესაძლებელია მოვახდინოთ მისი ინტერპრეტაცია.

არსებული კოეფიციენტი წარმოადგენს მოკლევადიან ელასტიკურობებს (რადგან ცვლადები აღებულია ლოგარითმის ქვეშ) და შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც: ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების 1%-ით ზრდა იწვევს მოხმარების 0.05%-ით ზრდას. 2022 წლის მონაცმებეზე დაყრდობით რეალური დაბრუნების 1% იყო 13.1 მლნ ლარი, ხოლო რეალური მოხმარების 0.05% კი 18.8 მლნ ლარი.

ჩვენს შეფასებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ, დაბრუნებების 1 რეალური ლარით ზრდა იწვევს მოხმარების 1.4 ლარით ზრდას. შედეგად ვასკვნით, რომ ყოველ 13,15 მლნ ლარის ზედმეტობის გადამხდელთათვის დაბრუნება იწვევს მოხმარების ზრდას 18,8 მლნ ლარით.

დასკვნა

დღგ არის საგადასახადო სისტემების ძირითადი კომპონენტი მთელ მსოფლიოში. დღგ-ის დაბრუნების სისტემა გავლენას ახდენს როგორც მოხმარებაზე, ასევე GDP-ს დონეზე. გავლენა უფრო ძლიერია, თუ მას უკავშირდება მზარდი კერძო ინვესტიცია. ეკონომეტრიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზედმეტად გადახდილი თანხები დაბრუნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოხმარებაზე და GDP-ს დონეზე, უფრო ხელშესამჩნევია მომსახურების, მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

2000-2008 წლებში ევროკავშირის საშუალო სტანდარტული მაჩვენებელი განვითარებადი ქვეყნებისთვის თითქმის სტაბილური იყო, მაგრამ 2008 წელს, გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დასაწყისში, სტანდარტული მაჩვენებელი ზრდა დაიწყო. ბევრ ქვეყანაში სტანდარტული განაკვეთი შეიცვალა კრიზისის შემდეგ (ესტონეთი,

ხორვატია, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი). ძლიერი ნეგატიური კორელაცია დღგ-ს შესრულებასა და სტანდარტულ განაკვეთს შორის მიუთითებს, რომ სტანდარტული განაკვეთის ნებისმიერი ცვლილება იწვევს დღგ-ის გადასახადის ამოღების ეფექტურობის მნიშვნელოვან შემცირებას. შესაბამისად, არაადეკვატურად განსაზღვრულმა საგადასახადო პოლიტიკამ შეიძლება შექმნას არახელსაყრელი ბიზნეს გარემო და გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე [1].

ამ ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც კარგი საინფორმაციო ბაზა პოლიტიკის შემქმნელებისთვის დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების და დღგ-ის შესრულების გაზრდისკენ მიმართული აქტივობების განხორციელებისას. მკაფიოდ განსაზღვრულ პოლიტიკას შეუძლია გააუმჯობესოს ქვეყნის განვითარება და კონკურენტუნარიანობა.

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს თავისი ძალისხმევა ბიზნესისათვის მათივე კუთვნილი ზედმეტად გადახდილი თანხების მყისიერად უკან დაბრუნებისთვის - რათა მოხდეს მათი სტიმულირება ნაღდ ფულთან შეუფერხებელად/დროულად წვდომის მიზნით. აღნიშნული კი ბიზნესისთვის საინვესტიციო ბუნების მნიშვნელობის შემძენია, ვინაიდან ახალისებს მოხმარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. How to Manage Value-Added Tax Refunds, International Monetary Fund, 2021,
2. Graham Harrison and Russell Krelove, VAT Refunds: A Review of Country Experience, 2017
3. Abramovsky, Phillips, Warwick, Redistribution, efficiency and the design of VAT: a review of the theory and literature, 2017

ელექტრონული გვერდი

1. https://taxation-customs.ec.europa.eu/sites/default/files/taxation_trends_report.pdf.
2. http://www.vatlive.com/vat-rates/international-vat-and-gst-rates/.
3. https://www.nbs.rs/internet/cirilica/80/index.
4. https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2022-12/VAT%20in%20the%20Digital%20Age_Final%20Report%20Volume%202.pdf
5. https://www.geostat.ge/ka
6. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

Reforming the System of Refund of Overpaid Amounts on the Example of Georgia and its Impact on Macroeconomic Indicators

Levan Dgebuadze
TSU Ph.D. Student

SUMMARY

VAT is a key component of the tax systems around the world. The VAT refund system affects both consumption and GDP level. The impact is even stronger if it is associated with increasing private investment. Econometric analysis reveals that the recovery of overpayments has a significant impact on consumption and GDP levels, more noticeable in the services, industry and agricultural sectors.

Between 2000 and 2008, the EU average standard rate for developing countries was almost stable, but in 2008, at the beginning of the global economic and financial crisis, the standard rate began to rise. In many countries, the standard rate was changed after the crisis (Estonia, Croatia, Latvia, Lithuania, Hungary). The strong negative correlation between VAT performance and the standard rate indicates that any change in the standard rate leads to a significant reduction in the efficiency of VAT collection. Consequently, an inadequately defined tax policy can create an unfavorable business environment and affect economic growth and development [1].

The findings presented in this paper can be used as a good information base for policy makers in implementing activities aimed at recovering VAT overpayments and increasing VAT compliance. Clear policies can improve country's development and competitiveness.

მეწარმეების გამოწვევები და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობა (ფოკუსი: აფხაზეთიდან დევნილი მცირე მეწარმეები)

ბექა ზაუტაშვილი
თსუ დოქტორანტი

წლების განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ დევნილი მცირე მეწარმეები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან და პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოს ჩართულობა აუცილებელია. თუმცა, დევნილებისთვის გათვლილი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით მცირე მეწარმეების ნაწილი ვერ სარგებლობს, რაც პოტენციური ბენეფიციარების აზრით გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით: დაფინანსების დაბალი მოცულობა, საქმიანობასთან შეუსაბამობა, სააპლიკაციო ფორმების კომპლექსურობა და სხვა. თუ ტენდენცია უცლველი დარჩება დევნილი მცირე მეწარმეების პრობლემები ახლო მომავალში არ შეიცვლება და მსოფლიო კრიზისების ფონზე შესაძლებელია გაუარესდეს.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ამ კატეგორიას მიკუთვნებული მცირე მეწარმეების გამოწვევების გამოვლენა, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება. თემის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის და ოფიციალური დოკუმენტების, ასევე ჩატარებული ონლაინ კვლევის შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დევნილი მეწარმეების მხარდამჭერი პროგრამები დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება. აღნიშნულ ფაქტს განაპირობებს მიზნობრივ პროგრამებზე გათვალისწინებული ბიუჯეტის სიმცირე, ინფორმაციის არასათანადო გავრცელება და პროექტების სპეციფიკა, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება პოტენციური ბენეფიციარების საქმიანობასა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია: აუცილებელია ჩატარდეს ფართო კვლევა დევნილი მეწარმეების საჭიროებების გამოსარკვევად, უნდა გაიზარდოს არსებული პროგრამების რაოდენობა ან/და დაფინანსების მოცულობა, პროგრამების შესახებ ინფორმაცია უფრო ინტენსიურად უნდა გავრცელდეს.

საკვანძო სიტყვები: *მცირე მეწარმეობა, იძულებით გადაადგილებული პირები, მცირე მეწარმეების ხელშეწყობა, სახელმწიფო პროგრამები*

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება“ (საქართველოს კონსტიტუცია). თუმცა, ტერიტორიული დავებიდან გამომდინარე ეს უფლება საქართველოს მოსახლეობას შეზღუდული აქვს. შეზღუდვა ყველაზე მეტად აწვება იმ 300 000-მდე იძულებით გადაადგილებულ პირს, რომლებმაც 1992-1993 და 2008 წლის საომარი კონფლიქტების შედეგად საცხოვრებელი დატოვეს და ქვეყნის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან მოწყვლად ჯგუფად იქცნენ, მაგ: 2023 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით მხოლოდ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის სოციალურად დაუცველია 49 481 პირი, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა - 17 516. დევნილის სტატუსის მქონე ადამიანების სიმრავლის (საქართველოს მოსახლოების დაახლოებით - 7.8%) და საქართველოში გეოპოლიტიკური არამდგრადობის გათვალისწინებით აუცილებელია იძულებით გადაადგილებულ პირებთან აქტიური მუშაობა, მათ შორის დევნილი მეწარმეების საჭიროებების გამოვლენა და სხვა ქმედითი რონისძიბებეის პარალელურად მათი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა.

დევნილების პრობლემების გადაუჭრელობის გათვალისწინებით, წლების განმავლობაში საქართველოში არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევა და პროექტი განხორციელდა, მათ შორის: 2014 წლის გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women, 2014), მსოფლიო ბანკის 2016 წლის კვლევის (The World Bank, 2016) და 2018 წელს აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის (პალატა, 2018) მიერ ჩატარებული კვლევები ნათლად ასახავენ დევნილების/დევნილი მეწარმეების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ასევე, 2020 წელს საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა აფხაზეთმა (CHCA) ქუთაისის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში ჩაატარა სოციალური საჭიროებების კვლევა, რომელიც მოიცავდა დევნილ მოსახლეობასაც (CHCA, 2020). ჩატარებულ კვლევებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ბანკის კვლევაა, რომლის მიხედვით ქვეყანაში დევნილების მიმართ არსებული პოლიტიკის ჩარჩო კარგად შემუშავებულია, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს დევნილებისთვის სერვისების სრულყოფილ მიწოდებას. ამავე კვლევის მიხედვით სიღარიბის დონე მკვეთრად არ განსხვავდება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის, მაგრამ განსხვავდება მათი დასაქმებისა და სტაბილური შემოსავლების მაჩვენებლები. შესაბამისად, საჭიროა დევნილების შინამეურნეობების მხარდაჭერა, მაგრამ ნებისმიერი რეფორმა, რომელიც შეეხება მათ დახმარებას საბოლოო მიზნად უნდა ისახავდეს დევნილი მეწარმეების ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას სახელმწიფოზე (World Bank, 2016).

საყურადღებოა 2018 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩატარებული კვლევა - „საქართველოში დევნილთა საკვანძო დასახლებებში მცირე და საშუალო დონის ბიზნესის განვითარების საჭიროებები“. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დევნილ მცირე მეწარმეებს ძირითადად აქვთ შემდეგი პრობლემები (აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა, 2018):

- ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა - კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად აღებული აქვს სესხი;
- სამეწარმეო უნარები - სოფლის მეურნეობის, სხვდასხვა სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებით დაბალი კვლაიფიკაცია, ციფრული სამეწარმეო უნარების ნაკლებობა;
- სამეწარმეო ფართების ან ტექნოლოგიებზე/ინვენტარზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო საქმიანობის დაწყება რთულია.

კვლევების მრავალფეროვნებისა და მათ მიერ გამოვლენილი გამოწვევების მიუხედავად მათი უმრავლესობა ჩატარდა პანდემიამდე და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტამდე. შესაბამისად, მათ მიერ გამოვლენილი ეკონომიკური პრობლემები/სირთულეები შესაძლოა

აღარ პასუხობდნენ დევნილი მეწარმეების ახლანდელ გამოწვევებს. რაც შეეხება 2020 წელს ჩატარებულ კვლევას, ის სოციალური ხასიათის მატარებელი იყო და კონკრეტულად დევნილი მეწარმეების გამოწვევებს ნაკლებად ასახავდა.

ჰიპოთეზა: დევნილებისთვის, რომლებიც დაკავებული არიან მცირე სამეწარმეო საქმიანობით, მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, რაც განპირობებულია სახელმწიფო პროგრამებში დაბალი ჩართულობითა და ამ პროგრამების დაბალეფექტიანობით.

კვლევის მიზანი: კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში დევნილი მცირე მეწარმეების გამოწვევების გამოვლენა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება შემდგომი რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

კვლევის ამოცანები:

- დევნილი მცირე მეწარმეებისთვის ინკლუზიური გარემოს შესაფასებლად შესაბამისი კვლევების და ნაშრომების შეფასება;
- დევნილი მეწარმეების ცოდნის, ეკონომიკური შესაძლებლობების და სამეწარმეო უნარების გამოვლენა;
- სახელმწიფო პროგრამების მნიშვნელობის და ეფექტიანობის გამოკვეთა დევნილი მცირე მეწარმეების საქმიანობაში;
- მეწარმე იძულებით გადაადგილებული პირების დამოკიდებულების შესწავლა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური პროგრამების მიმართ;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში თემის აქტუალობისა და პრობლემის განსაზღვრისთვის დამუშავდა და გაანალიზდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა და დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური მასალა. მოძიებული მასალის შედარება მოხდა არსებულ სტატისტიკასთან და თითოეული კვლევის შედეგის შედარება მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნებთან და რეკომენდაციებთან.

კვლევის ფარგლებში დევნილების სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობის დასადგენად დაკავშირება მოხდა ორ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „ეკონომიკური პროგრამების სააგენტო“, რომლებმაც მოგვაწოდეს შესაბამისი სტატისტიკა მათ მიერ გამოცხადებულ პორგრამებში დევნილი მეწარმეების ჩართულობის სესახებ.

ასევე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით ჩატარდა ონლაინ კვლევა, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტებს გადაეგზავნათ Google forms-ში დახურული კითხვებისგან შედგენილი კითხვარი. კითხვარში, გარდა დემოგრაფიული ნაწილისა, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ორი მიმართულებით: (1) დევნილი მცირე მეწარმეების სამეწარმეო პოტენციალის და სამეწარმეო უნარების გამოვლენა/შეფასება; (2) სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის მიმართ მათი დამოკიდებულების განსაზღვრა.

კვლევის შედეგები

დევნილი მცირე მეწარმეები ზემოხსენებული ინფორმაციების მიხედვით არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. ასევე, ცხადია მათი მონაწილეობა სხვადასხვა ეკონომიკურ საგრანტო პროგრამასა და აქტივობაში არ გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლებით (მაგ: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „ეკონომიკური პროგრამების სააგენტო“-ს მოწოდებული ინფორმაციები).

დიაგრამა 1: სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეტანილი განაცხადები (2020 და 2022 წწ)

წყარო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“



დიაგრამა 2: სსიპ „ეკონომიკური პროგრამების სააგენტო“-ს პროგრამებში შემოსული განაცხადების და გამარჯვებული აპლიკანტების რაოდენობა 2022-23 წლებში

წყარო: სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტო

გამოთხოვილი ინფორმაციის პარალელურად კვლევითი პროექტის ფარგლებში გაკეთდა ონლაინ გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო: დევნილი მცირე მეწარმეების გამოწვევების დადგენა, საგრანტო პროგრამებში იმ შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა, რომელიც დევნილი მეწარმეების ჩართულობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ასევე, ონლაინ გამოკითხვა ითვალისწინებდა გამოკითხული სუბიექტების დამოკიდებულების

განსაზღვრას სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 77-მა რესპონდენტმა, რომლებსაც კითხვარები გადაეგზავნათ ონალინ - Google Forms-ის ფორმატით. კითხვარის გასავრცელებლად ძირითადად გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელი - Facebook, კერძოდ ჯგუფები, სადაც დიდი რაოდენობის დევნილი მოსახლეობა, მათ შორის დევნილი მეწარმეები იყრიან თავს. კვლევა შედგებოდა 22 დახურული კითხვისგან, რომელიც მოიცავდა დემოგრაფიულ ნაწილსაც.

გამოკითხული რესპონდენტების 87% (67 რესპონდენტი) დაკავებულია მცირე საქმიანობით, ხოლო 13% (10 რესპონდენტი) საშუალო ზომის ბიზნესს ფლობს. კვლევითი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ფოკუს ჯგუფად მოიაზრებს დევნილ მცირე მეწარმეებს, საშუალო ზომის ბიზნესის მფლობელი რეპოსდენტების პასუხები გათვალისწინებულია მხოლოდ დემოგრაფიულ ნაწილში. გამოკითხულთა დიდი ნაწილი წარმოადგენენ თბილისის, სამეგრელოს და იმერეთის რეგიონებს, რაც დევნილების კომპაქტური განსახლების ობიექტებით თუ ვიმსჯელებთ სავსებით ლოგიკურია (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3: რესპონდენტების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

საქმიანობაში ყველაზე მთავარ გამოწვევად 67 რესპონდენტიდან 42-მა დაასახელა ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ კითხვაში რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე პრობლემა, რამაც გავლენა იქონია პასუხების საერთო რაოდენობაზე. ამასთანავე, საინტერესოა, რომ მიუხედავად საერთო პრობლემისა - ფინანსური ხელმისაწვდომობა, რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა: არაეფექტიანი წარმოება (19 რესპონდენტი), მიწოდების ჯაჭვთან დაკავშრებული პრობლემები (10 რესპონდენტი). რეგიონებში ყველაზე ნაკლებად აქტუალურ პრობლემად მიჩნეულ იქნა ციფრული ტექნოლოგიების არაეფექტიანი გამოყენება. საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა დედაქალაქში მოქმედი მცირე მეწარმეების მხრიდან, ფინანსების გარდა ტოპ პრობლემებად დასახელდა: ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (17 რესპონდენტი), ციფრულ ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (9 რესპონდენტი), ციფრული ტექნლოგიების არაეფექტიანი გამოყენება (8 რესპონდენტი) და მომხმარებელთა დაბალი მაჩვენებელი (7 რესპონდენტი). დედაქალაქში ყველაზე ნაკლებ პრობლემად მიჩნეულ იქნა - გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (1 რესპონდენტი). მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე-

ობა მიიღო 77 მეწარმემ და მხოლოდ 67 მათგანის მიერ დასახელებული პრობლემებია განხილული ნაშრომში, შესაძლებელია ითქვას, რომ გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია - დედაქალაქსა და რეგიონებს შორის არსებობს ციფრული უფსკრული და პრობლემები განსხვავდება რეგიონების მიხედვით (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4: ძირითადი გამოწვევების ბადე რეგიონებსა და თბილისში გამოკითხულ დევნილ მეწარმეებში

ძირითადი გამოწვევების პარალელურად მონაწილეებმა პასუხი გასცეს კითხვას, თუ რა კონკრეტული ფაქტორები განაპირობებდა მათ წინაშე არსებულ პრობლემებს. აღნიშნულ კითხვაზეც შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა. მიღებულ შედეგებს შორის ყველაზე მეტმა რესპონდენტმა გამომწვევ ფაქტორად დაასახელა ეკონომიკური ფაქტორები.

პრობლემების შემსუბუქებისთვის/მოსაგვარებლად გამოკითხული რესპონდენტების ნახევარი თვლის, რომ საგრანტო კონკურსები ერთ-ერთი გამოსავალია და 34 მეწარმეს მიუღია კიდეც საგრანტო კონკურსში/ტრენინგში/პროგრამაში მონაწილეობა. 67 მეწარმიდან 14-ს არ მიუღია, მაგრამ სამომავლოდ აპირებს, ხოლო 19 აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა და არც აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ დევნილი მეწარმეების ნაწილს შევსებული აქვს განაცხადი სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში, მხოლოდ 16 (47%) დაკმაყოფილდა. გამარჯვებული/დაკმაყოფილებული ბენეფიციარების მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამების/კონკურსების მიხედვით ასე გამოიყურება:



დიაგრამა 5: გამარჯვებული დევნილი მეწარმეები სხვადასხვა პროგრამაში/კონკურსში

პროგრამაში მონაწილეობის მიღების შემდეგ დაკმაყოფილებულმა ბენეფიციარებმა მათ წინაშე მდგარი პრობლემა ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრეს, რომელიც ძირითად შემთხვევაში (7 რესპონდენტი) გულისხმობდა ტექნოლოგიებზე დაბალ ხელმისაწვდომობას. 16 წარმატებული პროექტიდან/განაცხადიდან მხოლოდ ერთმა მეწარმემ ვერ გადაჭრა საქმიანობასთან დაკავშირებული ვერც ერთი პრობლემა.

რესპონდენტების უმრავლესობამ კითხვაზე „ჩამოთვლილიდან რა ფაქტორი აფერხებს თქვენს მონაწილეობას სახელმწიფო პროგრამებში?“ ძირითადად მსგავსი პასუხები გასცა და მათი უმრავლესობა შეჯერდა სამ მთავარ ფაქტორზე:

- საგრანტო კონკურსის/პროგრამის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს საქმიანობა - 46.8%;
- დაფინანსების მოცულობა დაბალია/არაა მიმზიდველი - 46.8%;
- სააპლიკაციო ფორმები შესავსებად რთულია - 42.9%.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფაქტი, რომ მცირე მეწარმეები ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ დაფინანსების მოცულობას და აღნიშნავენ, რომ გათვალისწინებული თანხა დაბალია. ეს ფაქტი, შესაძლებელია გამოწვეული იყოს დევნილი მეწარმეების საგრანტო პროექტის სიდიდით ან მათ წინაშე მდგარი გამოწვევების მასშტაბურობით.

ზემოხსენებული ფაქტორების, კერძოდ სახელმწიფო პროგრამებში დევნილი მეწარმეების დაბალი ჩართულობის ან/და გამარჯვებული ბენეფიციარების დაბალი მაჩვენებლის გამო კვლევა ითვალისწინებდა რამდენიმე სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 6: სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის/ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასება



დიაგრამა 7: რესპონდენტების შეფასება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ

რესპონდენტების შეფასებებზე საუბრისას საინტერესოა სახელმწიფოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობის მიმართ მათი ასაკობრივ ჭრილში განხილვა. აღსანიშნავია, რომ 18-24 შუალედში მოქცეული რესპონდენტები უფრო მეტად კეთილგანწყობილი არიან სახელმწიფოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც, თუმცა, მათში შედარებით მეტია სკეპტიკურად განწყობილი მოპასუხეების პროცენტული მაჩვენებელი.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში დევნილი მოსახლეობის მხარდამჭერი პროგრამების მიუხედავად მათი საკითხი კლავ გადაუჭრელია და ხშირ შემთხვევაში მსგავსი აქტივობების ეფექტიანობა საეჭვოა. აღნიშნულს არაერთი კვლევაც ამტკიცებს (World Bank 2016, აფხაზეთის ა/რ სა-

ვაჭრო-სამრეწველო პალატა 2018), რომლებიც ხაზს უსვამენ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა ტიპის პრობლემებს. პრობლემურია დევნილი მცირე მეწარმეების საქმიანობაც და სახელმწიფო პროგრამებში დაბალი ჩართულობის გამო ეს გამოწვევებიც უცვლელი რჩება.

აღსანიშნავია, რომ დაბალ ჩართულობას განაპირობებს ასევე მიზნობრივი პროგრამების რაოდენობაც და დაფინანსების მოცულობაც. მაგალითისთვის, ასევე დევნილობაში მომუშავე აფხაზეთის ავტონომიური მთავრობა და მისი სტრუქტურები მცირე ბიუჯეტის მიუხედავად (2023 წლის ბიუჯეტი დაახლ. – 28,3 მლნ ლარია) დევნილების მხარდამჭერ პროგრამებზე საშუალოდ 6.5 მლნ ლარს ხარჯავენ. აღნიშნული თანხა გათვლილია დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად (მაგ: განათლება, ჯანმრთელობა, გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის ხელშეწყობა, ეკონომიკური ხელშეწყობა და სხვ. ტიპის პროგრამები). სწორედ ამიტომ, დევნილი მეწარმეების მხარდამჭერ პროგრამებზე გათვალისწინებული ფინანსები არსებული გამოწვევების გადასაჭრელად არასაკმარისია (2023 წელს სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისთვის პროგრამებზე გამოყოფილმა თანხამ დაახლოებით - 517 000 შეადგინა). აღნიშნული კი დევნილ მეწარმეებში არსებულ მთავარ გამოწვევას - ფინანსებზე დაბალ ხელმისაწვდომობას ახლო მომავალში ვერ აღმოფხვრის.

ამრიგად, კვლევის პასუხების, სახელმწიფო ორგანიზაციების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დევნილებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, შესაძლებელია რამდენიმე რეკომენდაციის გაცემა:

1. სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ავტონიმურმა რესპუბლიკამ უნდა იკვლიოს დევნილების და ამ კატეგორიას მიკუთვნილი მეწარმეების საჭიროებები და არ დაეყრდნოს მხოლოდ წარსულში ჩატარებულ კვლევებს;
2. მიზანშეწონილია დევნილი მეწარმეების გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამების დამატება ან უკვე არსებული პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა;
3. აუცილებელია აქტიური მუშაობა დევნილ მოსახლეობასთან, რათა ამაღლდეს მათი ინფორმირების დონე სხვადასხვა პროგრამის/სააგენტოს შესახებ და დროულად ისარგებლონ მიწოდებული სერვისებით;
4. დევნილი მეწარმის გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამის ან ზოგადად აქტივობის დაგეგმვისას პირველ რიგში საჭიროა მისი სარგებლის/მოსალოდნელი შედეგის შეფასება, როგორც მოკლევადიან პერსპექტივაში, ასევე გრძელვადიანშიც, რათა არ მოხდეს გამოყოფილი რესურსის (ფინანსური, დროითი, ადამიანისეული) არაეფექტიანი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატა, კვლევის ანგარიში: საქართველოში დევნილთა საკვანძო დასახლებებში მცირე და საშუალო დონის ბიზნესის განვითარების საჭიროებები, 2018, თბილისი.
2. აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ლინკი: https://abcci.ge/

3. აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, 2023, თბილისი;
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, abkhazia.gov.ge
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოს მცირე და საშუალო სამეწარმეო გარემოს განვითარების სრატეგია 2021-2025“
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ლინკი: https://www.moh.gov.ge/ka/703/
7. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“, 2022
8. საქველმოქმედო ჰუმინატული ცენტრი აფხაზეთი (CHCA), სოციალური სერვისების საჭიროების კვლევა ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, 2020
9. სსიპ „აწარმოე საქართველოში“
10. სსიპ „ეკონომიკური პროგრამების სააგენტო“
11. The World Bank, Transitioning from Status to Needs Based Assistance for IDPs, 2016, Washington DC
12. UN Women, ასოციაცია დეა, დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები, 2014, თბილისი

Challenges of Entrepreneurs and Effectiveness of State Programs (Focus: Small Entrepreneurs Displaced from Abkhazia)

Beka Zautashvili
TSU Ph.D. Student

SUMMARY

Several studies conducted over the years reveal that displaced small entrepreneurs are experiencing significant challenges and the state's involvement is necessary to solve the problems. However, some small entrepreneurs cannot benefit from targeted state programs for IDPs, which, according to potential beneficiaries, is caused by various factors: limited volume of funding, inconsistency with activities, complexity of application forms, and others. If the trend is unchanged, the problems of displaced small entrepreneurs will not change in the near future and may worsen in the background of world crises.

Accordingly, the aim of the paper was to reveal the challenges of small entrepreneurs belonging to this category in Georgia, evaluate the effectiveness of state programs, and develop recommendations.Considering the statistical information and official documents processed within the community, as well as the results of online research, it was determined that the programs supporting displaced entrepreneurs are characterized by low effectiveness. This fact is caused by the lack of budget for targeted programs, improper dissemination of information, and the

specificity of projects, which ultimately has a negative impact on the activities of potential beneficiaries and the challenges they face.

Taking into account the results obtained within the research, several recommendations were developed: it is necessary to conduct wide research to provide out the needs of displaced entrepreneurs, the number and/or funding of remaining programs should be increased, information about targeted programs should be provided to the displaced population in a timely manner.

Keywords: Small entrepreneurship, internally displaced persons, encouragement of small entrepreneurs, state programs

კლიმატის ცვლილება და ფინანსური სტაბილურობა

სალომე თვალოძე
თსუ დოქტორანტი

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე. ეს ნაშრომი ხაზს უსვამს აღიარებულ საერთაშორისო კონსენსუსს კლიმატის ცვლილების შესახებ, როგორც ფინანსური რისკების ძლიერი წყარო, რომელიც უარყოფითად მოქმედებს შინამეურნეობებზე, ბიზნესებსა და ფინანსურ ინსტიტუტებზე. კვლევა განიხილავს, თუ როგორ გადაეცემა კლიმატთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს, უპირველეს ყოვლისა, ორი განსხვავებული არხით: კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გამოწვეული ფიზიკური რისკები და დაბალი ემისიების ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკები. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. ნაშრომი ხაზს უსვამს ამ რისკებიდან გამომდინარე მაკროეკონომიკურ შედეგებს, ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე შესაძლო გავლენას და პოტენციურ ფინანსური სტაბილურობის რისკებს. ამ რისკებს შორის რთული ურთიერთქმედების გააზრებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების გამოწვევების გადასაჭრელად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისა და გლობალურ ეკონომიკაში რისკების პროაქტიულად შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: *კლიმატის ცვლილება, კლიმატთან დაკავშირებული რისკები, ფინანსური სტაბილურობა.*

კლიმატის ცვლილება დღევანდელი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება ფართო სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს და მნიშვნელოვან ფინანსურ რისკებს შეუქმნის შინამეურნეობებს, ბიზნესსა და ფინანსურ ინსტიტუტებს.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები უპრეცედენტოა. კლიმატის ცვლილებები ეკონომიკურ შედეგებზე მრავალი არხის საშუალებით ახდენს გავლენას. ტემპერატურის ზრდა, ზღვის დონის მატება, ნალექების ცვალებადობა და ექსტრემალური მოვლენები (წყალდიდობა, გვალვა, ხანძრები) ეკონომიკაზე მრავალი მიმართულებით მოქმედებს. მათ შორის სიმდიდრის განადგურებით, შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის შემცირებითა და მერყეობის ზრდით (Deryugina & Hsiang, 2014; Mersch, 2018), და შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაზე ზემოქმედებით (IMF, 2017; Bathiany et al, 2018). ამასთან, ამ არხებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირი არსებობს, რაც მათ შესწავლასა და მოდელირებას ართულებს (Schneider, 1997). უფრო მეტიც, კლიმატის ცვლილების გავლენა არაერთგვაროვანია როგორც გეოგრაფიული (Tol, 2018), ასევე შემოსავლის დონის (Hsiang 2019) თვალსაზრისით.

ამასთან, უკვე საერთაშორისოდაა აღიარებული, რომ კლიმატის ცვლილება ფინანსური რისკების წყაროა (Carney, 2015; NGFS, 2019; Aglietta and Espagne, 2016; Batten et al., 2016; Scott et al., 2017). ამასთან, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის კეთილდღეობასა და გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური სისტემების მართვაზე. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის. შესაბამისად, ბოლო პერიოდში, ცენტრალური ბანკები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იმის შეფასებას, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კლიმატის ცვლილებას ფინანსურ სექტორზე და მის სტაბილურობაზე. წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად მიზანს სწორედ კლიმატის ცვლილების, როგორც ფინანსური სტაბილურობის რისკის, ანალიზი წარმოადგენს.

კლიმატის ცვლილება უპრეცედენტო გამოწვევას უქმნის გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური სისტემების მართვას. მსოფლიოში დაფიქსირებული საშუალო ტემპერატურა პროგრესულად იზრდება. მოსალოდნელია, რომ გლობალური დათბობის ეს პროგრესული ზრდა გაგრძელდება და ისეთ ცვლილებებს გამოიწვევს, რაც გავლენას ყველა ქვეყანის ეკონომიკაზე მოახდენს.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური საფრთხეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძობს განვითარებას და მოიცავს ზღვის დონის მატებას (IPCC, 2019); ნალექების ცვალებადობის ზრდას (Allen & Ingram, 2002) და შესაბამისად, მეწყერული მოვლენების უფრო მაღალ სიხშირეს (IPCC, 2012); გვალვის ტენდენციების ზრდას (IPCC, 2018); უფრო ხშირ ხანძრებს (Jones et al, 2020; Abatzoglou et al, 2019); ექსტრემალური ტემპერატურის უფრო მაღალ სიხშირეს (IPCC, 2018); და სულ უფრო ხშირ და მწვავე წყალდიდობებს (IPCC, 2018). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის ცვლილების მიტიგაციისთვის დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნებისთვის შესაძლოა შოკების წყარო აღმოჩნდეს. რეგულაციების, ტექნოლოგიების, მომხმარებლებისა და ბაზრის განწყობის ცვლილებებმა შესაძლოა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის შეფერხება გამოიწვიოს. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ ეს ცვლილებები მოულოდნელად მოხდება და წინასწარ მომზადებული და დაგეგმილი არ იქნება.

ამასთან, გარემოსდაცვითი რისკები და მათი სათანადო მართვის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2021 წლის გლობალური რისკის ანგარიშის მიხედვით[1], გარემოსდაცვითი საკითხები გრძელვადიან რისკებს შორის დომინირებს, როგორც ალბათობის, ისე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამასთან, გარემოსდაცვითი საკითხებიდან მომდინარე რისკების რაოდენობა ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება და ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან, როგორც მოხდენის ალბათობის, ასევე ზემოქმედების სიძლიერის მიხედვით, გრძელვადიან რისკებს შორის სულ მცირე სამი რისკი გარემოსდაცვით საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, ასეთ რისკებს მიეკუთვნება ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები, კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და მიტიგაციისკენ მიმართული მოქმედებების წარუმატებლობა, ბიომრავალფეროვნების კარგვა, ბუნებრივი რესურსების კრიზისი და სხვა.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკას და ფინანსურ სექტორს ორი ძირითადი არხით გადაეცემა: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური

[1] https://www3.weforum.org/docs/WEF_The_Global_Risks_Report_2021.pdf

რისკი (Carney, 2015; Carbon Tracker Initiative, 2011; Johnson, 2012; Battiston et al., 2017; Stolbova et al., 2018; Trinks et al., 2018) და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე (low-carbon economy) გადასვლის პროცესში წარმოქმნილი გარდამავლობის რისკი (Carney, 2015; Dietz et al., 2016; Dafermos et al., 2018).

ფიზიკური რისკი წარმოიქმნება ამინდისა და კლიმატის ცვლილებებიდან, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე (იხ. დიაგრამა 1). ფიზიკური რისკი განიხილება როგორც მწვავე, როცა ის გამოწვეულია კლიმატთან და ამინდთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებით, მაგალითად როგორიცაა გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი, ქარიშხალი და სხვა. ფიზიკური რისკი ითვლება ქრონიკულად თუ იგი გამოწვეულია კლიმატის ეტაპობრივი ცვლილებით, როგორიცაა გლობალური დათბობა, ზღვის დონის მატება და სხვა.

დიაგრამა 1. ფიზიკურ რისკთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მთავარი გადაცემის არხები



წყარო: NGFS, 2019 - https://www.ngfs.net/en

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და აზიანებს ინფრასტრუქტურას და კერძო საკუთრებას, ამცირებს სიმდიდრეს და პროდუქტიულობას. ასეთმა მოვლენებმა შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური აქტივობა და ვაჭრობა, შექმნას რესურსების დეფიციტი და გამოიწვიოს კაპიტალის უფრო პროდუქტიული გამოყენებიდან (მაგ. ტექნოლოგიები და ინოვაციები) რეკონსტრუქციასა

და ჩანაცვლებაზე გადამისამართება. სამომავლო დანაკარგებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ ასევე შეიძლება ასახვა ჰპოვოს უფრო მაღალ პრევენციულ დანაზოგებსა და დაბალ ინვესტიციებში.

ფიზიკური ეფექტები მხოლოდ მომავალ რისკებს არ წარმოადგენს; ისინი დღეს უკვე ახდენენ გავლენას ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემაზე (NGFS, 2019). მთლიანობაში, მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკურმა ხარჯებმა სტიქიური უბედურებების შედეგად 30-წლიან საშუალო წლიურ მნიშვნელობას, 140 მილიარდ აშშ დოლარს, ბოლო 10 წლის განმავლობაში შვიდ შემთხვევაში გადააჭარბა (Munich Reinsurance Company, 2019). ამასთან, 1980-იანი წლებიდან ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების რიცხვი სულ მცირე სამჯერ გაიზარდა (Munich Reinsurance Company, 2018).

უფრო გრძელვადიან ჰორიზონტზე, ბუნებრივ გარემოში დაჩქარებული ცვლილებები გავლენას მოახდენს სხვადასხვა რეგიონის სასიცოცხლო უნარზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ტემპერატურა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, 1.5-2ᴬC-ზე მეტით გაიზრდება. ეს გამოწვეული იქნება ადამიანის ჯანმრთელობასთან, საკვების უსაფრთხოებასთან, წყლის რესურსებთან, სიცხესთან და ზღვის დონის მატებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებით (IPCC, 2018).

შეფასებები აჩვენებს, რომ ემისიების შესამცირებლად საჭირო ქმედებების არარსებობის შემთხვევაში, კლიმატის ცვლილების ფიზიკური გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე საუკუნის მეორე ნახევარში არსებითი იქნება. უფრო სიღრმისეული კვლევების მიხედვით, საშუალო გლობალური შემოსავალი საუკუნის ბოლომდე შეიძლება მეოთხედით შემცირდეს (Burke, 2015). გარდა ამისა, ამ სცენარებში გაზრდილი ალბათობა ისეთი დამანგრეველი მოვლენებისა, როგორიცაა მასობრივი მიგრაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტები, მიუთითებს, რომ კვლევები, სავარაუდოდ, სრულყოფილად ვერ აფასებენ ასოცირებული რისკების ზომასა და ვადებს. ეს კი ნიშნავს, რომ ფიზიკური რისკების გავლენა ეკონომიკაზე გაცილებით მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს (NGFS, 2019).

უფრო ნაკლები კვლევები არსებობს, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის ფიზიკური რისკებს რაოდენობრივ აფასებს, ვიდრე მთლიანად ეკონომიკისთვის. მაგრამ მოსალოდნელია, რომ დანაკარგები ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი იქნება. არსებული კვლევების მიხედვით, საშუალო ტემპერატურის მატების მიხედვით, რისკის ქვეშ შეიძლება ფინანსური ღირებულების 17%-მდე აღმოჩნდეს (NGFS, 2019). ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ გლობალური ზედაპირის საშუალო ტემპერატურა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით 2.5°C-ით მოიმატებს, მსოფლიო ფინანსური აქტივების თითქმის 2%-ს ემუქრება რისკი (Dietz, Bowen, et al., 2016). 5°C-ით დათბობის შემთხვევაში კი დანაკარგები შესაძლოა მართვადი აქტივების გლობალური მარაგის 5%-ს გაუტოლდეს (The Economist Intelligence Unit, 2015).

თუ დანაკარგები დაზღვეულია, უფრო ხშირი და მძიმე ბუნებრივი მოვლენები პირდაპირ გავლენას ახდენს სადაზღვევო ფირმებზე ანაზღაურებაზე მაღალი მოთხოვნის მეშვეობით, ხოლო მათ კლიენტებზე, ირიბად, მაღალი სადაზღვევო პრემიების საშუალებით. თუ დანაკარგები არ არის დაზღვეული, ტვირთი ეკისრება შინამეურნეობებს, კომპანიებს და საბოლოოდ, მთავრობის ბიუჯეტს. მსესხებლების ვალის გადახდისუნარ-

იანობის ცვლილებამ ან გირაოს ღირებულების შემცირებამ შეიძლება საკრედიტო რისკ-ები გაზარდოს ბანკებისა და სხვა კრედიტორებისთვის. კრედიტორების სავარაუდო შემ-ოსავლების ცვლილება ასევე აისახება ფინანსურ ბაზრებზე, რაც თავის მხრივ ინვეს-ტორებსა და აქტივების მფლობელებზე მოახდენს გავლენას.

ფინანსურ სისტემასა და მაკროეკონომიკას შორის არსებულმა უკუკავშირმა (feedback loops) შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს ეს ზემოქმედება და რისკები. მაგალითად, გირაოს სახით გამოყენებული აქტივების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ზარალი, რა-მაც აიძულოს ბანკები შეზღუდონ სესხების გაცემა გარკვეულ რეგიონებში. ეს კი დაზარა-ლებულ რაიონებში რეკონსტრუქციისთვის ხელმისაწვდომ დაფინანსებას შეამცირებს. ამავდროულად, ეს დანაკარგები შინამეურნეობების სიმდიდრეს ამცირებს და, თავის მხრივ, შეიძლება მოხმარების კლებაში აისახოს.

გარდამავლობის რისკი დაბალის ემისიის ეკონომიკაზე გადასვლასთანაა დაკავ-შირებული და გაუფასურებული აქტივების ფასის ცვლილებით (აქტივები, როგორიცაა ქვანახშირი და ნავთობი, რომლებიც არ იქნება გამოყენებული წიაღისეული საწვავის მოხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების დროს) წარმოიქმნება და ამ პროცესში კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის, ტექნოლოგიების და ბაზრის განწყობის ცვლილებებიდან მომდინარე ეკონომიკურ შეფერხებებთანაა დაკავშირებული (იხ. დიაგრამა 2). კერძოდ, ისინი შეიძლება წარმოიშვას გარემოსდაცვითი და სხვა დაკავშირებული რეგულაციებისა და პოლიტიკების ცვლილებებით; ინოვაციებითა და არსებული ტექნოლოგიების ხელ-მისაწვდომობის ცვლებით (მაგ., განახლებადი ენერგიის გაიაფება ან ატმოსფერული სათბურის გაზების ემისიების შემცირების საშუალებების განვითარება); ან ინვესტორებ-ისა და მომხმარებლების განწყობის ცვლილებით უფრო მწვანე გარემოს მიმართ. გარდა-მავლობასთან დაკავშირებული ცვლილებების მოსალოდნელ მასშტაბს და სინქრონულ ხასიათს აქვს იმის პოტენციალი, რომ იმაზე დიდ გავლენა ჰქონდეს, ვიდრე ადრე იყო მოსალოდნელი (BIS, 2020). გარდამავლობის რისკის მამოძრავებელი ფაქტორები გლობალურია, თუმცა რისკის გამომწვევი ფაქტორების სპეციფიკური ბუნება განსხვავდე-ბა ქვეყნებისა და ეკონომიკების მიხედვით.

დიაგრამა 2. გარდამავლობის რისკთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მთავარი გადაცემის არხები



წყარო: NGFS, 2019 - https://www.ngfs.net/en

კლიმატის ცვლილების ფიზიკური ზემოქმედების პოტენციურმა სიმძიმემ და სათბურის გაზების (GHG) კონცენტრაციასთან პირდაპირმა კორელაციამ საერთაშორისო საზოგადოება აიძულა 2015 წლის დეკემბერში, პარიზში ემისიების შემცირებაზე შეთანხმებულიყვნენ. ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ მიაღწიონ სათბურის გაზების ემისიების გლობალურ პიკს რაც შეიძლება მალე და განახორციელონ სწრაფი შემცირება, რათა წმინდა ნულოვან ემისიებს ამ საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწიონ.

დაბალი სათბურის გაზების ეკონომიკაზე გადასვლა ენერგეტიკის, ურბანულ, ინფრასტრუქტურისა და სამრეწველო სისტემებში სწრაფ და სიღრმისეულ ტრანსფორმაციას მოითხოვს. ამ ცვლილებებთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური ტრანსფორმაციის მასშტაბები დიდია, რაც ეკონომიკისთვის და ფინანსური სისტემისთვის როგორც რისკებს, ასევე შესაძლებლობებს ქმნის.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) შეფასებების მიხედვით ენერგეტიკის სფეროში საჭირო დამატებითი ინვესტიციები, რომელიც თავსებადია 1.5°C სცენართან, 2016-2050 წლებში ყოველწლიურად 830 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს (IPCC, 2018). ევროკავშირის შეფასებით კი, ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის მიზნების მისაღწევად დაახლოებით წლიურად, 180 მილიარდ ევროს საინვესტიციო გაპი არსებობს (EC, 2018). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ინვესტიციის დამატებითი ცვლილება არ არის დიდი, ის მოითხოვს კაპიტალის მნიშვნელოვან გადამისამართებას

მწვანე დაფინანსებისკენ. ინვესტიციების ეს ცვლილება ეკონომიკაში დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს და სხვადასხვა კვლევები ცდილობს რაოდენობრივად განსაზღვროს ასეთი გარდამავალი ზემოქმედება. 31 მოდელის შედეგების შეჯამების შედეგად, IPCC (2014) დაასკვნა, რომ დათბობის 2aC-მდე შეზღუდვის ხარჯები (66% ალბათობით) 2030 წლისთვის გლობალური მთლიანი მოხმარების 1-4%-ს შორის იქნება.

გარდამავლობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯები წარმოიქმნება შეფერხებული ტრაფნსფორმაციით და ზოგიერთ სექტორში, მაგალითად, ავიაციაში ან ცემენტისა და ფოლადის წარმოებაში, თავდაპირველად უფრო ძვირადღირებულ, დაბალიემისიის ტექნოლოგიებზე გადასვლის აუცილებლობით. თუმცა, ეს ხარჯები და ზუსტი გარდამავლობის გზები ქვეყნებს შორის განსხვავდება, კაპიტალის არსებული მარაგის მიხედვით და შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყოს პოლიტიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო. გარდა ამისა, გარდამავლობის ხარჯები და გზები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, რაც დამოკიდებულია სამომავლო გადაწყვეტილებებზე (მაგ. ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, მთავრობის მოულოდნელი გადაწყვეტილება განახლებადი ენერგიისთვის სუბსიდიების შემცირების შესახებ ან მომხმარებელთა უეცარი გადასვლა უფრო მწვანე არჩევანისკენ).

დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის შეფერხება ნიშნავს, რომ მომავალში საჭირო იქნება ემისიების უფრო მკვეთრი (და უფრო ძვირი) შემცირება პოლიტიკის მოცემული მიზნის მისაღწევად. გადასვლის სიჩქარე და დრო გადამწყვეტია: მოწესრიგებული/დაბალანსებული სცენარი, მკაფიო სიგნალით, არსებული ინფრასტრუქტურის შეცვლისთვის და ტექნოლოგიურ პროგრესისთვის ენერგიის ხარჯების გონივრულ დონეზე შესანარჩუნებლად ქვეყნებს ადექვატურ დროს მისცემს (ESRB, 2016). ამის საპირისპიროდ, უწესრიგო, მოულოდნელი, არაკოორდინირებული, გაუთვალისწინებელი ან ნახტომისებური გადასვლა დამღუპველი და ძვირი იქნება, განსაკუთრებით იმ სექტორებისთვის და რეგიონებისთვის, რომლებიც უფრო მოწყვლადია სტრუქტურული ცვლილებების მიმართ.

ფინანსური სისტემისთვის გარდამავლობიდან მომდინარე პოტენციური რისკები ყველაზე დიდია იმ სცენარებში, სადაც კაპიტალისა გადამისამართება და პოლიტიკის ზომების გატარება, როგორიცაა ნახშირბადის გადასახადის შემოღება, მოულოდნელად ან უწესრიგოდ ხდება. გაუფასურებული აქტივების შემცირებული ღირებულება, გამოიწვევს როგორც კაპიტალის, ისე შემოსავლის დაკარგვას მფლობელებისთვის, ასევე გაზრდის საბაზრო და საკრედიტო რისკებს კრედიტორებისთვის და ინვესტორებისთვის. კვლევებში ზარალის შეფასებები დიდია და 1-დან - 4 ტრილიონ აშშ დოლარამდე მერყეობს, როდესაც მხოლოდ ენერგეტიკის სექტორს განიხილავენ, ან 20 ტრილიონ დოლარამდე, როდესაც ეკონომიკას უფრო ფართოდ შევხედავთ (IEA და IRENA, 2017) . მეტი კვლევაა საჭირო იმის გასაგებად, თუ როგორ იქცევა ეს ზემოქმედება ფინანსურ ბაზრებზე სისტემურ რისკებად, განსაკუთრებით მეორე რიგის ეფექტების გათვალისწინებით. ფართომასშტაბიანმა გადაფასებამ შეიძლება ბაზრების დესტაბილიზაცია მოახდინოს, დანაკარგების პროციკლური კრისტალიზაცია გამოიწვიოს და ფინანსური პირობების მუდმივი გამკაცრებაში აისახოს (PRA, 2018).

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ კლიმატთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს ორი არხით: კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გამოწვეული ფიზიკური რისკებით და დაბალი ემისიების ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გარდამავლობის რისკებით გადაეცემა. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. ეს ყოველივე კი შესაძლოა ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე უარყოფითად აისახოს და ფინანსური სტაბილურობის რისკები შექმნას. ამ რისკებს შორის რთული ურთიერთქმედების გააზრებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების გამოწვევების გადასაჭრელად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისა და გლობალურ ეკონომიკაში რისკების პროაქტიულად შესამცირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abatzoglou, J, A Williams and R Barbero. (2019). Global emergence of anthropogenic climate change in fire weather indices. Geophysical Research Letters, vol 46, no 1, pp 326–36,
2. Aglietta, M., E. Espagne. (2016). Climate and Finance Systemic Risks, more than an Analogy? The Climate Fragility Hypothesis CEPII Working Paper 2016-10
3. Allen, M and W Ingram. (2002). Constraints on future changes in climate and the hydrologic cycle. Nature, vol 419, September, pp 228–32.
4. Bathiany, S., V. Dakos, M. Scheffer, and T. M. Lenton. (2018). Climate Models Predict Increasing Temperature Variability in Poor Countries. Science Advances 4(5):EAAR5809.
5. Batten, S., R. Sowerbutts, M. Tanaka. (2016). Let's Talk About the Weather: The Impact of Climate Change on Central Banks Bank of England Staff Working Paper 603
6. Batten, S. (2018). Climate Change and the Macro-Economy: A Critical Review. Bank of England Staff Working Paper No. 706.
7. Battiston, S., A. Mandel, I. Monasterolo, F. Schütze, G. Visentin. (2017). A climate stress-test of the financial system Nat. Clim. Chang., 7 (4) , pp. 283-288
8. Bolton, P., Despres, M., Da Silva, L. A. P., Samama, F., & Svartzman, R. (2020). The Green Swan. BIS Books.
9. Burke, Hsiang and Miguel, “Global Non-Linear Effect of Temperature on Economic Production”, Nature Vol. 527, pp. 235-239 (12 November 2015).
10. Carbon Tracker Initiative. (2011). Unburnable Carbon: Are the World's Financial Markets Carrying a Carbon Bubble? Investor Watch, London
11. Carney, M. (2015). Breaking the tragedy of the horizon – climate change and financial stability. Speech given at Lloyd’s of London.
12. Dafermos, Y., M. Nikolaidi, G. Galanis. (2018). Climate Change, Financial Stability and Monetary Policy, Ecological Economics, Volume 152, Pages 219-234
13. Dietz, S., A. Bowen, C. Dixon, P. Gradwell ‘Climate value at risk’ of global financial assets Nat. Clim. Chang., 6 (7) (2016), pp. 676-679
14. ESRB, Too late, too sudden: Transition to a low-carbon economy and systemic risk, 2016; Finansinspektionen, Climate change and financial stability, 2016.

15. Hsiang, S, M Burke and E Miguel. (2013). Quantifying the influence of climate on human conflict. Science, vol 341, no 6151.
16. IEA and IRENA, Perspectives for the Energy Transition, 2017.
17. IMF. 2017. "The Effects of Weather Shocks on Economic Activity," in World Economic Outlook, Chapter 3, International Monetary Fund
18. Intergovernmental Panel on Climate Change, IPCC. (2012). Managing the risks of extreme events and disasters to advance climate change adaptation.
19. IPCC.(2018). Global warming of 1.5°C: an IPCC Special Report on the impacts of global warming of 1.5°C above pre-industrial levels and related global greenhouse gas emission pathways, in the context of strengthening the global response to the threat of climate change, sustainable development, and efforts to eradicate poverty.
20. IPCC. (2019). Special report on the ocean and cryosphere in a changing climate.
21. Jones, M, A Smith, R Betts, J Canadell, I Prentice and C Le Quéré. (2020). Climate change increases risk of wildfires. Science Brief Review.
22. Johnson, V. (2012). Unburnable Carbon: Rational Investment for Sustainability. The New Economics Foundation, London
23. Mersch, Y. (2018). Climate change and central banking. Speech at the Workshop discussion "Sustainability is becoming mainstream," Frankfurt am Main, November 27.
24. Munich Reinsurance Company (2018), "A stormy year: Natural catastrophe 2017" Geo Risks Research, NatCatSERVICE
25. Munich Reinsurance Company (2019), "Natural Catastrophe Review 2018" Geo Risks Research, NatCatSERVICE
26. NGFS. (2019). A call for action: climate change as a source of financial risk.
27. Schneider, S. (1997). Integrated assessment modeling of global climate change: Transparent rational tool for policy making or opaque screen hiding value-laden assumptions? Environmental Modeling & Assessment 2(4):229–249.
28. Scott, M., J. van Huizen, C. Jung. (2017). The Bank of England's Response to Climate Change Bank of England Quarterly Bulletin , pp. 98-109 Q2
29. Stolbova, V., I. Monasterolo, S. Battiston. (2018). A financial macro-network approach to climate policy evaluation, Ecol. Econ., 149, pp. 239-253
30. The cost of inaction: Recognising the value at risk from climate change", The Economist Intelligence Unit, 2015
31. Tol, R. S. J. (2018). The Economic Impacts of Climate Change. Review of Environmental Economics and Policy 12(1):4–25.
32. Trinks, A., B. Scholtens, M. Mulder, L. (2018). Dam Fossil fuel divestment and portfolio performance Ecol. Econ., 146, pp. 740-748

Climate Change and Financial Stability

Salome Tvalodze
TSU Ph.D. Student

SUMMARY

Climate change stands as one of the paramount challenges confronting humanity today, with substantial implications for the global economy. This paper highlights the recognized international consensus on climate change being a source of financial risks, adversely affecting households, businesses, and financial institutions. The study examines how climate-related risks are transmitted to the economy and financial sector, primarily through two distinct channels: the physical risks stemming from climate change impacts and the transition risks associated with the low-emission economy transformation. The paper underscores the macroeconomic repercussions and potential financial instability implications resulting from these risks. By comprehending the intricate interplay between climate change, physical and transition risks, stakeholders can make informed decisions to address the challenges posed by the evolving climate landscape, foster financial stability, and proactively mitigate risks in the global economy.

ონლაინ შოპინგისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება

მიშიკო კილასონია
თსუ მაგისტრანტი

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მომხმარებელთა მყიდველობითი ქცევის შესწავლა დიდ მნიშვნელობას იძენს. მოცემული კვლევის მიზანია ონლაინ შოპინგის მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა. ნაშრომში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: გაანალიზებულია საკვლევი საკითხის გარშემო არსებული თეორიულ-ლიტერატურული მასალა, გამოკვეთილია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი დეტერმინანტები, ჩატარებულია ონლაინ შოპინგის მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების კვლევა. კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის ერთერთი სახე-გამოკითხვა კერძოდ, ანკეტირების მეთოდი. რესპონდენტები შეირჩნენ საალბათო, მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გარდა ამისა, ჩატარებულია მეორადი მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგად დადგინდა მომხმარებელთა დამოკიდებულება ონლაინ შოპინგის მიმართ, ხოლო ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევიდან გამომდინარე დასკვნები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ონლაინ შოპინგი, ელექტრონული კომერცია, ონლაინ შოპინგის დადებითი და უარყოფით მხარეები, მომხმარებელთა დამოკიდებულება ონლაინ შოპინგის მიმართ.*

XXI საუკუნე ტექნოლოგიების ერად არის მიჩნეული. უამრავ ახალ გამოწვევასთან ერთად, ორგანიზაციების წინაშე გაჩნდა პერპექტივა, რომ ინტერნეტისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი საქონელი და მომსახურება მომხმარებლებს უფრო მოსახერხებელი მეთოდებით მიეწოდოს. აქედან გამომდინარე, ბოლო ათწლეულების მანძილზე ონლაინ შოპინგის ბიზნესისადმი დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამომავლო პერსპექტივებისა და მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, ონლაინ შოპინგის ვებგვერდებისადმი მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ეკონომიკა სულ უფრო მეტად ციფრულდება და, სამომავლოდ, კომპანიათა უმრავლესობა ვირტუალურ სივრცეში უფრო მეტად გადაინაცვლებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ონლაინ მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე მოქმედი ფაქტორების სათანადოდ შესწავლა, რათა ზემოაღნიშნულ პროცესებში ბიზნეს ორგანიზაციებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი გაუადვილდეთ. უამრავი კვლევა ცხადყოფს, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მომხმარებლებთა ინფორმირებულობის დონეც მზარდია. ადამიანების შემოსავლები და შეთავაზებული საქონლის რაოდენობა მუდმივად მატულობს და მომხმარებლებიც უფრო მეტად მომთხოვნები ხდებიან. აქედან გამომდინარე, მწარმოებლებსა და შუამავლებს

მომხმარებლების სურვილების შესახებ ინფორმაციების მოძიების გარეშე ახალ პროდუქტებზე მყიდველების რეაქციის პროგნოზირება გაუჭირდებათ (თოდუა & ურუტაძე, 2013). სხვა მეცნიერების აზრით, ონლაინ შოპინგსა და ელექტრონულ კომერციას რეგულარულ სავაჭრო ურთიერთობებში „რევოლუციური“ ელემენტები შემოაქვს (Ham & Atkinson,2001). აქედან გამომდინარე, ონლაინ მყიდველობით ქცევაზე მოქმედი ფაქტორების საფუძვლიანი შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი კვლევა და ნაშრომი არსებობს, მაგრამ თითქმის არ მოიპოვება ინფორმაცია, ამ საკითხთან მიმართებაში ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების შესახებ. ამ გარემოებიდან გამომიდინარე, გადაწყდა წინამდებარე ნაშრომის თემის შერჩევა და კვლევის ჩატარება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ონლაინ შოპინგი წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების შეძენის პროცესს ციფრული პლატფორმების, უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტის საშუალებით. ბოლო პერიოდში მან მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა და დღესდღეობით საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოდგენს. ონლაინ შოპინგის დინამიკის გასაგებად საჭიროა მომხმარებელთა ქცევის მრავალმხრივი გამოკვლევა, რათა დადგინდეს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ მიერ ონლაინ შოპინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (Choi et al., 2020).

პროდუქტებისა თუ სერვისების ონლაინ დათვალიერებისა და შეძენის შესაძლებლობამ, მოხერხებულობამ, ხელმისაწვდომობამ და შემოთავაზებული პროდუქციის მრავალფეროვნებამ, რომელსაც სთავაზობს ონლაინ სავაჭრო პლატფორმები, მომხმარებლების დიდი რაოდენობის ყურადღება მიიპყრო მთელს მსოფლიოში (Choi et al., 2020). ონლაინ შოპინგს გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორიცაა დროის დაზოგვა, მოხერხებულობა, პროდუქციის ფართო არჩევანი და კონკურენტული ფასები (Dholakia & Uusitalo, 2020).

ონლაინ შოპინგთან დაკავშირებულმა რისკებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ქცევაზე. საერთო რისკები მოიცავს საფრთხეს უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და პროდუქტის ხარისხის გაურკვევლობის შესახებ (Chong & Liang, 2012). ისეთი ფაქტორები, როგორიცაა უსაფრთხო გადახდის სისტემები, სხვადასხვა ოფიციალურ ფორუმებზე მომხმარებელთა მიმოხილვები და სანდო გამყიდველის რეპუტაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნდობის გამყარებაში (Grewal et al., 2017).

კვლევის საწყის ეტაპზე, შეგროვდა მეორადი ინფორმაცია კვლევის თემის შესახებ, რომლის საფუძველზედაც ჩატარდა უშუალოდ კვლევა ლიტერატურული მიმოხილვისათვის. ზემოთ აღნიშნულ პროცესში შემუშავდა კვლევის ჰიპოთეზები, რომლებიც ასახავს საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი ცვლადების ურთიერთდამოკიდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: ონლაინ შოპინგის მოხერხებულობა დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H2: ონლაინ მაღაზიების რეპუტაცია დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამიკიდებულებაზე;

H3: ონალინ მაღაზიების უსაფრთხოება დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H4: ონლაინ ყიდვის კონფიდენციალურობა დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H5: ონლაინ მაღაზიებიადმი სანდოობა დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H6: ონლაინ მაღაზიების მიერ პირობების შესრულება დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H7: მომხმარებლებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე;

H8: ონლაინ შოპინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს ონლაინ შოპინგის მიმართ მყიდველობით განზრახვაზე;

H9: ონლაინ შოპინგის მიმართ მყიდველობითი განზრახვა დადებით გავლენას ახდენს ონლაინ მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

H10: ონლაინ მყიდველობითი გადაწყვეტილება დადებით გავლენას ახდენს ონლაინ ყიდვით კმაყოფილებაზე;

H11: ონლაინ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება დადებით გავლენას ახდენს ელექტრონულ ზეპირი კომუნიკაციების გავრცელებაზე (eWOM).

კვლევის შედეგები

სულ გამოიკითხა 320 რესპონდენტი. რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით ასე გამოიყურება: 74.1% (n=237) მდედრობით სქესის წარმომადგენელია, ხოლო 25.9% (n=83)-მამრობითი სქესის. გამოკითხულთა სოციალური სტატუსის შესახებ მაჩვენებლები შემდეგნაირად ნაწილდება: რესპონდენტების 63.1% (n=202) დასაქმებულია, 22.5% (n=72) - სტუდენტი, 7.2% (n=23) დროებით უმუშევარი, 7.2% (n=23) დიასახლისი. შემოსავლების მიხედვით რესპონდენტების მიერ მოცემული მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა: 31,2% (n=100) – 1001-1500 ლარამდე, 25% (n=80) – 501-1000 ლარამდე, 10.6%(n=34) - 1501-2000 ლარამდე, 7.5% (n=24) – 500 ლარამდე, ხოლო 6.6% (n=21) – 2000 ლარზე მეტი. რესპოდენტთა 19.1%-მა (n=61) ამ შეკითხვაზე პასუხზე უარი განაცხადა (იხ. დიაგრამა 2.6)

ანკეტაში მითითებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ ლაიკერტის 5 ქულიანი სკალა, სადაც: 1 - ნიშნავს სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - სრულიად ვეთანხმები. ამავე ბლოკის პირველ კითხვაში, რესპონდენტებმა შეაფასეს ონლაინ შოპინგის მოხერხებულობა 4 დებულების მიხედვით. რესპონდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება ოთხივე დებულებას (იხ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

ონლაინ შოპინგის მოხერხებულობის აღქმის განაწილება



მომდევნო კითხვაში მოცემული იყო 3 დებულება, რომელთა მიხედვითაც რესპონ-დენტებმა შეაფასეს ონლაინ მაღაზიების რეპუტაცია. რესპონდენტთა უმეტესობა (n=105) ნაწილობრივ ეთანხმება მე-3 დებულებას, ხოლო პირველ და მე-2 დებულებების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება გამოვლინდა (n=124) და (n=128) (იხ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

ონლაინ მაღზიების რეპუტაციის აღქმის განაწილება



მომდევნო კითხვაშიც ასევე 5 ბალიანი სისტემით შეფასდა ონლაინ შოპინგის უსაფ-რთხოებასთან დაკავშირებული დებულებები. რესპონდენტთა უმრავლესობას ოთხივე დებულების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს (იხ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

ონლაინ შოპინგის უსაფრთხოების აღქმის განაწილება



შემდეგი კითხვა ონლაინ შოპინგის კონფიდენციალურობას ეხებოდა. რესპონდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება პირველ დებულებას, ხოლო დანარჩენი დებულებების მიმართ ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენს (იხ დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

ონალინ შოპინგის კონფიდენციალურობის აღქმის განაწილება



რესპონდენტთა დამოკიდებულების უკეთ გასაცნობიერებლად შემდგომი კითხვა შეეხო ონლაინ მაღაზიების სანდოობის აღქმას. რესპონდენტებმა ნეიტრალური დამოკიდებულება გამოავლინეს ხუთივე დებულების მიმართ (იხ დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

ონლაინ მაღაზიების სანდოობის აღქმის განაწილება



რესპონდენტთა გათვითცნობიერებულობის უკეთ შესაფასებად შემდეგი კითხვა შეეხო გამოკითხულთა მიერ იმის აღქმას, თუ რამდენად ასრულებენ ონლაინ მაღაზიები მომხმარებლებზე მიცემულ პირობას. სამივე დებულებას რესპონდენტთა უმეტესობა ნაწილობრივ ეთანხმება (იხ დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

ონლაინ მაღაზიების მიერ პირობის შესრულების აღქმის განაწილება



რესპონდენტთა დამოკიდებულების უკეთ გასააზრებლად, შემდეგი კითხვა დაისვა ონლაინ მაღაზიების მიერ მომხმარებელთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. გამოკითხულთა უმეტესობას სამივე დებულების მიმართ ნეტრალური დამოკიდებულება ჰქონდა (იხ დიაგრამა 7).

დიაგრამა 7

ონლაინ მაღაზიების მიერ ზარალის ანაზღაურების აღქმის განაწილება



კვლევის შემდგომი შეკითხვის მიზანი იყო უშუალოდ ზოგადი დამოკიდებულების დადგენა ონალინ შოპინგის მიმართ. ამისათვის ჩამოყალიბდა 6 დებულება, რომელთაგან 2 უტილიტარულ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა, ხოლო 4 ჰედონისტურს. რესპონდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთნხმება უტილტარული დამოკიდებულების განმსაზღვრელ დებულებებს. ჰედონისტური დამოკიდებულების განმსაზღვრელ დებულებებს რესპონდენტთა უმეტესობამ კვლავ ნეიტრალური მოსაზრება დააფიქსირა (იხ დიაგრამა 8).

კვლევის შემდგომი კითხვა უშუალოდ ონლაინ შოპინგის განზრახვას შეეხო. პირველი დებულების მიმართ რესპონდენტთა უმეტესობამ ნეიტრალური დამოკიდებულება გამოავლინა, ხოლო მეორე დებულებას უმეტესობა ნაწილობრივ ეთანხმება (იხ დიაგრამა 9).

დიაგრამა 8

ონლაინ შოპინგის მიმართ დამოკიდებულების აღქმის განაწილება



დიაგრამა 9

ონლაინ შოპინგის შესახებ განზრახვის განაწილება



მას შემდეგ, რაც დადგინდა რესპონდენტთა მოსაზრება ონლაინ შოპოინგის განზრახვის შესახებ, ლოგიკურია შეკითხვა ონლაინ შოპინგის გადაწყვეტილების შესახებ, რადგან უშუალოდ განზრახვიდან გამომდინარეობს შემდგომ გადაწყვეტილება. სამივე დებულებას რესპონდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება (იხ დიაგრამა 10).

დიაგრამა 10

ონლაინ მყიდველობითი გადწყვეტილების აღქმის განაწილება



შემდგომი კითხვა ეხება ონლაინ შოპინგისადმი კმაყოფილებას. რესპონდენტთა უმრავლესობა სამივე დებულებას ნაწილობრივ ეთანხმება (იხ დიაგრამა 11).

შემდგომი კითხვა ეხება ამ კმაყოფილების გავრცელებას, უფრო ზუსტად, ელექტრონულ ზეპირი კომუნიკაციების გავრცელებას (eWOM). რესპონდენტთა უმეტესობა მეოთხე დებულებასთან მიმართებაში ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 3 დებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება სამივე მოსაზრებას (იხ დიაგრამა 12).

დიაგრამა 11

რესპონდენტების განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



დიაგრამა 12

რესპონდენტების განაწილება ელექტრონული ზეპირი კომუნიკაციის(eWOM) დონის მიხედვით



დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგებმა დასაწყისში დასმული ამოცანების გადაჭრისა და საკითხთან შესაბამისობაში მყოფი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ონლაინ შოპინგი ჯერაც არ არის საზოგადოების ყოველდღიურობის ნაწილი. ასევე კვლევამ მოგვცა საშუალება გაგვეგო, რომ ონლაინ მაღაზიების უმეტესობის საქმიანობა ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს და აქვთ გარკვეული ხარვეზები. კვლევის ანალიზმა გამოამჟღავნა ტენდენცია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებლებისთვის მეტწილად ბუნდოვანია ონლაინ მაღაზიების უსაფრთხოების პოლიტიკა. კვლევისას დადგინდა, რომ რესპონდენტების უმეტესობას არ გააჩნია ემოციური დამოკიდებულება ონლაინ შოპინგის მიმართ და მათი დამოკიდებულება უტლიტარული ხასიათისაა. კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა უმეტესობა, საერთო ჯამში, მეტწილად კმაყოფილია ონლაინ შოპინგისას მიღებული გამოცდილებით და მზად არის, ეს კმაყოფილება სიამოვნებით გაუზიაროს საზოგადოებას.

შესაბამისად, ონლაინ შოპინგის მიმართ მოთხოვნაზე ადეკვატური პასუხის გასაცემად ონლაინ მაღაზიების მფლობელი ბიზნესებისთვისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები:

- ონალინ შოპინგის ბიზნესის მქონე კომპანიებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნილებები და მის საფუძველზე შეძლონ ქმედითი ღონისძიებების გადადგმა მათი ნდობის მოსაპოვებლად;
- ონლაინ შოპინგის პოლიტიკა უფრო გამჭირვალე და ადვილად აღქმადი უნდა გახდეს, ასევე დაიხვეწოს კომუნიკაციის სისტემა.
- სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა.
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბაზარზე კონკურენტული გარემოს სამართლიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა, ნ., ურუტაძე, ე. (2013). მარკეტინგული კვლევის პრინციპები. ლექციების კურსი. თსუ გამომცემლობა, თბილისი.
2. Choi, J., Lee, M., & Kim, J. (2020). Determinants of customer satisfaction in online shopping: A holistic perspective. *International Journal of Information Management*, 50, 416-429.
3. Dholakia, U. M., & Uusitalo, O. (2020). Consumer behavior in digital environments: *An agenda for interdisciplinary research. Journal of Retailing*, 96(4), 393-399.
4. Grewal, D., Roggeveen, A. L., & Nordfält, J. (2017). The future of retailing. *Journal of Retailing*, 93(1), 1-6.
5. Ham, S., & Atkinson, D. R. (2001). A third way framework for global e-commerce. *Progressive Policy Institute, Technology & New Economy Project*, pp. 1-29.

Attitude of Georgian Consumers towards Online Shopping

Mishiko Kilasonia
TSU Master Student

SUMMARY

In order to maintain competitiveness in the global market in the process of modern communication technologies and digital transformation, the study of consumer buying behavior is gaining great importance. The purpose of this study is to study the attitude of Georgian consumers towards online shopping. The following works have been performed in the paper: the theoretical-literary material surrounding the research issue has been analyzed, the main determinants related to the issue have been identified, the attitude of Georgian consumers towards online shopping has been studied. As a research method, one of the types of quantitative research - survey, in particular, the questionnaire method - is used. Respondents were selected using the principle of simple random sampling. In addition, secondary data analysis has been conducted. As a result of the research, the consumer's attitude towards online shopping was determined, and at the end of the paper, the conclusions based on the research are given, based on which the recommendations are developed.

Keywords: online shopping, e-commerce, pros and cons of online shopping, consumer attitude towards online shopping.

საქართველოში ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის არსებული ურთიერთკავშირის ეკონომეტრიკული ანალიზი

ნინო კულატამიშვილი
თსუ დოქტორანტი

კვლევა ეხება ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის ურთიერთობის ეკონომეტრიულ ანალიზს და მისი მიზანია გამოიკვლიოს თუ რამდენად ახდენს საგარეო ვაჭრობა გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. ამის დასადგენად გამოყენებულია ვექტორული ავტერეგრესიული მოდელი რაც უზრუნველყოფს ცვლადებს შორის კავშირის დადგენას. განხილული ძირითადი ცვლადები მოიცავს მთლიან სამამულო პროდუქტს და ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და სხვა შესაბამის ეკონომიკურ მონაცემებს. ქვეყნებს შორის ვაჭრობის გასაანალიზებლად ასევე გამოყენებულია გრავიტაციული მოდელი პანელური მონაცემებისთვის. ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის დინამიკის გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეფექტური სავაჭრო პოლიტიკისა და სტრატეგიების ჩამოყალიბებას მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. შედეგები ცხადყოფს მნიშვნელოვან პოზიტიურ კავშირს საგარეო ვაჭრობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც ადასტურებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში.

დასკვნის სახით, ეკონომეტრიული ანალიზი იძლევა დამაჯერებელ მტკიცებულებას ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის პოზიტიური ურთიერთობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ზრდა, ვექტორული ავტორეგრესია, გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი ტესტი, გრავიტაციული მოდელი.*

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორია. ექსპორტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთობა ხშირად განიხილებოდა სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების ხარისხის გაანალიზებისას. ექსპორტი ქვეყნის სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროა და წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ფუნდამენტურ კომპონენტს (Siddiqui, 2018). ემპირიული კვლევებით მტკიცდება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნებს გაუმჯობესებული ეკონომიკური ზრდა უფიქსირდებათ. ვაჭრობის მოცულობა მიუთითებს ქვეყნის ინტეგრაციის მასშტაბებზე მსოფლიო ეკონომიკაში, რაც ზრდის ბაზრის შესაძლებლობებს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ეს იწვევს შიდა რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, მასშტაბის ეკონომიას, ახალ ტექნოლოგიებზე წვდომას უცხოური კაპიტალის შემოდინების გზით და ხელს უწყობს ინოვაციებს. აგრეთვე ხელს უწყობს საგარეო შოკების გავლენის შემცირებას შიდა ეკონომიკაზე, როდესაც ბაზრებიც დივერსიფიცირებულია.

შესაბამისად, საინტერესოა თეორიული საფუძვლების დახმარებით საქართველოს მაგალითზე გაანალიზდეს რა როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე საგარეო ვაჭრობა და რამდენად არის ის კავშირში არსებულ თეორიებთან.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს, არსებული თეორიული საფუძვლების გამოყენებით, ვაჭრობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული ურთიერთკავშირის დადგენა.

ნაშრომის მიზანია საქართველოს მაგალითზე ავტორეგრესიული ვექტორული (VAR) მოდელის გამოყენებითა და გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დახმარებით, შეისწავლოს საგარეო ვაჭრობასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის არსებული კავშირის არსებობა 2010-2022 წლებში. ასევე, გრავიტაციული მოდელის გამოყენებით ქვეყნების და ქვეყნების ჯგუფების მიხედვით გაანალიზოს საგარეო ვაჭრობით გამოწვეული ეფექტები.

შედეგები იძლევა მტკიცებულებას, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ექსპორტის ზრდაა და მთლიანი შიგა პროდუქტისა და იმპორტის მაჩვენებლებს ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა არ აკავშირებთ.

ვექტორული ავტერეგრესიული (VAR) და გრავიტაციული მოდელის შეფასება, ინტერპრეტაცია საქართველოს მაგალითზე

ეკონომისტები აანალიზებდნენ შესაძლო მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ექსპორტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის და დაადგინეს ოთხი შესაძლებლობა. ცალმხრივი კავშირი ექსპორტისა ეკონომიკურ ზრდაზე (M. Grossman & Helpman, 1994); ეკონომიკური ზრდის გავლენა/კავშირი ექსპორტზე; ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ან ცვლადებს შორის კავშირის არარსებობა.

ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის არსებული ურთიერთკავშირის დასადგენად გამოვიყენეთ ავტორეგრესიული ვექტორული (VAR) მოდელი შეფასებებისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის გასაკეთებლად. საანგარიშო პერიოდად აღებულია 2010-2022 წლის მონაცემები. ნაშრომის მეთოდოლოგია ძირითადად ეყრდნობა დროით მწკრივებს, გამოყენებულია დიკი-ფულერის (ADF) ერთეულოვანი ფესვის ტესტირება და გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი ტესტი ვექტორული ავტორეგრესიული (VAR) მოდელის ჩარჩოში. მთლიან სამამულო პროდუქტს, ექსპორტსა და იმპორტს შორის დინამიური ურთიერთობის შესასწავლად გამოყენებულია მარტივი მოდელი, რომლის მიხედვითაც მთლიანი შიგა პროდუქტი არის ექსპორტისა და იმპორტის ფუნქცია.

$$GDP = f(EXPORT, IMPORT) \quad (1)$$

მიუხედავად იმისა, რომ მთლიან შიგა პროდუქტზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სხვა ფაქტორებმაც, როგორიცაა სახელმწიფო ხარჯები და ინვესტიციები, ისინი პირველ ეტაპზე არ არის ჩართული მოდელში, რადგან ჩვენ გვინდა, პირველ რიგში, გამოვიკვლიოთ მიზეზობრივი კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობას შორის.

მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქართველოში მონაცემთა მწარმოებელი ოფიციალური უწყების საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში საქსტატი) მონაცემები. საგულისხმოა, რომ საქსტატის მიხედვით, მთლიანი სამამულო პროდუქტის შესადარისი მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ 2010 წლიდან, რაც გამოწვეულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის SNA 2008 სტანდარტის დანერგვით, რომელის მიხედვითაც საქსტატმა გადაიანგარიშა მონაცემები 2010 წლიდან, რაც მოდელის აგების დროს დამატებით პრობლემას ქმნის დროითი მწკრივის სიმცირის გამო. ვინაიდან,

მოდელის აგებისთვის აუცილებელი იყო საკმარისი რაოდენობის მონაცემების არსებობა, მოდელში ჩავრთეთ კვარტალური მაჩვენებელები. მწკრივის დაკვირვების წერტილების რაოდენობა შეადგენს 52 წერტილს, რაც დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. სამივე დროითი მწკრივისთვის ავიღეთ ლოგარითმული მაჩვენებლები, ვინაიდან, აღნიშნული რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას გვაძლევს. მოხდა სამივე მწკრივის სეზონურობის შემოწმება, სამივე მათგანი მოიცავდა სეზონურ კომპონენტს, შესაბამისად მოვახდინეთ სეზონურობის მოსწორება.

VAR მოდელის აგებამდე და ცვლადებს შორის არსებული კავშირის გამოვლენამდე მოვახდინეთ დროითი მწკრივების ტესტირება/შემოწმება. გარდაქმნების შემდგომ, თეორიული საფუძვლების გამოყენებით, მოვახდინეთ მოდელის შეფასება და VAR მოდელის გამოყენებით ავაგეთ გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრივი ტესტი (იხ. ცხრილი 1), რომელის თანახმადაც მივიღეთ ექსპორტის ზრდით გამოწვეული მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა. არსებული მოდელით, იმპორტის ზრდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე გავლენას ვერ ახდენს, თუმცა ექსპორტის ზრდა ასევე დადებითად მოქმედებს იმპორტის ზრდაზე, რაც ლოგიკური კავშირია.

ცხრილი 1

გრინჯერის მიზეზ-შედეგობრივი ტესტი VAR მოდელის გამოყენებით

VAR Granger Causality/Block Exogeneity Wald Tests
Date: 05/06/23 Time: 13:12
Sample: 2010Q1 2022Q4
Included observations: 50

Dependent variable: LGDP_SA

Excluded	Chi-sq	df	Prob.
LEXP_SA	6.131897	2	0.0466
LIMP_SA	1.476693	2	0.4779
All	10.81387	4	0.0287

Dependent variable: LEXP_SA

Excluded	Chi-sq	df	Prob.
LGDP_SA	3.031435	2	0.2197
LIMP_SA	2.213316	2	0.3307
All	5.767537	4	0.2172

Dependent variable: LIMP_SA

Excluded	Chi-sq	df	Prob.
LGDP_SA	3.565465	2	0.1682
LEXP_SA	15.16318	2	0.0005
All	15.66108	4	0.0035

გარდა ამისა, მთლიანი შიგა პროდუქტის ცვლილებაზე გავლენას ახდენს ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (FDI), რომელის გათვალისწინებაც საჭიროდ ჩავთვალეთ მოდელში შედეგების ანალიზისთვის და მიღებულ ცვლადების ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებს დავამატეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. შედეგების მიხედვით მოდელში გამოყენებულმა მონაცემებმა გრეინჯერის მიზეზობრიობის კავშირი დაკარგეს და მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილებაზე მოცემული არცერთი ცვლადი გავლენას არ ახდენდა. ამიტომ, სავარაუდოა, მოდელის სრულყოფისთვის გვაკლია ფაქტორი, რომელიც ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელს წარმოადგენს. შესაბამისად, მოდელში ჩავრთე ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადი, როგორიცაა სამუშაო ძალა და დასაქმებულთა რიცხოვნობა. პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე დადებითად აისახება მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდისა და დასაქმების ზრდის მაჩვენებელი. ასევე მიღებული შედეგებიდან იკვეთება რომ დასაქმების მაჩვენებელის ზრდას ხელს უწყობს ექსპორტის გაზრდილი მაჩვენებელი და მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა და მათ შორის ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია.

კიდევ უფრო საინტერესო იქნება ვაჭრობის გაანალიზება ქვეყნების მიხედვით. ორი ან რამდენიმე ქვეყნის ვაჭრობის ანალიზის დროს ხშირად იყენებენ გრავიტაციულ მოდელს (M. Linders & L.F. de Groot, 2006), რომლის შინაარსიც მომდინარეობს ნიუტონის მიზიდულობის კანონიდან და რომლის თავდაპირველმა მოდელმა და მასში ჩასართავმა ფაქტორებმა ცვლილებები განიცადა და დღემდე მიმდინარეობს მოდელის გამოყენება მკვლევარის სურვილისამებრ და ცვლადების დამატების პროცესშია.

გრავიტაციული მოდელის აგებისთვის გამოვიყენეთ მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა[1]. მოდელში მოცემულია პანელური მონაცემები, რომელიც მოიცავს 41 ქვეყნის მაჩვენებლებს. პანელური მონაცემები მოიცავს ევროკავშირის 27 ქვეყნის სტატისტიკას, დსთ-ეს წევრი ქვეყნებისა და, დამატებით, თურქეთის, აშშ-ს და ჩინეთის მონაცემებს. მაგალითად, თურქეთის დამატება გამოწვეულია საერთო საზღვრიდან გამომდინარე, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის დამატება გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორობის ძლიერი კავშირით. მოდელმა მიიღო შემდეგი სახე:

$$\ln(trade) = c + \beta_1 \ln(GDP_Geo) + \beta_2 \ln(GDP_Partner) + \beta_3 \ln(populatio_GEO) + \beta_4 \ln(ponulatio_Partner) + \beta_5 \ln(distanc) + \beta_6 EU + \beta_7 CIS + \beta_8 \text{common_Border} + u \quad (2)$$

ცხრილი 2

ცვლადების აღწერა გრავიტაციული მოდელისთვის

ცვლადი	აღწერა
trade	საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ჯამი
GDP_GEO	საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი
GDP_partner	პარტნიორი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი
Population_GEO	საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა
Population_partner	პარტნიორი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა
distance	მანძილი ქვეყნებს შორის

[1] https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators

EU	ევროკავშირის ქვეყნები, ფიქტიური ცვლადი =1
CIS	დსთ-ეს წევრი ქვეყნები, ფიქტიური ცვლადი = 1
Common_border	მეზობელი ქვეყნები, ფიქტიური ცვლადი = 1

მოდელის შეფასებისთვის გამოვიყენეთ POLS შეფასება, რომელიც გულისხმობს ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით მოდელის შეფასებას პანელური მონაცემებისთვის. ცვლადების სიმრავლიდან გამომდინარე საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მოდელის სრულყოფილი შეფასება. სულ მივიღეთ 442 დაკვირვების წერტილი, 2010-2021 წლების მიხედვით.

თავდაპირველად მოვახდინეთ ორმხრივი ვაჭრობის, მთლიანი შიგა პროდუქტის, მოსახლეობისა და ფიქტიური ცვლადის ჩართვა მოდელში. აღმოჩნდა რომ მოდელში ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და უარყოფით გავლენას ორმხრივ ვაჭრობას შორის ახდენს საქართველოს მოსახლეობის ზრდა და მანძილის ზრდა, რაც ვფიქრობ ლოგიკური კავშირია. მაგალითისთვის, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის 1%-იანი ზრდა ორმხრივი ვაჭრობის 1.4%-იან ზრდას იწვევს, ხოლო პარტნიორი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 1%-იანი ზრდა ვაჭრობას მხოლოდ 0.25%-ით ზრდის. მანძილის ზრდა იწვევს ვაჭრობის შემცირებას რაც ლოგიკური კავშირია.

ასევე მოდელში ჩავრთეთ ფიქტიური ცვლადი, რომელის მიხედვითაც, ევროკავშირის ქვეყნებთან პარტნიორობა ორმხრივი ვაჭრობის 0.39%-ით ზრდას უწყობს ხელს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

პანელური მონაცემების შეფასება

Dependent Variable: LTRADE
Method: Panel Least Squares
Date: 05/21/23 Time: 13:28
Sample: 2010 2021
Periods included: 12
Cross-sections included: 37
Total panel (unbalanced) observations: 442

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LGDP_GEO	1.404912	0.345338	4.068228	0.0001
LGDP_PARTNER	0.252702	0.056051	4.508423	0.0000
LPOPULATION_GEO	-2.087428	0.536472	-3.891026	0.0001
LPOPULATION_PART	0.629107	0.066019	9.529190	0.0000
LDISTANCE	-1.030917	0.081092	-12.71299	0.0000
EU	0.397885	0.136825	2.907983	0.0038

R-squared	0.735645	Mean dependent var	10.80445
Adjusted R-squared	0.732614	S.D. dependent var	1.599889
S.E. of regression	0.827294	Akaike info criterion	2.472168
Sum squared resid	298.4048	Schwarz criterion	2.527706
Log likelihood	-540.3490	Hannan-Quinn criter.	2.494073
Durbin-Watson stat	0.215296		

შედარებით მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ვაჭრობის ანალიზის დროს. მივიღეთ რომ მათთან პარტნიორობა იწვევს სავაჭრო ბრუნვის შემცირებას 0.42%-ით. თუმცა ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს რამდენიმე ქვეყანასთან პარტნიორობის ნაკლებობით. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის ანალიზს ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო და თითოეულ ქვეყანასთან პარტნიორობა დადებითად აისახება სავაჭრო ბრუნვაზე. მაგალითად, რუსეთთან პარტნიორობა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას 0.7% პროცენტით, ხოლო აზერბაიჯანთან და სომხეთთან პარტნიორობა ორი ქვეყნის ვაჭრობის დაახლოებით 3%-იან ზრდას იწვევს, თურქეთის შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 1.8%-ს შეადგენს.

გარდა ორმხრივი ვაჭრობის ანალიზისა მხოლოდ ექსპორტის მაჩვენებლზე მოხდა გავლენის შეფასება, როგორც მეზობელი ქვეყნების ასევე ზოგადად დსთ-ეს წევრი ქვეყნებისთვის. მიღებული შედეგები, გარდა რუსეთისა, იდენტურია მეზობელ ქვეყნებში დაფიქსირებული შედეგებისა, რაც შეეხება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას, ექსპორტის აღნიშნული ცვლადი სტატისტიკურად არ აღმოჩდა მნიშვნელოვანი მიუხედავად იმის, რომ რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა საგარეო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალში 11%-ს შეადგენს. რაც შეეხება საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩინეთში განხორციელებულ ექსპორტს, მოდელის მიხედვით ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორობა ექსპორტის მაჩვენებლებს ზრდის მხოლოდ თუ მოდელში გავითვალისწინებთ მანძილს, რომელიც საგარეო ვაჭრობის შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ ცვლადს წარმოადგენს, მოდელის სწორი ინტერპრეტაციისთვის.

დასკვნა

მიმდინარე კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მაგალითზე საგარეო ვაჭრობასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის არსებული კავშირის განხილვა და ანალიზი. კვლევის შედეგად უნდა დაგვედგინა როგორ და რამდენად უწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელებს საგარეო ვაჭრობის ფაქტორი.

შესაბამისად, ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა მდგომარეობდა რეგრესიული მოდელის გამოყენებით და გრეინჯერის ტესტის დახმარებით გამოგვევლინა ცვლადებს შორის კავშირი. მოდელების გამოყენებით გამოვიკვლიეთ დინამიური კავშირი მთლიან შიგა პროდუქტს, ექსპორტსა და იმპორტს შორის. გარდა ამისა, ანალიზის დროს საჭირო გახდა დამატებით განგვეხილა ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულა და დასაქმებულთა რიცხოვნობა. ასევე საგარეო ვაჭრობის ანალიზისთვის, გარდა ვექტორული ავტორეგრესიული მოდელისა, გამოვიყენეთ პანალეური მონაცემები და გრავიტაციული მოდელის გამოყენებით ავაგეთ და შევაფასეთ ჩვენთვის საინტერესო მაჩვენებელები.

ანალიზის შედეგებმა დაადასტურა ეკონომიკური ზრდის თეორიაში (ELG) გავრცელებული მოსაზრებები ექსპორტის შესახებ. 2010-2022 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ექსპორტის მაჩვენე-

ბელი ასევე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსპორტის ზრდა დადებითად აისახება იმპორტის მაჩვენებლებზე.

საქართველოს შემთხვევაში პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას ხელს უწყობს მთლიანი შიგა პროდუქტისა და დასაქმების ზრდა. ასევე, მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ დასაქმების მაჩვენებელის ზრდას ხელს უწყობს ექსპორტისა და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა და მათ შორის ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია.

შეფასებული მოდელის მიხედვით საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობა ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვას ზრდის. როგორც საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის ასევე პარტნიორი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის ზრდას იწვევს. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უარყოფითად აისახება ორმხრივი ვაჭრობის მაჩვენებელზე და მის შემცირებას იწვევს, მაშინ როცა პარტნიორი ქვეყნების მოსახლეობის ზრდა ვაჭრობაზე დადებით გავლენას ახდენს. თავის მხრივ, ქვეყნებს შორის მანძილის ზრდა იწვევს ვაჭრობის შემცირებას. ევროკავშირთან პარტნიორობა გვეხმარება ორმხრივი საგარეო ვაჭრობის ზრდაში, ხოლო დსთ-ს წევრ სახელმწიფოებთან ვაჭრობა ორმხრივი ვაჭრობის შემცირებას იწვევს.

თავის მხრივ, ექსპორტის მაჩვენებელზე დადებითად აისახება მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობა. მოდელის მიხედვით, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ვაჭრობას ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზე განსაკუთრებული დადებითი ეფექტი აქვს.

დასკვნის სახით, ჩვენი ანალიზის შედეგები ძირითადად მიუთითებს, რომ განხილულ პერიოდში ექსპორტი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო, ხოლო იმპორტს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონდა მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ელექტრონული წიგნი

1. ანანიაშვილი, ი. (n.d.). *ავტორეგრესიული ვექტორული მოდელი სტაციონალური ცვლადებით.* სალექციო მასალა.

სტატია ჟურნალში

1. Frankel , J., & Romer, D. (1999). Does Trade Cause Growth? *American Economic Association*, 379-399.
2. IRWIN, D. (2020). *The Rise and Fall of.* Massachusetts: PIIE.
3. Balassa, B. (1977). 'REVEALED' COMPARATIVE ADVANTAGE REVISITED: AN ANALYSIS OF RELATIVE EXPORT SHARES OF THE INDUSTRIAL COUNTRIES, 1953–1971. *Wiley Online Library*, 327-344.
4. D. Hunt, S., & M. Morgan, R. (1995). The Comparative Advantage Theory of Competition. *Jurnal of Marketing*, 1-15.
5. Jones, C. (2019). Paul Romer: Ideas, Nonrivalry, and. *The scandinavian Jurnal of Economics*, 859-883.
6. M. Grossman, G., & Helpman, E. (1994). Endogenous Innovation in the Theory of Growth. *Journal of Economic Perspectives*, 23-44.

7. M. Linders, G.-J., & L.F. de Groot, H. (2006). Estimation of the Gravity Equation in the Presence of Zero Flow. *Tinbergen Institute Discussion Paper*.
8. M. Wooldridge, J. (2008). *Introduction to Econometrics.* USA: South Western Educational Publishing.
9. Marin, D. (1992). Is the Export-Led Growth Hypothesis Valid for Industrialized Countries? *The MIT Press*, 678-688.
10. Markova, G. (2016). *Granger Causality Between Exports and Growth in OECD Countries.* Sweden: Jönköping University.
11. Mehrara, M., & Musai, M. (2013). The Relationship between Economic Growth and Human Capital in Developing Countries. *International Letters of Social and Humanistic Sciences* , 55-62.
12. Meoqui, M. (2010). Smith's and Ricardo's Common Logic of Trade. *MPRA Paper No. 27143*, 1-20.
13. N. Batra, R., & R. Casas, F. (1976). A synthesis of the Heckscher-Ohlin and the neoclassical models of international trade. *Journal of International Economics*, 21-38.
14. Riezman, R., Summers, P., & H. Whiteman, C. (1996). The Engine of Growth or Its Handmaiden? A Time-Series Assessment of Export-Led Growth. *Empirical Economics*, 77-110.
15. Siddiqui, K. (2018). David Ricardo's Comparative Advantage and Developing Countries. 426-452.

Econometric Analysis of the Relationship Between Economic Growth and Foreign Trade in Georgia

Nino Kulatamishvili
TSU Ph.D. Student

SUMMARY

The study deals with the econometric analysis of the relationship between economic growth and foreign trade, and its purpose is to investigate the extent to which foreign trade affects economic growth. To determine this, a vector autoregressive model is used, ensuring the establishment of relationships between variables. Key variables considered include gross domestic product, export-import, foreign direct investment, and other relevant economic data. A gravity model for panel data is also used to analyze trade between countries. Understanding the dynamics between economic growth and foreign trade can help formulate effective trade policies and strategies to promote sustainable economic development. The results reveal a significant positive relationship between foreign trade and economic growth, confirming that international trade plays a crucial role in promoting economic development.
In conclusion, the econometric analysis provides compelling evidence of a positive relationship between economic growth and foreign trade. The study highlights the need for a balanced and strategic trade policy.

Keywords: Economic growth, Vector autoregression, Granger causality test, Gravity model.

კოვიდ 19 პანდემიის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საქართველოში, ეკონომიკური შედეგები და სამომავლო პესპექტივები

მიხეილ ლომინაშვილი
თსუ დოქტორანტი

დღესდღეობით, როდესაც სახეზე გვაქვს გლობალიზაციის პროცესი, რომელიც შეუქცევადად მიმდინარეობს და ნებისმიერ ქვეყანას ეხება, ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის ღიაობა, დღეს ვცხოვრობთ რეალობაში, როცა სახეზე გვაქვს ღია საბაზრო ეკონომიკა, შესაბამისად აღნიშნული სისტემა განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს ვიდრე ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის პირობებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი ღია ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანია დამახასიათებელი ფაქტორია. კვლევის მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის დახასიათება საქართველოში კოვიდ 19 პანდემიის განმავლობაში, მისი შედარება პანდემიამდე არსებულ პერიოდთან და პუი-ს ცვლილებებისგან გამოწვეული შედეგების დახასიათება, ასევე იმის განხილვა თუ რა გავლენა იქონია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებამ საქართველოს ეკონომიკაზე და ზოგადად საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ მხარეს საფუძვლად უდევს საქსტატის, აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები, ასევე სხვადასხვა ელექტრონული წყაროდან აღებული სტატისტიკური მასალები და მეცნიერ-მკვლევართა ნაზრები ამ საკითხზე.

კვლევაში გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილება და მისი შემცირებით გამოწვეული ეკონომიკურ-სოციალური შედეგები საქართველოს მაგალითზე. ასევე განხილულია სამომავლო პესპექტივები და გაცემულია რეკომენდაციები იმ სისუსტეების და პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც ჩვენ ეკონომიკაში აღმოჩნდა პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ 19, პანდემია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა*

დღესდღეობით გლობალიზაციის პროცესიდან გამომდინარე მსოფლიო ტენდენციები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უაღრესად დიდ და მზარდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ის მოქმედებს ეკონომიკაზე და ყველა სხვა სექტორზე პირდაპირი თუ ირიბი ფორმით. გამონაკლისი არც საქართველოა. არაერთმა სტატისტიკამ და კვლევამ დაადგინა, რომ ინვესტიციების გავლენა ძალზედ დიდია საქართველოს ეკონომიკაზე და მისი წილი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება.

მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, განსაკუთრებით განვითარებადი და ღარიბი ქვეყ-

ნებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი ეკონომიკის განვითარება ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით.

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, შესაბამისად ჩვენთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მეტად მნიშვნელოვანია. პანდემიურმა კრიზისმა ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური კრიზისიც გამოიწვია. მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რაც ერთ-ერთი ფაქტორი იყო პანდემიის პერიოდში უმუშევრობის მაჩვენებლის გაზრდისა, შესაბამისად ფინანსური რესურსებიც შემცირდა ამ ყველაფერმა კი თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე და საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში

2020 წელი მსოფლიოსთვის საყოველთაო გამოწვევით დაიწყო, საუბარია კორონა ვირუსის პანდემიაზე, ვირუსის გავრცელების მაშტაბი იმდენად დიდი იყო, რომ მთელი მსოფლიო მოიცვა. ვირუსული ინფაქციის გავრცელების უსწრაფესმა ტემპმა კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია და წლის დასაწყისშივე განაპირობა ცხოვრების სტილის ცვლილება და მსოფლიო ეკონომიკის დაზარალება.

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
2013-2023 წ.წ. (მილიონი აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022*	2023*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 654.0	1 990.5	1 351.5	1 352.2	589.8	1 241.8	2 000,0	496.6
I კვ	291.8	331.9	343.4	392.9	415.0	337.3	318.4	173.8	134.3	575.5	496.6
II კვ	224.1	217.6	493.2	452.6	398.1	423.3	249.6	246.4	322.5	361.3	
III კვ	271.6	749.5	531.1	507.8	637.0	373.0	406.2	296.9	373.9	739.3	
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.6	540.5	218.0	378.0	-127.2	411.1	324.0	

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

რათქმაუნდა როგორც მსოფლიოში ისევე საქართველოში შემცირდა ინვესტიციების რაოდენობა. მსოფლიოში არსებული ლოჯისტიკური, სასაზღვრო თუ სატრანსპორტო შეზღუდვების გამო შემცირდა კაპიტალის ნაკადების საერთაშორისო მოძრაობა. ქვეყნების ეკონომიკა მნიშვნელოvანწილად გაჩერებული იყო, ამ შემთხვევაში კი ინვესტორისთვის ინვესტიციის ჩადება რათქმაუნდა წამგებიანი იქნებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში

როცა სახეზე გვქონდა პანდემია, რაც სამომავლო რისკების შეფასებას ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა, რადგან პანდემიის დასრულება სცილდება ეკონომიკის პრეროგატივას და ეს უკვე მედიცინის საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად შემცირებულმა ინვესტიციებმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება, უმუშევრობის გაზრდა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკაზე ასევე გავლენას ახდენდა მეზობელ ქვეყნებში არსებული კრიზისული ვითარება. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ საზღვარგარეთ და თქვიანთ ქვეყანას დაუბრუნდნენ, რამდენიმე თვის შემდეგ როდესაც ისევ მოვიდა სეზონური სამუშაოების დრო, ფრენების აღდგენის მიუხედავად გამგაზვრება ვეღარ შეძლეს მიმღებ ქვეყანაში არსებული მკაცრი შეზღუდვების გამო. შესაბამისად აღსანიშნავია ისიც, რომ არამხოლოდ ეს ადამიანები დარჩნენ შემოსავლის გარეშე, არამედ მათი ოჯახებიც. აქედან გამომდინარე საქართველოში კიდევ არაერთმა ოჯახმა დაკარგა დამატებითი შემოსავალი. თანაც აღნიშნული ოჯახების რიცხვი არცთუისე მცირეა, მაგალითად საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც თურქეთში იყვნენ სეზონურად დასაქმებულნი 2019 წლის მონაცემებით 40 ათასს შეადგენდა, რაც საქართველოსთვის საკმაოდ დიდი რიცხვია.

პანდემიიდან ერთი წლის შემდეგაც კი დიდი გაურკვევლობა იყო გლობალური ზოგადად ეკონომიკის აღდგენის პესპექტივებზე. ეს პირველ რიგში იქიდან გამომდინარეობდა, რომ სახეზე იყო ვირუსის ახალი მუტაციები. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ხშირ შემთხვევაში არსებული ვაქცინა უძლური იყო ვირუსის ახალ მუტაციებთან, შესაბამისად ვირუსის გავრცელების მაშტაბების ზრდა ისევ მოსალოდნელი გახდა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში ეკონომიკის გაჯანსაღების ფორმულა არა ეკონომიკაში ან ეკონომისტებში, არამედ მედიცინაში და მედიცინის სფეროს წარმომადგენლებში უნდა მოიძებნოს. ასევე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნების არაერთგვაროვანი განვითარების დონე. განვითარებულ, განვითარებად და განუვითარებელ ქვეყნებს განსხვავებული ძალისხმევა ჭირდებათ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში და პანდემიისგან დაზარალებული ეკონომიკის აღდგენაში.

დიაგრამა 1

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები
2020 წელს საქართველოში (მლნ. აშშ. დოლარი)



წყარო: https://www.geostat.ge/ka

აღნიშნული დიაგრამა ასახავს 2020 წელს საქართველოში ძირითად პირდაპირ ინვესტორ ქვეყნებს. ამ შემთხვევაში ლიდერი ქვეყანაა გაერთიანებული სამეფო 303 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტიციით, რაც მთლიანი მაჩვენებლის დაახლოებით 51,5 %-ია. შემდეგ მოდის ნიდერლანდები 200.7 მლნ. აშშ დოლარით, აშშ 98.5 მლნ. აშშ დოლარით და ა.შ.

დიაგრამა 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: https://www.geostat.ge/ka

2020 წელს ეკონომიკის სექტორების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა (404 მლნ. აშშ დოლარი) შემდეგ მას მოსდევს სამთომომპოვებელი მრეწველობა, უძრავი ქონება და ა.შ. რაც შეეხება სასტუმროების და რესტორნების სექტორს აქ ინვესტიციები არათუ ჩაიდო არამედ სახეზე გვაქვს უარყოფითი მინუს მაჩვენებელი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ დაწესებული შეზღუდვების გამო ყველა რესტორანი და სსტუმრო დროებით მაინც დაიხურა, ზოგ შემთხვევაში კი სამუდამოდაც. ასევე აღსანიშნავია ჯანდაცვის სფეროში არსებული მცირე წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ასევე განათლების სქტორშიც, ეს რათქმაუნდა მნიშვნელოვანი პრობლემაა. ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის, საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და იმისთვის, რომ ქვეყანა ბევრად მომზადებული დახვდეს ეკონომიკურ კრიზისს მომავალში აუცილებელია, ამ ორ სექტორში რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, განსაკუთრებით განათლების სფეროში რაც ცოდნის ეკონომიკასთან და ინოვაციებთანაა კავშირში და რის გარეშეც თანამედროვე გამოწვევეს ჩვენი ეკონომიკა ადეკვატურად ვერ უპასუხებს.

ცხრილი 2

უმუშევრობის სტატისტიკა საქართველოში (2014-2023)

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023-I
სამუშაო ძალა,ათასი კაცი	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1551.6	1551.1
დასაქმებული, ათასი კაცი	1255.0	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1217.4	1283.7	1271.9
უმუშევარი, ათასი კაცი	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	316.2	267.9	279.2
უმუშევრობის დონე, პროცენტი	23.0	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	20.6	17.3	18.0

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

უმუშევრობა საქართველოსთვის ყოველთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და აღნიშნულმა პანდემიამ და მის გამო შემოღებულმა შეზღუდვებმა კი ეს პრობლემა ერთი-ათად გაამწვავა. შეჩერებულმა ეკონომიკურმა აქტივობებმა, სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შეჩერებამ ან შეზღუდვამ უმუშევრობის ზრდას შეუწყო ხელი. სხვდახვა ეკონომიკურმა სუბიექტმა. რომლებმაც მთლიანად შეაჩერეს საქმიანობა მათ დაქვემდებარებაში არსებული პერსონალი მთლიანად უმუშევარი დარჩა. ხოლო სხვადასხვა დაწესებულებებმა თუ ფირმებმა რომლებსაც შეეზღუდათ საქმიანობა და გადავიდნენ საქმიანობის „ონლაინ“ ფორმატზე, მათ შეამცირეს მომუშავე პერსონალის რაოდენობა, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაზარდა უმუშევრობა.

დიაგრამა 3



წყარო: https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ეკონომიკური ზრდაა. პანდემიის გავლენის სალუსტრაციოდ შეგვიძლია შევადაროთ პანდემიამდე არსებული 2019 წლის ეკონომიკური ზრდა და პანდემიის დაწყების შემდეგ 2020 წლის ეკონომიკური ზრდა. თუ 2019 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 4.9%-ს მიაღწია პანდემიის დადგომის შემდეგ 2020 წელს ეს მაჩვენებელი -5,2%მდე დაეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურმა ზრდამ ერთ წელში 10.1 %-იან ვარდნას მიაღწია რაც ნამდვილად „სარეკორდო“ მაჩვენებელია. ეს მონაცემები ნათლად ასახავს იმ ზიანს რაც პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა შეზღუდვებმა საქართველოს ეკონომიკას მიაყენა.

დასკვნა

კოვიდ 19-ის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აუცილებელია ეროვნული წარმოების დაცვა და ქვეყანა მხოლოდ იმპორტის იმედზე ვერ იქნება.საქართველო უფრო ბევრს მოიხმარს ვიდრე აწარმოებს ეს კი ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პრობლემაა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩამოვყალიბდეთ როგორც მწარმოებელი და არა მომხმარებელი სახელმწიფო. საქართველომ უნდა მოახერხოს და გაზარდოს ექსპორტი. ეროვნული წარმოების წახალისება, ქარხანა-ფაბრიკების რაოდენობის გაზრდა, გაზრდის მთლიან შიგა პროდუქტსაც. მნიშვნელოვანია საქართველოში ნაწარმოები პროდუქციისთვის უცხოური ბაზარზე გატანა, რაც ექსპორტს გაზრდის და დოვლათს შემოიტანს ჩვენს ქვეყანაში. ასევე მნიშვნელოვანია წარმოების გაზრდა და ქარხანა-ფაბრიკების მშენებლობის ტემპის მნიშვნელოვნად მომატება შეამცირებს უმუშევრობასაც, რაც ჩვენი ქვეყნისთვის კოვიდამდეც დიდი პრობლემა იყო და პანდემიის შემდეგ კი აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. ჩემი აზრით ეროვნული წარმოებისა და შესაბამისად ექსპორტის გაზრდა ყველაზე მნიშვნელოვანი და გამართლებული ნაბიჯია, რომელიც ბევრ პრობლემას მოაგვარებს და მომავალში მსგავსი ეკონომიკური კრიზისისგან გამოწვეულ მოსალოდნელ ზარალსაც გარკვეულწილად შეამცირებს. ჩემი აზრით, ექსპორტის გაზრდა და იმპორტის შემცირება საციოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ასევე ზოგადად საქართველოში არსებული არცთუ სახარბიელო სოციალური ფონის გაუმჯობესებისთვის. ექსპორტის გაზრდით ჩვენს ქვეყანაში დოვლათის შემოტანას შევუწყობთ ხელს, ხოლო ეროვნული წარმოებით და ზოგიერთი იმპორტირებული პროდუქციის ეროვნული პროდუქციის ჩანაცვლებით შევძლებთ მეტნაკლებად დავარეგულიროთ არაერთ პროდუქტზე ფასი და გაზრდილი ინფლაციის მაჩვენებელი შედარებით შევამციროთ.

პანდემიის პერიოდში ვფიქრობ აუცილებელია დახმარებების გაცემა უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისთვის, რაც, სოციალური დატვირთვის გარდა, ეკონომიკაში ფულის „ჩაშვების“ ეფექტსაც მოიცავს და მოთხოვნის გენერირებას უწყობს ხელს; ასევე - ერთჯერადი კომპენსაციები, დახმარება ბიზნესს, შეღავათები კრედიტებზე, ტარიფების სუბსიდირება და ა.შ.

მკაცრი ლოკდაუნების ნაცვლად უფრო მნიშვნელოვანია არსებული რეგულაციების მკაცრად გაკონტროლება.

უნდა დაჩქარდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც ეკონომიკის ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა - ეკონომიკის ვარდნის პირობებში, წესით, სწორედ

ამ გზით ხდება ახალი დამატებითი ღირებულების და სამუშაო ადგილების შექმნა; ამიტომ კრიზისულ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპის არათუ შენელება, არამედ დაჩქარება.

ლოჯისტიკის უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის იმ პირობებში, როცა მსოფლიო გლობალური ეკონომიკის პრინციპებით მუშაობს და პანდემიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რა შეიძლება მოიტანოს ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვამ ეკონომიკური თვალსაზრისით.

აუცილებელია რაც შეიძლება მეტი უცხოური ბაზრის ათვისება შევძლოთ, რათა წარმოებული პროდუქციის რეალიზება შედარებით ადვილი იყოს.ამისთვის კი ეროვნული წარმოების ხელშეწყობა და გაზრდა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ექსპორტის გაზრდით შევძლებთ ქვეყანაში შემოსული დოვლათის რაოდენობა გავზარდოთ. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ჩვენი სახელმწიფოსთვის, ეკონომიკის მიმართულებით.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ პანდემიის და მისგან გამოწვეული კორონომიკური კრიზისის დასასრულის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია და ეს უფრო მედიცინის პრეროგატივაა ვიდრე ეკონომიკის. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია რომ ეკონომიკისთვის რაც შეიძლება ნაკლები ზარალის მიყენება ვუზრუნველყოთ. ასევე აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძალიან მცირე მოცულობით განხორციელება როგორც ჯანდაცვის, ასევე განათლების სფეროში. ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელობა თავისთავად ცხადია, როდესაც სახეზე გვაქვს სხვადასხვა პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისები, ამ შემთხვევაში რაც უფრო მაღალ დონეზე იქნება ჯანდაცვის სისტემა ქვეყანაში, მით უფრო ნაკლებ წნეხში იქნება ქვეყნის ეკონომიკა. რაც შეეხება განათლებას, ამ სფეროს აღორძინების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ადეკვატური პასუხი გავცეთ თანამედროვე გამოწვევეს და ჩვენი სამომავლო პესპექტივებიც ძალზედ ბუნდოვანი იქნება. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა ძალზედ მნიშვნელოვანია. განათლების სისტემის გაძლიერება ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას ახალი ტექნოლოგიების შექმნას და განვითარებას, რაც როგორც თანამედროვეობის ისე სამომავლო პესპექტივებისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნი:

1. სკოტ გელოუეი (2021) POST კორონა კრიზისიდან შესაძლებლობამდე
   SCOTT GALLOWAY (2021) POST CORONA From Crisis to Opportunity
   სტატია ჟურნალში:
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო კლიმატი თანამედროვე ეტაპზე / ნინო ბენდიანიშვილი- ბიზნეს-ინჟინერინგი = Business-Engineering : ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი, 2022. N 3-4. გვ. 82-84.
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები COVID-19 პირობებში: მწვანე ინვესტიციების კონტექსტი / სალომე გოგიაშვილი, ნიკოლოზ ჩიხლაძე - ბიზნეს-ინჟინერინგი = Business-Engineering : ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი / საქართვე-

ლოს ტექნიკური უნივერსიტეტი ; საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი, 2021. N 3-4. გვ. 176-178
4. საინვესტიციო შიმშილი დაიწყო - 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 60%-ით შემცირდა / პაატა თურქია - ბანკები და ფინანსები. თბილისი, 2021. 15 მარტი. N 631. გვ. 3.
სხვა ელექტრონული რესურსები:
5. https://www.geostat.ge/ka
6. https://mof.ge/
7. http://conferenceconomics.tsu.ge/
8. https://www.gfsis.org
9. https://openscience.ge/

Impact of the Covid-19 Pandemic on Foreign Direct Investment in Georgia, Economic Consequences and Future Prospects

Mikheili Lominasvili
TSU Ph.D. Student

SUMMARY

Nowadays, when we are faced with the process of globalization, which is irreversible and affects any country, the openness of the economy is very important. Foreign direct investments are one of the main and important characteristic factors of an open economy. The purpose of the study is to characterize the dynamics of direct foreign investment in Georgia during the Covid-19 pandemic, to compare it with the period before the pandemic and to characterize the results caused by the changes in PUI, as well as to discuss the impact of the reduction of direct foreign investment on the economy of Georgia and the social situation of society in general.

The theoretical-methodological side of the research is based on informational-statistical and analytical materials of Geostat the executive authority, as well as statistical materials taken from various electronic sources and the opinions of scientists and researchers on this issue.

The study analyzes the change in direct foreign investment during the pandemic and the economic and social consequences caused by its reduction, on the example of Georgia. Future prospects are also discussed and recommendations are made to eliminate the weaknesses and problems that have emerged in our economy due to the crisis caused by the pandemic.

ენერგეტიკის გლობალურ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესები

გიორგი მოდებაძე
თსუ მაგისტრანტი

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მწვანე ენერგეტიტისა და განახლებადი ენერგიების როლზე როგორც სწრაფი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მიღწევაში, ასევე ზოგადად ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. თავდაპირველად ზოგად ჭრილში გახლავთ განხილული ენერგეტიკის ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესები და ყოველივეზე დაყრდნობით მომავლის შესაძლო პროგნოზია გაკეთებული. ასევე ნაშრომში განხილულია ჩვენი ქვეყნის ენერგო სექტორის მდგომარეობა მდგრადი განვითარების კუთხით, მასში არსებული საფრთხეები და საქართველოს სტრატეგიული მიზნები უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, მწვანე ენერგეტიკა, განახლებადი ენერგიები, ენერგო სექტორი, ენერგეტიკა.*

მდგრადი განვითარების თეორია, ფაქტობრივად, ახალი, XX საუკუნის მიწურულს წარმოშობილი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების თეორიაა, რომლის მიზანი საზოგადოების განვითარების ჰარმონიული, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების მართვის მოგვარებაა. თანამედროვე მსოფლიოში მდგრადი განვითარება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და საზოგადოების ყველა სფეროს – პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ბიზნესმენების, მეცნიერების, მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ყურადღების ცენტრშია. დღესდღეობით მდგრადი განვითარება ფუნდამენტურ სტრატეგიას წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თითქმის ყველა დარგსა თუ სფეროში.

ზოგადად ტერმინი მდგრადი განვითარება პირველად 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის ანგარიშში იყო მოხსენიებული. მისი განსაზღვრება მოხსენებაში შემდეგნაირად გახლდათ ჩამოყალიბებული: „მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები“. ამ განმარტებას შემდგომში მდგრადი განვითარების კიდევ სამი განზომილება დაემატა: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა და გარემოს მდგრადობა.

მდგრადი განვითარება თავის თავში მოიაზრებს ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას როგორც მოკლე და საშუალო, ასევე გრძელვადიანი პერიოდით. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარება ეკონომიკური და სოციალური განვითარებაა, რომელიც ბუნებრივი რესურსების შემცირების გარეშე მიმდინარეობს; მისი ცნება მოიაზრებს თანასწორობის გრძელვადიან, შორსმჭვრეტ

ხედვასა და სისტემურ აზროვნებას, რომლის ფარგლებშიც წინა პლანზე იწევს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. სამართლიანობა გულისხმობს, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს თავისი კულტურული და სოციალური ფასეულობების განვითარების შესაძლებლობა და, ამასთანავე, ყოველმა ერმა პატივი უნდა სცეს სხვა ერების განვითარების უფლებას. თანასწორობა, თავის მხრივ, ითვალისწინებს მომავალ თაობათა ინტერესებს, კონკრეტულად კი, ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც საშუალებას მისცემს მომავალ თაობებს იცხოვრონ და განვითარდენენ ჯანსაღ გარემოში და ხელი მიუწვდებოდეთ მათი განვითარებისათვის საჭირო რესურსებზე. გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ეკონომიკური და სახელმწიფო მართვის სისტემები ვერ უზრუნველყოფენ რესურსების ხელმისაწვდომობის თანასწორობას, აუცილებელია ამ სისტემების გადახედვა.

ყოველივე მოკლედ რომ შევაჯამოთ შეგვიძლია მოვიშველიოთ იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენება, სადაც მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხასიათდება:

- ეკონომიკური ზრდის ამაღლება;
- გარემოს დაცვა მდგრადი ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენით;
- სოციალური თანასწორობის მიღწევა.

როდესაც საუბარია მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკაზე აუცილებლად სახსენებელი საკითხია ყველასათვის კარგად ცნობილი მდგრადი განვითარების მიზნები, რაც წარმოადგენს გლობალურ მოწოდებას მოქმედებისკენ, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის აღმოფხვრას, დედამიწის გარემოსა და კლიმატის დაცვას და მსოფლიოში ყველა ადამიანისთვის მშვიდობისა და კეთილდღეობის მოპოვებას. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება არა ზემოხსენებული ნიშნები და მათი განვითარების პოტენციალი, არამედ მათი ერთ-ერთი კომპონენტი, კონკრეტულად, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია და ასევე ბოლოს ზოგადად მიმოხილული იქნება საქართველოს ენერგეტიკის სექტორის უსაფრთხოება თუ დამოუკიდებლობა.

ენერგეტიკის გლობალური ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები

რაც უფრო მეტად ვაცნობიერებთ თუ რა გავლენას ვახდენთ გარემოზე ჩვენი ამჟამინდელი თუ წარსული ქმედებებით, მით უფრო ცხადი ხდება ტრადიციული ენერგო რესურსებიდან განახლებად წყაროებზე გადასვლის მნიშვნელობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ტერმინი „ბუნებრივი წიაღისეული“ ადრეული ინდუსტრიალიზაციის პარადიგმას უკავშირდება – ის სამყაროს განვითარების აწ უკვე მოძველებულ მოდელს გულისხმობს, რომელიც დედამიწას მნიშვნელოვნად აზიანებს. თუმცა საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ბოლო დროს გლობალური საზოგადოების სხვადასხვა ფენაში ერთგვარი კონსენსუსი გაჩნდა: მეცნიერები, ანტრეპრენიორები, სოციალური აქტივისტები, პოლიტიკოსები და მოქალაქეები თანხმდებიან, რომ ენერგიის განახლებად წყაროებზე გადასვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ გლობალური პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია პოლიტიკური დისკურსის პრაქტიკაში გადმოტანა და ამ პროცესში

საზოგადოების ყველა ფენის ჩართვა, მათ შორის – ფინანსური და პოლიტიკური წახალისების მრავალმხრივი მოდელების გამოყენებით. სასიხარულოა, რომ მწვანე ენერგიასთან დაკავშირებით მსოფლიოში დადებითი ტრენდი შეინიშნება – მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის განახლებადი ენერგიის გლობალური ბაზარი $2 ტრილიონამდე გაიზრდება (Chidanand, Mittal, & Prasad, 2021).

საინტერესოა ისიც, რომ 2010-2019 წლებში განახლებადი ენერგიის ბაზრის სუბიექტებმა $2.6 ტრილიონის ინვესტიცია მოიზიდეს, რომლის წყალობით დღეს დედამიწის ქვეყნების ორ მესამედში ქარისა და მზის ენერგიის გამომუშავებელი საწარმოების გამართვა ანალოგიური გამომუშავების მქონე ქვანახშირისა ან გაზის საწარმოების აშენებაზე უფრო იაფი ჯდება (Renewable Investment, 2022). სწორედ ამ ტრენდის დამსახურებაა, რომ 2020 წელს მზის, ქარის, ჰიდრო და გეოთერმული ენერგიის წილმა ენერგიის გლობალური გამომუშავების მაჩვენებლის 38% შეადგინა – მუდმივი ინვესტირების შემთხვევაში, 2030 წლისთვის ამ წილის – 55%-მდე, ხოლო 2050 წლისთვის 74%-მდე ზრდა არის მოსალოდნელი (Renewable Investment, 2022).

ენერგეტიკის გლობალურ სფეროში მიმდინარე საფუძვლიანი ძვრების ფონზე განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა მნიშვნელოვანი ტენდენციები, მათ შორის დეკარბონიზაცია, ენერგეტიკული დეცენტრალიზაცია და გაციფრულება, რომლებზეც ამ ინდუსტრიის მომავალი არის დამოკიდებული.

დეკარბონიზაცია

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენერგეტიკის გლობალური ინდუსტრიის მომავლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ტრენდი როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში – დეკარბონიზაციაა, რომელიც ბუნებრივი წიაღისეულის მწვანე ენერგიით ჩანაცვლებას და ჩვენი პლანეტისთვის უნახშირბადო მომავლის შექმნას გულისხმობს (Marr, 2022). რაც შეეხება დეკარბონიზაციას იგი საკმაოდ ფართო ტერმინია, რომელიც გულისხმობს როგორც ელექტრიფიკაციას, ასევე ენერგიის ალტერნატიული წყაროებისა და ტექნოლოგიების აღმოჩენასა თუ პრაქტიკაში გამოყენებას. რაც შეეხება ელექტროფიკაციას, იგი ენერგიის წყაროების განახლებას, მათ ელექტროენერგიაზე გადაყვანას გულისხმობს. ამ ტრენდის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ელექტრომობილების წარმოებაა, რომელიც დროსთან ერთად გაცილებით უფრო პოპულარული ხდება.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს განახლებადი ენერგიის წყაროების ერთ-ერთ ჯანსაღ ალტერნატივად ბირთვული ენერგია განიხილება, რომელიც საზოგადოებაში არცთუ ისე პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ ენერგიის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო და სუფთა გზას წარმოადგენს. ყოველივე მეტყველებს ფაქტი, რომ ბირთვული ენერგიის წარმოებით გამოწვეული სიკვდილიანობა 99.7%-ით ნაკლებია ქვანახშირის წარმოების შედეგებთან შედარებით და თან გასათვალისწინებელია, რომ ეს სტატისტიკა ფუკუშიმას და ჩერნობილის კატასტროფების შედაგად მიღებულ მსხვერპლსაც მოიაზრებს (Ritchie, 2022).

დეცენტრალიზაცია

რაც უნდა უცნაური და მოულოდნელი იყოს, ენერგეტიკის სფეროს მომავალზე განსაკუთრებულ გავლენას დეცენტრალიზაციაც მოახდენს, რომელიც, რეალურად, ტრადიციული მონოპოლიური ენერგეტიკული ქსელების ჩანაცვლებას გულისხმობს ელექტროენერგიის წარმოქმნის ფართოდ გავრცელებული სისტემების შექმნით. დეცენტრალიზაცია სწორედ ისაა, როცა ინდივიდუალური მოხმარებისთვის საჭირო ელექტროენერგიას მოქალაქეები თავად გამოიმუშავებენ სახლის სახურავზე დამონტაჟებული მზის პანელებითა თუ მცირე ზომის ქარის ელექტროსადგურებით.

თუმცა ენერგეტიკული ქსელის დეცენტრალიზაცია, როგორც ტენდენციური მოვლენა, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბისაა და გულისხმობს არა მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლების საჭიროებებს, არამედ მთელი ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებასაც. ამ ტენდენციის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შოტლანდიის დედაქალაქი გლაზგო შეგვიძლია მივიჩნიოთ, სადაც ადგილობრივი მოხმარების ელექტროენერგიის ლოკალურად გამომუშავებული წილი მუდმივად იზრდება (Energy and Carbon Masterplan: Sustainable Glasgow, 2015). საინტერესო კი ისაა, რომ ამ მიდგომას მხარს უჭერს ადგილობრივი ხელისუფლებაც, რომელიც დეველოპერებს მოუწოდებს, ენერგიის წყაროები ისე მოაწყონ, რომ მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია კორპუსების ნაცვლად უბნებსაც ეყოთ (Marr, 2022).

გაციფრულება

კიდევ ერთი ტრენდი, რომელიც ბოლო ათწლეულში, უფრო აქტიურად კი ბოლო რამდენიმე წელიწადში ლამის ყველა ინდუსტრიას მოედო – გაციფრულებაა, რომელიც, თავისი არსით, დეკარბონიზაციისა და დეცენტრალიზაციის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ გაციფრულების შედეგად ენერგეტიკის სფეროში ისეთი ტექნოლოგიები შემოვა, რომლებიც ამ სფეროსთვის უცხოა, მაგრამ სხვა ინდუსტრიებში აქტიურად გამოიყენება, მათ შორის ბლოკჩეინი, ციფრული ასლები და ხელოვნური ინტელექტი.

ბლოკჩეინზე დაშენებული სმარტ-კონტრაქტების წყალობით, მომხმარებლებს დანამდვილებით ეცოდინებათ, თუ საიდან მოდის ის ელექტროენერგია, რომელსაც მოიხმარენ. ციფრული ასლების დახმარებით, ელექტროენერგიის პროვაიდერები ადამიანური შეცდომების რიცხვს შეამცირებენ და გაცილებით უფრო ეფექტიანები გახდებიან, ხოლო ხელოვნური ინტელექტი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ელექტროენერგიის მოთხოვნისა და მიწოდების დასაბალანსებლად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არა მხოლოდ მომავალში, არამედ ენერგიის განახლებად წყაროებზე გადასვლის პერიოდშიც და ამ პროცესს უმტკივნეულოს გახდის (Mehlum, Hischier, & Caine, 2021). დღეს ხელოვნური ინტელექტი, უმეტესწილად, ელექტროენერგიის მოთხოვნის წინასწარი პროგნოზის შესადგენად და რესურსების გადასანაწილებლად გამოიყენება, რათა ელექტროენერგია ხელმისაწვდომი იყოს იქ, სადაც საჭიროა და როცა საჭიროა, მინი-

მალური დანახარჯებით. ხელოვნური ინტელექტის ამგვარი ეფექტიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროების შემთხვევაში, რადგან ამგვარი გზით წარმოებული ელექტროენერგიის დიდი ხნით შენახვა არსებულ შესაძლებლობებს სცდება.

მწვანე ენერგიის მომავალი

უნახშირორჟანგო დედამიწის შექმნის პერსპექტივა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რაც უმეტესწილად იმითაა განპირობებული, რომ მზისა და ქარის ენერგიის წარმოება 24-საათიან რეჟიმში შეუძლებელია, ხოლო ჰიდროელექტროსადგურების დიდი ნაწილი სეზონურად მუშაობს და რიგ ბუნებრივ მოვლენებზე არის დამოკიდებული. ამგვარად, ინვესტიციის დიდი წილი მოდის განახლებადი ენერგიის დასაწყობებისთვის საჭირო ტექნოლოგიების განვითარებაზე. თუმცა ეს ერთადერთი გამოსავალი არ არის, რადგან განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასთან ერთად საჭიროა ისეთი სუფთა ალტერნატივების შექმნა, რომლებიც განახლებადი ენერგიის სეზონურ ნაკლოვანებებს ამოავსებენ.

მზისა და ქარის ენერგიის წარმოება მიმდინარე ათწლეულის ბოლოსთვის მსოფლიოში გამომუშავებული ელექტროენერგიის მესამედზე მეტს შეადგენს. Rocky Mountain Institute-ის (RMI) ანგარიშით, პროგნოზი ენერგეტიკის სექტორში გლობალური კლიმატური მიზნების მისაღწევად საჭირო ცვლილებების განხორციელების პოტენციალზე მიუთითებს.

RMI-ის მოხსენებით, სექტორის მსგავსი მასშტაბის ზრდა ნიშნავს, რომ ქარისა და მზის ენერგიის პროექტები 2030 წლისთვის გლობალური ელექტროენერგიის სულ მცირე 33%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი დღეის მონაცემებით მხოლოდ 12%-ს უტოლდება (Rocky Mountain Institute (RMI), 2023).

გაეროს მომავალი კლიმატური სამიტის, COP28-ის პრეზიდენტი სულთან ალდჯაბერი 2030 წლისთვის განახლებადი ენერგიის გამომუშავების გასამმაგების მოწოდებით გამოვიდა. წარმოების გაძლიერება სათბური ემისიების შემცირებასა და 2015 წლის პარიზის კლიმატის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შეუწყობს ხელს. მოხსენების თანახმად, მზის ენერგიის ღირებულება, რომელიც უკვე ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე იაფი ფორმაა, პროექტების სიმრავლესთან ერთად კიდევ უფრო შემცირდება. ამჟამად ერთი მეგავატსაათის მზის ენერგიის წარმოება დაახლოებით $40 ჯდება, ათწლეულის ბოლომდე კი ხარჯი $20-მდე განახევრდება (Rocky Mountain Institute (RMI), 2023). ყოველივე კი ბუნებრივია პოზიტიურად აისახება ჩვენს გარემოპირობებზე. ზემოხსენებულ თემებზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ბირთვული ენერგია, რომელიც როგორც უკვე ვახსენეთ საკმაოდ ჯანსაღი წყაროა ელექტროენერგიის გენერაციისათვის და საკმაოდ დიდი ინვესტიციების გაწევაც იგეგმება მასში, რადგან მხოლოდ ის ფაქტიც რომ ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება მის საჭიროებას ადასტურებს, ყოველივედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი მიმდინარე ტენდენციები გაგრძელდა და დასახული მიზნები რეალობად იქცა მომავალში მწვანე ენერგიის კუთხით ნამდვილად გვაქვს საფუძველი პოზიტიური მოლოდინების არსებობის მიუხედავად მისი ამჟამინდელი სიძვირისა.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორი

საქართველოც მეტნაკლებად ფეხს უწყობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რაც 2017 წლის 21 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ „პარიზის შეთანხმების“ მონაწილეთა რიგებში ყოფნაც მოწმობს, რითაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდა მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის მზაობას გაატაროს პოლიტიკა გლობალური კლიმატის ცვლილების შესარბილებლად. თუმცა ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის პრობლემად და ერთგვარ საფრთხედ შეგვიძლია განვიხილოთ ენერგოსაჭიროებების დასაკმაყოფილებლად მეტწილად ერთ ქვეყანაზე დამოკიდებულება მითუმეტეს იმ შემთხვევაში თუ ეს ქვეყანა რუსეთია. მიუხედავად 2006 წელს მოზდოკი-თბილისის გაზსადენზე მომხდარი საბოტაჟისა და მასთან დაკავშირებული ელექტროენერგიის გათიშვის შემდეგ საქართველოს მცდელობისა, რომ რუსეთი არ იყოს ქვეყნის მთავარი ენერგომომწოდებელი გარკვეული დამოკიდებულება რუსეთის ენერგოსისტემაზე კვლავ რჩება. ამგვარად, მნიშვნელოვანია დისკუსიის დაწყება იმაზე, თუ როგორ უნდა შემცირდეს დამოკიდებულება რუსეთის ენერგოსისტემაზე საკვანძო ენერგოპროდუქტების მოწოდების მხრივ და როგორ გაიზარდოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება.

ყოველივეს აღმოსაფხვრელად ელექტროენერგიის სექტორში უსაფრთხოების ზრდისკენ გადადგმული საკვანძო ნაბიჯი შესაძლოა იყოს ადგილობრივი განახლებადი ენერგიის წარმოების ხელშეწყობა და არსებული თბოსადგურების გაზრდილი ეფექტიანობა (რათა იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულება შემცირდეს). ადგილობრივი საზოგადოების პროტესტი დიდი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) მშენებლობის მიმართ კვლავ პრობლემად რჩება რიგ შემთხვევებში დეზინფორმაციის, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაბამის ადგილობრივ საზოგადოებასა და პროექტის მენეჯერებს შორის ინფორმაციის არაეფექტიანი გაცვლის მიზეზით. პროექტის საწყის ეტაპზევე ამ საზოგადოების ჩართულობისა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლოა, ერთ-ერთი გამოსავალი იყოს. გარდა ამისა, ელექტროენერგიის სისტემა განახლებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს, რათა ახალი განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრირება და სტაბილურობის შენარჩუნებ შეძლოს. რაც შეეხება მოთხოვნის მართვას, ამ მხრივ ერთ-ერთი ალტერნატივა შესაძლოა, კომერციული მიზნებისთვის სუბსიდირებული ელექტროენერგიის მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება, სუბსიდიების მიმართვა მოწყვლად მომხმარებლებზე და მაინინგის რეგულირება იყოს. კიდევ ერთი ალტერნატივაა ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის შემუშავების დაჩქარება, რაც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტიანი ხელსაწყოების უფრო ფართო გამოყენებას ინდუსტრიების, საოჯახო მეურნეობებისა და დანარჩენი კომერციული სექტორების მიერ. მნიშვნელოვანია უფრო მეტი ენერგოეფექტიანი ნაგებობების მშენებლობაც. საბოლოოდ, ენერგომოთხოვნის დაგეგმვამ ჭკვიანი ქსელებისა და მრიცხველების დამონტაჟების გზით, შეიძლება, ენერგიის მოხმარების მუდმივი ზრდის პრობლემაც მოაგვაროს.

ყოველივედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განახლებადი, მწვანე ენერგია და მათი მოცულობის ზრდა არამხოლოდ საერთაშორისო, არამედ კონკრეტული ერების წინაშე წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზაც რჩება, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი ოდენობის წიაღისეული საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ჩვენს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით შემუშავებულია ე.წ. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) (2019–2020), რაც თავის მხრივ წარმოადგენს საქართველოს ენერგოეფექტურობის პირველ ეროვნულ სამოქმედო გეგმას (ეესგ), რომელშიც ასახულია მომდევნო 2019-2020 წლის განმავლობაში გასატარებელი ენერგოეფექტურობის განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო და პოლიტიკის ღონისძიებები, რომელთა განხორცილება შესაძლოა გაგრძელდეს 2022 წლამდე. ეესგს მიზანია ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია და შემცირება ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენართან შედარებით (ენერგოეფექრურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2019).

ეესგ შემუშავდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს საქართველოს რიგი სტრატეგიული მიზნების განხორცილებას, მათ შორის:

- გაუმჯობესდეს კონკურენტუნარიანობა;
- შემცირდეს ენერგორესურსების იმპორტი;
- შემცირდეს სათბურის გაზების გაფრქვევა საქართველოს ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად, როგორიცა 2015 წელს გაეროში, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ წარდგენილი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი;
- უზრუნველყოს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ინფორმირებულობა ქვეყანაში ენერგოეფექტურობის პრიორიტეტულობისა და მისი განვითარების გეგმების შესახებ;
- ჩამოაყალიბოს გზამკვლევი პრიორიტეტული ღონისძიებების იმპლემენტაციისთვის;
- უზრუნველყოს ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივის იმპლემენტაციის გეგმების შესახებ ანგარიშგება, რაც სავალდებულოა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით. (ენერგოეფექრურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2019)

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებული შეგვიძლია გავნიხილოთ, როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც გახლავთ ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობა, სწორედ ამიტომ ესწრაფვის მსოფლიო ამ სფეროს გაუმჯობესებისა და დახვეწისაკენ. იგი ენერგეტიკის დარგის პრიორიტეტებს და დარგის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს. ენერგეტიკის დარგის განვითარების ერთიანი, გრძელვადიანი ფართომასშტაბიანი ხედვის ჩამოყალიბება დარგის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების, მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული პროგრამების შემუშავების და დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწის საფუძველი გახდება.

რომ შევაჯამოთ როგორც მთელს მსოფლიოში ასევე საქართველოშიც ბუნებრივი წიაღისეულის ჩანაცვლება განახლებადი ენერგიის წყაროებით უკვე დაწყებულია. თანაც ამ პროცესში ჩართულნი არიან როგორც მეცნიერები და ანტრეპრენიორები, ასევე სოციალუ-

რი აქტივისტები, პოლიტიკოსები და მოქალაქეები. ეს ტრენდი მომავალი ათწლეულების განმავლობაში გაძლიერდება, ხოლო პროცესში გამოყენებული ტექნოლოგია დაიხვეწება, მაგრამ სანამ ეს ყველაფერი მოხდება, ენერგეტიკის გლობალური ინდუსტრიის მთავარ ტრენდებად სწორედ დეკარბონიზაცია, დეცენტრალიზაცია და გაციფრულება იქნება მოაზრებული როგორც უკვე ვახსენეთ ჩვენს ნაშრომში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ენერგოეფექრურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა. (2019). Retrieved from საქართველოს მთავრობა: https://www.gov.ge/files/524_74676_172938_2680.pdf
2. Chidanand, Mittal, N., & Prasad, E. (2021). Renewable Energy Market by Type (Hydroelectric Power, Wind Power, Bioenergy, Solar Energy, and Geothermal Energy) and End Use (Residential, Commercial, Industrial, and Others): Global Opportunity Analysis and Industry Forecast, 2021–2030.
3. Energy and Carbon Masterplan: Sustainable Glasgow. (2015). Retrieved from Glasgow City Council: https://www.glasgow.gov.uk/
2. Marr, B. (2022). The 3 Biggest Future Trends (And Challenges) In The Energy Sector.
3. Mehlum, E., Hischier, D., & Caine, M. (2021). This is how AI will accelerate the energy transition. Retrieved from World Economic Forum: https://www.weforum.org/
4. Rocky Mountain Institute (RMI). (2023). Renewable Energy. Basalt, Colorado,.
5. Renewable Investment. (2022). Retrieved from BloombergNEF: https://about.bnef.com/?s=renewable+investment#4
6. Ritchie, H. (2022). What are the safest and cleanest sources of energy? Retrieved from Our World in Data: https://ourworldindata.org/

Current Processes in the Global Energy Industry

Giorgi Modebadze
TSU Master Student

SUMMARY

The following article focuses on the role of green energy and renewable energies in achieving rapid, inclusive economic growth and sustainable development, as well as improving the standard of living standards in general. At first, the current processes in the energy industry are discussed in a general way, and based on everything, a possible future forecast is made. The paper also discusses the state of the energy sector of our country in terms of sustainable development, the threats in it, and Georgia's strategic goals for creating a better future.

სიღარიბის დაძლევის ეკონომიკური პოლიტიკა: პრობლემები და გაუმჯობესების გზები საქართველოში

ნათია ჟღენტი
თსუ დოქტორანტი

სიღარიბე და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემათაგანი, რომლის წინაშე დგას თანამედროვე საზოგადოება და იგი გლობალურ ხასიათს ატარებს. მოცემულ ნაშრომში განხილულია სიღარიბის დონის დინამიკა საქართველოში, მისი გამომწვევი მიზეზები, თუ როგორ აღრმავებს შემოსავლების უთანასწორობა სიღარიბის დონეს და რა ღონისძიებებია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ამ პრობლემის დასაძლევად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა, სიღარიბე, საარსებო მინიმუმი, ცხოვრების დონე

თანამედროვე მსოფლიოში სიღარიბე, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით, უმწვავეს და დაუძლეველ მოვლენას წარმოადგენს. იგი პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან ორიენტირს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას. სიღარიბე უშუალო გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების დონის ამსახველ ისეთ საბაზო მახასიათებლებზე, როგორიცაა განათლებისა და ჯანმრთელობის დონე. იგი თავისი არსით მოსახლეობის კეთილდღეობის ნაკლებობას გულისხმობს.

სიღარიბე ინდივიდის ან ადამიანთა სოციალური ჯგუფის ისეთი ეკონომიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ იმ მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

სიღარიბის ფენომენის მეცნიერული კვლევა ყველა ღარიბი ქვეყნის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, მთელ მსოფლიოსა და საქართველოში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება.

ქვეყანაში, სადაც უმუშევრობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს, იქ მაღალია სიღარიბის დონე, ვინაიდან დაუსაქმებელი, უმუშევარი ადამიანი სტაბილური შემოსავლის გარეშე რჩება და დამოკიდებული ხდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ შემწეობებზე. ყოველივე ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დასაქმების პრობლემის მოგვარებას. თუმცა, საქართველოს რეალობაში ბევრია ისეთი დასაქმებული ადამიანი, რომლის შემოსავალიც არ აღემატება საარსებო მინიმუმს.

საარსებო მინიმუმი მნიშვნელოვანი სოციალური ორიენტირია და გამოიყენება მიზნობრივი სოციალური დაცვის პოლიტიკის გასატარებლად. მის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მინიმალური სამომხმარებლო კალათა, რომელშიც შედის ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის საჭირო პირველადი მოხმარების საგნების მინიმალური ნაკრები. მასში შედის როგორც სასურსათო საქონელი, ისე არასასურსათო საქონელი და მომსახუ-

რება. მის ღირებულებაში 70% უკავია სასურსათო საქონელს, ხოლო 30% არასასურსათო საქონელსა და მომსახურებას.

საარსებო მინიმუმის დონის მაჩვენებელმა ღირებულებითი გამოხატულებით საქართველოში 2023 წლის მაისში, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 253.7 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის - 224.7 ლარი. საარსებო მინიმუმის სიდიდე არსებული ფასებისა და ინფლაციის პირობებში, დღევანდელი ეკონომიკური ვითარების და ცხოვრების დონის მიხედვით ვერანაირად ვერ ასახავს მის რეალურ დონეს და ის ძალზე დაბალია.

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა და მის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები უშუალოდაა დაკავშირებული დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემასთან.

უმუშევრობის მთავარი ნეგატიური ეკონომიკური შედეგია საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება, რის შედეგადაც მცირდება ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა. აღნიშნული კი იწვევს ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიცაა: კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება, სოციალური დაძაბულობა, ადამიანების დაავადებათა ზრდას და ა.შ.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, 2023 წლის I კვარტლის მიხედვით საქართველოში უმუშევრობის დონემ 18.0 % შეადგინა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობა სახელმწიფო შემწეობით არის წახალისებული, საქართველოში უმუშევართა დახმარება მეტად მიზერულია. „საქართველოში უმუშევრობა სამუშაო ადგილების ნაკლებობას უკავშირდება - დაინგრა სოციალისტური ეკონომიკა, მოიშალა კავშირები, დაიხურა საბჭოური ფაბრიკები და ქარხნები, შედეგად წარმოიშვა დასაქმების პრობლემა. მაშინ მოსახლეობას სახელმწიფო ასაქმებდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ სახელმწიფომ ეს ფუნქცია თვითონ ხალხს გადააბარა“[1].

მოსახლეობის ცხოვრების დონე, თუ როგორ ცხოვრობენ და როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობაა. რაც უფრო მაღალია ქყვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყოვლისმომცველ პრობლემას. ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პრობლემად და ის გლობალურ ხასიათს ატარებს.

საქართველოში მაღალია საშემოსავლო და სახელფასო უთანაბრობა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით 2020 წელს, შემოსავალი ჰქონდათ: 200 ლარზე ნაკლები - შემოსავლის მიმღებ პირთა 30.5 %-ს და 100 ლარზე ნაკლები - 22 %- ს. საშუალო ხელფასზე ნაკლები ხელფასი აქვთ დაქირავებით დასაქმებულთა 2/3-ს.

[1] კახნიაშვილი ნ. , სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში, თბ. 2020, გვ.36.

ქვეყნებში სადაც მაღალია უთანასწორობის მაჩვენებლები, მით დაბალია განათლების დონე, დაბალი განვითარებით ხასიათდება ჯანდაცვის სფერო და შესაბამისად სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელიც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია.

უთანასწორობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ქალისა და მამაკაცის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობას. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალთა ხელფასი მამაკაცის ხელფასის 63.8 პროცენტს შეადგენს, სხვაობა ანაზღაურების სიდიდეთა შორის ბოლო წლებში კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

ცხრილი 1

ქალებისა და მამაკაცების საშუალო ხელფასები საქართველოში 2001, 2010 და 2019 წლებში (ლარი)

	ქალი	მამაკაცი	ქალი %-ით მამაკაცთან
2001 წ.	63.5	125.2	61.7
2010 წ.	426.6	742.8	57.4
2019 წ.	869.1	1361.8	63,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

2019 წელს 2001 წელთან შედარებით ქალთა ხელფასი 13.7-ჯერ გაიზარდა, ხოლო მამაკაცის - 10.9-ჯერ.

2022 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში სიღარიბის აბსულუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 15.6%-ია. 2004 - 2022 წლების განმავლობაში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 15.6%-დან 34.3%-ის ფარგლებში მერყეობდა. მოცემული პერიოდის განმავლობაში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 18,7 %-ით შემცირდა. 2022 წელს, ქალაქის მიხედვით, მისი დონე 12.3%, ხოლო სოფლის მიხედვით უფრო მაღალი - 20.6%. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფს, 17 წლამდე ასაკის მოსახლეობისთვის ხსენებული მაჩვენებელი 20.4%, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისთვის - 15.3%, ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის - 10.5% იყო. თითქმის ერთნაირია აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი სქესობრივ ჭრილში, ქალის მაჩვენებელი 15.3% ხოლო მამაკაცის - 15.8%. ზემოთ მოცემული ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი, როგორც ქვეყნის, ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის მკვეთრად შემცირდა.

ცხრილი 2

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი

(%)

წელი	ქალაქი	სოფელი	ასაკობრივი ჯგუფი			სქესი		**საქართველო**
			0 - 17	18 - 64	65 +	ქალი	კაცი	
2004	34.4	34.1	37.7	33.3	32.9	34.2	34.4	**34.3**
2005	37.3	33.0	38.9	34.9	32.7	35.6	35.3	**35.4**
2006	39.5	33.5	40.7	36.3	34.0	37.1	36.7	**36.9**

2007	37.6	40.3	42.7	38.2	36.0	38.9	38.7	**38.8**
2008	32.0	38.7	39.1	34.5	31.0	35.0	34.9	**34.9**
2009	33.0	37.5	38.7	35.0	29.5	34.6	35.2	**34.9**
2010	32.7	43.3	41.5	37.3	31.8	36.8	37.9	**37.3**
2011	31.3	37.7	37.7	34.2	28.6	34.0	34.3	**34.1**
2012	26.3	35.0	34.7	29.8	24.1	30.0	30.1	**30.0**
2013	20.8	33.4	29.9	26.5	19.6	25.8	26.7	**26.2**
2014	19.0	29.4	28.3	23.3	17.6	23.3	23.7	**23.5**
2015*	18.0	26.4	24.2	22.0	16.4	21.3	22.0	**21.6**
2016	18.0	27.4	26.4	21.9	16.1	21.2	22.9	**22.0**
2017	18.6	26.6	26.0	21.7	16.5	21.6	22.4	**21.9**
2018	18.0	23.1	25.5	19.5	14.4	20.2	20.0	**20.1**
2019	16.4	23.7	24.4	19.2	13.8	19.4	19.6	**19.5**
2020	17.1	27.5	26.4	21.2	15.4	20.9	21.7	**21.3**
2021	15.0	21.3	22.7	17.3	11.9	17.1	17.9	**17.5**
2022	12.3	20.6	20.4	15.3	10.5	15.3	15.8	**15.6**

* სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი.

<u>შენიშვნა:</u> 2004-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 2022 წლის მონაცემებით 369 515 შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებიდან - 149 864.

რაც შეეხება **საქართველოში რეგიონების ჭრილში სიღარიბეს**, იგი განსხვავებულია, თუმცა ყველგან არის. ამ დასკვნას ვაკეთებს NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე. მაღალია სიღარიბის დონე კახეთში და ქართლში, კიდევ უფრო მაღალია მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობაში - თუშეთი, მთიანა აჭარა, ფშავ-ხევსურეთი და სხვაგან.

დიაგრამა 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

მოცემული დიაგრამის მიხედვით 2010-2021წლებში საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წელს დაფიქსირდა - 32.7%. შემდეგ თანდათან კლებადობის ტენდენციით ხასიათდება და 2021 წელს 15.0% შეადგინა. მოცემული პერიოდის განმავლობაში 2021 წელს 2010 წელთან შედარებით 17.7 %-ით შემცირდა. რაც შეეხება სიღარიბის მაჩვენებელს სოფლად, მოცემულ პერიოდში იგი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წელს დაფიქსირდა - 43.3%. 2021 წელს 21.3% შეადგინა და 2010 წელთან შედარებით 22%-ით შემცირდა.

საქართველოში ერთ-ერთ მძიმე გამოწვევად რჩება **ბავშვთა სიღარიბე**. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვთა სიღარიბე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქვეყნისთვის. სიღარიბეში მყოფი ბავშვი ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვის სერვისები, უსაფრთხოების დაცვა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2023 წლის 1 ივლისიდან, სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიური **დახმარების** სახით 200 ლარს მიიღებენ. აღნიშნული ფულადი დანამატის მიმღები არის 16 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულთან დაკავშირებით 465 მილიონი ლარია გამოყოფილი. გაზრდილ დახმარებას დაახლოებით 232 000-მდე ბავშვი მიიღებს.

მოსახელობის ცხოვრების დონეზე დიდ გავლენას ახდენს როგორც სამედიცინო მომსახურება, ისე განათლების დონე.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, გადაუდებელი მდგომარეობების დროს პროგრამული დახმარება მიეწოდებოდა მხოლოდ 0-დან 5 წლამდე და 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობას. 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ქონდათ საშუალება მიეღოთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, ისინი არ ითვლებოდნენ მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლედ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით სამედიცინო დაზღვევის არმქონე 2 მილიონზე მეტ მოქალაქეს მიეცა საშუალება ისარგებლოს სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო სერვისებით. დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით.

სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საპენსიო სქემა. პენსიას მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს. სოციალური პენსია უზრუნველყოფს საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის დაცვას სიღარიბისგან. აქედან გამომდინარე, კერძო საპენსიო ფონდის ჩამოყალიბება მისასალმებელია. ის უზრუნველყოფს დასაქმებულის სამომავლო პენსიას.

მთავრობის მოლოდინით დაგროვებითი სისტემა ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით. ეს მოლოდინი იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ საქართველოში იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების რაოდენობის, ხელფასებისა და შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდა.

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმაში. ქვეყანამ რიგი რეფორმები გაატარა, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა მსოფლიო მოთხოვნებთან.

საქსტატის მონაცემებით, 2022-2023 წლებში **სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რაოდენობაა** - 1 668; ჩართულ ბავშვთა რაოდენობა (აღსაზრდელები) 148 658; **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა** სულ 2 302, მათ შორის საჯარო სკოლა - 2086, ხოლო კერძო სკოლები - 216. მოსწავლეთა საერთო რიცხვია (ათასებში) – 633.3; მათ შორის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რიცხოვნობაა 569.6 (ათასი), ხოლო კერძო სკოლებში - 63.7 (ათასი).

სიღარიბის დაძლევის საქართველოს სამთავრობო პროგრამები ძირითადად მიმართულია უმწეო მოსახლეობისთვის პენსიების, შემწეობების, სუბსიდიების მიცემაში, პირველადი მოხმარების პროდუქტების გადაცემაში და ა.შ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიზნით საკმაოდ დიდი მოცულობის სახსრები შემოდის საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან და ცალკეული ქვეყნებიდან, რომელთა ნაწილი პირდაპირ ბიუჯეტში ირიცხება, ნაწილი კი ხმარდება სოციალური ინფრასტრუქტურის და ცალკეული დარგების განვითარებისთვის. ამის მიუხედავად სიღარიბე საქართველოში კვლავაც არსებობს.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სიღარიბის დაძლევის შემდეგი ხედვა:

პირველი ასეთი ღონისძიებაა ბიზნესში ღარიბი მოსახლეობის ჩართვა, **ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის დანერგვა**. ქვეყანაში არსებული მოსახლეობის სიღარიბის დონის შესამცირებლად საჭიროა ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება და იქ დაუსაქმებელი, შრომისუნარიანი მოსახლეობის ბიზნეს პროფესიებში მომზადება-გადამზადება.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოხსენების, ინკლუზიური ბიზნესის კონცეფციის მიხედვით, ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა მოსახლეობის ამ ჯგუფს ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ეს სიღარიბის გადალახვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

მეორე ღონისძიებაა მიკროდაზღვევა. ღარიბებს ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობა, თუმცა სწორედ ისინი ყველაზე მეტად მოწყვლადია რისკებისა და ეკონომიკური რყევების მიმართ. საქართველოს ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა რისკებს საკუთარი ძალისხმევით ებრძვის. მრავალი რამ დამოკიდებულია მრავალრიცხოვან არაფორმალურ მექანიზმებთან (დანაზოგი, აქტივის გაყიდვა, ნათესავის და მეგობრის დახმარება, სესხის აღება...) რათა მომზადებული შეხვდნენ ისეთ რისკებს, როგორიცაა ოჯახში მარჩენალის გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა, საქონლის გაწყვეტა და ა.შ. მიკროდაზღვევა გულისხმობს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვას განსაზღვრული საფრთხისგან.

მესამე ღონისძიებად დაბეგვრის რეგულირება შეიძლება დავასახელოთ. მართალია, ღარიბები არაფერ გადასახადებს არ იხდიან - მათი პენსიები, შემწეობები, ასიგნებები არ იბეგრება, მაგრამ თუ ღარიბმა სამუშაო იშოვა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს მისი ანაზღაურება იგი 20 %-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება. საჭიროა აღდგეს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც 2015 წელს გაუქმდა. სახელმწიფო ყოველთვის დაინტერესებულია, რომ მეტი გადასახადები შემოვიდეს ბიუჯეტში, გადასახადის გადამხდელთა ინტერესები კი მათი შემცირების მხარეზეა.

შემდეგი წინადადებაც **გადასახადებს ეხება**. საქართველოს მთავრობას ვთავაზობთ მეწარმეს, რომელიც დაასაქმებს ოფიციალურად დარეგისტრირებულ ღარიბს, მას შეუმციროს მოგების გადასახადი, თუ რამდენ დასაქმებულზე რამდენით შეუმციროს, რომ ბიუჯეტი არ დაზარალდეს, ამას ცალკე გამოკვლევა სჭირდება.

დასკვნები და რეკომენდაციები

სიღარიბე ერთ-ერთი სერიოზული და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც გარკვეულ დონეზე მაინც არ აწუხებს სიღარიბე და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ჩატარებული კვლევის მიხედვით დგინდება, რომ 2004 წლიდან 2022 წლამდე სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში 18,7 %-ით შემცირდა. რაც შეეხება რეგიონულ ჭრილში სიღარიბეს, იგი მკვეთრად განსხვავდება. 2021 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქის მიხედვით 15% შეადგინა, ხოლო სოფლის მიხედვით - 21.3%. 2021 წელს 2010 წელთან შედარებით სიღარიბე ქალაქში 17.7 %-ით შემცირდა, ხოლო სოფელში - 22%-ით. საქართვე-

ლოს მთავრობის მიერ სიღარიბის დასაძლევად ჩატარებული სამთავრობო პროგრამები გვიჩვენებს, რომ სიღარიბის მაჩვენებლები შემცირებულია, თუმცა ამის მიუხედავად იგი კვლავაც არსებობს.

სიღარიბის შემცირება უნდა მიიღწეოდეს არა შემოსავლების გადანაწილებით, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კერძო სექტორის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სწორედ კერძო სექტორის განვითარება ხელს უწყობს როგორც დასაქმების, ასევე დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას და ამ გზით სიღარიბის შემცირებას.

ქვეყანაში რეალური საარსებო მინიმუმის დადგენის მიზნით აუცილებელია მისი გაანგარიშება მოხდეს რეალურად განსაზღვრული სამომხმარებლო კალათის საფუძველზე.

სასურველია საქართველოს მთავრობამ შეუმციროს მოგების გადასახადი მეწარმეს, რომელიც დაასაქმებს ოფიციალურად დარეგისტრირებულ ღარიბს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კახნიაშვილი ნ. - სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში, გამომცემლობა „ივერიონი“, თბ., 2020;
2. ცარციძე მ. - უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2022;
3. საზოგადოების კვლევის ცენტრი - უთანასწორობა საქართველოში, სტატიების კრებული, 2021;
4. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი ტომი XIV N2, პაიჭაძე ნ. პაიჭაძე კ. - დასაქმების სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებლები საქართველოში და მისი შემცირების გზები, 2022;
5. კონფერენციების კრებული „ეკონომიკა - XXI საუკუნე“ - არნანია-კეპულაძე თ. კეპულაძე გ. - ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე ინდივიდუალურ და გლობალურ კონტექსტში;
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030;
7. კვარაცხელია მ. - სიღარიბის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი N6/2018;
8. ეროვნული მოხსენება - საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2016-2017;
9. საქართველოს საპენსიო რეფორმა, ანგარიში 2016წ.;
10. https://www.moh.gov.ge/ka/567/janmrTelobis-erovnuli-moxseneba
11. https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf
12. https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/29824/7/ge/pdf
13. https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Goverment_Report_on_pensions_Final_GEO.pdf
14. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatleba
15. https://forbes.ge/umushevrobith-msophlioshi-gamorcheuli-qveqhana/
16. https://estonianworld.com/life/almost-a-quarter-of-estonians-live-at-the-risk-of-poverty/
17. https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.NAHC?locations=LV
18. https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1972138/some-3-8-percent-of-lithuanian-population-live-below-absolute-poverty-line#:~:text=Some%203.8%20percent%20of%20Lithuanian%20population%20live%20below%20absolute%20poverty%20line,-20&text=Around%20107%2C000%20people%20in%20Lithuania,Data%20Agency%20said%20on%20Thursday.

Economic Policy for Poverty Alleviation: Problems and Ways of Improvement in Georgia

Natia Zhgenti
TSU Ph.D. Student

SUMMARY

Poverty and socio-economic inequality is one of the most acute problems facing the modern society and it is global in nature. This paper discusses the dynamics of the poverty level in Georgia, its causes, how income inequality deepens the poverty level, and what measures are developed by the state to overcome this problem.

ეკონომიკური ბუშტები - ფორმირება და ზეგავლენა

ბესარიონ სიორდია
თსუ დოქტორანტი

მოცემული სტატია იკვლევს ეკონომიკური ბუშტების ფენომენს; მათი წარმოშობის, განვითარებისა და დასრულების ეტაპებს, გამომწვევ ფაქტორებსა და შედეგებს და ცდილობს დაადგინოს არის თუ არა პირდაპირი კავშირი სხვადასხვა ეკონომიკურ ბუშტებს შორის. ამ კვლევის მხარდასაჭერად გამოკვლეულია ლიტერატურა ისტორიულ და ბოლოდროინდელ ბუშტებზე, სპეკულაციის გარშემო არსებულ თეორიებსა და საწარმოო კაპიტალის ბაზარზე. ეკონომიკური ბუშტების ანალიზზე დაყრდნობით იდენტიფიცირებულია მათი ჩამოყალიბების პრინციპები. საბოლოოდ, წარმოდგენილი იქნება დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება უკონტროლო რისკის სრული ზემოქმედების გამოვლენა და ანალიზი, რათა შემსუბუქდეს ან, საერთოდ, გაიქარწყლოს ეკონომიკური ბუშტების უარყოფითი ზეგავლენა როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ბუშტი, სპეკულაცია, რისკი*

ეკონომიკური „ბუშტი“ განისაზღვრება, როგორც პერიოდი, როდესაც სპეკულაციური ინვესტიცია კონკრეტულ სექტორში იწვევს ფასიანი ქაღალდების ზედმეტად გადაფასებას (Siegel, 2003). ეკონომიკური ბუშტები შეიძლება „აფეთქდეს“, როდესაც ინვესტორები გააცნობიერებენ, რომ ბუშტის შიგნით არსებული ინდუსტრია არ არის ისეთი მომგებიანი ან მდგრადი, როგორიც მათ თავდაპირველად ეგონათ. აღნიშნულ ეტაპზე პროცესში ჩართული კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების ღირებულება სწრაფად ეცემა ბუშტამდელ დონემდე. ბევრი ბუშტი ასეთ კატეგორიაში კლასიფიცირდება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი „აფეთქდებიან“. ტერმინი „ბუშტის“ მეცნიერულად განსაზღვრა არის გარკვეული დებატების საგანი, განსაკუთრებით კი - იმ ბუშტების, რომლებიც ჯერ კიდევ არ „აფეთქებულან“ (O'Hara, 2008).

2008 და 2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა ბევრ ქვეყანაში გამოიწვია დიდი ეკონომიკური ვარდნა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. გამომწვევი მიზეზები მოიცავდა პროცესის მართულობის ნაკლებობას, მარტივ და უკონტროლო იპოთეკურ სესხებს, ფინანსური ბაზრის სპეკულაციას და, ბოლოს და ბოლოს, შეუსაბამო მოდელების არასათანადო გამოყენებას სპეკულაციისთვის, რამაც გამოიწვია „ცხელი ფულის“ აორთქლება (Hamnett, 2009; MacKenzie and Spears, 2012). ეს იძლევა მოტივაციას, გამოვიკვლიოთ ყველა ეკონომიკური ბუშტი, რათა გავაცნობიეროთ გამომწვევი მიზეზები, მათი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების გზები და, ასევე, გამოვიკვლიოთ ბუშტებს შორის ნებისმიერი სახის კორელაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბოლო 400 წლის განმავლობაში არაერთი ეკონომიკური ბუშტი წარმოიქმნა. მოცემული კვლევისთვის შესწავლილია რამდენიმე მათგანი: „ტიტების მანია“, „რკინიგზის მანია“ და 2008 წლის ფინანსური კრიზისი.

ტიტების მანია

ტიტები ჰოლანდიაში პირველად მე-17 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიიდან მოხვდა. ეს მცენარე ჰოლანდიელების ყურადღების ცენტრში მალევე მოექცა და მასზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. რადგანაც ამ მცენარეს სეზონური ყვავილობა აქვს და თანაც დროის იმ პერიოდში ცოცხალი მცენარის გადაზიდვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ვაჭრობა ძირითადად ტიტების ბოლქვებით მიმდინარეობდა. ამ მიზეზების გამო მალევე დაარსდა ფიუჩერსული ბაზარი. რეალურად, ვაჭრობა ხდებოდა მცენარეებით, რომლებიც ხელშეკრულების დადების მომენტში არც კი არსებობდა. გაზრდილი მოთხოვნის გამო ფასები გამუდმებით იზრდებოდა და თავის მაქსიმუმს მიაღწია 1637 წელს. ამ დროს ფასმა ისეთ არაადეკვატურ ნიშნულს მიაღწია, რომ დროის ამ პერიოდში ტიტის ერთი ბოლქვის ფასად ამსტერდამის არხზე დიდი სახლის შეძენაც კი იყო შესაძლებელი (Mackay, 1852). ტიტებს ძირითადად უცხოელი მოვაჭრეები ყიდულობდნენ, თუმცა მას შემდეგ რაც ფასმა ძალიან მაღალ ნიშნულს მიაღწია და ტიტების ყიდვა შეუძლებელი გახდა, მათი ფასი მალევე დაეცა.

დიაგრამა 1-ზე ვხედავთ ტიტების ფასის ინდექსს. მოცემულ დიაგრამაზე კარგად ჩანს თუ როგორ სწრაფად იზრდება ბოლქვებზე ფასი და ასევე, თუ როგორ სწრაფად უბრუნდება თავდაპირველ ნიშნულს.

დიაგრამა 1:

ტიტების ფასების ინდექსი 1634-1642 წწ.



წყარო: Thompson, 2007

- შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ბუშტი ჩამოყალიბდა შემდეგი მიზეზების გამო:
- მღელვარება და აჟიოტაჟი ახალი პროდუქტის კომერციული სიცოცხლისუნარიანობის გარშემო. ეს გამოწვეული იყო პროდუქტის სიახლით.
- პროდუქტზე მოთხოვნის გადაჭარბებული შეფასება. მოვაჭრეებმა ვერ განჭვრიტეს ის ფაქტორები, რომლებიც მოთხოვნას შეზღუდავდა; ვარაუდი, იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთიდან მოთხოვნა ისევე მარტივად გაიზრდებოდა, როგორც ქვეყნის

შიგნით, წარმატებული არ გამოდგა.

- მოსაზრება, რომ პროდუქტი წარმოადგენდა სიცოცხლისუნარიან, მზარდ ინვესტიციას. სინამდვილეში, მიწოდებისა და მოთხოვნის მექანიზმმა დაასრულა ბუშტი მანამ, სანამ რომელიმე შეძენილი ტიტა ახალ ბოლქვებს წარმოქმნიდა.

რკინიგზის მანია (1840-1846)

ეს ბუშტი გაჩნდა დიდ ბრიტანეთში 1840-იან წლებში, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ. პირველი რკინიგზა წარმოჩნდა, როგორც მგზავრებისა და საქონლის გადაყვანის ეფექტური მეთოდი და, როგორც ჩანს, იმ დროისათვის წარმოადგენდა საკვანძო ინდუსტრია, როდესაც ქვეყანა ზრდიდა გამოშვებული საქონლის წარმოებას. იმ პერიოდში დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა სარკინიგზო კომპანიებს საშუალებას აძლევდა აქციები მთავრობის ზედამხედველობის გარეშე გაეყიდათ. ადრეული სარკინიგზო პროექტების ძლიერმა წარმატებამ, შემდგომი სარკინიგზო პროექტების ძლიერ მარკეტინგთან ერთად, ბევრ საშუალო კლასის ადამიანს ამ პროექტებში ინვესტიციების გაკეთების მოტივი გაუჩინა; შედეგად ისინი ზოგჯერ იმაზე მეტ ინვესტიციასაც კი დებდნენ, ვიდრე ეს მათ რეალურად შეეძლოთ (McCartney & Arnold, 2003).

მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის სამშენებლო პროექტები არ იყვნენ მთავრობის მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, მათ მაინც უნდა მოეთხოვათ მთავრობისგან შუამდგომლობა, რათა დაემტკიცებინათ რკინიგზის მარშრუტი და ამისათვის მიწის შესყიდვის უფლება ჰქონოდათ. ბევრი კომპანიის წინადადება მთავრობამ მინიმალური ჩარევით მიიღო, რადგან ბევრმა დეპუტატმა თავად ჩადო ინვესტიცია ამ პროექტებში. ბევრი კომპანია დროებით დარეგისტრირდა სხვადასხვა რკინიგზის მშენებლობის პერსპექტივით. თუმცა, რკინიგზის მშენებლობის სირთულე მხოლოდ მაშინ იქნა სრულად გაცნობიერებული, როდესაც რეალურად დაიწყო რამდენიმე სარკინიგზო სამშენებლო პროექტი. ამან ბევრი სარკინიგზო პროექტი აშკარად არაგანხორციელებადი გახადა, ამიტომ სპეკულაციები დასრულდა და ბევრი პროექტი ჩაიშალა. დიაგრამა 2 გვიჩვენებს, თუ ამ დროებითი რეგისტრაციებიდან საბოლოოდ რამდენად ცოტა პროექტი დასრულდა.

დიაგრამა 2 – დროებითი vs. სრული რეგისტრაციები 1845-1854



წყარო: Taylor, 2006

რომ შევაჯამოთ, ეს ბუშტი გაჩნდა რკინიგზის შეუსწავლელი პოტენციალის გარშემო ინვესტორების სპეკულაციების გამო. სპეკულაცია გამოიწვია სარკინიგზო კომპანიებმა და სხვა ინვესტორებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ სარკინიგზო ტექნოლოგიას შეუძლია ტრანსფორმირება მოეხდინა ტრანსპორტის მომგებიანობაზე. თუმცა, ადრეულ ეტაპზე სარკინიგზო ტექნოლოგიების საზღვრები და შემოსავალი არ იყო ცნობილი, ამიტომაც ყველა ინვესტორი იმუშავებდა თავისთვის უცნობ გარემოში, რაც შეამცირებდა სარკინიგზო პროექტების ადეკვატურად შეფასების უნარს ინვესტიციის განხორციელებამდე.

ფინანსური კრიზისი 2007-2009

მიიჩნევა, რომ 2000 წლიდან FED-ის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო უძრავი ქონების ბუშტისა და შემდგომი

კრიზისის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი; როდესაც ცენტრალური ბანკები საპროცენტო განაკვეთებს დიდი ხნის განმავლობაში დაბალ ნიშნულზე ტოვებენ, ეს კომერციული ბანკების მომგებიანობას ამცირებს. ბანკებს სჭირდებოდათ მოგების გაზრდა, აშშ-ს ბაზარზე შექმნილი გარემო კი საშუალებას აძლევდა მათ კლიენტებთან უფრო სარისკო გარიგებებში შესულიყვნენ, რასაც მანამდე ვერ ახერხებდნენ. ამიტომ, გასცემდნენ ისეთ სესხებს, რომლებიც მანამდე ზედმეტად სარისკოდ მიიჩნეოდა. საბოლოო ჯამში ეს უძრავი ქონების ბუშტის შექმნამდე მივიდა.

ფინანსური სექტორის ზრდასთან ერთად მრავალფეროვანი გახდა ფინანსური ინსტრუმენტებიც. ინოვაცია იყო იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი

ქაღალდები (mortgage-backed securities, იგივე MBS) და სავალო ვალდებულებებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (collaterized debt obligation, იგივე CDO). CDO-ების და MBS-ების ზოგადი დახასიათება შემდეგნაირია: ფინანსური ინსტიტუტები იპოთეკებს კერძო დაწესებულებებს ან კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციებს (ამერიკის შემთხვევაში Fanny Mae ან Freddie Mac) მიჰყიდიან, შემდეგ ისინი ახდენენ ამ იპოთეკების სეკურიტიზაციას (Securitization) და ერთ ფასიან ქაღალდად გარდაქმნიან, რომლის საბოლოო მყიდველი უკვე ინვესტორია. გაყიდვამდე ფასიან ქაღალდებს სარეიტინგო კომპანიები ანიჭებენ რეიტინგს. ფინანსური კრიზისის დროს კი მინიჭებული

რეიტინგები რეალურზე ბევრად მაღალი იყო. შესაბამისად, აშშ-ს და სხვა ქვეყნების ინვესტორებისთვის, რომელთაც ჭარბი ლიკვიდობა ჰქონდათ, MBS-ებში და CDO-ებში ფულის დაბანდება საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა. შედეგად, ამ ტიპის ობლიგაციებზე მოთხოვნა გაიზარდა და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი.

საინვესტიციო ბანკები ქმნიდნენ CDO-ებს, შემდეგ კი ინვესტორებზე ყიდდნენ. თუმცა დროდადრო იმ სესხების რიცხვი, რომლებიც დეფოლტის მაღალი ალბათობით გამოირჩეოდნენ, სესხების კალათაში იზრდებოდა. ბანკები სარეიტინგო კომპანიებს ფულს უხდიდნენ რათა CDO-ებისთვის კარგი შეფასება (AAA) დაეწერათ და შემდეგ სესხები ადვილად გაეყიდათ. შედეგად, სარეიტინგოკომპანიების მოგება საგრძნობლად გაიზარდა (Mihaelajméno 2015, 638-639). არავინ იცოდა ზუსტად როგორი სესხებისგან შედგებოდა CDO-ები და ინვესტორები ბრმად ენდობოდნენ მაღალ რეიტინგებს. ასევე, FED ბანკებს CDO- ების გადეფოლტების დასაზღვევად შესაამისი რეზერვების ქონას არ ავალდებუ-

ლებდა. ბანკები აქტიურად ცდილობნენ გაეყიდათ დიდი რაოდენობით CDO-ები და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი, რომლის გასკდომა უკვე დროის საკითხი იყო და ინვესტორთა დანაკარგების პირველივე ტალღა ამას აუცილებლად გამოიწვევდა.

ფინანსურ კრიზისამდე მიმავალ მოვლენათა ჯაჭვი



კრიზისის შედეგები

აშშ-ს ფინანსური კრიზისის გაღრმავება გადამდები აღმოჩნდა მსოფლიოსთვისაც. 21-ე საუკუნეში ინვესტორები და კომპანიები ბევარდ უფრო დაკავშირებულები არიან ვიდრე ოდესმე, შესაბამისად, კრიზისის გლობალური ეფექტი მძიმე აღმოჩნდა. 2008 წლიდან კრიზისმა გლობალური სახე მიიღო. მაგალითისთვის, გერმანიაში ბანკები, რომელთაც ინვესტიცია ჰქონდათ გაკეთებული ამერიკის უძრავი ქონების სექტორში, გაკოტრებასთან ახლოს იყვნენ და მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო. ასევე, ძალიან დიდი ფინანსური ზარალი ნახა ფრანგულმა ბანკმა, BNP Paribas-მა. ნეგატიური მოლოდინების გამო ადამიანები ცდილობდნენ ნაკლები დაეხარჯათ, რომ მომავალში ფულის ან სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში მეტად დაზღვეულები ყოფილიყვნენ და ამან მოთხოვნაზე ზეგავლენა იქონია. მოთხოვნის შემცირებას მოჰყვა აშშ-ს ექსპორტის ჩამოშლა, რაც ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩინეთისა და იაპონისთვის.

კრიზისი გავლენა საქართველოზე

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, 2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო მიიღებდა 4,55 მილიარდი აშშ დოლარს, საიდანაც 2,55 მლრდ იყო კრედიტი, ხოლო 2 მილიარდი-გრანტი. ომის შემდეგ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო. 2009 წლის 6 აგვისტოს, იმავე პროგრამის ფარ-

გლებში IMF-მა საქართველოს დამატებით 420 მლნ აშშ დოლარი მისცა (პაპავა 2013, 66) . 2009 წლის გაზაფხულზე ბანკებს გასასტუმრებელი ჰქონდათ 500 მლნ აშშ დოლარის ვალდებულება, რისი რესურსიც არ გააჩნდათ და სწორედ ამ დახმარებებიადან გამოიყო 636 მლნ აშშ დოლარი, რამაც ბანკებს ფინანსური სტაბულირობა შეუნარჩუნა (World Bank, United Nations 2009). შედეგად, სახეზე გვაქვს „ომის პარადოქსი", როცა ქვეყნისთვის უარყოფითმა მოვლენამ - ომმა, საერთაშორისო პარტნიორების დახმარების ხარჯზე მოგვცა საშუალება თავიდან აგვეცილებინა ფინანსური კოლაფსი (Papava 2010, 47).

შეჯამება

როგორც ცხრილში 1 ვხედავთ, ეკონომიკური ბუშტების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესებში საკმაოდ დიდი მსგავსებაა. ყველა მათგანს ახასიათებს სპეკულაციები მაღალი მოთხოვნის მქონე პროდუქტის გარშემო. საბოლოოდ კი, ყველა მათგანის შემთხვევაში ფასი აღწევს არაადეკვატურ ნიშნულს და შედეგი არის ერთი - კოლაფსი.

ცხრილი 1 - შეჯამება

	ტიტების მანია	რკინიგზის მანია	ფინანსური კრიზისი 2007-2009
საწყისი განვითარება	სპეკულაცია ახალი პროდუქტის გარშემო	სპეკულაცია ახალი სარკინიგზო ვაჭრობის/ტრანსპორტის პერსპექტივის ირგვლივ	სპეკულაცია მაღალი მოთხოვნის მქონე პროდუქტის გარშემო
ზრდა	სპეკულაცია პროდუქტის ფასებზე	სქემები, რომლებიც საშუალებას აძლევდა ყველას ინვესტიცია განეხორციელებინა საწარმოსა და მარკეტინგში.	გაზრდილი სპეკულაცია და მინიმალური მოთხოვნები იპოთეკური სესხებისთვის
კოლაფსი	გაცნობიერება, რომ სპეკულაციური ფასები იყო არარაციონალური	ტექნოლოგიური შეზღუდვებისა და ხარჯების მასშტაბები	სესხების დასაფარად არასაკმარისი რესურსები

დასკვნა და რეკომენდაციები

ფინანსური კრიზისის მთავარი გამომწვევი ადამიანების დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა იყო. ფინანური კრიზისი ყველასთვის დიდი გაკვეთილია. რეკომენდაციას რაც შეეხება, პასუხი არის - ეფექტური რისკ მენეჯმენთი. Basel II-ის სტანდარტები, რომლებიც მანამდე ფუნქციონირებდა, 2008 წლის ფინანსური კრიზისის თავიდან ასარიდებლად არასაკმარისი აღმოჩნდა. შედეგად, 2009 წელს დაინერგა Basel III, რომელიც იყო პირდაპირი პასუხი წინა წლის ფინანსურ კრიზისზე. აღნიშნული რეგლამენტი ფინანსურ ორგანიზაციებს, კონკრეტულად კი ბანკებს, უფრო მეტი ლიკვიდობის დატოვებას ავალდებულებს. დღევანდელი მეტად დახვეწილი რისკ მენეჯმენტი და რეგულაციები, რომლებიც ბანკებს უფრო მეტად ზღუდავს იმედის მომცემია სამომავლო კრიზისებისაგან თავის დასაზღვევად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვლადიმერ. 2013. "რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ." *ქართული პოლიტიკა* 65-70.
2. Hamnett, C. (2009). The madness of mortgage lenders: Housing finance and the financial crisis. *London, UK: King's College*
3. Mackay, C. (1852) Extraordinary Popular Delusions and the Madness of Crowds, *London: Office of the National Illustrated Library,* Volume 1, 2nd edition
4. McCartney, S., & Arnold, A. J. (2003). The railway mania of 1845-1847: Market irrationality or collusive swindle based on accounting distortions? *Accounting, Auditing & Accountability Journal*, 16(5), 821–852.
5. MacKenzie, D., & Spears, T. (2012). 'The Formula That Killed Wall Street'? The GaussianCopula and the Material Cultures of Modelling. *Working Paper.*
6. Mihaelajméno, Marioara. 2015. "Credit rating agency performance in terms of profit." *3rd Economics & Finance Conference.* Italy: Elsevier B.V. 631-642.
7. O'Hara, M. (2008). Bubbles: Some Perspectives (and Loose Talk) from History. *Review ofFinancial Studies*, 21(1), 11–17.
8. Papava, Vladimer. 2010. "The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis." *International Centre for Black Sea Studies (ICBSS)* (International Centre for Black Sea Studies (ICBSS)) 1-96
9. Siegel, J. (2003). What Is an Asset Price Bubble? An Operational Definition. *European Financial Management*,9(1),11–24. Retrieved fromhttp://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/1468-036X.00206/full
10. World Bank, United Nations. 2009. *Georgia: Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction.* Progress Report, The United Nations and the World Bank.

Economic Bubbles - Formation and Impact

Besarion Siordia
TSU Ph.D. Student

SUMMARY

This article examines the phenomenon of economic bubbles; It examines the stages of their origin, development and termination, causes and consequences, and tries to determine whether there is a direct relationship between the various economic bubbles. To support this study, the literature on historical and recent bubbles, theories surrounding speculation, and venture capital markets is reviewed. Based on the analysis of economic bubbles, the principles of their formation are identified. Finally, the conclusions and the recommendations will be presented, through which it will be possible to reveal and analyze the full impact of uncontrollable risk in order to mitigate or even eliminate the negative impact of economic bubbles both locally and globally.

Keywords: Economic Bubble, Speculation, Risk

თანამედროვე საბანკო მარკეტინგის ძირითადი სტრატეგიები

თეა ჩაჩუა
თსუ დოქტორანტი

მზარდი ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ნებისმიერი ბიზნესსაქმიანობისთვის თავის დამკვიდრება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. მეცნიერების საკმაოდ სწრაფი ტემპებით განვითარების პირობებში,დღეს, არ არსებობს ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა, რაც თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს, ხშირად შეცვალოს ქცევა და პრიორიტეტები ამა თუ იმ პროდუქტთან დაკავშირებით. ეს ართულებს ბიზნესსაქმიანობაში წარმატების მიღწევას. დღის წესრიგში დგება ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის მიღება და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა. ასეთი მიდგომა, ბიზნესის სხვა სფეროებთან ერთად, საბანკო სექტორზეც ვრცელდება.

საბანკო სექტორის განვითარება და ინფორმირებული მომხმარებლის მოთხოვნილებების სათანადო დონეზე დაკმაყოფილება წარმოუდგენელია საბანკო მარკეტინგის გარეშე. საბანკო პროდუქტის შექმნა და მომხმარებლისთვის მიწოდება, საფინანსო ბაზრის შესწავლა, ურთიერთობების დამყარება მომხმარებლებთან, ფასების დაწესება საბანკო პროდუქტებზე და მისი ბაზარზე წინ წაწევის ორგანიზაცია, სათანადოდ, საბანკო მარკეტინგის უახლესი მეთოდების გამოყენების გარეშე ვერ მოხდება. საბანკო მარკეტინგი საბანკო სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებისა და მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საშუალებაა. ამდენად, საბანკო მარკეტინგთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევა და კვლევა აქტუალურია. გამომდინარე აქედან, აქტუალურია მოცემული თემა, რომელიც საბანკო მარკეტინგის უახლოესი სტრატეგიების შესწავლას ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში.

კვლევის შედეგები

21-ე საუკუნის საბანკო მარკეტინგი, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას, ბევრი სტრატეგიის გამოყენებით ცდილობს. ამ სტრატეგიებს შორის ძირითადია:

- კონტენტი სოციალურ ქსელებში;
- კლიენტების მომსახურება;
- ბლოგის წარმოება (ბლოგინგი);
- დაჯილდოვების არატრადიციული პროგრამები;
- ვიდეოკონტენტის კამპანია და ციფრული აბრები (ნიშნები);
- სტრატეგიული პარტნიორობა.

კონტენტი სოციალურ ქსელებში

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საბანკო სისტემა ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული. მათი გამოყენებით საბანკო მომსახურება უფრო მრავალფეროვანი გახდა. ერთ-ერთი სიახლეა კონტენტი სოციალურ ქსელებში.

არსებობს კონტენტ მარკეტინგის ათი იდეა ბანკებისთვის. კერძოდ:

1. ინტერაქტიული შინაარსი. მომხმარებელთა 91%-ს სურს ინტერაქტიული კონტენტი, როგორიცაა ვიქტორინები, ე.წ. ქვიზები, შემნახველი კალკულატორები, გამოკითხვები ვარიანტების შეთავაზებებით.
2. ფულის დაზოგვის რჩევები.
3. ინფოგრაფიკა, რომელიც ადვილად აღსაქმელს და თანმიმდევრულს ხდის დიდი რაოდენობით ინფორმაციას.
4. ჩამოსატვირთი სამუშაო ფურცლები და დოკუმენტები. მომხმარებლებს უყვართ უფასო რესურსები.უფასო ცოდნის გაცემა მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ნდობის მოსაპოვებლად, გამოცდილების საჩვენებლად;
5. საქმის შესწავლა. ეს გულისხმობს მომხმარებლებთან კომუნიკაციას. კერძოდ: გამოწვევა- კონკრეტული საკითხი, რომელიც ხელს უშლიდა კლიენტის ან ბანკის საქმიანობას ან საუკეთესო სერვისის მიწოდებას; საკითხის გადაწყვეტა- კონკრეტულმა გადაწყვეტილებამ რა პოზიტიური შედეგი მოიტანა რომელიმე საკითხის გადაწყვეისას; შედეგი - შედეგების სიღრმისეული ხედვა.
6. შესადარებელი პროდუტების მიმოხილვა.
7. ახალი ამბების ანალიზი.
8. ფინანსური წიგნიერების პოდკასტი.
9. განმარტებითი ვიდეოები.
10. მომხმარებელთა მხარდჭერის კონტენტი.

შევადარე საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის კონტენტები. ამ მიზნით ვესტუმრე თითოეულის ოფიციალურ ვებგვერდებს, როგორც საძიებო სისტემიდან, აგრეთვე სოციალური ქსელიდან. ფაქტია, რომ ფეისბუქი, დღესდღეობით, ყველაზე ფართომასშტაბიანი სოციალური პლატფორმაა. ორივე ბანკი წარმატებით იყენებს მას. ორივე ბანკის სოციალური ქსელის სიახლეების გვერდის ანალიზით დადგინდა, რომ აქცენტი, ძირითადად, კეთდება ბანკის საქმიანობისა და სიახლეების რეკლამირებაზე, რომელიც მოიცავს, ძირითადად, ვიდეორგოლებს. შესაბამისად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ორივე ბანკის სოციალური ქსელის კონტენტი შედგება სარეკლამო ვიდეორგოლებისგან. რეკლამა შეეხება ბანკის უნიკალურობის მტკიცების მცდელობას და სიახლეებს. რაც შეეხება ოფიციალური გვერდების ანალიზს, თიბისი ბანკის შემთხვევაში წარმოდგენილია ყველა პროდუქტი, მათ შორის ბარათები, ანაბრები, სესხები, პროცენტები, დაზღვევა, მობაილბანკი, გზავნილები. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ბანკია, რომელიც აბსოლუტურად იმეორებს კონკურენტის პროდუქტებს. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია მომხმარებელთა ონლაინკონსულტაცია. საბოლოოდ, ვასკვნით, რომ მოცემული ბანკების მარკეტინგული მიზნები, ბრძოლის მეთოდები იდენტურია.

კლიენტების მომსახურება

ბანკისთვის, როგორც კომერციული, გაყიდვებზე ორიენტირებული ფინანსური ორგანიზაციისთვის, მომსახურების გაყიდვის დროს მნიშვნელოვანია ორი ასპექტი (Futrell C.M., 2011: 12th ed.): 1. ტექნოლოგიური; 2. ფსიქოლოგიური. პირველში იგულისხმება თითოეული ფილიალის თუ სერვისცენტრის ფიზიკური მახასიათებელი და მსიი საქმიანობის ორიგანიზაცია, კერძოდ:

- ადგილმდებარეობა;
- ინტერიერი, ფასადი;
- შეთავაზებული პროდუქტი და სარგებლობის პირობები (ტარიფები);
- საქმიანობის პროცესის ორგანიზაცია;
- შესრულებული სამუშაოს ტექნიკური თავისებურებები - სხვადასხვა დოკუმენტაცია, გადახდის დეტალები და სხვ.

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ასპექტს, მასში მოიაზრებენ გარკვეული ემოციური განწყობის განმაპირობებელ ატმოსფეროს. კარგი ატმოსფერო კარგ გაყიდვებს განაპირობებს. ფსიქლოგიური ასპექტი მოიაზრებს:

- სარეკლამო დეტალებს, რაც ქმნის ორგანიზაციის იმიჯს და მომხმარებელთა მოლოდინს;
- განათებას,ფერებს, მუსიკას, სურნელს;
- პერსონალის მხრიდან თავაზიანობას, კეთილგანწყობილ და გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ჩვენ ვცხოვრობთ კონკურენტულ სამყაროში, სადაც იმარჯვებს ინოვაცია. ბიზნესი, რომელიც მოტივირებულია საქმიანობაშიახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, უკონკურენტოა ბაზარზე. აქაც გამოვიყენებ ორი ბანკის თიბისისა და საქართველოს ბანკების მომსახურების პროცესების შედარებით ანალიზს.

საბანკო სფეროში მომსახურების ელექტორნული ფორმით შეთავაზება ზრდის ბანკის მიმზიდველობას. რაც მთავარია, მომსახურების მიღების ონალინშესაძლებლობა იმდენად მარტივი უნდა იყოს, რომ სახალისოც გამოდგეს მომხმარებლისთვის. ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს ინტერნეტბანკინგში სხვადასხვა რთული ფუნქციონალების გამარტივებულად დამატება ორივე ბანკის შემთხვევაში (მაგალითად, საბიუჯეტო გადარიცხვები, გზავნილების განაღდება ისეთი სისტემებით, როგორიცა ვესტერნი, ზალატაია კორონა და სხვ.,).ესხორციელდებოდა უშუალოდ ბანკში ვიზიტით, რაც, რათქმაუნდა, ხშირად დისკომფორტია მომხმარებლისთვის. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ორივე მათგანი ფილიალებისა და სერვისცენტრების გახსნას ცდლობს საცხოვრებელ კორპუსებში,სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან ახლოს. ტარიფებს თუ შევადარებთ სხვადასხვა პროდუქტებზე, მაგალითად ავიღოთ ბარათები, თიბისი ბანკი მომხმარებელს სთავაზობს ე.წ. ნაკრების ბარათებს, პირველი სამთვიანი უფასო მომსახურებით, შემდეგ 2,5 ან 10 ლარიანი ყოველთვიური გადასახადით. საქართველოს ბანკს ეს შეთავაზება აქვს 5, 10 და15 ლარიან ტარიფში არარეზიდენტებისთვის, ხოლო რეზიდენტი მომხმარებლებისთვის თიბისის ანალოგიურად. თიბისი ბანკი არარეზიდენტებსაც და რეზიდენტებსაც ერთი და იმავე ტარიფით ემსახურება. თუ შევადარებთ

აღნიშნული ორი ბანკის ინტერიერსა და ფასადს, დავინახავთ შემდეგს: თიბისი ბანკის შიდა სივრცე წარმოდგენილია ნათელ, თეთრ და ცისფერფერებში, შერეულია ღია ხისფერი და ყავისფერი, რათა მომხმარებლისთვის იყოს მაქსიმალურად სიმშვიდესთან და მყუდროებასთან ასოცირებული, მათთავი იგრძნონ სისტემის ნაწილად და არა გარეშე პირად. საქართველოს ბანკის შიდა ინეტრიერი გადაწყვეტილია თეთრ,ნარინჯისფერ და ღია ყავისფერში, მიზანი ამ შემთხვევაშიც მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტი და სიმშვდის განცდაა.საქმიანობის ორგანიზების თვალსაზრისით,შედარების შედეგი ასეთია:თითოეულ ბანკს აქვს ე.წ. VIP და MASS მომსახურება. აქედან პირველი ორივე ორგანიზაციისთვის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს,რადგან ბანკების ძირითადი მოგების წყაროა. ასეთ კლიენტებს აქვთ განსაკუთრებული საპროცენტო შეღავათები სესხებზე, საანაბრე სარგებელზე, ურიგო ვიზიტი, პერსონალური საბანკო მომსახურება და სხვ. VIP კლიეტებისთვის მომსახურების ტარიფები თიბისში შედეგია: 15 ლარიანი CONCEPT DIGITAL, 25 ლარიანი (არარეზიდენტებითვის 50 ლარი) CONCEPT PREMIUM და 70 ლარიანი CONCEPT 360 მომსახურება. თითოეულ მათგანს აქვს საბარათე ოპერაციების განსხავვებული ლიმიტები და სხვადასხვა საშეღავათო პირობები არა მხოლოდ საბანკო სივრცეში. საქართველოს ბანკის შემთხვევაში მომსახურების ტარიფები ასეთია: SOLO X (ყოველთვიური 18 ლარი), SOLO PREMIUM (30 ლარი თვეში) და SOLO CLUB (75 ლარი თვეში). მაგალითისთვის შევადაროთ თიბისის CONCEPT 360 (https://www.tbcbank.ge/web/-documents/10184/516007/360+price+geo.pdf/2542b552-7b2d-483d-b221-5c7d1bf3d7fd)და საქართველოს ბანკის SOLO CLUB (https://solo.ge/ka/solo/packages/solo-club-terms). თიბისი ბანკის შემთხევაში ბარათიდან გატანის მაქსიმალური დღიური ლიმიტი 60 000 ლარს შეადგენს საკომისიოს გარეშე მაშინ, როდესაც საქართველოს ბანკს 100 000 ლარიანი დღიური ლიმიტი აქვს. ამ მარტივი მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზეშეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ბანკს ოდნავ უკეთესი მომსახურება აქვს კონკრეტულ შემთხვევაში.ცხადია, რომ ორივე საბანკო სეგმენტი თითქმის ერთნაირი ტემპით ვითარდება, აქვთ პროდუქტებისა და მომსახურების იდენტური ნაკრები, ცდილობენ გაუმჯობესონ მომსახურების მიწოდები ხარისხი, გაამარტივონ პროცედურები, რათა გადაიბირონ უფრო მეტი მომხმარებელი კონკურენტთან შედარებით.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომსაბანკო სისტემის იმიჯის შექმნასა და კლიენტების მოზიდვაში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას სწორედ მომსახურების ხარისხი ასრულებს.სასურველია, და საზოგადოდ ასეც ხდება, რომ მომსახურების პროდუქტიულობის ასამაღლებლადმარკეტინგული ღონისძიებების შეჩევისა და განხორციელების პროცესში, არ შემცირდეს მომსახურების ხარისხი.

ბლოგის წარმოება (ბლოგინგი)

ბიზნესის განვითარებაში, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სოციალურ მედიამარკეტინგს (SMM). რას გულისმობს SMM? - ესაა რთული მარკეტინგული ღონისძიებების ნაკრები, რომელიც მიმართულია ბრენდის მხარდასაჭერად სოციალური ქსელების, ბლოგებისა და ფორუმების გამოყენებით მიზნობრივ აუდიტრიასთან მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებისკენ. ამას ექნება

ერთგვარი წარმოსახვითი კლუბის სახე. მსგავსი კლუბის საშუალებით ძალიან ეფექტურია ბრენდის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ მომხმარებლის საქმის კურსში ჩაყენება. უმთავრესი სარგებელი, რასაც ე.წ. ონლაინკლუბი იძლევა, ესაა მაქსიმალურად დაზოგილი ადამიანური რესურსები და კომპანიის დანახარჯები, შედეგად კი, გაზრდილი ბიზნეს ეფექტურობა (თოდუა ნ., აბულაძე რ., 2011).

SMM-სტრატეგიის შემუშავების დროს ნებისმიერმა ორგანიზაციამუნდა გაითვალისწინოს, რომ სოციალური მედია, უპირველესად, არის კომუნიკაციისთვის საუკეთესო საშუალება, რაც გვაძლევს საშუალებას, შევარჩიოთ მიზნობრივი აუდიტორია, დამყარდეს მასთან კავშირი, გაიზარდოს აქტივობა, რაც სამომავლოდ ბიზნესის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დღეს ყველაზე ცნობილი სოციალური ქსელებია:Facebook, Instagram, Twitter, Youtube,Whatsapp. მათ შორის ყველაზე პოპულარულია Facebook.ეს ქსელი ფლობს მომხმარებლის ფსიქოტიპის იდენტიფიცირების და ღრმად წვდომის განსაკუთრებულ ლოგიკას. ასევე, ყველაზე მდიდარ ბაზას, რაც ნიშნავს ძალიან წარმატებულ მილიარდიან ბიზნესს. საბანკო სისტემა დღეისთვის სოციალურ ქსელებს ბლოგების განსათავსებლადაც იყენებს. ამაზე მეტყველებს თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის მაგალითები. თიბისი ბანკის ერთ-ერთი ოფიციალური ბლოგი განთავსებულია მისამართზე: https://tbcyouth.ge/kids/news. ეს ბლოგი გათვლილია სტუდნტებსა და მოსწავლეებზე. საიტი სტუმარს საშუალებას აძლევს, გაეცნოს სხვადასხვა პროდუქტის პირობებს, სხვა მომხმარებელთა გამოცდილებას, ჩაერთოს ინტერაქციაში, მიიღოს ფასდაკლებები მუსიკალურ თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე, დაგეგმოს კულტურული ღონისძიებები, დაისვენოს და ა.შ. ვებგვერდი საკმაოდ ინფორმაციული, სახალისო და მიმზიდველია. რაც შეეხება საართველოს ბანკს. მას აქვს ძალიან მიმზიდველი სოლო მომსახურების ბლოგი მისამართზე: https://solo.ge/ka/solo/blog. საიტზე წარმოდგენილია ზუსტად მსგავსი ხასითის კონტენტი, როგორიცაა კულტურა, სპორტი, თვითგანვითარება. ასე რომ, დღეისთვის საბანკო სისტემაში ბლოგების წარმოება კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა.

დაჯილდოვების არატრადიციული პროგრამები

ნებისმიერ ბიზნესში წარმოშობილ პრობლემათა გადაწყვეტის უმთავრესი ფაქტორი ადამიანური რესურსებია. დაჯილდოების სისტემა ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ამიტომ ცდილობენ საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის ბანკები, დაჯილდოების სისტემის სრულყოფას. სწორად ორგანიზებული დაჯილდოების სისტემა მუშაკთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას განაპირობებს, რაც შრომის ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს.დაჯილდოების სისტემა უშუალო კავშირშია შესრულებული სამუშაოს შეფასებასთან. ჯილდო გამომდინარეობს უკვე შესრულებული სამუშაოს შედეგიდან და ერთგვარ სტიმულადაც მიიჩნევა შემდოგმი წინსვლისთვის(ლობჯანიძე ნ., 2021).

დაჯილდოვების არატრადიციული კონკრეტული ფორმების განხილვამდე საინტერესო იქნება, თვალი გადავავლოთ ცნობილი გამოცემების შეფასებებს დაჯილდოების სიმბოლურ ფორმებზე, კვლევის შედეგებს და სავარაუდო განვითარების სცენარებს. ორგანი-

ზაციული ქცევის კვლევაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მუშაკთა მოტივაციისა და დაჯილდოვების სახეობათა შერჩევას. მკვლევარებმა პოტენციური უარყოფითი შედეგები აღმოაჩინეს დასაქმებულთა გარეგანი სტიმულირების მიმართულებით. კერძოდ, დადგინეს, რომ ფულადი წახალისება განსაკუთრებით არის მიდრეკილი კოროზიული ეფექტისკენ (Erez et al., 1990; Gerhart et al., 2009; Gneezy et al., 2011). არაფულადი წახალისება, როგორიცაა სიმბოლური ჯილდოები, გაცილებით პერსპექტიულ წახალისებად ითვლება. ესაა სპეციალური არაფულადი წახალისება, რომლის ღირებულება მდგომარეობს ძირითადად მიმღებთა საჯარო აღიარებაში (Gallus and Frey, 2016). სიმბოლური დაჯილდოების სხვადასხვა ფორმა შეიძლება დაიწყოს ოქროს მედლებით და მივიდეს თანამშრომლის სიმბოლურ აღიარებამდე, მაგალითად, „თვის თანამშრომლისნ წოდების მინიჭებამდე.

სიმბოლური ჯილდოების უამრავი უპირატესობის მიხედავად, მისი გამოყენების ხარვეზებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. ორგანიზაციული ქცევისა და ფსიქოლოგიის რამდენიმე თეორია ვარაუდობს, რომ სიმბოლურმა ჯილდოებმა უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს მიმღების პირად მოტივაციასა და ძალისხმევაზე, რაც უარყოფითად აისახება დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე.ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა თეორია.ერთ-ერთია თვითანალიზის თეორია (Deci and Ryan,1985, Ryan and Deci, 2000), რომლის მიხედვით შინაგანი მოტივაცია პირდაირ კავშირშია იმასთან, თუ რამდენად რეაგირებს სტიმულებზე დასაქმებული.სიმბოლური ჯილდოები დაფუძნებულია წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე.მუშაკებმა შესაძლოა,თავი აარიდონ ჯილდოსთან დაკავშირებული ვალდებულებებისშესრულებას, რაც ხელს უშლის დაჯილდოების სისტემის წინაშე მდგომი ამოცანის შესრულებას. მეორე მხრივ, არსებობსკვლევა ადამიანთა მორალური ქცევისკენ მიდრეკილებების შესახებ (Monini&Miler, 2001; Muler& Monini, 2016) ამ კვლევის შედეგები უჩვენებს,რომ ადამიანები ნაკლებად იქცევიან სოციალურად გამართლებული პრინციპებით, როდესაც თვლიან, რომ მათ უკვე შეასრულეს ვალდებულებები.

დაჯილდოების სისტემის განხილვამ თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის მაგალითზეაჩვენა, რომ აქ ორივე სახის (მატერიალური და სიმბოლური) ჯილდო საკმაოდ აქტიურად მუშაობს. მართალია, დასაქმებულთა უმრავლესობისთვის ყოველთვიური სამოტივაციო ამოცანის შესრულების მთავარი მოტივატორი შედეგების ფინანსურ ჯილდოში ასახვაა, თუცა ისეთი მოტივატორები, როგორიცაა კლიენტის კმაყოფილება, შეფასების რაოდენობრივი საზომები, მადლობების დაფიქსირება და ამით მინიჭებული კმაყოფილება უფრო მეტად ახასიათებს ზედმეტად ღრმად კორპორატიულ თანამშრომელს, ვისთვისაც პრესტიჟს უფრო მეტად ბრენდის სახელით წარმატებული საქმიანობაწარმოადგენს, შესაბამისად, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბანკების მიერ გამოყენებული არატრადიციული წახალისების ფორმები. თუმცა,მათთვისაცმატერიალური წახალისება ძირითადია.

საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ დაჯილდოვება, იქნება ის ფინანსური თუარაფინანსური, სასიამოვნოდ ახალისებს მუშაობის პროცესს. დაჯილდოების კუთხითგასატარებულ ღონისძიებათაადექვატურად შერჩევა, ფირმის ხელმძღვანელობაზე, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, კადრების მართვისა და მარკეტინგის ქვედანაყოფების თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული.

ვიდეოკონტენტის კამპანია და ციფრული აბრები (ნიშნები)

21-ე საუკუნეში ბიზნესი ციფრული ტექნოლოგიებით მართვადი სისტემა გახდა. თანამედროვე ეკონომიკაში ელექტრონული პლატფორმების საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის უწყვეტად გავრცელება, მომხმარებლებთან ინტერაქციული კონტაქტი და ტრანზაქციების განხორციელება ციფრული სისტემების გამოყენებით. გატარებული ციფრული ცვლილებების კვალდაკვალ, მომსახურების გასაუჯობესებლად აუცილებელი გახდა ბანკების ელექტრონული ტრანსფორმაცია, ვინაიდან, თანამედროვე ტექნოლოგიებს აქვთ ინფორმაციის გამოყენების პროდუქტიულობის, პერმანენტულობისა დაგამჭირვალობის ზრდის უნარი (თოდუა ნ., გოგიტიძე ნ., 2022).ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი სახეა ვიდეომარკეტინგი, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად გამოიყენება საბანკო სისტემაში. კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ახალი მომხმარებლების მოზიდვა და არსებული მომხმარებლების შენარჩუნება. უნდა ითქვას, რომ კომუნიკაციის მრავალფეროვნება ერთგვარ დამხმარე საშუალებადაც შეიძლება განიხილებოდეს და დამაბრკოლებელ წინაღობადაც. ეს დამოკიდებულია უშუალოდ მარკეტოლოგის სწორ მიდგომასა, ან უბრალოდ, ბიზნესსუბიექტის სწორ მარკეტინგულ ხედვაზე. ინფორმაცია იარაღია, შესაბამისად, მომხმარებელი შეიძენს იმ პროდუქციას, რომელზეც სმენია და სმენია საკმაოდ ინოვაციური მეთოდებით.გამომდინარე აქედან, მარკეტინგულ საქმიანობაში დღითიღე იზრდება ციფრული ტექონოლოგიების, მათ შორის ვიდეომარკეტინგის, მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ ვიდეოკონტენტი 20%-ით უფრო მიმზიდველია მომხმარებლისთვის და სამჯერ მეტი რაოდენობის ადამიანს სწვდება სოციალურ ქსელში, ვიდრე სტანდარტული კონტენტი. გამომდინარე ზემოთქმულიდან, შეუძლებელია, უარვყოთ ფაქტი, რომ ვიდეოკონტენტი ციფრული რეკლამის შესაქმნელად მძლავრი ინსტრუმენტია.

არსებობსვიდეოკონტენტის რამდენიმე სახეობა. ესენია:

- Live ვიდეოკონტენტი - უმარტივესი და ყველაზე ეფექტური გზა მიზნობრივ აუდიტორიამდე;სტატისტიკის მიხედვით, ადამიანთა 64%-მა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც ნახა Live, ხოლო 82 %-სთვის სოციალურ მედიაში განთავსებულ პოსტზე უპირატესი Live ვიდეოს ნახვაა.
- შემეცნებითი ვიდეოკონტენტი;
- ვიდეო, რომელიც შეეხება ბრენდს და მიმართულიაბრენდის შიდა სამზარეულოს გაზიარებისკენ.

როგორც ცნობილია, Facebook არის ყველაზე ცნობილი ინტერნეტპლატფორმა, რომელსაც უდიდესი აუდიტორია ჰყავს. შესაბამისად, მომგებიანია ამ რესურსის აქტიურად გამოყენება. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა ინდოეთის კომერციულ ბანკებში (Mani, R., Thiyagarajan, S., 2022) ხუთნახევარი წლის განმავლობაში (2016 წლის ივნისიდან 2021 წლის დეკემბრამდე), გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად იყენებდნენ სოციალურ ქსელებს მომხმარებლების ინფორმირებისა და გამოხმაურებისთვის. გამოვლინდა ისიც, რომ ბანკები და მათი მომხმარებლები ყველაზე აქტიურები იყვნენ Facebook-ზე. ყველა ბანკი იყენებდა ამ პლატფორმას თავის პროდუქტების პოპულარიზაციისთვის.

არსებობს ოთხი საუკეთესო მიდგომა ბანკის ვიდეომარკეტინგის ეფექტიანობის მისაღწევად (**Schults B., 2018**):

- თანმიმდევრულობა;
- ბალანსი შინაარსსა და გამომხატველობას შორის;
- ისეთი სოციალური ვიდეორეკლამების შექმნა, რომძლიერი ემოცია და მოტივაცია;
- სიუჟეტის დამაჯერებლობა, რაც განსაზღვრავს მნახველების მიერ ვიდეოების ყურების ხანგრძლივობას.

საქართველოს საბანკო სექტორში დიჯიტალ მარკეტინგი არც თუ ისე დიდი გამოცდილებითაა წამოდგენილი. თუმცა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბანკები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს თავიანთი მიზნების მისაღწევად. ყოველი ბანკი ცდილობს მომხმარებლის გადაბირებას, რისთვისაცაქტიურად იყენებს ყველა სოციალურ პლატფორმას მიზნობრივ მომხმარებლამდე ხმის მაქსიმალურად მისაწვდენად. თუ გადავხედავთ თიბისი ბანკის ფეისბუქ პლატფორმებს ან იუთუბ არხს,დავინახავთ, რომრეკლამები წარმოდგენილია ვიდეოების სახით, ყურადღება ექცევა ხმას, ვიზუალსდა ინფლუენსერების გამოყენებას. ბოლო პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, გამოაქვეყნონ ვიდეოები ჩვეულებრივი მომხმარებლების ბანკთან ურთიერთობის გამოცდილების გაზიარებით. ასე, მაგალითად, თიბისი ბანკის ყველა ფილიალში გამოკრულ მონიტორებზე შეხვდებით თიბისი კონცეპტის რეკლამას, სადაც მონაწილეობს ძალიან საქმიანი ჩვეულებრივი, საზოგადოებისთვს არაცნობადი სახე, რომელსაც მუდმივად სჭირდება მოგზაურობა საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე. ის ჰყვება, თუ რაოდენ გაუმარტივა და გაუიაფა კონცეპტმა გადაადგილება მსოფლიოს გარშემო.დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, ეწვიოს ბანკის იუთუბპლატფორმას შემდეგ მისამართზე https://www.youtube.com/@TBCBankTV/videos. საქართველოს ბანკის ანალოგიურ პლატფრომაზე თუ შევალთ https://www.youtube.com/-@BankofGeorgiaTV/videos, იქ ზუსტად იმავე კონტენტს შევხვდებით, კერძოდ, ბანკის სტრატეგიულ მიმართულებებს, რეკლამებს, მუდმივ ჩართულობას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობას და ა.შ.

ახლა რაც შეეხება ციფრულ სარეკლამო აბრებს. ციფრული სარეკლამო აბრების მთელი არსი იმაშია, რომ ნებისმიერ ბიზნესსუბიექტს თუ ფიზიკურ პირს შეუძლია, საკუთარი პროდუქტი წარმოაჩინოს მომხმარებლის წინაშე გარეშე პირის დაუხმარებლად. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალშიციფრული სარეკლამო საშუალებებიდაიკავებს უკვე მოძველებლი სარეკლამო ფორმების ადგილს და წამყვან პოზიციებს გლობალურ სარეკლამო სივრცეში. ციფრული სარეკლამო საშუალებების გამოყენებით ბანკების საქმიანობის ეფექტიანობა დადასტურდა ჩინეთის სხვადასხვა სახის ბანკების მაგალითზე (HuangZ., 2023).

ციფრული აბრების გამოყენება დღითიდღე იზრდება ბიზნესის ყველა სახეობაში მისი ეფექტურობის, მოქნილობის და დროში ნაკლები დანახარჯების გამო. გამონაკლისს არც ბანკები წარმოადგენენ. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი სარგებლობს საბანკო მომსახურებით. ამ სფეროში სისტემატურად ხდება ცვლილებები. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მომხმარებლისთვის სიახლის შესახებ ინფორმაციასაკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი აღმოჩნდეს. ამიტომ, თითოეული კომერციული ბანკი საკმაოდ აქტიურად და ეფექტურად ცდილობს სოციალური პლატფორმების ყველა უპირატესობის ათვისებას. ნებისმიერ სოციალურ სივრცეში მინიმუმ დღეში ერთხელ მაინც მომხმარებლები ხედავენ

რეკლამებს, რომლებითაც მიმზიდველად სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტებს. ასე, მაგალითად, თიბისი ბანკს აქვს ასეთი შეთავაზება ფეისბუქზე: „დღეიდან, ისევ გაქვს შანსი დასაჩუქრდე Tbilisi Open Air-ის სამდღიანი აბონემენტით. ჩაერთე ციფრული ბანკის მეორე კვირის თამაშში.ნ პოსტი თარიღდება 29 მაისით. თუ შინაარსს ჩავუღრმადებით, დავინახავთ,რომ ის ხელს უწყობს ბანკის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას, ბაზარზე ამ მიმართულებით ცნობადობის ზრდას და ამას ახერხებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.აღსანიშნავია ასევე, რომ მომხმარებელს მიმართავს უშუალოდ, რაც მას თავს აგრძნობინებს ბანკის ნაწილად. შევადაროთ საქართველოს ბანკს. მის ფეისბუქ გვერდზე არის ასეთი რეკლამა: „ახლა უკვე ნებისმიერ დროს, მობილბანკით გადმოიტანე თანხა შენს ანგარიშზე ან გადარიცხე ნებისმიერ ბანკში და ეგრევე ჩაირიცხება“. პოსტი თარიღდება 14 ივნისით. პარალელს თუ გავავლებთ, აქაც ვხედავთ ანალოგიურ უშუალო „შენობით“ მიმართვის ფორმას. ე.ი. საქართველოს ბანკიცაქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს მომხმარებლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. ამ პერიოდამდე ბანკებს შორის ონლაინგადარიცხვას მაქსიმუმ ერთი სამუშაო დღე სჭირდებოდა, ახლა კი შესაძლებელია მისი მომენტალურად განხორციელება. როგორც ვხედავთ, თიბისი ბანკის ინტერნეტბანკინგის გავრცელების აგრესიულ მარკეტინგულ კამპანიას, საქართველოს ბანკმა ტექნოლოგიური სიახლით უპასუხა. საბოლოოდ, ვასკვნით, რომ ციფრული აბრების გამოყენება ქართულ ბაზარზე არახალია, თუმცა ნაკლებად შესწავლილია.

სტრატეგიული პარტნიორობა

ბიზნესში, გაზრდილი კონკურენციის პირობებში, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტარტეგიული პარტნიორობა. ის თითოეული კომპანიისთვის სერიოზული უპირატესობის მომტანია კონკურენტებთან მიმართებით. სტრატეგიული პარტნიორობა ყველაზე მნიშვნელოვანია თანამშრომლობის სხვა ფორმებთან შედარებით. გაერთანება ხასიათდება მსგავსი ღირებულებებით და მოაქვს კომპანიებისთვის ბევრი სარგებელი. ერთ-ერთია გადალახული ბარიერები იმ სფეროებში, სადაც დამოუკიდებლად ბიზნესი ვერ შევიდოდა გართულებებს გარეშე. მეორე, პარტნიორების წვდომა სხვადასხვა რესურსებზე, მაგრამ არა განურჩევლად, არამედ საჭიროების მიხედვით, მაგალითად, ტექნოლოგიებზე, პროდუქტებზე და ა.შ. ეს წარმოშობს პროდუტების ახალ ბაზრებს და ახალი სახეობის პროდუქტებს. სარგებელში მოიაზრება ბრენდის გაძლიერება სეგმენტში პარტნიორული არხების მეშვეობით.

სტრატეგიულ პარტნიორობას,სარგებელთან ერთად, აქვს უარყოფითი შედეგებიც. მაგალითად, დარგობრივმა სახესხვაობამ შეიძლება ხელი შეუშალოს თანამშრომლობას, ასევე, მოსალოდნელია გართულდეს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, დროში გაჭიანურდეს და საჭირო გახდეს გარკვეულ კომპრომისზე წასვლა.საერთოდ, სწორად შერჩეული პარტნიორი სტრატეგიული თანამშრომლობის დროს გაცილებით მეტ სარგებელს იძლევა, ვიდრე ნაკლოვანებებსა და საფრთხეებს. ადამიანები ყოველთვის ეძებდნენ და დღესაც ეძებენ ისეთპარტნიორს, რომელიც მიზნების მიღწევას აადვილებს.

პრინციპი, რომლითაც სტრატეგიულ პარტნიორებს ირჩევენ, ყველა დარგისთვის საერთოა. ერთ ძლიერს ყოველთვის ზურგს მეორე ძლიერი უმაგრებს.

ასე, მაგალითად, თიბისი-მ და USAID-მა 2022 წლის 23 მარტს გააფორმეს სტრატეგიული პარტნიორობის მემორანდუმი. პარტნიორობის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და მდგრადობის განმტკიცება. თანამშრომლობა თიბისის საშუალებას მისცემს, რომ გააფართოვოს ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, აამაღლოს რესურსების პროდუქტიულობაწაახალისოს ეკონომიკური ზრდაეკონომიკურად გააძლიეროს მდედრობითი სქესის წარმომადგენლები.

სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ლიტერატურულ პრემია „საბა“-ს დაარსება2002 წელს პოეტ რატი ამაღლობელის და თიბისის მიერ. ინფორმაცია განთავსებულია „საბას ოფიციალური გვერდის მისამართზე: https://saba.com.ge-/html/page/52. პრემიის დაარსებით წლის მთავარ ლიტერატურულ მოვლენად დამკვიდრდა გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება, საუკეთესო ავტორებისა და წიგნების გამოვლენა. შეიქმნა „საბა“-ს ელეტრონული წიგნების პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ლიტერატურის ყველა ჟანრს და ხელმისაწვდომია სხვადასხვა არხით.

სტრატეგიული პარტნიორობის მაგალითია თიბისის თანამშრომლობა ბორჯღალოსნებთან. გამოვიდა სტიკერები „რაგბი ჩვენი თამაშია“. „წერე ქართულად“, ასევე, ნოვაციას წარმოადგენს.

საქართველოს ბანკის შემთხვევაში, სტრატეგიული პარტნიორობის მაგალითად შეგვიძლია,მოვიყვანოთ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებთან პარტნიორობა და მისი სპონსორობა. საქართველოს ბანკი ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილების პარტნიორი და მთავარი მხარდამჭერია. ბანკის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულია პოსტი ქართული ქორეოგრაფიის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ტრადიციულად 11 ივნისს იმართება.

აღნიშნული მარტივი მაგალითები ცხადყოფს, რომ სტრატეგიული პარტნიორობის მიზანს, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს ბიზნესის განვითარება, საზოგადოებაში მისი ცნობადობისა და ნდობის ამაღლება.

დასკვნა

21-ე საუკუნეში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საკითხმა მეტი აქტუალობა შეიძინა. ეს იგრძნობა ადამიანთა საქმიანობის განურჩევლად ყველა სფეროში, მათ შორის ბანკებში. ამიტომ ცდილობენ ბანკები უახლესი მეთოდებით მუშაობას. ამიტომ ინერგება აქტიურად ციფრული ტექნოლოგიები. ციფრული მარკეტინგის გამოყენებით ბანკებმა მკვეთრად გააუმჯობესეს მომხმარებელთა მომსახურება. ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენება თანამედროვე საბანკო სტრატეგიების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისთვის. მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი რამ კიდევ მოსაგვარებელია.

ციფრული მარკეტინგის გამოყენების პირობებში საჭიროა, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, უნდა დაიხვეწოს ბანკების თანამშრომლების მიერ მომხმარებლებისთვის კონსულტაციების გაწევის პრაქტიკა ციფრული მარკეტინგის მიმართულებით განხორციელებულ სიახლეებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა ნ., გოგიტიძე ნ. „ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მარკეტინგული ასპექტები საქართველოს ბანკებში“, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები, თბილისი, 2022, 196-202.
2. თოდუა ნ., გოგიტიძე ნ. COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრული ბანკინგის მომხმარე-ბელთა ქცევაზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „COVID-19 პანდემია და ეკონომიკა“ მასალები, თბილისი, თებერვალი, 2022, 161-168.
3. თოდუა ნ., გოგიტიძე ნ. „ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საბანკო სექტორში“, ჟურნალი „მეცნიერება“, N 3-4(62-63),2021, ტომი 16, ნომერი 3.
4. თოდუა ნ.,ჯაში ჩ. „დიდი მონაცემების გამოწვევები და შესაძლებლობები ციფრულ მარკეტინგში“, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები, თბილისი, 2022, 203-211.
5. თოდუა ნ., აბულაძე რ. „ინტერნეტ მარკეტინგი“, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2011.
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. „თანამედროვე საბანკო საქმე,თეორია და პრაქტიკა“, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2022.
7. კოტლერი ფ., კელერი კ. მარკეტინგის მენეჯმენტი. თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე პროფ. ნ. თოდუას სამეცნიერო რედაქტორობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
8. ლობჯანიძე ნ., გიგაური ე., შარაშენიძე ა., „ფირმის ეკონომიკა“, თბილისი, პირველი ელექტორნული გამოცემა, 2021. https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/lobjanidze-firmis-ekonomika-reader.pdf (ბოლო ნახვა 28/06/2023)
9. მოსიაშვილი ვ.,ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე (ლექციების კურსი), თბილისი,2009
10. შელია მ., ვასაძე მ., კობიაშვილი მ., ხომერიკი გ. „მომსახურების ხელოვნება“, მ. ჩხეიძის საერთო რედაქტორობით, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008.
11. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008.
12. Demino F., Modern Bank Marketing – A Comprehensive Guide, 2023. mediaboom.com/news/bank-marketing/ (ბოლო ნახვა 28/06/2023)
13. Dr.Soniya.K, Mr.Santhosh Raja. R, Digital Marketing in Banking: Evolution Or Revolution, July, 2018, ISSN: 2455-2631, Volume 3, Issue 7.
14. Futrell, C., Fundamentals of selling: customers for life throughservice/CharlesM.Futrell.— Texas & M University, 2011,12th edition.
15. Huang Z., „Research on the Impact of Digital Transformation of Commercial Banks on Profitability University, 2023, Shanghai, China.
16. Li T., Lu R., „Social undermining as a dark side of symbolic awards: Evidence from aregression discontinuity design“,ELSEVIER, 2022.
17. Mani, R., Thiyagarajan, S., Azhaguraja, N., & Janakiraman S.Users' Engagement in Banking Activities on Social Media: A Study With Reference to Facebook“. Copernican Journal of Finance & Accounting,2022, Pg.32-47
(PDF) USERS' ENGAGEMENT IN BANKING ACTIVITIES ON SOCIAL MEDIA: A STUDY WITH REFERENCE TO FACEBOOK (researchgate.net)(ბოლო ნახვა 28/06/2023)

18. Poliakh S., Rudenko A., Poliakh K., The Main Trends and Features of Banking Marketing in The Digital Ecnomy, International Journal of Advance Study and Research Work (25815997)/ Volume 4/Issue 4/April, 2021. Pg. 7-8.
The Main Trends and Features of Banking Marketing in the Digital Economy | Zenodo (ბოლო ნახვა 28/06/2023)
19. digitalhub.edu.ge/blog/social-media/ვიდეო-კონტენტი-5-ტიპი/ (ბოლო ნახვა 28/06/2023)
20. netgazeti.ge/news/601578/(ბოლო ნახვა 28/06/2023)
21. contentworks.agency/10-content-marketing-ideas-for-banking/(ბოლო ნახვა 28/06/2023)
22. https://saba.com.ge/html/page/52(ბოლო ნახვა 28/06/2023)
23. www.researchgate.net/publication/49615486_CONCEPT_AND_EVOLUTION_OF_BANK_MARKETING/fulltext/0ffc5db50cf255165fc80b80/CONCEPT-AND-EVOLUTION-OF-BANK-MARKETING.pdf(ბოლო ნახვა 28/06/2023)

Basic Strategies of Modern Banking Marketing

Tea Chachua
TSU Ph.D. Student

SUMMARY

In the era of increasing technological progress, establishing yourself for any business activity is the most difficult task. In the conditions of rapid development of science, today, there is no problem with access to information, which allows each person to often change their behavior and priorities regarding this or that product. This makes it difficult to succeed in business. The agenda for people employed in business is to acquire knowledge corresponding to modern requirements and acquire practical experience. Such an approach, along with other areas of business, also applies to the banking sector.

ავტომატიზაციის ტექნოლოგიების ინტეგრაცია შენობების მართვის სისტემაში

ლუკა ცერცვაძე
თსუ დოქტორანტი

ბოლო წლებში სისტემების ავტომატიზაციამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია სხვადასხვა ინდუსტრიაზე. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელი გახდა უმოკლეს დროში მოცულობითი საინფორმაციო ბაზების დამუშავება, კონკრეტული ცვლადების მონიტორინგი და მათი მეშვეობით გარკვეული გადაწყვეტილებების ავტომატური შესრულება. მსგავსი მიდგომა საკმაოდ წარმატებულად ინტეგრირდა ისეთ კომპლექსურ მიმართულებაში, როგორიცაა სამშენებლო ინდუსტრია. შენობების მართვის სისტემები (BMS) მნიშვნელოვან როლს ასრულებს შენობის საოპერაციო სისტემების ოპტიმიზაციაში, ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფაში და მაცხოვრებლების კომფორტის შექმნაში. დროთა განმავლობაში BMS ხდება მეტად აქტუალური და აუცილებელი საცხოვრებელი თუ ინდუსტრიული გარემოს მოწყობისთვის, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მაცხოვრებლის ინფორმირებულობა, უსაფრთხოება, გარემო პირობებთან ადაპტაციის უნარი, ასევე, დროის ნებისმიერ მონაკვეთში მყისიერი რეაგირების უნარის ქონა სასურველი ცვლილებების განსახორციელებლად და სხვა.

ნაშრომში საუბარია შენობების მართვის სისტემაში ინტეგრირებულ ავტომატიზაციის ტექნოლოგიის სახეებზე, თუ როგორ ხორციელდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით ერთი მულტიმედიური ქსელის და ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით მომხმარებელზე ინდივიდუალურად მორგებული გადაწყვეტილებების შესრულება, მისი შედარებით პასიური ან საერთოდ ნულოვანი ჩართულობის გარეშე. ასევე, საუბარია იმ უნარზე, რის მეშვეობითაც სისტემა იღებს განგაშის ინფორმაციას, აფასებს მიმდინარე მოცემულობას და მყისიერი დიაგნოსტიკის ხარჯზე, სთავაზობს მომხმარებელს საუკეთესო გამოსავალს.

ნაშრომში, ასევე, საუბარია, თუ როგორ შეუძლია ავტომატიზაციის სისტემებს გააძლიეროს შენობის კონტროლისათვის საჭირო დანადგარების ეფექტური მუშაობა, რათა მაქსიმალურად მოარგოს გარემო შენობაში მყოფ პირებს და ამასთანავე, დაზოგოს ძვირადღირებული მოწყობილობების ცვეთა. ასევე, კონკრეტული მაგალითების მიხედვით განხილულია, თუ რა სახის სამუშაო ძალის დაზოგვა არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: *ავტომატიზაცია, ჭკვიანი სახლი, KNX პროტოკოლი, ZIGBEE პროტოკოლი.*

საოპერაციო სისტემებისა და პროცესების ავტომატიზაცია დღეისათვის აქტიურად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს. XXI-საუკუნემ და ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა სხვადასხვა ინდუსტრიაში ავტომატიზებული პროცესების დანერგვის მიმართულებით. კერძოდ, დადგა სხვადასხვა პროცესში ადამიანური რესურსების

ჩართვის მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობა. საინფორმაციო სისტემების განვითარებამ საშუალება მოგვცა დაგვეზოგა ყველაზე მნიშვნელოვანი, ადამიანური რესურსი და ენერგო დანახარჯები. თანამედროვე ტექნოლოგიების სინთეზმა შესაძლებლობა მოგვცა შემცირებული ადამიანური რესურსებით მიგვეღო შემდეგი შედეგი: შემცირებული ენერგო დანახარჯები, დაზოგილი მექანიკური აგრეგატების ცვეთა, შემცირებული ადამიანური შეცდომის დაშვების ალბათობა, გაზრდილი დანადგარების მუშაობის სიზუსტე და სხვა.

ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა, სხვადასხვა ინდუსტრიაში არსებული პროცესები და ამოცანები შესრულდეს შედარებით ნაკლები სამუშაო ძალის გამოყენებით ან ისინი განხორციელდეს საერთოდ ადამიანური ჩარევის გარეშე. ავტომატიზაცია სხვადასხვა საოპერაციო სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მაქსიმალურად გამოირიცხავს ადამიანური შეცდომების რიცხვს და ზრდის ამოცანის შესრულების ეფექტურობას.

პროცესების ავტომატიზაცია აქტიურად გამოიყენება ისეთ ინდუსტრიებში, როგორიც არის: სამშენებლო, სატრანსპორტო, ჯანდაცვის, ფინანსების და სხვა. იგი გულისხმობს ისეთი პროცესების ჩანაცვლებას, რაც დაკავშირებულია მექანიკური ან განმეორებადი მონაცემების შევსებასთან, სადაც მაღალია შეცდომის დაშვების ალბათობა და მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურს.

არსებობს ავტომატიზაციის სხვადასხვა დონე: საბაზისო ავტომატიზაცია, რომელიც მოიცავს მარტივ მექანიზმებსა და ხელსაწყოებს, როგორიცაა, მაგალითად, კონვეიერის სარტყელი, რომელიც გამოიყენება ბარგის ასატვირთად. შემდეგი არის რობოტული პროცესების ავტომატიზაცია (Robotic Process Automation-RPA), რომელიც იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და ბოტებს იმისთვის, რომ მოხდეს განმეორებითი მონაცემების ავტომატური შევსება. ასევე, გვაქვს ჭკვიანი ავტომატიზაცია, რაც აერთიანებს რობოტული პროცესების ავტომატიზაციასა (RPA) და ხელოვნურ ინტელექტს (AI), რისი საშუალებითაც სისტემებს ეძლევათ საშუალება ინფორმაციაზე დაყრდნობით შეისწავლონ გარემო, ადაპტირდნენ და მიიღონ ავტომატიზაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. ასეთი სახის ავტომატიზაციას მიეკუთვნება Machine learning-ი და Natural language processing-ი. ავტომატიზაციის შედარებით რთულ ფორმას ვხვდებით ინდუსტრიული მიმართულებით, მას სამრეწველო ავტომატიზაცია ეწოდება და მოიცავს ისეთ სისტემებს, რომელიც პასუხიმგებელია პროცესების კონტროლზე. კერძოდ, სხვადასხვა სენსორების მეშვეობით ხდება ინფორმაციის მიღება, დამუშავება და შემდეგ ავტომატურად გადაწყვეტილებების მიღება.

აღსანიშნავია, რომ პროცესების ავტომატიზაცია განვითარებადი მიმართულებაა, რაც მჭიდრო კავშირშია ხელოვნურ ინტელექტთან და ტექნოლოგიურ განვითარებასთან. მისი საშუალებით პროცესები ხდება ბევრად პროდუქტიული, ზუსტი, ხარისხიანი და ეკონომიური. ასეთი მიდგომით ჩნდება შესაძლებლობა, მოცულობითი სამუშაო შესრულდეს მეტი კონტროლის მექანიზმებით, რაც საშუალებას იძლევა ნაკლები სამუშაო ძალით, უფრო დაცულ გარემოში განხორციელდეს პროცესები.

ავტომატიზაცია BMS-ში

შენობის მართვის სისტემებში (Building Management Systems-BMS) ავტომატიზაცია გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვასა და ახალი კონტროლის სისტემების ინტეგრაციას შენობებში, გაუმჯობესებული მართვისთვისა და ადაპტირებული ფუნქციებისთვის. შენობის მართვის სისტემა არის კომპიუტერზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც აკონტროლებს შენობის როგორც მექანიკურ, ასევე, ელექტრონულ მოწყობილობებს და მათ სამართავ მექანიზმებს, მათ შორის გათბობის, ჰაერგადინების, კონდიცირების, განათების, უსაფრთხოების და სხვა აუცილებელ სისტემებს.

შენობის მართვის სისტემა მოიცავს საკმაოდ კომპლექსურ მიმართულებებს, როგორიცაა ავტომატური კონტროლი, შენობისთვის ოპტიმალური ოპერაციების პროტოკოლების შექმნა, ენერგიის მოხმარების მონიტორინგი და გაუმჯობესება და სხვა. შედეგად კი ვიღებთ მაცხოვრებლების მეტ კომფორტს, დროის დაზოგვას და „მწვანე“ - ენერგო ეფექტური გარემოს შემქნას.

კლიმატის კონტროლი ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს შენობის მართვის სისტემებში. მისი ავტომატიზირებით შესაძლებელია სხვადასხვა სივრცეში არსებული ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის და ჰაერის ნაკადის მართვა. ავტომატიზაციის სამართავი მექანიზმებით შესაძლებელი ხდება სივრცეებად და სასაათო ზონებად განაწილება, ასევე, სურვილისამებრ, მითითებული დიაპაზონების ჭრილში ხორციელდება ინდიკატორების რეგულირება, ან გარემო პირობებზე დაყრდნობით, ხდება მათი მართვა. შედეგად ვიღებთ კომფორტულ და ენერგოეფექტურ გარემოს. მსგავს დადებით ეფექტს გვაძლევს განათების კონტროლის ავტომატიზირება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია განათების კონტროლი, როგორც ინდივიდუალური სანათების, ასევე, მათი კონკრეტული ჯგუფების. ასევე, შესაძლებელია მათი დიმირება, რაც გულისხმობს ნათების დონის ცვლილებას გარემოში არსებული განათების დონის ან მითითებული დროის დიაპაზონების მიხედვით. ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება ტერმინი - ენერგიის მენეჯმენტი, რაც გულისხმობს შენობის ენერგიის მოხმარების მონიტორინგს და კონტროლს. იგი რეალურ დროში უზრუნველყოფს მონაცემების ანალიზს. იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდა დასაშვები ნორმიდან გადახრა, მაგალითად, მოთხოვნილი ენერგოეფექტურ დონეზე დატვირთვის შემცირება, სისტემა ავტომატურად გზავნის შეტყობინებას.

გამომდინარე იქიდან, რომ შენობის მართვის სისტემებში არსებობს გარკვეული რეგულაციები, იგი მოიცავს უსაფრთხოების სისტემებს, როგორიც არის სამეთვალყურეო კამერები, დაშვების სისტემები და განგაშის სისტემები. უსაფრთხოების სისტემები საშუალებას იძლება მონიტორინგი, განგაშის შეტყობინებები, ავტომატიზირებული პასუხები უსაფრთხოების დარღვევაზე ან არაავტორიზებული შეღწევადობა გააერთიანოს და წარმოადგინოს, როგორც ერთი ცენტრალიზებული სისტემა.

თანამედროვე მაღალი სტანდარტებით აღჭურვილი შენობები უზრუნველყოფილია ძვირადღირებული დანადგარებით. მათი გაუმართაობის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში წარმოიქმნება კოლოსალური ღირებულების ზარალი. ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად შენობის მართვის სისტემებში არსებობს ხარვეზის დეტექციის და დიაგნოსტიკის ავტომატიზირება. არსებულ სისტემებს საშუალება აქვთ გააანალიზონ დანად-

გარებში დამონტაჟებული სენსორებიდან მოსული ინფორმაცია, დაადგინონ ხარვეზი და მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის განყოფილებას. ეს ხელს უწყობს ნაკლები ადამიანური რესურსით დღის ნებისმიერ მონაკვეთში მოხდეს მოწყოილობების მონიტორინგი, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ხარჯების მინიმიზაციასთან და შეცდომის გამორიცხვის მაქსიმიზაციასთან.

შენობის მართვის სისტემებში, ასევე, გამოიყენება მონაცემთა ანალიზი და რეპორტინგის ავტომატიზაცია. ის საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა სახის ინფორმაცია გავაერთიანოთ ცალკეულ პლატფორმაზე, გავაანალიზოთ იგი და ვიზუალურად წარმოვადგინოთ განსხვავებული ცვლადების სახით სისტემაში. შედეგად, პასუხისმგებელ პირებს საშუალება ეძლევათ, იყვნენ მუდმივად საქმის კურსში, გადაწყვეტილებები მიიღონ გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და შექმნან საჭიროემისამებრ საკუთარი ხედვაზე მორგებული შაბლონები, რითიც გამარტივდება მართვა და კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება.

შენობის მართვის სისტემების ავტომატიზაცია აუმჯობესებს და აჩქარებს შენობისთვის საჭირო ოპერაციების ხარისხს და სიჩქარეს, საგრძნობლად ამცირებს ენერგიის დანაკარგს, აუმჯობესებს ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტურობას.

ჭკვიანი სახლი

ტერმინი ჭკვიანი სახლი წარმოადგენს საცხოვრებელი სივრცის აღჭურვას ისეთი მოწყობილობებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული გადაწყვეტილებების ავტომარუტად შესრულება და მათი მართვა დისტანციურად მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. მოწყობილობები ერთმანეთთან დაკავშირებულია ინტერნეტის საშუალებით, არსებობს, როგორც კაბელიანი, ასევე, უკაბელო პროტოკოლები რითიც ხდება უშუალოდ მათზე წვდომა სახლის მფლობელის მოწყობილობიდან. ჭკვიანი სახლის დანიშნულებაა საცხოვრებელ გარმოში უზრუნველყოს დამატებითი კომფორტი, უსაფრთხოება, ენერგო ეფექტურობა და სხვა. მისი ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: ჭკვიანი თერმოსტატები, ჭკვიანი ჩამრთველები, უსაფრთხოების სისტემები, რომელიც მოიცავს კამერებსა და კარების საკეტებს, ასევე, განგაშის სისტემები და სხვა ჭკვიანი მოწყობილობები, როგორიცაა მაცივრები, ღუმელები, სარეცხი მანქანები, ჭკვიანი გასართობი სისტემები და ხმოვანი ასისტენტები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ამ მოწყობილობების ხმოვანი ბრძანებებით მართვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მოწყობილობების სამართავი პანელი მომხმარებლის სურვილისამებრ ერთიანდება ერთ ოპერაციულ სისტემაში, რომელიც შესაძლოა ჩაიტვირთოს, როგორც სახლში ჩაშენებულ პლანშეტში, ასევე, ნებისმიერი სახის მობილურში, როგორც ანდროიდ, ასევე, IOS ინტერფეისში. ჭკვიანი სახლი მფლობელს საშუალებას აძლევს მეტად ეფექტურად მართოს და თავის ყოველდღიურობას მოარგოს საცხოვრებელი გარემო. იგი საშუალებას იძლევა დისტანციურად დაარეგულიროს ტემპერატურა, ასევე, ჩართოს ან გამორთოს განათება, სამეთვალყურეო კამერებმა უჩვეულო აქტივობების დროს გასცეს განგაშის ბრძანება, გააერთიანოს სხვადასხვა საინფორმაციო სენსორი და წინასწარ განსაზღვრულ პირობებსა და გრაფიკებზე დაყრდნობით განახორციელონ სხვადასხვა პროცესის ავტომატიზირება.

ჭკვიანი სახლის გავლენა უძრავი ქონების ბაზარზე

ჭკვიანი სახლის ტექნოლოგია სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება უძრავი ქონების ბაზარზე. მან მოახდინა აბსოლუტური რევოლუცია უძრავი ქონების ინდუსტრიაში და შესძინა დამატებითი ღირებულება სტანდარტულ შენობებს. მოსახერხებელმა, კომფორტულმა და ენერგოეფექტურმა გარემომ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია სახლის მყიდველებს შორის. ასეთი სახის მახასიათებლები, უძრავი ქონების ბაზარზე სახლს აძლევს მნიშვნელოვან უპირატესობას. ძირითადად მყიდველები მზად არიან გადაიხადონ სტანდარტულზე მაღალი ფასი, სანაცვლოდ კი დაზოგონ დრო და საჭირო ძალისხმევა, რაც დაკავშირებულია ჭკვიანი სახლის მოწყობასთან. მზარდმა ინდუსტრიამ გავლენა იქონია, არა მხოლოდ მყიდველებზე, არამედ უშუალოდ დეველოპერულ კომპანიებსა, მშენებლებსა თუ არქიტექორებზე. მათ სახლის დაპროექტების ეტაპიდან დაიწყეს ჭკვიანი სახლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, მაგალითად, კაბელისა თუ სხვა საჭირო ელემენტების მოწყობაზე ზრუნვა, რამაც საკმაო გავლენა იქონია ინფრასტრუქტურის ცვლილებაზე. ასეთი სახით დაგეგმარებას მივყავართ ისეთი სისტემის მოწყობამდე, რომელიც საშუალებას იძლევა ვაკეთოთ მონაცემთა ანალიტიკა. მაგალითად, შესაძლებელია ენერგიის მოხმარების, მაცხოვრებელთა ქცევის და სხვა მონაცემების განსაზღვრა.

ჭკვიანი სახლის ტექნოლოგიამ უძრავი ქონების ბაზარზე უზრუნველყო კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება, ქონების ღირებულების გაზრდა, სახლის დიზაინისა და მშენებლობის სტანდარტების გაუმჯობესება და მაცხოვრებლებს საშუალება მისცა, მნიშვნელოვანი მონაცემების დაგენერირებით და მათი ანალიზით, შეექმნათ ენერგო ეფექტური და კომფორტული გარმო.

ავტომატიზაციის ტიპები და პროტოკოლები

ავტომატიზაციის ეკოსისტემაში მოწყობილობების კომუნიკაციისთვის არსებობს განსხვავებული პროტოკოლები. პროტოკოლი წარმოადგენს გარკვეული წესებისა და სტანდარტების ერთობლიობას რომელთა საშუალებითაც რეგულირდება კონკრეტული კომუნიკაციები. ის განსაზღვრავს ენას და მეთოდს, რომელსაც მოწყობილობები იყენებენ ბრძანებების გასაცემად და ინფორმაციის მისაღებად. პროტოკოლი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მოწყობილობებს შორის თავსებადობისთვის. მისი საშუალებით სხვადასხვა ბრენდის მწარმოებელს საშუალებას ეძლევა მოაქციონ მოწყობილობები ერთ სისტემაში. სტანდარტიზებული პროტოკოლის გარეშე, ჭკვიანი სახლის მოწყობილობები ვერ შეძლებდნენ ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლას, სიგნალების მიღებას და ბრძანებების დაგენერირებას. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს გარკვეულ დაცვას, ხელს უშლის არსებულ ქსელში გარედან შემოღწევას უნებართვოდ. ჭკვიანი სახლის პროტოკოლის მაგალითებია: Wi-Fi, Bluetooth, Zigbee, Z-Wave, KNX, Bacnet, Modbuss და სხვა. თითოეულ მათგანს აქვს უპირატესობა მონაცემთა გადაცემის სიჩქარისა და დისტანციის, დიაპაზონის, ენერგიის მოხმარების და თავსებადობის კუთხით.

KNX პროტოკოლი

KNX წარმოადგენს სტანდარტიზირებულ საკომუნიკაციო პროტოკოლს, რომელიც გამოიყენება სახლის და შენობების ავტომატიზაციისთვის. სიტყვა მომდინარეობს გერმანული სიტყვისგან „Konnection“, რაც ნიშნავს კავშირს. KNX-ი, ასევე, ცნობილია, როგორც EIB-European Installations Bus. ის არის ღია, დამოუკიდებელი სტანდარტის პროტოკოლი.

KNX პროტოკოლის საშუალებას იძლევა სხვადასხვა შენობისთვის საჭირო მოწყობილობები გავაერთიანოთ ერთ სისტემაში. ასეთ მოწყობილობებს მიეკუთვნება, მაგალითად, განათება, გათბობა-გაგრილება, ვენტილაცია, უსაფრთხოება, აუდიო-ვიზუალური მოწყობილობები. იმისთვის, რომ მათ ერთმანეთში ჰქონდეთ მუდმივი კავშირი, KNX პროტოკოლი ქმნის და ემსახურება საერთო ქსელს. მისი საშუალებით იქმნება ცენტრალიზებული სისტემა კონტროლის, მონიტორინგის და ავტომატიზაციისთვის.

KNX მოწყობილობები ასევე, ცნობილი როგორც KNX პროდუქტები, აერთიანებს სხვადასხვა სენსორებს, აქტივატორებს, ჩამრთველებს, კონტროლერებს და სხვა კომპონენტებს. ეს მოწყობილობები დაკავშირებულია ძირითად შემკრებ სისტემასთან რომელიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც დაკაბელებით, ასევე, უკაბელოდ რადიო სიხშირის სახით. ძირითადი სისტემა სახელად KNX BUS-ი მოწყობილობებს საშუალებას აძლევს გაცვალონ ინფორმაცია და გასცენ ბრძანებები.

KNX-ის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ფუნქციონალური თავსებადობა. სტანდარტიზირებული პროტოკოლის გამო, KNX მოწყობილობებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ მაშნაც კი, როცა სხვადასხვა მწარმოებლის მოწყობილობებს ვაერთიანებთ.

MODBUSS პროტოკოლი

MODBUSS წარმოადგენს პოპულარულ საკომუნიკაციო პროტოკოლს, რომელიც გამოიყენება ინდუსტრიული ავტომატიზაციის სისტემების ინფორმაციის გაცვლის და შენახვისთვის. ის თავდაპირველად 1979 წელს MODICON-მა (დღეს ცნობილია როგორც Shneider Electric-ი) შეიმუშავა და მას შემდეგ დამკვიდრდა, როგორც პროტოკოლის სტანდარტი ინდუსტრიული მიმართულებით.

MODBUSS-ი მარტივი და ძლიერი პროტოკოლია. მისი მუშაობის პრონციპია მოწყობილობების დაყოფა Master და Slave ტიპებად, სადაც Master მოწყობილობებს აქვს ზედამხედველობის, კონტროლის და მონაცემთა შეგროვების ფუნქცია, ხოლო Slave მოწყობილობებს ინფორმაციის მიღების (სენსორებისგან ან აქტივატორებისგან).

MODBUSS-ი იყენებს „კლიენტ/სერვისის“ არქიტექტურას, სადაც Master მოწყობილობა გასცემს ბრძანებას, რისი მიხედვითაც ინფორმაცია მიეწოდება Slave მოწყობილობებს შედეგად კი კონკრეტულ რეგისტრატებში იწერება ან იკითხება MODBUSS-ის პროტოკოლით. ზემოთხსენებულ პროტოკოლში ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც 16 ასევე, 32 ბიტიანი „ინტეგრებით“. გარდა ამისა, მონაცემთა სხვა ტიპების მხარდაჭერაც გათვალისწინებულია.

MODBUSS ისევე, როგორც KNX ღია პროტოკოლია, თუმცა მისგან განსხვავებით ის მუშაობს შედარებით დიდ მანძილზე და ასევე, ის ცნობილია, როგორც განსახორციელებ-

ლად მარტივი პროტოკოლი, რის გამოც იგი ფართოდ გამოიყენება ინდუსტრიულ ავტომატიზაციაში. მაგალითად, როგორიც არის წარმოების, ენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის, შენობა ნაგებობებისა და სხვა.

Zigbee პროტოკოლი

Zigbee არის უკაბელო საკომუნიკაციო პროტოკოლი, იგი ფართოდ გამოიყენება სახლის და შენობის ავტომატიზაციაში, ინდუსტრიულ კონტროლში და სხვა მიმართულებებში. Zigbee შექმნილია მოწყობილობებს შორის შედარებით დაბალი სიმძლავრის და დაბალი სიჩქარის უკაბელო კავშირის უზრუნველსაყოფად.

Zigbee მუშაობს IEEE 802.15.4 სტანდარტზე, რომელიც განსაზღვრავს პროტოკოლის ფიზიკურ და მედია წვდომას. იგი იყენებს 2.4 GHz რადიოსიხშირულ ზონას კომუნიკაციისთვის, არსებული რეგიონული განსხვავებების გამო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სიხშირის დიაპაზონიც.

Zigbee პროტოკოლის უპირატესობას წარმოადგენს მისი უნარი შექმნას მეშ სისტემა. უფრო ზუსტად Zigbee პროტოკოლზე მომუშავე მოწყობილობებს უნარი აქვთ იმუშაონ როგორც მოწყობილობებად ასევე, როგორც ქსელის გამაძლიერებლად, მსგავსი სახის მრავალფუნქციური კომუნიკაცია საშუალებას იძლევა გაფართოვდეს ქსელის დაფარვის დიაპაზონი. მეშ სისტემის ტიპოლოგია, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს დაფარვის მანძილის გაფართოებას, ასევე, ხელს უწყობს მის საიმედობას და დაცულობას. Zigbee პროტოკოლი დაშიფვრის ხარჯზე უზრუნველყოფს უსაფრთხო კომუნიკაციას და არასანქცირებული შემოღწევადობისგან იცავს მათ. მის უპირატესობას წარმოადგენს დაბალი ენერგიის მოხმარება, რაც Zigbee მოწყობილობებს საშუალებას აძლევს კვების წყაროდ გამოიყენოს ელემენტები.

სახლის თანამედროვე კონცეფციის და სტანდარტული მოდელის შედარება

ავტომატიზაციის ტექნოლოგიით დაპროექტებული სახლი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიცულად აშენებული საცხოვრებელი ფართისგან. ძირითადი განსხვავებები იკვეთება ჭკვიანი სახლის უპირატესობებში, მრავალ წლიან პერსპექტივაში გაკეთებულ ენერგიის დანაზოგში, იგულისხმება ელექტრო, თბური და სხვა ენერგეტიკული წყაროები. ასევე ჭკვიანი სახლი საშუალებას აძლევს მაცხოვრებელს მეტად კომფორტულად ადაპტირდეს გარემოსთან და მოარგოს საცხოვრებელი სივრცე, მისთვის სასურველ ინდივიდუალურ მოთხოვნებს. როდესაც ვსაუბრობთ ჭკვიანი სახლის უპირატესობებზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი უსაფრთოხების მაღალი დონე. რაც დაკავშირებულია 24 საათიან მონიტორინგთან, სხვადასხვა საგანგაშო სისტემების არსებობასთან, იგი რეალურ დროში მომხმარებელს საშუალებას აძლევს აკონტროლოს და რეაგირება მოახდინოს მყისიერად, რომელიმე დანადგარის მწყობრიდან გამოსვლისას, ან იმ შემთხვევაში თუ მოხდება გაზის ან წყლის გაჟონვა, ან შეიქმნება სხვა ნებისმიერი სიცოცხლის საფრთხის შემქმნელი გარემოება. ჭკვიანი სახლი საშუალებას იძლევა მარტივად ინტერგრირდეს მზეზე

მომუშავე პანელები და მათი საშუალებით მოხდეს ელექტრო ენერგიის დატვირთვის სწორი გადანაწილება, მისი დაზოგვა და ეფექტური მოხმარება.

ერთი შეხედვით ჭკვიანი სახლის მოწყობას საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის დამატებითი ფაქტორები რომელიც ჩვეულებრივ საცხოვრებელ სივრცეში არ გვხვდება, ესენია: წინასწარი ინვესტიცია, საჭირო სერვისით გამოწვეული დისკომფორტი და დამატებითი ღირებულება, კონფიდენციალურობა და მონაცემთა უსაფრთხოება, ტექნიკური საზრიანობა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან შეგუების სირთულის დაძლევის დონე. იმისთვის რომ მოეწყოს ავტომატიზაციის ტექნოლოგიით აღჭურვილი სივრცე საჭიროა დამატებითი მოწყობილობების შეძენა და დამონტაჟება, ეს კი პირდაპირ კავშირშია დამატებით ხარჯებთან, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. დაახლოებით მისი ღირებულება წარომადგენს არსებული შენობის მეოთხედის ფასს. ამასთანავე ტექნოლოგია განიცდის ცვეთას, გარკვეული დროის შემდეგ იგი საჭიროებს გარკვეულ განახლებას რაც მოითხოვს დროს და დამატებით სახსრებს. გარდა ამისა ჭკვიანი სახლის მორგება ხდება ინდივიდუალურ მოთხოვნებზე რაც შესაძლოა არაკომფორტული აღმოჩნდეს უფროსი თაობისთვის და საჭიროებდეს დამატებით მოწყობას, რაც პირდაპირ დაკავშრებულია ორმაგ ხარჯთან.

შედარების მეთოდოლოგიით იკვეთება საკმაოდ დიდი სხვაობა ჩვეულებრივ საცხოვრებელ სივრცესა და ჭკვიანი სახლის ტექნოლოგიით აღჭურვილ სახლს შორის. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე არჩევანი უნდა გაკეთდეს ინდივიდუალური მოთხოვნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. იგი დამოკიდებულია მომხმარებლის ცხოვრების წესსა და ბიუჯეტზე. ასევე მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების მიმღებლობის დონე და სურვილი რადგან მსგავსი კონცეფციის მქონდე პროდუქტი, დაკავშირებულია ცხოვრების დონის გამარტივებასთან, მან უნდა შემოიტანოს ყოველდღიურობაში მეტი კომფორტი და ჰარმონია და არ გაართულოს იგი და გადატვირთოს ზედმეტი ფუნქციებით.

სავაჭრო ცენტრის მაგალითი

მაგალითისათვის, განვიხილოთ საქართველოში არსებული სავაჭრო ცენტრები. BMS-სისტემის დანერგვამ ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში სტაფს მისცა საშუალება შენობის სრული კონტროლი მომხდარიყო ერთი კონკრეტული სივრციდან, სხვადასხსხვა ელექტრო თუ უსაფრთხოების სისტემების ცენტრალიზებული მართვის სისტემამ საშუალება მოგვცა დაქირავებული ინჟინრების რაოდენობა შეგვემცირებინა 30 პერსონიდან 12 პერსონამდე, შემცირდა მათი ფიზიკური ჩართულება სისტემების ფუნქციონირებაში და სავალდებულო შემოვლა, რომელიც ხორციელდებოდა ყოველ სამ საათში ჩანაცვლდა ინჟინრის მიერ მხოლოდ კომპიუტერით მეთვალყურეობაში, ასევე მათ საშუალება მიეცათ 1500 მეტრით დაშორებული აგრეგატებისა და სისტემების კონტორლი მოეხდინათ მათთან ფიზიკური სიახლოვის და წვდომის გარეშე, შემცირდა ელექტრო და მექანიკური სისტემების ცვეთა და გაიზარდა მოწყობილობების მუშაობის სიზუსტე, ასევე, შემცირდა ენერგო რესურსების გამოყენება. შედეგი: ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა აღნიშნული სისტემების დანერგვისათვის ამცირებს პერსონალის რაოდენობას, გასათვალისწინებელია ასევე, რომ ბაზარზე კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტია საინჟინრო მიმართულე-

ბითი. შემცირდა ენერგო დანახარჯები საშუალოდ 30%-ით, შემცირდა დანადგარების ცვეთა და სავაჭრო ცენტრის მომხმარებლებისათვის მეტად კომფორტული გახდა სივრცის გამოყენება.

მაღალი კლასის სასტუმროს მაგალითი

განვიხილოთ საქართველოში ლუქს კლასის კოტეჯები, რომელიც გაშლილია 30 ჰექტარ ტერიტორიაზე. თავდაპირველად დაგეგმილი იყო პროექტზე მხოლოდ უსაფრთხოების სისტემების დანერგვა, მაგრამ ფართოების რეალობაში აღქმამ და აგრეთვე კლიმატურმა პირობებმა დააყენა საჭიროება მომხდარიყო ყველა კოტეჯის და საერთო მოხმარების სივრცეების კონტროლი მომხდარიყო დისტანციური წვდომით და აგრეთვე ერთი ფიქსირებული წერტილიდან. დაინერგა შენობის მართვისა და ავტომატიზაციის სისტემა, რომელმაც უზრუნველყო ყველა სივრცის კონტროლის ერთ წერტილში გაერთიანება, საიდანაც ხორციელდება კლიმატის კონტროლის სისტემბის მონიტორინგი და მართვა, განათების სისტემის მართვა და სასცენო ატრიბუტიკის მართვა და მონიტორინგი. შედეგად, სტუმრებისათვის ბევრად მომხიბვლელი და კომფორტული გახდა სივრცეების გამოყენება, შემცირდა ადამიანური რესურსების ჩართულობა და სტუმრებისათვის დისკომფორტის შექმნა, ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში ინჟინერს საშუალება აქვს დისტანციურად მოახდინოს სასტუმრო ოთახების სისტემების გამართულად მუშაობის მონიტორინგი და აგრეთვე, ცვლილებების შეტანა სტუმრებისათვის მეტი კომფორტის შესადგენად. სისტემამ საშუალება მისცა ინჟინრებს დისტანციური მართვა და მონიტორინგი მოეხდინათ მათგან 3 და 4 კილომეტრით დაშორებული აგრეგატების, რომელთან ფიზიკური წვდომაც მკაცრი ზამთრის პირობებში შეუძლებელი იყო. დაიზოგა ადამინაური რესურსების აუცილებლობა, გაიზარდა მომხმარებლების კომფორტი და კმაყოფილება, შემცირდა აგრეგატების ცვეთა და ენერგო დანახარჯები.

დასკვნები და რეკომენდაციები

ავტომატიზაციის ტექნოლოგიის ინტეგრაცია შენობის მართვის სისტემებში წარმოადგენს ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას სამშენებლო ინდუსტრიისთვის. ნაშრომში განხილული იქნა ავტომატიზაციის ტექნოლოგიების დანერგვით მიღებული ცვლილებები, როგორც დროითი, ასევე, ფულადი დანახარჯების მინიმიზაციის კუთხით. წარმოჩენილი იქნა BMS-ის პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ტიპის შენობის მართვისთვის შემთხვევაში. ნაშრომში ნაჩვენები რეალური პრაქტიკული მაგალითებიდან, მკვეთრად იკვეთება BMS-ის მნიშვნელოვნება საოპერაციო ეფექტურობის გაზრდისა და გამარტივების კუთხით.

ამასთან, მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის და ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად, როგორც კომერციული, ასევე, საცხოვრებელი მიზნებისათვის, ჭკვიანი მართვის სისტემების პოპულარობა დღითიდღე იზრდება. შესაბამისად, მზარდია ამ სფეროში მოქმედი მცირე კომპანიებისა თუ მასშტაბური კორპორაციების რაოდენობაც. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკურენციის ზრდასა და ბაზრის განვითარებას. პროცესების

ავტომატიზაცია დღეისათვის თითქმის ყველა სფეროსა თუ ინდუსტრიას შეეხო და ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად იქცა.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ავტომატიზაცია ეს არის კონცეფცია და ფართო ცნება და არა ცალკეული პროდუქტი, რთულია მისი სტანდარტიზირება. ყოველ ჯერზე, როდესაც იწყება დაპროექტება აუცილებელია მოხდეს განსაზღვრა კონკრეტული შენობის საჭიროებებისა, რის შემდეგადაც უკვე შედგება ინდივიდუალური კონცეფცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აზმაიფარაშვილი, გ. ბ. (2017). "ჭკვიანი" სისტემები, როგორც თანამედროვე სახლის განუყოფელი ნაწილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავტომატიზაციის კონტროლის სისტემები.
2. Aste, N. (2021). Building Automation and Control Systems and performance optimization: A framework for analysis. *Renewable and Sustainable Energy Reviews*.
3. Clark, G. (2023). Artificial intelligence and networking in integrated building management systems. *Automation in Construction*.
4. Eini, R. (2022). Smart building management system: Performance specifications and design requirements.
5. Ippolito, M. (2022). Impact of building automation control systems and technical building management systems on the energy performance class of residential buildings: An Italian case study. *Energy and Buildings*.
6. Kastner, W. (2022). Communication systems for building automation and control. *ieeexplore*.
7. Mariano-Hernández, D. (2021). A review of strategies for building energy management system: Model predictive control, demand side management, optimization, and fault detect & diagnosis. *Journal of Building Engineering*.

Integration of Automation Technologies into the Building Management System

Luka Tsertsvadze
TSU Ph.D. Student

SUMMARY

In recent years, systems automation has significantly impacted various industries. With the help of artificial intelligence, it became possible to process voluminous information bases quickly, monitor specific variables, and execute certain decisions through them. A similar approach has been successfully integrated in a complex direction like the construction industry. Building Management Systems (BMS) play an important role in optimizing building operating systems, ensuring energy efficiency, and creating occupant comfort. Over time, BMS becomes more

relevant and necessary for arranging a residential or industrial environment, since it provides such important factors as resident awareness, safety, the ability to adapt to environmental conditions, as well as having the ability to respond instantly in any period of time to implement the desired changes and others.

Keywords: automation, smart home, KNX protocol, ZIGBEE protocol.

საავტომობილო-საგზაო კლასტერის ფორმირების გამოწვევები საქართველოში

მარიამ ქურქელაური
თსუ დოქტორანტი

საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარება და ეკონომიკის აღმავლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სატრანსპორტო სექტორის გამართულ მუშაობაზე. ჯერ კიდევ 2019 წელს, აბრეშუმის გზის კონფერენციაზე მსოფლიოში ცნობილმა ეკონომისტმა ნურიელ რუბინმა გააკეთა შეფასება, რომ „საქართველო ხდება მნიშვნელოვანი ლოგისტიკური ჰაბი". საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით „2023 წლის ლოგისტიკის ინდექსში ჩვენმა ქვეყანამ 119-ე ადგილიდან 79-ე ადგილზე გადაინაცვლა. აღნიშნული ინდექსი 2018 წლის შემდეგ პანდემიის გამო არ გამოქვეყნებულა". Logistics Performance Index (LPI) ინდექსის გაუმჯობესება, ცხადყოფს საქართველოს სატრანზიტო-ლოგისტიკური როლის გაძლიერებას საერთაშორისო ვაჭრობასა და სატვირთო გადაზიდვების სფეროში. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტს სატრანსპორტო დერეფანი და მასთან დაკავშირებული ლოგისტიკური სისტემები წარმოადგენს, აუცილებელია არსებული მდგომარეობის გაანალიზება და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება. პრობლემები, რომელიც დღეს ქვეყანას გააჩნია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და ლოჯისტიკის კუთხით, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, როგორც სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების, სატრანსპორტო სისტემაში ჩართული აქტორების, ასევე დარგის ექსპერტების და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან, რათა რეალურად შეფასდეს არსებული მდგომარეობა და ასევე, შეიქმნას სატრანსპორტო კლასტერის განვითარების წინაპირობები.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კლასტერი, საავტომობილო-საგზაო კლასტერი, სატრანზიტო ფუნქცია, სატრანსპორტო ლოჯისტიკა.*

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, ეს არის ის პლატფორმა, სადაც სტრატეგიული დანიშნულების საერთაშორისო ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სატრანსპორტო დარგების კოორდინირებული ფუნქციონირება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია წარმოადგენს. ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების და გლობალიზაციის შედეგია კლასტერული სისტემების ურთიერთგავლენის ფორმირება, რომლის მიზანია როგორც კერძო, ასევე საერთო ინტერესების რეალიზების მიზნით ეკონომიკურ სუბიექტებს შორის კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები, რომლებიც ეკონომიკის კლასტერულ განვითარებასთან არის დაკავშირებული.

რატომ კლასტერი? ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ო. სოლველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ:

„1. კლასტერი განსაკუთრებით აძლიერებს გარემოს ინოვაციებისთვის;

2. კლასტერი ავითარებს ორი სახეობის ძალას, როგორც ევოლუციურს, ასევე კონსტრუქციულს. ორივე ძალა იმართება კონკრეტული ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით და ამიტომ, ყველა კლასტერი თავისთავად განსაკუთრებული და უნიკალურია თავისი მახასიათებლებით“ (Sölvell, 2009, გვ. 7).

კლასტერების თეორია, თავის ნაშრომებში განავითარა მრავალმა უცხოელმა ავტორმა, მათ შორის ო.სოლველმა (2015), ქ.ქეთელსმა (2009), ე.ფეზერმა (2009), ე.ბერგმანმა (2009), მ.გოტსმა (2019), ჰ.დრეველომ (2016) , მ.ჰელფერმა (2016), მ. ბუზარმა (2016) და სხვებმა.

ქართველ ავტორებს შორის კლასტერებზე აქტიურად წერენ ე. ბარათაშვილი, ი. ბარათაშვილი (2019), ი. გაგნიძე (2012), ბ. გეჩბაია (2017), ლ. ყორღანაშვილი (2007), ე. სეფაშვილი (2007), ი. ჯელია (2010) და სხვები.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება დამოკიდებულია საქართველოში არსებული სატრანსპორტო სისტემის ყველა შემაერთებელი რგოლის: სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო, საჰაერო ინფრასტრუქტურის და ლოჯისტიკური ცენტრების, ასევე, საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების განვითარებასა და ახალი აბრეშუმის გზის მონაწილე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ეს საკითხი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. სწორედ, ასეთ განვითარებას გულისხმობს ეკონომიკური კლასტერი.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში საავტომობილო-საგზაო კლასტერის ჩამოყალიბების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი ერთ-ერთი დარგის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებასთან. საბჭოთა პერიოდში სატრანსპორტო სექტორის საქმიანობა ძირითადად, ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებაზე იყო ორიენტირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სატრანსპორტო სექტორი საერთაშორისო დონეზე გავიდა. თურქეთთან საზღვრის გახსნამ კი მკვეთრად გაზარდა სატრანსპორტო მიმოსვლა/გადაზიდვების მასშტაბი. ქვეყნის საავტომობილო გზებით საშუალოდ ყოველწლიურად თითქმის 17,2 მლნ ტ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება. როგორც სათანადო სტატისტიკიდან ირკვევა საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი (დაახლოებით 59,9%) საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის.[1]

[1] http://www.economy.ge

დიაგრამა 1.

სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (ჯამური)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://www.economy.ge/

როგორც დიაგრამიდან 1 ჩანს სატრანსპორტო სექტორის მიერ გადაზიდული ტვირთების ყველაზე მაღალი ჯამური რაოდენობა 2022 წელს დაფიქსირდა, შემდეგ წლებში კი მკვეთრად დაეცა.

ქვემოთ მოცემული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, სატრანსპორტო დარგის მიერ გადაზიდული ტვირთების ყველაზე დიდი წილი, მოდის საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებზე. საავტომობილო გადაზიდვებს მოსდევს სამოქალაქო ავიაციის მიერ განხორციელებული სატვირთო გადაზიდვების მოცულობა და ბოლოს, სარკინიგზო ხაზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა. ეს ტენდენცია ასახულია დიაგრამაზე 2, სადაც მოცემულია 2022-2023 წლების საავტომობილო, სარკინიგზო და საავიაციო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობების შედარებითი მაჩვენებლები.

დიაგრამა 2.

სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://www.economy.ge/

2016-2021 წლების განმავლობაში საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბთუნვა ზრდადია, თუმცა მცირე რაოდენობით. როგორც ცხრილიდან 1 ჩანს 2016-2022 წლებში ზრდამ 7 % შეადგინა.

ცხრილი 1.

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 2016-2021 წლებში, მლნ ტ/კმ-ზე

2016	673,6
2017	683,0
2018	692,6
2019	702,3
2020	712,1
2021	720,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2022 წ.

დიაგრამაზე 3 მოცემულია 2022-2023 წწ. სატრანსპორტო დარგების მიერ, გადაყვანილ მგზავრთა ჯამური რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ საავტომობილო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანაშიც არ თმობს წამყვან პოზიციებს. მის წილზე მოდის გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის 40 %.

დიაგრამა 3

სატრანსპორტო დარგების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://www.economy.ge/

სტატისტიკური მონაცემებით, საავტომობილო ტრასპორტით სატრანზიტო გადაზიდვების ზრდა, შესაძლოა დაკავშირებული იყოს: რუსეთსა და სომხეთს შორის ძირითადი ტვირთების საავტომობილო ტრანსპორტზე გადართვით.

2012 წლიდან ტრანსკავკასიურ კორიდორში ტრანზიტის რეჟიმში მოძრავი საავტომობილო ტრანსპორტის ერთეულის რაოდენობა საქართველოს სატრანზიტო დერეფანში პერმანენტულად იზრდება. საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის დინამიკამ, მოსაზღვრე ქვეყნების მიხედვით, 2022 წ. კვეთების რაოდენობამ ორივე მიმართულებით შეადგინა: 3 240 407 ერთეული, რუსეთისკენ/რუსეთიდან – 862 476, აზერბაიჯანისკენ/აზერბაიჯანიდან – 392 009, თურქეთისკენ/თურქეთიდან - 942 409, სომხეთისკენ/სომხეთიდან - 1 036 395. აქედან: მსუბუქი ავტომობილი - 161 181 ერთეული, სატვირთო ავტომობილი - 119 591, ავტობუსი - 4876, მოტოციკლი - 790, სპეცტექნიკა - 561[1] (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები, 2022). მოცემული სტატისტიკიდან ნათლად ჩანს, რომ სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვის უმეტესობა საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის.

საქართველოს საავტომობილო გზები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოს საავტომობილო ქსელის საერთო სიგრძე 23 ათას კმ-ს შეადგენს, რომელიც შიდა სატვირთო გადაზიდვებს ემსახურება და უზრუნველყოფს საერთაშორისო გზებზე ხელმისაწვდომობას. საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 1 603 კმ-ია, ეროვნული მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 5 298,1 კმ. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ავტომაგისტრალების მოდერნიზაციის პროგრამას, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროგრამის მიზანია მეზობელ ქვეყნებში საქონლის გადატანისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. საქონლის ტრანსპორტირება საქართველოს გავლით და საქართველოში, ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა. საქონლის დაახლოებით ორი მესამედის ტრანსპორტირება ხორციელდება საავტომობილო გზების საშუალებით, ასევე გაიზარდა ადგილობრივი და საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების მიერ სატვირთო მანქანების მიმოსვლა საქართველოს ავტომაგისტრალებზე. თუმცა, გზების უმრავლესობა, არასათანადოდ აღჭურვის გამო, ვერ უმკლავდება ინტენსიურ მოძრაობას და სატვირთო მანქანების ნაკადს. ამას განაპირობებს ისეთი ფაქტორები როგორებიცაა: არასაკმარისი ორმხრივი მოძრაობის ორზოლიანი გზა, დასახლებულ ადგილებში მოძრაობა და არაადეკვატური მოვლა-შეკეთება, იწვევს გზების გამტარუნარიანობის შეფერხებას და სატრანზიტო დროის გაზრდას.

საქართველოში მაგისტრალური გზების მოდერნიზაციის პროგრამის ძირითადი მიზანია E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესება – მთავარი მარშრუტი მეზობელი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან, რომელიც ასევე უკავშირდება თურქეთს და სომხეთს.

შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი საგზაო ხაზი ფოთი/ბათუმი-თბილისი-წითელი ხიდის მონაკვეთზე გადის. აღნიშნული პროექტი ცნობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის მაგისტრალების გაუმჯობესების სახელით - East-West Highway Improvement Project (EWHIP). მისი მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და გამტარუნარიანობის გაზრდა.

[1] https://info.police.ge/page?id=757&parent_id=94

ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთი, ქვეყნის მთავარი სატრანზიტო ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და აღნიშნული მონაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლით შემცირდება მგზავრობის დრო, გაიზრდება გზის გამტარუნარიანობა და მოძრაობის უსაფრთხოების დონე. ზემო ოსიაურ-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა, მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (IBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება (EIB). პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 447 992 488 ლარია.

გზების რეკონსტრუქცია ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საავტომობილო გზის მშენებლობისას, მთავარი გამოწვევაა ხარისხის კონტროლი, ტრანზიტული ტვირთის მოსაზიდად ასევე მნიშვნელოვანია გზებისა და მაგისტრალების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა საქართველომ ხარვეზების გარეშე შეძლოს ისტორიული, სატრანზიტო ფუნქციის ეფექტიანად შესრულება.

სქემაზე 1 მოცემულია საქართველოს საგზაო-საავტომობილო კლასტერი. საგზაო-სატრანსპორტო კლასტერის წარმოდგენისას დავეყრდნობით მისი ცნობილი მკვლევარის ო.-სოლველის მოდელს. სქემაზე 1 მოცემულია ავტორის მიერ შემოთავაზებული კლასტერის მოქმედი ძირითადი მხარეები, მათ შორის: მმართველი ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, ინდუსტრია, ფინანსები, მასმედია და კოლაბორაციის ორგანიზაციები.

სქემა 1

კლასტერების ძირითადი მოქმედი მხარეები



სქემა 1. კლასტერების ძირითადი მოქმედი მხარეები ო. სოლველის მიხედვით

წყარო: ო.სოლველი, 2009, გვ.16

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო კლასტერის ძირითადი მოქმედი მხარეები ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით იქნება:

1) **სამთავრობო სტრუქტურები** - საავტომობილო ტრანსპორტის დარგში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.Jსაავტომობილო ტრანსპორტის დარგში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც უზრუნველყოფს სახმელეთო ტრანსპორტის დარგში, მასზე დელეგირებული, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებას.

2) **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს** კოორდინაციით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პროექტებსა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე, დეპარტამენტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს: ევროკავშირის საგზაო სტანდარტებთან ეტაპობრივი ინტეგრაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის დაგეგმარება, უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა, გზების მართვის გაუმჯობესებული სისტემის ჩამოყალიბება, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა, გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

3) **საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია** - ტრანსპორტის სფეროში შექმნილი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თავის საქმიანობას: ლიცენზირება და ნებართვების გაცემა, მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება, ზედამხედველობა და კონტროლი, სატრანსპორტო სისტემებისა და საშუალებების რეგისტრაცია.

4) **საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი** - ამტკიცებს ტრანსპორტის სფეროში, მომსახურების სავალდებულო სერტიფიცირების წესს.

5) **ფინანსების უზრუნველყოფა**: ქვეყნის მთავრობის მიერ ბიუჯეტით განსაზღვრული საჭირო კაპიტალური დაბანდებანი, ტრანსპორტის დასაფინანსებლად მიმართული საბიუჯეტო და სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდები, ფონდების სახსრების ხარჯვაზე კონტროლს ანხორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ან წარმომადგენლობითი ორგანოები ან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ბიუჯეტის აღსრულების კონტროლისათვის დადგენილი წესით[1].

6) **საგანმანათლებლო ინსტიტუტები** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი წარმოადგენს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთერთ დანაყოფს, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგებისათვის.

[1] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/51556?publication=0

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება, ავტომობილის ძრავის შეკეთება, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

5) **სასწავლო კვლევითი ცენტრი - საგზაო ტრანსპორტის აკადემია,** კერძო ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც გაიარა IRU ACADEMY-ს (საგზაო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი) საერთაშორისო აკრედიტაცია, საგზაო ტრანსპორტის აკადემია ლიცენზირებულია სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.

6) **საქართველოს საავტომობილო ფედერაცია.**

7) **საავტომობილო ტრანსპორტის ორგანიზაციები და ლოჯისტიკური კომპანიები** (გიანთი ლოჯისტიკსი, ქაიროს ლოჯისტიკსი, შ.პ.ს. „ჯორჯიან კარგო გრუპი", ბერლეო გეო ტრანსი, სოფმარი, AsstrA, ავტო ტრანსი და სხვა.).

8) **არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები:** სახმელეთო ტრანსპორტის ასოციაცია, „არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები - ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის", ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის", ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია, „ჰაბ ჯორჯია", „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია" და სხვა.

9) **საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.**

10) **მასმედია** - საზოგადოებრივი მაუწყებლობა და ადგილობრივი ტელევიზიები რეგიონებში.

11) **სოციალური ქსელები:** საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო/Land Transport Agency, სასწავლო კვლევითი ცენტრი - საგზაო ტრანსპორტის აკადემია, სახმელეთო ტრანსპორტის ასოციაცია, საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია.

წარმოდგენილ საავტომობილო კლასტერის მოდელში, ნათლად ჩანს, რომ სტრუქტურები და კომპანიები სხვადასხვა ინტერესთა დაჯგუფებებით, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და გაერთიანებულნი ერთ ქსელში. ცალკე აღებული კომპანიის წარმატებული საქმიანობა ნიშნავს, კლასტერის თითოეული წევრის წარმატებას და მთლიანად დარგის განვითარებას.

დასკვნა

საავტომობილო ტრანსპორტი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო სახეობაა არა მხოლოდ როგორც, ინდივიდუალური სატრანსპორტო სექტორი, მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, სხვა სატრანსპორტო სექტორების განვითარებაში, როგორც საზღვაო, ისე სარკინიგზო და საჰაერო მიმართულებებში. ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის პირობებში საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს გადაზიდვის ყველაზე მოქნილ მოდელს.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვების ანალიზით გამოიკვეთა, რომ გამტარუნარიანობა სრულად არ არის ათვისებული, თუმცა, არსებობს ადმინისტრაციული, ტექნიკური, და სხვა რიგი საკითხები, რომელთა მოგვარება უნდა მოხდეს, როგორც ქვეყნის შიგნით სექტორულ დონეზე, ისე მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, რათა ხელი შეეწყოს ყველა სატრანსპორტო საშუალების კომპლექსურ, ერ-

თიან ამოქმედებას არა მხოლოდ ქართულ სატრანზიტო მონაკვეთზე, არამედ მთლიანად ტრანსკავკასიური კორიდორის მონაწილე აქტორების გაერთიანებით.

სატრანსპორტო დერეფნები უნდა განვიხილოთ არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკური და სატრანსპორტო დერეფნებში ინტეგრაციის პოზიციიდან, არამედ, როგორც მსოფლიო ლოჯისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ამასთან, ლოჯისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურულ შემადგენლობას წარმოადგენენ გამანაწილებელი ცენტრები, მულტიმოდალურ/ინტერმოდალურ სატრანსპორტო ქსელთა ურთიერთმოქმედი მულტიმოდალურ-ტერმინალური კომპლექსები, რომლებიც შეკრულნი არიან ერთ სისტემად, მუშაობენ ერთიანი სტანდარტებით, ნორმებით და წესებით „კარიდან კარამდე" და „ზუსტად დროში" ტექნოლოგიებით მაღალეფექტიანი საბოლოო შედეგისათვის,[1] რაც, როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, სტარანსპორტო კლასტერის, კერძოდ კი, საავტომობილო-საგზაო კლასტერის ფორმირებით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ბარათაშვილი ი., (2019) კლასტერების მენეჯმენტი, გამომც. „უნივერსალი", 535 გვ. ISBN:9789941265976, თბ.
2. გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი" 120 გვ., თბ., 2012. URL:https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1371
3. გეჩბაია ბ., (2017) კლასტერები, როგორც აგრობიზნესის განვითარების ფაქტორი და მისი ჩამოყალიბების პირობები. გლობალიზაცია და ბიზნესი #3, გვ. 96-99.URL: https://eugb.ge/uploads/content/N3/3-15.pdf
4. დანელია ირ., გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები საქართველოში, 2019 თბ.
5. სეფაშვილი ე., „ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია", ჟ. „ეკონომიკა", საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი", V ტომი, #1-4, თბ., 2007.
6. ყორღანაშვილი ლ., კლასტერიზაცია, როგორც რეგიონებისა და მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. ბათუმი 2007 წ. გვ., 53-54.
7. ჯელია ი., საქართველოს ეკონომიკის კლასტერიზაცია მსოფლიო გამოცდილების კონტექსტში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", #6(12), თბ. 2010.
8. მსოფლიო ბანკი URL:https://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-country-partnership-framework-2019-2022
9. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. URL:https://www.economy.ge/
10. საავტომობილო გზების დეპარტამენტი. URL: http://www.georoad.ge/
11. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. URL: https://www.geostat.ge/ka
12. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. URL: http://lta.gov.ge/
13. საავტომობილო ტრანსპორტის ორგანიზაციები. URL:https://www.bia.ge/Company/Industry/3235
14. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და

[1] სატრანსპორტო ლოჯისტიკა. (2015). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი

15. სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. URL:https://geostm.ge
16. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
URL: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/51556?publication=0
17. Götz, M. (2019), "The Industry 4.0 Induced Agility and New Skills in Clusters", *Foresight and STI Governance*, Vol. 13 No. 2, pp. 72–83, DOI: 10.17323/25002597.2019.2.72.83.
18. PORTER, M. – on Competition, A Harvard Business Review Book , Harvard Business Press,1998
19. Sölvell, Ö. (2015), "On strategy and competitiveness: 10 recipes for analytical success", First edition, Stockholm: Ivory Tower Publishers and SIR, Sweden. ISBN 978-91-974783-6-6 (PDF), ISBN 97891-86797-21-8 (printed) available at: URL:https://irpcdn.multiscreensite.com/bcb8bbe3/files/uploaded/doc_3540.pdf (accessed 8 July 2022).
20. Sölvell, Ö. (2009) "Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces". Ivory Tower Publisher, ISBN 978-91-974783-3-5, Second Edition. pp.7. URL: http://www.cluster-research.org/redbook.htm

Challenges of Road Cluster Formation in Georgia

Mariam Churchelauri
TSU Ph.D. Student

SUMMARY

Georgia's geostrategic location is that the country's transit function and the economic growth continue to depend on the hard work of the transport sector." Back in 2019, world-famous economist Nuriel Rubin said at the Silk Road Conference that "Georgia is becoming a significant logistics hub." According to the Ministry of Economy of Georgia, our country has moved to 79th out of 119 locations in the 2023 logistics index. This index was not published since 2018 due to the pandemic." Improving the Logistics Performance Index (LPI) index demonstrates the strengthening of Georgia's transit-logistics role in international trade and freight transport. Under the conditions when transport corridor and logistics systems are one of the country's priorities, it is necessary to analyze the current situation and develop an action strategy. Problems that the country has today in terms of transport infrastructure and logistics require a complex approach to both the state structures, the transport actors involved in the transportation system, the sector experts and educational institutions to realistically assess the current situation and to create preconditions for the development of a transport cluster.

Keywords: Georgia's transport infrastructure, cluster, motor-road cluster, transit function, transport logistics.

გამომცემაზე იმუშავეს ეკა თეთრაშვილმა და ხათუთა ბადრიძემ

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6283
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918